DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Tushabramishvili, D. / თუშაბრამიშვილი, დ. / Тушабрамишвили, Д.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები ტომი V / Археологические Експедиции государственного музея грузии том V
- Publication Date: 1977
- Publisher: Georgian National Museum, Georgian Academy Of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_6f0f43809a

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.



საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები

V

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ ИМ. С. Н. ДЖАНАШИА

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

V

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1977

IVE
2841

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები

V

18594

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

902.6(c41)
902.6(47.922)
ს 323

კრებულში მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების 1974—1975 წწ. ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები.

В сборнике помещены отчеты археологических экспедиций Государственного Музея Грузии за 1974—1975 гг.

რედაქტორი: ალ. ჯავახიშვილი

Редактор: А. И. Джавахишвили

Э 10602/М607(03)—77 195—77 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1977

დ. თუშაბრამიშვილი

ყვირილისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების 1974 — 1975 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგები

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის[1] ძირითადი მიზანი 1974 — 1975 წლებში იყო საქართველოში პალეოლითელი ადამიანის განსახლების მრავალი საკითხის შესწავლა. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად ექსპედიციამ გააგრძელა გათხრები ძუძუანის მღვიმეში და წინა წლებთან შედარებით უფრო ფართოდ გაშალა დაზვერვითი სამუშაოები ჭიათურის რაიონის ტერიტორიაზე.

ძუძუანის მღვიმეში 1974—75 წლებში შესასვლელის მარცხენა ნაწილში გაითხარა b-g 5—5 და 6—6 კვადრატები მთლიანად, კლდოვან იატაკამდის. ვინაიდან 1975 წ. ძუძუანის მღვიმეში მოპოვებული ქვის მასალის კამერალური დამუშავება დამთავრებული არ არის, ამიტომ განვიხილავთ 1974 წ. მიღებულ ჭრილს და b-g 5—5 და 6—6 კვადრატებში მოპოვებულ მასალას ფენების მიხედვით, ისიც სუმარულად, ქვის ინვენტარის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფენათა თანმიმდევრობა, გავრცობა, ლითოლოგიური შედგენილობა ისეთივეა, როგორც წინა წლებში გაკეთებულ ჭრილებში, შეიცვალა მხოლოდ მათი სიმძლავრე კვადრატების ამა თუ იმ მონაკვეთში და კონფიგურაცია. 1974 წ. ძუძუანის მღვიმეში ფიქსირებულია რვა ფენა, რომელთა თანმიმდევრობა ასეთია (გრძივი ჭრილის მიხედვით):

1. ჰუმუსოვანი ფენა, ღორღისა და კირქვის წვრილი ნატეხების ჩანართებით. ადრეული ბრინჯაოს ხანის მასალების შემცველი.

2. მოყავისფრო-მონაცრისფრო თიხნარი. პირველი პალეოლითური ფენა.

3. შლადი ღორღის, ქვიშის, მარგანეცისა და თიხის შემცველი ფენა. მე-2 პალეოლითური ფენა.

4. მუქი მონაცრისფრო-მოყავისფრო თიხნარი, ქვიშისა და ღორღის ჩანართებით. მე-3 პალეოლითური ფენა.

5. თიხნარი, მარგანეცის, ქვიშისა და შლადი ღორღის მინარევით. მე-4 პალეოლითური ფენა.

---

[1] ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: დ. თუშაბრამიშვილი, ექსპედიციის ხელმძღვანელი (1974—1975 წწ.), თ. მეშველიანი, რაზმის უფროსი 1974 წ. ექსპედიციის უფროსის მოადგილე, 1975 წ. რ. ბახტაძე, უფრ. მეც. თანამშრომელი (1974), უმც. მეცნ. თანამშრომლები: ლ. ჟორჟიკაშვილი (1974—75 წწ.), ც. დავლიანიძე (1974 წ.), მ. კეცხოველი (1974 წ.), ზ. ქიქოძე (1975 წ.), მ. ჯიქურიშვილი, მხატვარი (1974), ქ. დვალი, ლაბორანტი (1974—75 წწ.), არქიტექტორები გ. ჯანშიაშვილი (1974 წ.) და მ. მაყაშვილი (1975), მანქანის მძღოლები ქ. ჭიათურის მე-3 ასკ-იდან — ჯ. კვიჟინიძე (1974 წ.) და ნ. ტყავაძე (1975 წ.).

6. მუქი მოყავისფრო-მონაცრისფრო თიხნარის ფენა, ქვედა ჰორიზონტში ერთგვაროვანი ქვიშის მცირე მინარევით. მე-5 პალეოლითური ფენა.

7. მოშავო-მოყავისფრო თიხნარი. მე-6 პალეოლითური ფენა.

7. ა. ნაკერალი შრე. პალეოლითური ნაშთების შემცველი.

8. ღია მოყავისფრო-მოყვითალო წებოვანი თიხნარი ქვიშის მინარევით. პალეოლითური ნაშთების შემცველი. მე-7 პალეოლითური ფენა. ფენების საერთო სიმძლავრე გრძივი ჭრილის ბოლოში 3,5 მეტრია. ძუძუანის მღვიმეში 1974 წ. მოპოვებული ქვის ინვენტარი ანალოგიურია წინა წლებისა, იარაღების დიდი ნაწილი ნაკეთებია ანატკეცებსა და მასიურ ლამელებზე. ასეთ, შედარებით უხეშ ფირფიტებზე ნაკეთები იარაღების რიცხვი ქვედა ფენებში მნიშვნელოვნად მეტია. არც 1974 წელს აღმოჩენილა განსხვავებული (წინა წლებთან შედარებით) ტიპის იარაღები. შეიცვალა მხოლოდ მოპოვებული მასალის რაოდენობა და იარაღთა პროცენტული შეფარდება. მაგალითად:

I პალეოლითურ ფენაში სულ 440 ნივთია აღმოჩენილი. თუ აღნიშნულ რიცხვს გამოვაკლებთ ნუკლეუსებს, ყოველგვარ ანამტვრევებს და ქერცლისებურ წვრილ ანატკეცებს, მაშინ მისი რაოდენობა 327 ნივთამდე შემცირდება. აღნიშნული რაოდენობიდან 71 ც. სხვადასხვა სახის იარაღია (რეტუშირებული ანატკეცებისა და ლამელების ჩათვლით), რაც მთელი მასალის (ნუკლეუსების, ყოველგვარი ანამტვრევების და ქერცლისებური ანატკეცების გამოკლებით) 21,7% შეადგენს. რეტუშირებული ანატკეცები 32 ცალია, რაც ყველა სახის იარაღის 9,7%-ია, რეტუშირებული ლამელები (25 ც.) — 7,64%, საფხეკები 11 ც-ია, რაც 3,3% შეადგენს, საჭრისები (3 ც.) — 0,9%.

II პალეოლითურ ფენაში სულ 42 ნივთია, აქედან იარაღი 5 ც-ია: საჭრისი 2, თითო ცალი საფხეკი, რეტუშირებული ანატკეცი და ლამელაა.

III პალეოლითურ ფენაში 123 ნივთია. 13 ც. იარაღია, რაც მთელი მასალის (ნუკლეუსების, ანატკეცებისა და ქერცლისებური ანატკეცების გამოკლებით)[2] 17,56% შეადგენს. იარაღებიდან 7 ც. საფხეკია, 2 ც. რეტუშირებული ლამელა, თითო ცალი საჭრისი, რეტუშირებული მიკროლამელა და ანატკეცია.

IV პალეოლითური ფენა. 347 ნივთია. იარაღი 29 ცალია, მთელი მასალის 12,08%. იარაღებს შორის რაოდენობრივად სჭარბობს საფხეკები (10 ც.), საჭრისი 8 ც-ია, რეტუშირებული ანატკეცები — 7, ხოლო ლამელა — 4 ცალი.

V პალეოლითური ფენა. 1116 ნივთი. სხვადასხვა სახის იარაღი 157 ც-ია, რაც მთელი მასალის 19,12% შეადგენს. იარაღებს შორის წამყვანი ადგილი საფხეკებს უკავიათ (62 ც.) —39,6%, რეტუშირებული ანატკეცები 54 ც. — 34.3%. 21 ც. საჭრისია (13,3%), 20 ც. რეტუშირებული ლამელა — 12,7%.

VI პალეოლითური ფენა ნაკერალი შრით. სულ 204 ნივთია, აქედან 157 ც. ანატკეცი, ლამელა და სხვადასხვა სახის იარაღია. რეტუშირებული ანატკეც-ლამელა და იარაღი კი მხოლოდ 73-ია, რაც მთელი მასალის 46,5% შეადგენს. ყველაზე მრავლადაა წარმოდგენილი რეტუშირებული ანატკეცები

---

[2] აქაც და შემდეგაც პროცენტულ გამოთვლებში შეტანილი არ არის ნუკლეუსების, ყოველგვარი ანამტვრევებისა და ქერცლისებური ანატკეცების რაოდენობა.

36 ც. (49,3%). საფხეკი 18 ც. (25,35%), 11 ც. საჭრისია, რაც ყველა სახის იარაღის 15,49% შეადგენს. რეტუშირებული ლამელები 4 ც. (5,47%).

VII პალეოლითური ფენიდან 1100 ნივთია. აღნიშნული რიცხვიდან 206 ც. სხვადასხვა სახის იარაღი და რეტუშირებული ანატკეც-ლამელაა, რაც მთელი მასალის 24,49% შეადგენს. მე-7 ფენაშიც იარაღებს შორის წამყვანი ადგილი რეტუშირებულ ანატკეცებს უკავიათ (115 ც. 55,82%). საფხეკი 31 ც-ია—15,04%, რეტუშირებული ლამელა 30 ც. (14,56%), საჭრისები აქაც მცირეა — 21 ც. (10,18%), ხოლო სახოკი 5-ია (2,42%).

ზემოთ მოტანილი ციფრობრივი და პროცენტული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ყველა ფენაში დასრულებულ იარაღებს შორის (საფხეკები, საჭრისები, დანები და სხვ.) წამყვანი ადგილი საფხეკებს უკავიათ. მსგავსი სურათი ჩანდა წინა წლებში მოპოვებულ მასალებშიც. აღნიშნული ფაქტი შეიძლება აიხსნას მეურნეობის გარკვეული დარგის (ტყავისა და ხის დამუშავება და სხვა) დაწინაურებით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელსაც არ აღმოჩენილა ძუძუანის მღვიმის პალეოლითურ ფენებში გეომეტრიული მოყვანილობის არცერთი მიკროლითური იარაღი, რაც აიხსნება არა მარტო ძეგლის საკმაოდ ადრეული ასაკით, არამედ მისი გარკვეული თავისებურებითაც.

ძუძუანის მღვიმის გათხრების გარდა ექსპედიციამ ჩაატარა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოებიც, კერძოდ გააფართოვა და გააღრმავა საძიებო თხრილი ტოლონ კლდეში.

ტოლონ კლდის ეხი მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. შუქრეთის ტერიტორიაზე, მდ. დიორის მარცხენა შენაკადის, უსახელო ღელის მარცხენა ნაპირზე. უსახელო ღელის დიორთან შეერთების ადგილიდან 150 მ დაშორებით და ღელის ზედაპირიდან დაახლოებით 15 მ სიმაღლეზე. იგი შესართავიდან რიგით მეორე ეხია. ტოლონ კლდის ეხში საძიებო პატარა თხრილი გაიჭრა ჯერ კიდევ 1968 წ. 1972—1974 წლებში ჩატარდა თხრილის გაფართოება და დაღრმავება. მაგრამ არც წინა წლებში და არც 1975 წ. თხრილი კლდოვან იატაკამდე ვერ იქნა დაყვანილი ძეგლის ფენათა შლადობისა და სირთულის გამო. 1975 წ. საძიებო თხრილში დადგენილია 3 ფენა.

I. ჰუმუსოვანი ფენა

II. მოყავისფრო-მონაცრისფრო თიხნარი კირქვის სამუალო და მსხვილი ნატეხების ჩანართებით და

III. მონაცრისფრო თიხით სუსტად შევსებული კირქვის ღორღი.

ეხში კულტურული ფენები მნიშვნელოვნად დაზიანებულია. განსაკუთრებით ეს ითქმის ფლატესთან ახლოს მდებარე ფართობზე, სადაც მხოლოდ ჰუმუსოვან ფენაშია ქვის ინვენტარი, რომელიც წინასწარი დაკვირვებით თავისი იერით და ტიპოლოგიური შემადგენლობით მეზოლითს უნდა ეკუთვნოდეს. მე-2 ფენაში კაჟის ქვის თითო-ოროლა ნაკეთობა ჩნდება. ფენები შედარებით ხელუხლებელი სახით შემონახულია ეხის კედლის გასწვრივ. პირველ ფენაში (ჰუმუსოვანში), რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია მეზოლითს განეკუთვნება, 1974 წ. აღმოჩნდა 1739 ნივთი, მათ შორის: ნუკლეუსები, ანატკეც-ანამტვრევები, ლამელები, მიკროლამელები, ზურგდაბლაგვული მიკროლამელები, გრავეტის ტიპის დანები, ერთი სეგმენტი და სხვ. აღნიშნულ მასალაში შერეული უნდა იყოს ქვედაფენისეული ქვის ნაწარმიც. II ფენა იძლევა ზედაპალეოლითის ადრეული პერიოდის მასალას. ამ ფენიდან მომდინარე ქვის ინვენტარი უფრო უხეშია, არქაული იერისაა, ვიდრე ძუძუანის ქვედა ფენების.

ტოღონ კლდის მეორე ფენაში წინა წლებში აღმოჩნდა მუსტიეური ხანის რამდენიმე ნივთი. III ფენა სტერილურია. ტოღონ კლდეში 1974 წ. მოპოვებული მასალა კამერალურად დამუშავებული არ არის, ამიტომ იარაღთა რაოდენობრივ-პროცენტულ შეფარდებაზე ვერაფერს ვიტყვით.

ექსპედიციამ საძიებო გათხრები ჩაატარა აგრეთვე ორთვალა კლდის მღვიმეში. როგორც 1973 წლის ანგარიშშიაც გვქონდა აღნიშნული, ორთვალა კლდის მღვიმე მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. დიდი რგანის ტერიტორიაზე, ჭერულას ხეობაში, მის მარჯვენა ნაპირზე, მდინარის ზედაპირიდან დაახლოებით 35—40 მ სიმაღლეზე. 1973 წელს საძიებო თხრილი გავაკეთეთ მცირე დარბაზის წინ, ფლატეს დასაწყისამდე. 1974 წელს დავიწყეთ ახალი საძიებო თხრილის გაჭრა, მაგრამ უკვე უშუალოდ ფლატის ფერდობიდან, a—7—a—11 კვადრატების წინ. აღნიშნული გარემოების გამო საძიებო თხრილში წარმოდგენილი ფენების საზღვრები ერთმანეთში გადადიოდა, ე. ი. ადგილი ჰქონდა ფენების (განსაკუთრებით ზედა ორის და ნაწილობრივ მე-3) და მასალის ერთმანეთში არევას. საძიებო თხრილში სტრატიგრაფიული ჭრილის დადგენა მოხერხდა მხოლოდ 1974 წ. ექსპედიციის ბოლო დღეებში, როდესაც ჩამოჭრილ იქნა პრეპარაციით ფერდობზე არსებული ფენები და მივადექით მოვაკებულ ბაქანს. საიდანაც იწყებოდა კვადრატებად დაყოფილი ფართობი (a—7 a—11 კვადრატების დასაწყისი). 1975 წ. საძიებო თხრილი დაღრმავდა ბოლომდე, ამავე დროს გაითხარა a—a 7—11 კვადრატები კლდოვან იატაკამდის. 1975 წ. დავიწყეთ მეორე საძიებო თხრილის გაჭრა დიდი დარბაზის წინ მდებარე ფერდობზე. თხრილი აქ ორ საფეხურად არის გაკეთებული. კლდოვან იატაკამდე ვერ დავედით.

b—b 7—11 კვადრატების დასაწყისის განივ ჭრილში 1975 წ. ფიქსირებულია ლითოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებული შვიდი ფენა. თანმიმდევრობა ზევიდან ქვევით ასეთია (სურ. 1):

1. ჰუმუსით ოდნავ შავად შეფერილი მტვრადქცეული თიხნარი ჭრილის თავზე და მღვიმის სიღრმისაკენ და ჰუმუსი გრძივ ჭრილში, ფერდობზე. ჰუმუსოვან ფენაში აქა-იქ გვხვდებოდა ქვედა ფენებიდან მომდინარე კაჟის ქვის ნაკეთობანი და ანატკეც-ანამტვრევები.

2. ღია მოყავისფრო თიხით შევსებული წვრილი და საშუალო ზომის ღორღი, აქა-იქ მსხვილი ლოდების ჩანართებით. I მუსტიეური ფენა.

3. მოყვითალო თიხნარი ღორღისა და კირქვის საშუალო ზომის ნატეხების ჩანართებით. II მუსტიეური ფენა.

4. ღია მოყავისფრო-მოწითალო თიხნარი წვრილი ღორღის ჩანართებით, შემკვრივებული. III მუსტიეური ფენა.

5. მუქი მოყავისფრო თიხნარი ღორღის ჩანართებით, ბრექჩიად ქცეული. IV მუსტიეური ფენა.

6. ნაკერალი წვრილი ღორღისა და მცირე ზომის კირქვის ნატეხების ჩანართებით. V მუსტიეური ფენა.

7. მუქი მოყავისფრო ოდნავ წებოვანი თიხნარი ღორღის ჩანართებით, ზედა ჰორიზონტში კულტურული ნაშთების შემცველი. VI მუსტიეური ფენა. აღნიშნულ ფენაში სულ მოპოვებულია 5 ნივთი და ძვლის რამდენიმე ნატეხი. შესაძლებელია აღნიშნული მასალა ზედაფენისეული იყოს.

ფენების საერთო სიმძლავრე ორ მეტრს აღემატება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჭრილში წარმოდგენილ ყველა ფენას ახასიათებს შემკვრივება, ხოლო მე-5 ფენა ბრეჭჩიადაა ქცეული. აღნიშნული ვითარება შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმით, რომ ფენები მღვიმის თაღის გარეთ გამოდიან და მეტად განიცდიან ატმოსფერული ნალექების ზეგავლენას.

ორთვალა კლდის მღვიმის მუსტიეურ ფენებში მოპოვებული ქვის მასალის ტიპოლოგიური შედგენილობის და რაოდენობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 1.

არქეოლოგიური მასალა

ორთვალა კლდეში, როგორც ზევითაც დავინახეთ, შვიდი ფენაა ფიქსირებული, აქედან ხუთი (მე-2-6 — ფენები) უდავოდ შეიცავს მუსტიეური ხანის ინვენტარს. რაც შეეხება მე-7, სულ ქვედა ფენას, აქ აღმოჩენილი რამდენიმე ნივთი შესაძლებელია ზედაფენისეული იყოს. ხუთივე ფენაში, 1974—1975 წლებში, სულ მოპოვებულია 3585 ნივთი. ფენების მიხედვით მასალა შემდეგნაირადაა განაწილებული: I მუსტიეური ფენა (სტრატიგრაფიული ჭრილით ზევიდან მე-2 ფენა) ყველაზე ღარიბია, აქ აღმოჩენილია მხოლოდ 94 ნივთი. II მუსტიეურ ფენაში 631 ნივთია, III — 1907 ერთეული, IV — 721 ერთეული, ხოლო V მუსტიეურ ფენაში — 232 ერთეული. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ფენიდან მასალა სხვადასხვა რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია არა მარტო განათხარი ფართობის სიდიდით და ფენების სიმძლავრით, არამედ ფენათა დაყურსულობითაც.

ყველა ფენაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ნუკლეუსები, როგორც ჩვეულებრივი, ისე წვრილი და ქერცლისებური ანატკეცები, მიღებული ნუკლეუსების შესწორებისა და იარაღების დამზადების პროცესში. მრავლადაა სხვადასხვა სახის იარაღი და რეტუშირებული ანატკეც-ლამელა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ორთვალა კლდის მღვიმე წარმოადგენდა პირველყოფილ ადამიანთა მუდმივ საცხოვრებელ-სახელოსნოს. ნედლ მასალად გამოყენებულია ჰიათურის რაიონისათვის დამახასიათებელი მონაცრისფერო და მოწითალო მაღალხარისხოვანი კაჟი. ერთეულების სახით წარმოდგენილია არგილიტის, ობსიდიანისა და კირქვიერი კაჟის ნაკეთობანიც.

მუსტიეური ფენების ქვის ინვენტარის ტექნიკური მაჩვენებლები.

I მუსტიეური ფენის ქვის მასალის 34% წარმოების გადანაყარია (ნუკლეუსები, ანამტვრევები, წვრილი და ქერცლისებური ანატკეცები), დანარჩენი არალევალუაზური (55 ც.) და ლევალუაზური (7 ც.) ანატკეც-ლამელაა. I მუსტიეური ფენის ლევალუის ინდექსი (Indice Levalois) 2,9-ია. იარაღები მთელი მასალის (ნუკლეუსების, ანამტვრევების, ქერცლისებური და წვრილი ანატკეცების გამოკლებით) 33,7% შეადგენს.

II მუსტიეურ ფენაში წარმოების გადანაყარი 36,7%-ია, ლევალუას ინდექსი (IL) 10,6 უდრის, ხოლო ლამელების (I Lam.) — 9,02. იარაღები მთელი მასალის 28,5 %-ია.

III ფენაში შესაბამისად 40%, ლევალუის ინდექსი (IL) უდრის 8,4, ხოლო ლამელებისა — 7,07. იარაღები მთელი მასალის 18,1% შეადგენს.

IV მუსტიეურ ფენაში წარმოების გადანაყარი 216 ერთეულითაა წარმოდ-

გენილი, რაც მთელი მასალის 29,9% შეადგენს. დანარჩენი არალევალუაზური (460 ც.) და ლევალუაზური (45 ც.) ანატკეც-ლამელაა. IV მუსტიეური ფენის ქვის მასალის ლევალუას ინდექსი (IL) 8,91 უდრის, ლამელების ინდექსი (I Lam.) 18,8 შეადგენს. იარაღები მთელი ქვის მასალის 27,1%-ია.

V მუსტიეურ ფენაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვის სულ 232 ნივთია წარმოდგენილი. აღნიშნული რაოდენობიდან 73 ც. ნუკლეუსი, ანამტვრევი, ქერცლისებური და წვრილი ანატკეცია, რაც მთელი მასალის 31,4%-ია. ლევალუას ინდექსი (IL) 9,4 შეადგენს, ხოლო ლამელების (IL) — 11,3. იარაღები[3] მთელი მასალის 33,9% შეადგენს.

სხვადასხვა ფენებიდან მომდინარე ქვის მასალის ზემოთ მოტანილი ტექნიკური მაჩვენებლებიდან და პროცენტული შეფარდებებიდან თვალში საცემია ერთი გარემოება: ლევალუას ინდექსი ყველა ფენაში თითქმის ერთნაირია და მერყეობს რვიდან თერთმეტამდის. ასევე, თითქმის ერთნაირია იარაღების საერთო პროცენტული შეფარდება ქვის მთელ მასალასთან (ნუკლეუსების, ანამტვრევების, ქერცლისებური და წვრილი ანატკეცების გამოკლებით). გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მე-3 მუსტიეური ფენა, სადაც იარაღების პროცენტული შეფარდება ყველაზე დაბალია (18,1). ცხადია, ზემოთ მოტანილი მონაცემები წინასწარულია, ვინაიდან მოპოვებული მასალა მომდინარეობს საძიებო თხრილებიდან, ძეგლის ჯეროვანი გათხრა კი მომავლის საქმეა.

მ უ ს ტ ი ე უ რ ი ფ ე ნ ე ბ ი ს ქ ვ ი ს ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ს ტ ი პ ო ლ ო გ ი უ რ ი დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა. ორთვალა კლდის მღვიმეში 1974 — 1975 წლებში მოპოვებულ ქვის ინვენტარს შორის, როგორც ზემოთაც დავინახეთ, იარაღები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ყველა ფენაში. სხვადასხვა ტიპის სახოკებს გარდა, რომელთაც წამყვანი ადგილი უკავიათ, აქ წარმოდგენილია მუსტიეური და ლევალუაზური წვეტანები, დანები ბუნებრივი ზურგით, დაკბილული იარაღები, ნაწილობრივ ორმხრივ დამუშავებული იარაღები და სხვ. მეორად დამუშავებაში გაბატონებულია ტიპიური მუსტიეური რეტუში (დარტყმითი, თანამიმდევრობითი-ქერცლისებური, საფეხურებიანი), გვხვდება მსხვილფაცეტოვანი, მაღალი რეტუშით დამუშავებული და შემდეგ ფაქიზი რეტუშით შესწორებული იარაღები (ძირითადად სახოკები), დაკბილულ და ამოღარულრეტუშიანი ნაკეთობანი და სხვ. სხვადასხვა ფენებში მოპოვებული იარაღების ტიპოლოგიური სურათი ასეთია:

I მუსტიეურ ფენაში (სტრატიგრაფიული ჭრილით ზევიდან მე-2 ფენა) სხვადასხვა ტიპის სახოკი 8 ერთეულითაა წარმოდგენილი, მათ შორის 3 ც. ამოზნექილია, ორი ჩაზნექილი, თითო ცალი კი სწორი, ორმაგი და კონვენგენტური. სახოკების საერთო ინდექსი (Indice de racfcir total—IR) 33,3 უდრის. ლევალუაზური წვეტანა ერთი ცალია, ხოლო მუსტიეური — 4. წვეტანების საერთო ინდექსი 28,3-ს შეადგენს.

II მუსტიეურ ფენაში სულ 113 ც. იარაღია, აღნიშნული რიცხვიდან 34 ც. სხვადასხვა ტიპის სახოკია, მათ შორის 18 ც. ამოზნექილი, 8—8 ც. სწორი და ჩაზნექილი და 3 ც. ორმაგი. სახოკების საერთო ინდექსი IR) 38,6 შეადგენს. წვეტანები აქაც ნაკლებია (ლევალუაზური 7 ც., მუსტიეური 18 ც.), მათი საერთო ინდექსი 22,1 უდრის. სხვა ტიპის იარაღები (დასრულებული) შედარე-

---

[3] აქაც და ზემოთ განხილულ ყველა ფენაში იარაღების საერთო რაოდენობაში შეტანილია სხვადასხვა სახის რეტუშიანი ანატკეც-ლამელა.

ბით მცირერიცხოვანია — 3ც. ანკოშიანი ანატკეცი, 5 ც. დანა ბუნებრივი ზურგით, 1 ც. დაკბილული იარაღი. სათლელისებური იარაღი, საფხეკი და სხვ.

III ფენაში იარაღებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ისევ სახოკებია (72 ც.), მათ შორის — ამოზნექილი 32, სწორი 12, ჩაზნექილი 10, კონვენგენტური 4. კუთხის 3 და ორმაგი 5 ც. სახოკების საერთო ინდექსი (IR) 34,6 შეადგენს, წვეტანების — 16,3, დანარჩენი იარაღები შედარებით მცირერიცხოვანია (იხ. ცხრილი № 1).

IV მუსტიეურ ფენაში იარაღები სულ 137 ერთეულითაა წარმოდგენილი: სახოკები აქაც მრავალრიცხოვანია (მათი საერთო ინდექსი—IR—23,3 უდრის), წვეტანები მცირეა (სულ 7 ც.), მათი საერთო ინდექსი 5,8 შეადგენს. შედარებით მრავალრიცხოვანია დანები ბუნებრივი და რეტუშირებული ზურგით (11 ც.), ანკოშიანი და დაკბილული იარაღები (11 ც.) და ნაწილობრივ ორმხრივ დამუშავებული იარაღები (3 ც.).

V ფენაშიც იგივე სურათი ჩანს — 54 იარაღიდან 23 ც. სხვადასხვა ტიპის სახოკია (7 ამოზნექილი, ამდენივე სწორი, 2 ჩაზნექილი, 2 ორმაგი და თითო ცალი კუთხის და კონვენგენტური). მათი საერთო ინდექსი 42,5 შეადგენს. წვეტანების საერთო ინდექსი კი 7,4 უდრის. მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი მე-5 ფენაში ანკოშიანი იარაღები (8 ც.), რაც მთელი მასალის 14,8%-ს შეადგენს. სხვა სახის იარაღები მცირერიცხოვანია: 3 კომბინირებული, 2 სახვრეტი, 1 ც. საფხეკი და სხვ.

ორთვალა კლდის მღვიმის მუსტიეური ფენების ქვის იარაღების ზოგადი ტიპოლოგიური დახასიათებიდან და იარაღებს შორის პროცენტული შეფარდებებიდან ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი: 1. იარაღებს შორის სახოკების მნიშვნელოვანი სიჭარბე, 2. სახოკებს შორის ამოზნექილ სამუშაოპირიანების დომინირება. 3. წვეტანების, განსაკუთრებით ლევალუაზურის მნიშვნელოვანი სიმცირე (სახოკებთან შედარებით). 4. სახოკების რაოდენობრივი და პროცენტული ზრდა ადრეულ (ქვედა) ფენებში (მაგ.: თუ I მუსტიეურ ფენაში წვეტანებთან შედარებით სახოკები 5%-ით მეტია, II ფენაში 6,4%-ით, III ფენაში 20,3%-ით, IV ფენაში უკვე 22,8%-ს აღწევს, ხოლო V ფენაში სხვაობა 44,1%-ია). 5. ანკოშიან-დაკბილული იარაღების რაოდენობრივი ზრდა ადრეულ ფენებში. ასე — I მუსტიეურ ფენაში ანკოშიან-დაკბილული იარაღი ჯერჯერობით არცერთი არ ჩანს, მე-2 ფენაში ყველა სახის იარაღის 3,44% შეადგენს. მე-3 ფენაში — 8,17%-ს, მე-4 ფენაში — 9,72%-ს, ხოლო მე-5 ფენაში უკვე 14,8%-ია.

ზემოთ მოტანილი ფაქტობრივი მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა: 1. ორთვალა კლდის მღვიმის მუსტიეური ფენებიდან მომდინარე ქვის მასალა განეკუთვნება არალევალუაზურ, არაფაცეტირებულ ინდუსტრიას. 2. იგი მიეკუთვნება ტიპიურ მუსტიეს და 3. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები გვიან და განვითარებული მუსტიეს ფარგლებში ეჭცევა[4].

მიუხედავად იმისა, რომ ორთვალა კლდის მღვიმეში მხოლოდ საძიებო სამუშაოებია დაწყებული, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მისი სახით საქართვე-

---

4 ზემოთ მოტანილი ციფრობრივი მონაცემები და მათგან გამომდინარე დასკვნები წინასწარია, მიღებულია ორთვალა კლდეში 1974 — 1975 წლებში წარმოებული დაზვერვითი გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების ანალიზისაგან. მღვიმის შემდგომი გათხრა-შესწავლა უდავოდ დააზუსტებს ჩვენს წინასწარ დასკვნას.

ლოს ძველი ქვის ხანის მრავალრიცხოვან სიას მიემატა კიდევ ერთი პირველხარისხოვანი სტრატიფიცირებული მრავალფენიანი ძეგლი, რომლის გათხრა და დეტალური შესწავლა უდაოდ გაამდიდრებს ჩვენ ცოდნას არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის ძველი ქვის ხანის მრავალი პრობლემატური საკითხის გადაჭრის საქმეში.

ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა სხვა სახის სამუშაოებიც. 1974 წ. ხელახლა მოიხილა წინა წლებში მიკვლეული გვიანი აშელის — ადრეული მუსტიეს ხანის ნაბინავარი — სახელოსნო „ბ ე ხ ნ ა რ ი“ სოფ. სკინდორის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ აქ ადრე გაკეთებულმა საძიებო თხრილმა სასურველი შედეგი არ მოგვცა, 1974 წ. მაინც მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი რაოდენობისა და ხასიათის ქვის მასალა. ადგილი „ბ ე ხ ნ ა რ ი“ კოლმეურნეობას ღრმად მოუხნავს და ჩაის პლანტაცია გაუშენებია. გადახნული ფართობის ზედაპირზე მრავლად ვიპოვეთ როგორც ადრეული (აშელურ-მუსტიეური), ისე გვიანი ხანის (ენეოლით — ადრეული ბრინჯაოს?) კაჟის ნაკეთობანი. განსაკუთრებით საყურადღებოა ლევალუაზური და არალევალუაზური ნუკლეუსები, ანატკეცები, სახოკები და ბრწყინვალედ ორმხრივ დამუშავებული, მოყვითალო მძლავრი პატინით დაფარული, წვეტანა. გვიანი ხანის მასალებიდან საყურადღებოა ისრისპირები, შუბისპირები, ნამგლის ჩასართები და სხვ. როგორც ჩანს, აქ, კაჟის საბადოს გამოსავლებთან ახლოს, გვიანი ხანის საკმაოდ მძლავრი დასახლება უნდა ყოფილიყო.

1975 წ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრმა ზ. ქიქოძემ, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიის განყოფილების ექსპედიციის[5] წევრებთან ერთად, ჩაატარა ოთხდღიანი დაზვერვითი სამუშაოები რაჭის ქედზე (ძირითადად ჭიათურის რ-ნის ფარგლებში) ძველი ქვის ხანის ძეგლების გამოვლენის მიზნით. დაზვერვითმა ჯგუფმა ზღვის დონიდან 1800 — 2000 მ სიმაღლეზე მიაკვლია აშელური და ადრემუსტიეური ხანის ათზე მეტ პუნქტს. დაზვერვითმა ჯგუფმა მიწის ზედაპირზე შეაგროვა რამდენიმე ათეული ცალი კაჟის ქვის ნუკლეუსი, ლევალუაზური და კლექტონური ანატკეცები, ანკოშიანი იარაღი და სხვ. ზღვის დონიდან 1800—2000 მ სიმაღლეზე ქვის ხანის ახალი ძეგლების აღმოჩენის ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეპლეისტოცენში ადამიანთა მიერ საქართველოს მაღალმთიანი ზოლის ათვისება-განსახლების საკითხების გარკვევის საქმეში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტისა და აკად ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ერთობლივმა კომპლექსურმა ექსპედიციამ (ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელი პროფ. ლ. მარუაშვილი) 1974 — 1975 წლებში განაახლა თავისი მუშაობა ცუცხვათის კარსტული მღვიმოვნის შესწავლის მიზნით. ექსპედიციამ თავისი მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1970 წელს, იგი მიზნად ისახავდა ცუცხვათის მრავალსართულიან მღვიმეთა კომპლექსის ყოველმხრივ შესწავლას. ამ მიზნით, 1970 — 1971

---

[5] ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ო. ერქომაიშვილი), რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ჯ. ჯიშკარიანი, ა. გელაშვილი, მ. გაფრინდაშვილი და რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა ჭიათურის რ-ნის კარსტული წარმონაქმნების მრავალმხრივი გამოკვლევა, გარკვეული დახმარება გაუწია ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ექსპედიციას ჩვენთვის საინტერესო მღვიმეების წარმოშობის, მათი აგებგმის, აგებგმილი მონაკვეთების დაზუსტების საკითხებში, აგრეთვე ძეგლების ფოტოგრაფირებაში და ერთობლივი ცხოვრების სხვა საკითხების მოგვარებაში, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

და 1974 — 75 წლების მუშაობაში, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ვადით მონაწილეობდნენ გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიის, ჰიდროლოგიის, სპელეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ქვის ხანის სპეციალისტები[6], პალეობიოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის ინსტიტუტების თანამშრომლები და სხვ. თუ 1970 — 1971 წლებში საქ. სახ. მუზეუმმა ცუცხვათის მღვიმეებში მცირე მასშტაბის დაზვერვითი გათხრების ჩასატარებლად გამოიღო თანხა ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ხარჯზე, უკვე 1974 — 75 წლებისათვის საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებას საქართველოს მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით ცუცხვათში ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად ჩაერიცხა სპეციალური თანხა უხალხო ფონდის სახით.

ცუცხვათის მრავალსართულიანი კარსტული მღვიმოვანი მდებარეობს იმერეთში, კოლხეთის ბარის აღმოსავლეთი ნაწილის ჩრდილო ბორცვოვან ზოლში, მღვიმეები განლაგებულია ოკრიბა-არგვეთის სერში, რომელიც გამოეყოფა რაჭის ქედს ნაქერალას უღელტეხილის აღმოსავლეთით და მიდის გელათამდე (მდ. წყალწითელას ხეობამდე). მღვიმოვნის ორ ქვედა სართულში გამდინარე შაბათა-ღელე წარმოადგენს მდ. ყვირილას მარჯვენა შემდინარის — ჰიშურას ზემო წელს. მღვიმოვნის ჩრდილოეთით და ახლოს შაბათა-ღელის აუზში განფენილია სოფ. ცუცხვათი, ხოლო სამხრეთით და უფრო მოშორებით, მდ. ჰიშურას ხეობასთან — სოფ. ჭალას თავი. ქალაქ ქუთაისიდან მღვიმოვანი დაშორებულია (სწორხაზობრივად) 10—12 კმ-ით (აღმოსავლეთისაკენ).

ცუცხვათის მღვიმოვანი გამომუშავებულია ქვედა ცარცის ურგონული ფაციესის მასივ კირქვებში, რომლებითაც აგებულია ოკრიბა-არგვეთის სერი. კირქვების წყება აქ აცოცებულია ჩრდილოეთისაკენ შუა იურული წყებების ეროზულ ზედაპირზე. მღვიმოვნის ჩრდილოეთით მდებარე ცუცხვათის ქვაბული (მდ. შაბათა-ღელის სათავეები) აგებულია ბაიოსური პორფირიტული წყებით, ბათური ფურცელა ფილებითა და ზედაიურული ფერადი წყებით. მღვიმოვნის ამგები ურგონული კირქვების შრეები დაქანებულია სამხრეთისაკენ 20—25°[7].

ცუცხვათში არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითად მიზანს 1974—1975 წლებში შეადგენდა საძიებო თხრილის გაკეთება ეგრეთ წოდებულ „ბრინჯაოს მღვიმეში“ და ამოვსებული საძიებო თხრილის გაწმენდა-გაღრმავება ორმაგ ეზში. ბრინჯაოს მღვიმე მდებარეობს შაბათა-ღელის მარცხენა ნაპირზე, მთავარი ტალანის ფსკერიდან (ღელის ზედაპირიდან) 27 მ სიმაღლეზე. მღვიმე წარმოადგენს 160 მ სიგრძის ტეხილი მიმართულების მშრალ ტალანს, რომლის დღევანდელი შესასვლელი იხსნება ჩრდილოეთისაკენ. ლ. მარუაშვილის მიხედ-

---

[6] ცუცხვათის მღვიმოვნის არქეოლოგიურ კვლევით სამუშაოებში 1974 — 1975 წლებში მონაწილეობდნენ: საქ. სახ. მუზეუმის თანამშრომლები ქ. დვალი, თ. მეშველიანი, დ. თუშაბრამიშვილი (1974 — 1975 წლებში), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის სპეციალისტი ვ. ვარაზიშვილი (1975), არქიტექტორი მ. მაყაშვილი (1975 წ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული მ. კაჭკაჭიშვილი და თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. თუშაბრამიშვილი.

[7] ლ. მარუაშვილი, ცუცხვათის მღვიმისა და მისი მიდამოების გეოგრაფიული დახასიათება. თბ., ხელნაწერი, გვ. 1—2.

ით ბრინჯაოს მღვიმე ცუცხვათის მღვიმოვანთა კომპლექსის მე-5 იარუსია[8].

მღვიმის შესასვლელის მარჯვენა მხარეს, კედლის გასწვრივ 5 მ სიგრძეზე, მღვიმური ნაფენები ჩაქცეულია და კედელში არსებული ხვრელით ჩასულია „ბრინჯაოს მღვიმის“ ქვემოთ, მთავარი ტალანის ზედაპირიდან 13 მ სიმაღლეზე მდებარე მე-4 იარუსის მღვიმეში, რომელსაც პირობით „ბიზონის მღვიმე“ უწოდა ექსპედიციამ. 4—4 კვადრატების მახლობლად, საიდანაც იწყება ჩაქცეული ფართობი, მღვიმის მარჯვენა კედელზე, თანამედროვე იატაკის ზედაპირიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე, შერჩენილია ბრეჭჩიად ქცეული ფენა კირქვის ღორღის სახით. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მღვიმეში დღეს არსებული ფენების ზედა ნაწილი გამორეცხილია (მინიმუმ 1 მ სიმძლავრის) ან კიდევ დღეს არსებული ყველა ფენა დაილექა მას შემდეგ, რაც ადრე არსებული, უფრო მძლავრი ფენები მთლიანად იყო გამორეცხილი რომელიღაც პალეონაკადის მიერ. აღნიშნულ მოვლენაზე მიუთითებენ სხვა მონაცემებიც. აღნიშნული ჩანაქცევის მახლობლად, უშუალოდ ფლატის დასაწყისიდან, გავვერით 1974 წ. საძიებო თხრილი; საძიებო თხრილის ცენტრალური ღერძი მღვიმის მარჯვენა კედლის კონფიგურაციის შესაბამისად ქმნის ბლაგვ კუთხეს მღვიმის ცენტრალური ღერძისადმი. გრძივი ჭრილი იწყება i — 11 კვადრატის შუა ნაწილიდან, გადის h — 12 კვადრატის ბოლოზე და მთავრდება h — 13 კვადრატის შუა ნაწილში. აღნიშნულ ჭრილში 17 ფენაა ფიქსირებული, ხოლო m — 15 კვადრატის შუა ნაწილიდან 0 — 13 კვადრატის ბოლოზე (დიაგონალურად) გაკეთებულ ჭრილში წარმოდგენილია მე-18—23-ე ფენები. 1975 წ. გაკეთდა l—l 13 — 15 კვადრატების დასასრულის ჭრილი, n—n 13 — 16 (შუა ნაწილამდე) კვადრატების ჭრილი და სხვ. (იხ. სურ. 2). ამგვარად, განათხარი ფართობი და აქედან გამომდინარე შესაბამისი ჭრილებიც საფეხურებიანი — ტერასისებურია. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან ფენების სიმძლავრე უაღრესად დიდია და ამავე დროს შლადიც. ამგვარად, სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით „ბრინჯაოს მღვიმეში“ გაკეთებულ საძიებო თხრილში სულ წარმოდგენილია 23 ფენა, რომელთა თანამიმდევრობა ზევიდან ქვევით და ლითოლოგიური შედგენილობა ასეთია:

1. თიხნარი მსხვილი ღორღით. 0,65 მ სიმძლავრის (სიმძლავრეები ყველგან აღებულია მე-11 კვადრატის ფარგლებში).
2. შეუვსებული საშუალო ზომის ღორღი, 0,20 მ სიმძლავრის. წარმოდგენილია მხოლოდ ჭრილის მარცხენა კუთხეში.
3. თიხნარი, მსხვილი ღორღით (საშუალო ზომის ლოდებით) 0,80 მ სიმძლავრის.
4. გამკვრივებელი თიხნარი (ლინზა) 1,00 მ სიმძლავრის.
5. თიხნარი, მსხვილი ღორღით. 0,10 მ სიმძლავრის. წარმოდგენილია ლინზის სახით.
6. თიხნარი, წვრილი ღორღით. 0,40 მ სიმძლავრის. ზედაპალეოლითური (?) ნაშთების შემცველი.
7. შეუვსებელი წვრილი ღორღი. შრე, ლინზის სახით. 0,08 მ სიმძლავრისა. მუსტიეური ხანის ნაშთების შემცველი.

---

[8] Л. И. Маруашвили, Комплексные исследования Цуцхватской пещерной системы. Пещеры, вып. 8—9, Пермь, 1970, с. 178, 180.

8. თიხნარი წვრილი ღორღით. შრე, ლინზის სახით. 0,10 მ სიმძლავრის. მუსტიეური ნაშთების შემცველი.

9. შეუვსებელი წვრილი ღორღი. შრე, ლინზის სახით 0,08 მ სიმძლავრის, მუსტიეური ნაშთების შემცველი.

10. თიხნარი წვრილი ღორღით. შრე, ლინზის სახით. 0,14 მ სიმძლავრის. მუსტიეური ნაშთების შემცველი.

11. შეუვსებელი წვრილი ღორღი. შრე ლინზის სახით 0,03 მ სიმძლავრის. მუსტიეური ნაშთების შემცველი.

12. შეუვსებელი მსხვილი ღორღი. მუსტიეური ნაშთების შემცველი. წარმოდგენილია მხოლოდ ჭრილის მარცხენა მხარეს. აღნიშნულ ფენას თავზე ადევს მე-6 და მე-10 ფენა, ხოლო მე-13 ფენა წარმოადგენს მის გაგრძელებას. 0,65 მ სიმძლავრის.

12ა. თიხნარი, მსხვილი ღორღით. ლინზა, ჩართულია მე-12 ფენაში. წარმოდგენილია ჭრილის მარცხენა კუთხეში და განივი ჭრილის თითქმის მთელ სიგრძეზე. მუსტიეური ნაშთების შემცველი.

13. თიხნარი, მსხვილი და საშუალო ზომის ღორღით. წარმოდგენილია ჭრილის მარჯვენა მხარეს. მუსტიეური ნაშთების შემცველი. 0,35 მ სიმძლავრისა.

14. თიხნარი, საშუალო ზომის ღორღით. მუსტიეური ნაშთების შემცველი, 18 მ სიმძლავრის.

15. შევსებული საშუალო ზომის ღორღი. მუსტიეური ნაშთების შემცველი. 0,45 მ სიმძლავრის.

16. თიხნარი, მსხვილი ღორღით. 0,70 მ სიმძლავრის.

16ა. შეუვსებელი საშუალო ზომის ღორღი. წარმოდგენილია ჭრილის მარცხენა მხარეს, ჩართულია მე-16 ფენაში.

17. შეუვსებელი საშუალო ზომის ღორღი. სტერილური. 0,25 მ სიმძლავრის.

18. თიხნარი, მუქი მოყავისფრო, საშუალო ზომის და მსხვილი ღორღით. II მუსტიეური ფენა. 0.75 მ სიმძლავრის. ნაკერალი შრის ჩანართით.

19. შეუვსებელი მსხვილი ღორღი ლოდების ჩანართებით. IIა მუსტიეური ფენა. 1974 წ. აღნიშნული ფენა ცალკე გამოყოფილი არ გვქონია 0,20 მ სიმძლავრის.

20. თიხნარი, მოყავისფრო, საშუალო ზომის ღორღით. III მუსტიეური ფენა. 0,65 მ სიმძლავრის. ნაკერალი შრის ჩანართით.

21. თიხნარი წვრილი ღორღით. ნაკერალი შრის ჩანართით. IV მუსტიეური ფენა. 0,50 მ სიმძლავრის.

22. მუქი თიხნარი წვრილი ღორღით. ლოდების ჩანართებით. წარმოდგენილია მხოლოდ მღვიმის მარჯვენა კედელთან. V მუსტიეური ფენა (?). 0,60 მ სიმძლავრის.

23. შეუვსებელი საშუალო ზომის ღორღი, მარცხენა მხარეს სუსტად შევსებული, ბრექჩიად ქცეული. 0,60 მ სიმძლავრის.

24. წებოვანი თიხნარი წვრილი ღორღის ჩანართებით. სიმძლავრე უცნობია, გრძელდება სიღრმეში.

ფენების საერთო სიმძლავრე 10 მ აღემატება. აღნიშნულ ჭრილში წარმოდგენილი არ არის გვიანი ბრინჯაოს და ენეოლითი-ადრებრინჯაოს ხანის ფენები, რომლებიც ფიქსირებულია მხოლოდ მღვიმის სიღრმეში, 4—4—10—10 კვად-

რატების ფარგლებში, სამაგიეროდ აქ აღარ გვხვდება გრძივ ჭრილში წარმოდგენილი 1—3 ფენებში. 1—17 ფენა გაითხარა მხოლოდ 1974 წ. მე-6 ფენაში ზედაპალეოლითური იერის სულ რამდენიმე ნივთი და მღვიმური დათვის ძვლები იყო აღმოჩენილი, ამიტომ, პირობით, აღნიშნული ფენა ზედაპალეოლითად მივიჩნიეთ, მაგრამ ამ ფენის ჩამონგრეულ მიწაში 1975 წ. ნაპოვნი იყო ტიპიური მუსტიეური ანატკეცები. ამიტომ საფიქრებელია, რომ აღნიშნული ფენაც საბოლოო ჯამში მუსტიეური აღმოჩნდეს. ამგვარად, მე-6 ფენა შეიცავს ადრეულ ზედაპალეოლითურ თუ გვიანი მუსტიეური ხანის მასალებს, მე-7-16 ფენები შეადგენენ I მუსტიეურ ფენას. მე-7-16 ფენების ერთ კულტურულ ფენად გაერთიანებისას ჩვენ ვეყრდნობოდით შემდეგ ფაქტობრივ მონაცემებს: 1. მე-7-11 ფენები წარმოდგენილია შრეებად, თხელი ლინზების სახით, სადაც შეუვსებელი წვრილი ღორღი მონაცვლეობს თიხით შევსებულ წვრილი ღორღის შრეებთან. 2. მე-7-11 ფენები, ანუ შრეები, ჭრილის მარჯვენა მხარეს წყდებიან დიდ ლოდთან და ბრექჩიის სახით არიან წარმოდგენილნი. ამავე დროს, ეს შრეები ჭრილის მარჯვენა მხარეს ნაწილობრივ შევსებულია. 3. მე-7-11 შრეების ღორღის სიმსხო და შემავსებელი თიხის ხასიათი ერთნაირია. ერთნაირია აღნიშნული შრეებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა. ყველა აღნიშნული ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ 7—11 შრეები თავის დროზე წარმოადგენდა ლითოლოგიურად ერთ მთლიან ფენას, რომელიც შემდგომში გამოირეცხა წყლის მოქმედების შედეგად და დანაწევრდა. მსგავს სურათს ვხედავთ მე-12—16 ფენების მიმართ. აქ ურთიერთშორის მონაცვლეობენ შეუვსებელი და შევსებული მსხვილი ღორღი. ამავე დროს მე-12 ფენა — შეუვსებელი მსხვილი ღორღი — სოლივითაა შეჭრილი მე-13 ფენაში. მე-12 ფენის შეუვსებლობაც, ჩვენი აზრით, წყლის მოქმედების შედეგი უნდა იყოს. შემდგომში, I მუსტიეური ფენა შეიძლება გაიყოს ორ ქვეფენად — I მუსტიეური ფენა (მე-7—11 შრეები) და Iა მუსტიეური ფენა (მე-12—16 ფენები). ამგვარად მე-7—16 ფენები ქმნიან I მუსტიეურ ფენას. მე-18 ფენა — II მუსტიეურ ფენას. მე-19 ფენა — IIა ფენას. მე-20 — III მუსტიეურ ფენას, 21-ე — IV ფენას, ხოლო 22-ე — V მუსტიეურ ფენას, რომელთაგან კამერალურად შედარებით სრულად დამუშავებულია მხოლოდ I ფენის მასალები. ამიტომ, წინამდებარე ანგარიშში განვიხილავთ მხოლოდ მათ.

I მუსტიეურ ფენაში სულ 402 ქვის ნივთია ნაპოვნი. აღნიშნული რიცხვიდან 25 ც. სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსია, რომელთაგან მხოლოდ 3 ცალია ლევალუაზური. ადრე, საველე დაკვირვების საფუძველზე, ვვარაუდობდით, რომ I ფენის ქვის გაპობის ტექნიკაში დომინირებს ლევალუაზური, ხოლო ტიპოლოგიურად — ტიპურ მუსტიეს მიეკუთვნება. მასალების დეტალურმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ეს ასე არ არის — „ბრინჯაოს მღვიმის“ I ფენაში 1974 წ. მოპოვებული ქვის მასალის ლევალუას ინდექსი (IL) 17,4 უდრის, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ იგი არალევალუაზურ ინდუსტრიას განეკუთვნება (20-ზე ნაკლებია). შედარებით მაღალია ყოველგვარი ლამელების ინდექსი (IL) —10,4. ძალიან დიდია იარაღების რაოდენობა (დამუშავებული ანატკეც-ლამელების ჩათვლით). იგი მთელი მასალის (ნუკლეუსების, სხვადასხვა ანამტვრევების და ქერცლისებური ანატკეცების გამოკლებით) 67% შეადგენს. იარაღების ასეთი დიდი რაოდენობა დამახასიათებელია დაკბილული მუსტიეს ძეგლებისათვის[9].

[9] ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს პირველყოფილ მონადირეთა დროებითი ნაბინავრები, სადაც ქვის მასალა ძირითადად წარმოდგენილია მზა იარაღების სახით.

იარაღების 90%-ზე მეტი დამუშავებულია დაკბილული რეტუშით. ასეთი რეტუშით (სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარე არათანაბარი, არაღრმა, წყვეტილი რეტუში. მსხვილფაცეტოვანი შესწორება — ათლა მუცლის მხრიდან, დაკბილული რეტუში, ზოგ შემთხვევაში შერწყმული მაღალ ციცაბო რეტუშთან, გვხვდება ღრმად დაკბილული და ანკოშიანი რეტუში სხვადასხვა სახის რეტუშთან ვარიაციაში) დამუშავებულია ლევალუაზური ანატკეც-ლამელები და წვეტანებიც კი. კოლექციაში წარმოდგენილია ნაწილობრივ ორმხრივად დამუშავებული იარაღები და მინიატურული „საჩეხი იარაღები“ (hachereau) გაფორმებული მასიურ ანატკეცებზე დარტყმის მოედნის მხრიდან.

„ბრინჯაოს მღვიმის“ I ფენის ქვის მასალის ტექნიკური და ტიპოლოგიური მაჩვენებლებიდან, აგრეთვე, მეორადი დამუშავების ხერხებიდან გამომდინარე, მას დაკბილული გვიანი მუსტიეს ეპოქით ვათარიღებთ.

I ფენის ქვის ინვენტარს პარალელები მოეძებნება საქართველოში (ცუცხვათის მღვიმეთა კომპლექსში შემავალი „ორმაგი ეხის“, კუდარო III მუსტიეური ფენის მასალებში), ადლერის რაიონის (კრასნოდარის მხარე) ახშტირის მღვიმის ზედა მუსტიეური ფენის მასალებში და სხვ.

რაც შეეხება ქვედა ფენებს, მოკლედ ვიტყვით, რომ მას წინასწარულად დაკბილული მუსტიეს განვითარებულ და ადრეულ საფეხურებს მივაკუთვნებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ II მუსტიეური ფენის ნაკერალ შრეში 1974 წ. აღმოჩნდა ნეანდერტალელი ადამიანის საძირე კბილი[10], ხოლო ქვედა (III—V) ქვის ინვენტარში საკმაო რაოდენობით გვხვდება კლეტონური ანკოშები და ტეიაკური წვეტანები.

ასეთია ყვირილისა და ცუცხვათის 1974 — 1975 წლებში ჩატარებული სამუშაოების ძირითადი შედეგები.

[10] Л. К. Габуния, Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа. О зубе мустьерского человека из Бронзовой, пещеры Цуцхвати (Западная Грузия), Бюлл. Ком. по изуч. четверт. периода, № 47, 1976.

ИТОГИ РАБОТ КВИРИЛЬСКОЙ И ЦУЦХВАТСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ЭКСПЕДИЦИЙ ЗА 1974—1975 гг.

Археологическая экспедиция Гос. музея Грузии им. акад С. Н. Джанашиа АН ГССР в 1974—1975 гг. продолжала стационарные раскопки в пещере Дзудзуана и производила разведочные работы на территории Чиатурского района.

В пещере Дзудзуана в 1974—1975 гг. были раскопаны 7-ой и 8-ой слои 5—5 квадратов и b—g 6—6 квадратов до скального основания, а также h—6 квадрат до 7-го слоя.

В 1974—1975 гг. было сделано два поперечных разреза (в кв. b—g 5—5 и в начале 7—7 кв-ов). В связи с этим продольный разрез был продлен параллельно центральной оси пещеры до окончания g—g квадратов. Полученные стратиграфические разрезы сходны между собой, как количеством и последовательностью слоев, так и в литологическом отношении. Разница замечается только в мощности слоев и в конфигурации их поверхности.

Рассмотрим поперечный разрез в начале 6—6 квадратов.

1. Гумусный слой, с включением щебня и глыб.
2. Коричневато-сероватый суглинок.
3. Слой, содержащий разрушающий щебень, с примесью песка, марганца и глины.
4. Темно-сероватый, коричневатый суглинок с включениями песка и щебня.
5. Суглинок с примесью песка, щебня и марганца.
6. Темно-коричнево-сероватый суглинок.

7а. Очажная прослойка.

7. Черно-коричневатый суглинок.
8. Светло-коричневатый, желтоватый суглинок с примесью песка.

Стерильной прослойки между слоями не прослеживается. Таким образом, в поперечном разрезе 6—6 квадратов зафиксировано литологически различных восемь слоев, общей мощностью более 3-х метров. Семь нижних слоев содержат верхнепалеолитические остатки. Обилием находок отличаются 6-ой, 7а и 7-ой слои. Во всех слоях среди орудий преобладают скребки. В достаточно большом количестве представлены микропластины (необработанные), а орудия, сделанные из этих пластин — одиничны. Единичны также орудия типа граветт. Макроорудия же геометрических форм, в отличие от других верхнепалеолитических памятников Грузии, не характерны для пещеры Дзудзуана. Каменный инвентарь из этой пещеры хронологически относится к разным ступеням первой половины верхнепалеолитической культуры Грузии.

В 1974 г. в Чиатурском районе экспедицией на территории села Диди Ргани, в ущелье р. Черула (правый приток р. Квирилы), был

обнаружен новый памятник — пещера Ортвала клде (Двойной грот). В шурфе, заложенном у входа пещеры (в 1975 г. шурф был расширен), установлены литологически различные семь слоев, общей мощностью более 2-х метров. Последовательность слоев такова:

1. Гумусный слой.
2. Щебень, заполненный светло-коричневатым суглинком.
3. Желтоватый суглинок с примесью щебня и обломков известняка средней величины.
4. Светло-коричневатый, уплотненный суглинок с примесью мелкого щебня.
5. Темно-коричневатый, сильно уплотненный суглинок, с примесью щебня.
6. Очажный слой.
7. Темно-коричневатый, клейкий суглинок, с примесью щебня.

2-ой и 6-ой слои являются культурными и содержат материалы мустьерской эпохи. В палеолитических слоях пещеры в 1974—1975 гг. обнаружено 2585 каменных изделий: 94 — в слое 2, 631 — в слое 3, 1907 — в слое 4, 721 — в слое 5 и 232 — в слое 6. Почти все изделия изготовлены из местного, высококачественного красного и серовато кремня.

В каменном материале мустьерских слоев Ортвала клде преобладает леваллуазская техника расщепления камня; так: индекс леваллуа (IL) инвентаря второго слоя — 11,2; третьего — 10,5; четвертого — 8,2; пятого — 8,9 и шестого 9,4. Индекс пластин (I Lam). соответственно составляет: 20,6, 9,0, 7,0, 8,3 и 11,3.

Среди орудий преобладают скребла, количество остроконечников почти в два раза меньше. В слоях единичными экземплярами встречаются выемчатые и зубчатые орудия.


Каменный инвентарь слоев Ортвала клде предварительно датируем развитыми и поздними ступенями типичного мустье.

В 1970—1971 и 1974—1975 гг. сотрудники отдела археологии Гос. музея Грузии с представителями других учреждений АН ГССР работали в составе Цуцхватской комплексной экспедиции, организованной Институтом географии им. Вахушти АН ГССР. Комплексная экспедиция (руководитель проф. Л. Маруашвили) ставила своей целью всестороннее изучение многоэтажной карстовой пещерной системы, расположенной на территории сел. Цуцхвати Ткибульского района (Западная Грузия).


В 1974—1975 гг. экспедицией был заложен раскоп в одной из пещер, которая условно была названа «Бронзовой пещерой». В пещере выявлены 23 слоя, общей мощностью более 10 метров. В стратиграфическом разрезе выделены слои поздне- и раннебронзовой эпохи, верхнепалеолитический (?) слой и 5 мустьерских слоя. В мустьерских слоях 2—4 зафиксированы очажные прослойки, сильно насыщенные кремневым инвентарем и фаунистическими материалами в виде кухонных отбросов. В 1974 г. в очажной прослойке второго мустьерского слоя был обнаружен коренной зуб неандартальца. Камеральная обработка кремневого инвентаря из мустьерских слоев «Бронзовой пещеры» не завершена, сравнительно полно изучены лишь материалы, найденные в I мустьерском слое в 1974 г. В нем всего 402 кремневых изделия. Их состав: 25 разных нукледа (3 — леваллуазских, 7 — дисковидных и 15 — одно и двухплощадочных нелеваллуазских) и 377 сколов различного типа. Более 16% последних (62 экз.) составляют отходы производства (мелкие сколы, чешуйки, обломки). Остальные

сколы относятся к типу леваллуа (55 экз.) и нелеваллуа (260 экз.). Детальные подсчеты кремневого инвентаря показали, что наши наблюдения и выводы, полученные, в поле, были неверными — в I слое преобладает не леваллуазская, а наоборот — нелеваллуазская техника расщепления камня индекс леваллуа (IL) составляет всего 17,4 а индекс пластин (I Lam) — 10,4. Преобладающее большинство сколов (67%) превращены в орудия или имеют следы вторичной обработки (212 экз.). Скребла разного типа (простые выпуклые, простые вогнутые, а также конвергентные и угловатые в единичных экземплярах) составляют 11% всех видов орудий. Остроконечники (леваллуазские 8 шт., мустьерские — 3 и 1 тейякский) составляют 6,5%. Остальные орудия (ножи, проколки, клювовидные орудия, скребки и др.) немногочисленны. Интересно отметить, что в I слое найдено 4 изделия, напоминающих hacheraeu. Более 50% всех орудий обработаны отчасти чередующейся, отчасти односторонней краевой ретушью, распространено оформление рабочих элементов орудий зубами, противолежащими анкошами, подправками с брюшной стороны и т. д.

Кремневый инвентарь I мустьерского слоя «Бронзовой пещеры» предварительно относим к поздней ступени зубчатого мустье. Что касается материалов нижних слоев, то и в них в большом количестве представлены зубчатые формы. Материалы этих слоев, по-видимому, относятся к развитому и раннему периоду зубчатого мустье.



სურ. 1. ორთვალა კლდე, b 7—11 კვადრატების დასაწყისის განივი ჭრილი
Рис. 1. Ортвала клде, поперечный разрез кв. в 7—11



სურ. 2. ბრინჯაოს მღვიმე, გეგმა
Рис. 2. Бринджаос Мгвиме, план

მ. მენაბდე, თ. კილურაძე

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 — 1975 წლების მუშაობის შედეგები

(ტაბ. I)

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია საანგარიშო წლებში აგრძელებდა სტაციონარულ სამუშაოებს ხრამის დიდ გორაზე[1] და ჩატარდა დაზვერვითი ხასიათის გათხრები მარნეულის რაიონის სოფ. სიონის ტერიტორიაზე[2].

ხრამის დიდ გორაზე გადავწყვიტეთ გაგვეფართოებინა გათხრები აღმოსავლეთით — ბორცვის შემაღლებული ნაწილის მიმართულებით — ყველაზე ზედა ჰორიზონტების შედარებით ფართოდ გამოსავლინებლად, რათა მიგვეღო ძეგლის მეტ-ნაკლებად სრული სტრატიგრაფიული სურათი. წინა წლებში გათხრილი HB კვადრატი ბორცვის W კალთაზე მდებარეობდა, სადაც დადასტურებული იყო ქვედა 7 სამშენებლო ჰორიზონტი. ძეგლის შესწავლის ამ ეტაპზე, როდესაც ძირითადად ცნობილი გახდა აქ გამოვლენილი ჰორიზონტების მასალა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ზედა ჰორიზონტების მონაპოვარს, რადგან სწორედ ეს მასალა იძლევა ქვემო ქართლის ნასოფლარების დაკავშირების საშუალებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ძეგლებთან (კერძოდ ქიულ-თეფე I)—ეს კი შულავერ-შომუთეფეს კულტურის განვითარების თვალსაზრისით, დღეისათვის, ამ კულტურის ადრეული საფეხურების შესწავლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ხრამის დიდი გორის ეს ჰორიზონტები ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა გვიანდელი სამარხებით, მიწურებითა და განსაკუთრებით ბორცვის W ნაწილში ყველაზე ზედა დონეებში მდებარე მავზოლეუმით.

მთლიანად ბორცვი დაყოფილია დიდ (20×20 მ) კვადრატებად (სურ. 1), რომელთაგან თითოეული შემდეგ 100 მცირე კვადრატადაა (2×2 მ) დაყოფილი.

---

[1] ხრამის დიდ გორაზე წინა წლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ იხ. ლ. ღლონტი, ალ. ჯავახიშვილი, თ. კილურაძე, ხრამის დიდი გორის ანტროპომორფული ქანდაკებები, ძეგლის მეგობარი, № 33, 1973, გვ. 5—16; მათივე, Антропоморфные фигурки из Храмис Диди-горд. სსმმ, ტ. XXXI—B. გვ. 85—97; მათივე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972—1973 წწ. მუშაობის შედეგები. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. IV, თბ., 1976.

[2] ექსპედიცია ველზე მუშაობდა 1974 წელს 14. IX—1. XII-მდე, 1975 წელს 23.VIII—6. XI-მდე; ექსპედიციაში სხვადასხვა დროით მონაწილეობდნენ: თ. კილურაძე (ექსპ. ხელმძღვანელი), მ. მენაბდე, ზ. ქიქოძე, ბ. მჭედლიშვილი (უმცრ. მ/თ-ბი); მ. ჭორიძე (უფრ. ლაბორანტი); მოწვეული მეცნ. თანამშრომლები ნ. ნაბახტიანი, ა. კაცენბოგენი, თ. ტონია, თ. ლეჟავა, მოწვეული არქიტექტორები: გ. ბერძენიშვილი, ზ. ტიტვინიძე, ლ. მეტრეველი.

გათხრები მიმდინარეობდა წინა წლებში გათხრილი HB კვადრატის აღმოსავლეთით მომიჯნავე HC კვადრატში და ნაწილობრივ მოიცავდა HD კვადრატსაც. 1974 წელს გათხრების დაწყებისთანავე HC კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში გამოჩნდა საგულდაგულოდ დამუშავებული ქვებისაგან კირხსნარზე ნაშენები წრიული მოყვანილობის დიდი ზომის ნაგებობა, რომელიც თითქმის თანამედროვე ზედაპირზე გამოდიოდა. ამ აღმოჩენამ დაადასტურა ალ. ჯავახიშვილის მიერ წინა წლებში გამოთქმული მოსაზრება ხრამის დიდ გორაზე წარმოებული გათხრების მახლობლად მაჰმადიანური მავზოლეუმის არსებობის შესახებ. მიკვლეული ნაგებობა წარმოადგენს წრიული მავზოლეუმის ქვედა იარუსს, რომლის სავარაუდებელი ზედა იარუსი სავსებით განადგურებულია. — 0,74 მ ნიშნულზე მდებარეობდა კირქვის ორნამენტირებული ბლოკების ცოკოლი, რომელიც ერთ ჰორიზონტალურ რიგად არის დაწყობილი ფლეთილი ქვით ნაგებ საძირკველზე. ორნამენტი წარმოადგენს თხელ კარნიზს, რომელსაც შუაში კარი დაუყვება. ცოკოლის ქვები არათანაბარი ზომისაა, მაგრამ ზუსტად არის მორგებული ერთმანეთთან და მონოლითურად არის შეკრული დუღაბით (სურ. 2). აღსანიშნავია ერთი გარემოება — კვ. HC — 66,67,68-ის ხაზის N-ით ცოკოლის ქვები ამოღებულია ქვითკირის ბუდეებიდან, რომლებიც კარგად იწმინდებოდა და თვალნათლივ გვიჩვენებდა „დაკარგული“ ქვების ზომებსა და ფორმას (სურ. 2). სავარაუდოა, რომ ეს ქვები ამოღებულია მავზოლეუმის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწურის მშენებლობის დროს.

აღნიშნული მიწური, ანუ როგორც მას ვუწოდებთ „ბუხრიანი მიწური № 1“ (ბუხრისა და საერთოდ, ხრამის დიდ გორაზე გათხრილ მიწურებთან შედარებით ბევრად უფრო მოწესრიგებული აგებულების გამო) მდებარეობდა HC — 55, 56, 57, 65, 66 კვადრატებში, „ბუხარი“ კი ნაწილობრივ გადიოდა HC — 46, 47 კვადრატებშიც. ამ მიწურის მოტკეპნილი და მოლესილი იატაკი მდებარეობდა — 1,60 — 1,65 დონეზე; მიწურის NNO „კუთხეში“ გამართული „ბუხარი“ აგებულია მასიური ქვებითა და აგურით — W და O კედლები ქვისაა, უკანა NO კედელი კი ნაგებია ხუთ წყებად ამოყვანილი ორ-ორი კვადრატული აგურით (აგურის ზომებია: 24×24×5 სმ; სურ. 2).

„ბუხრის“ დასავლეთით W — O ხაზზე და აღმოსავლეთით NS ხაზზე განლაგებულია რამდენიმე პატარა ორმო, დაახლოებით 30 სმ დიამეტრისა და 25 სმ სიღრმის. რამდენიმე მსგავსი ორმო გაიწმინდა მიწურის სამხრეთ „ნაპირთან“ გადარჩენილი მოტკეპნილი იატაკის გარეთ. ეს ორმოები გადახურვის დამჭერი ბოძებისათვის ჩანს ამოღებული. ამ მიწურის SW ნაწილში ჩანს ღია კერის ნაშთიც, რომელიც დაბალ და განიერ ორმოს წარმოადგენს, ძლიერი ცეცხლის კვალით.

აღნიშნული მიწურის აღმოსავლეთით — 1,80 — 1,90 მ დონეზე მდებარეობდა ანალოგიური მეორე მიწური — „ბუხრიანი მიწური № 2“, რომლის SO ნაწილი მოქცეულია „ბუხრიანი მიწური № 1“-ის ქვეშ: ეს მიწური მდებარეობს HC — 35, 36, 44, 45, 46, 54, 55, 56 კვადრატებში. მის SSO ნაწილში გამართულია „ბუხარი“, რომლის გვერდით კედლებად გამოყენებულია ქვის სწორკუთხა ბლოკები, ხოლო უკანა კედელი კი აგურითაა ამოყვანილი. ამ მიწურის იატაკიც თიხის საგულდაგულოდ მოტკეპნილი თხელი ფენითაა დაფარული. აქაც, კედლების გასწვრივ, მოტკეპნილი იატაკის გარეთ გაიწმინდა ორმოები გადახურვის საყრდენი ბოძებისათვის.

დანარჩენი მიწურები ამ ორისაგან განსხვავებით მეტად უხეშადაა აგებული და თითქმის არ განსხვავდება წინა წლებში გათხრილებისაგან (სურ. 2), ამიტომ მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. HC კვადრატის SW კუთხეში გაიწმინდა №4 მიწური, რომლის ნაწილიც 1973 წელს იყო გამოვლენილი. მისი ძირი დაახლოებით — 2,60 — 2,65 მ-დონეზე ჩადიოდა და გამართული იყო HC — 61, 71, 72, 73, 81, 82, 92, 91, 01, 02 კვადრატებში. მისგან ჩრდილოეთით HC — 31, 32, 41, 42, 43, 51, 52, 61, 62 კვადრატებში მდებარეობდა № 5 მიწური, რომლის იატაკის დონე საშუალოდ — 2,06 მ ნიშნულზე მოდიოდა.

№ 4 მიწურიდან აღმოსავლეთით გაიწმინდა საკმაოდ მოზრდილი № 6 მიწური; იგი მდებარეობდა HC—74, 75, 84, 85, 94, 95, 03, 04, 05 კვადრატებში, რომლის იატაკი დაახლოებით — 1,80 მ-ზე მდებარეობდა. აღსანიშნავია, რომ ამ მიწურს NW მხრიდან კორიდორისებური გაგრძელება გააჩნია, რომელიც ექცევა HC — 53, 63, 73, 74 კვადრატებში. ამ „კორიდორს“ საკუთარი გადახურვა ჰქონია, რაზედაც მიუთითებს მისი კედლების გასწვრივ მდებარე ბოძის ორმოები.

HC — 26, 27, 28, 36, 37, 38 კვადრატებში, საშუალოდ — 1,70 მ დონეზე გაიწმინდა № 7 მიწურის ნაშთი, რომლის იატაკი გადადიოდა ღრმა ხაროებზე: საერთოდ, HC კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში, ისევე როგორც ადრე გათხრილი HB კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში ხაროები იყო განლაგებული. ერთი ხარო მდებარეობდა HC — 11 კვადრატში, რომლის ძირიც — 2,37 მ დონეზე ჩადიოდა, ოთხი ხარო კი — HC — 17, 25, 26, 27 კვადრატებში, რომელთა ძირები — 2,24 — 2,40 მ დონეზე მდებარეობდა.

ხაროები თუ ორმოები გაიწმინდა HC კვადრატის SO ნაწილშიც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია № 8 მიწური, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი (S ნაწილი) შედიოდა HC — 14, 15 კვადრატებში. ამ მიწურს სამხრეთი მხრიდან დრომოსისებრი, დახრილი შესასვლელი ჰქონდა გაჭრილი, რომელიც — 1,94-დან — 2,79 მ, ე. ი. მიწურის იატაკის დონემდე საკმაო დახრით ერთადერთი საფეხური ჩადიოდა.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: მიწურები თითქმის არ იძლევა ნივთიერ მასალას: თითქმის არ ჩანს კერამიკა. იშვიათია შინაური საქონლის ძვლები. მიწურების შევსებაში ვხვდებით დანგრეული მავზოლეუმის შორენკეცებს, აგურებსა და კირხსნარს.

№ 4 მიწურის იატაკის დონეზე აღმოჩნდა რკინის დანისმაგვარი ნივთი, გვერდზე გაკეთებული „ნახვრეტით“. ძნელი სათქმელია იგი მიწურს მიეკუთვნება თუ იქვე არსებული, თითქმის განადგურებული სამარხის ნაშთს. ამ მიწურის იატაკის ქვეშ ოთხი სამარხი მდებარეობდა, რომლებიც, ისევე როგორც თვით მიწური, ჩაჭრილი იყო ძირითად, ადრესამიწათმოქმედო ფენაში. ერთი სამარხი (№ 21) მიწურის N კედლის ქვეშ ეჭცეოდა. ორმო გაჭრილი იყო O — W ხაზზე: მიცვალებული ესვენა გულაღმა, მენჯის არეში დაწყობილი ხელებითა და გაჭიმული ფეხებით, თავით დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა რკინის ნივთის ფრაგმენტები.

საანგარიშო წლებში ხრამის დიდ გორაზე გათხრილი 10 ორმოსამარხიდან 9 ფეოდალური ხანისა უნდა იყოს. ერთი სამარხის ნაშთი კი HC — 32 კვადრატში (№ 23) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისაა, სადაც თიხის ორი ჭურჭელი აღმოჩნდა. ჩონჩხიდან თავის ქალისა და ნეკნების მცირე ფრაგმენტების გარდა

არაფერი შემონახულა, ამიტომ ვერაფერს ვიტყვით ჩონჩხის პოზისა და ორიენტაციის შესახებ. ფეოდალური ხანის სამარხების უმეტესობაში მიცვალებული ქრისტიანულადაა დაკრძალული — O — W ხაზზე, თავით დასავლეთისაკენ, ზურგზე გაშოტილი, გაჭიმული ფეხებითა და მუცლის ან მკერდის არეში დაკრეფილი ხელებით. გამონაკლისს ორი უინვენტარო სამარხი წარმოადგენდა — ერთ მათგანში მიცვალებული დაკრძალული იყო გვერდზე ხელფეხმოკეცილი, მეორეში კი (№ 25) მიცვალებული დასვენებული იყო თავით W-კენ. მარცხენა ბეჭის ქვეშ ქვა იყო შედგმული, რომლის საშუალებითაც ჩონჩხი საგრძნობლადაა გადახრილი მარჯვნივ, თითქმის გვერზე.

ცალკე უნდა აღინიშნოს სამარხი № 26, რომელიც მდებარეობდა HC — 41 კვადრატში, № 5 მიწურის ქვეშ. მიცვალებული გაშოტილი წევს თავით W-კენ; მარჯვენა ხელი გასწორებული აქვს და მენჯის ძვლის ქვეშ შედის, მარცხენა კი ზევიდან უდევს, რომლის მტევნის ძვლები გაბნეულია მუცლის არეში. აღსანიშნავია სამარხში რკინის მასიური ლურსმნების აღმოჩენის ფაქტი, რომლითაც ხის კუბო ყოფილა შეკრული. ლურსმნების უმეტესობა შემორჩენილია ჰორიზონტალურ მდგომარეობაში სამარხის ნაპირებზე, ე. ი. ორმოს კედლებთან. მარჯვენა ბარძაყის ძვალთან ხის ნაშთიც იყო შემორჩენილი. საინტერესოა, რომ მარჯვენა ბარძაყის ძვალი ნაკლული იყო — მუხლს ზემოთ შუა ბარძაყამდე ძვალი აკლია (სურ. 6,2). სამარხში სარდიონის ერთი ცრემლისებური საკიდი აღმოჩნდა. აღნიშნული სამარხი, როგორც აგებულებით, ისე დაკრძალვის წესით მავზოლეუმის ძირითად სამარხებს უახლოვდება და როგორც ჩანს, მათთანაა დაკავშირებული.

HC კვადრატის NW სექტორში მიწურებისა და სამარხების მიერ დარღვეულ ფენაში სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ადგილას (და რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, თვით მავზოლეუმის შევსებაშიც) შეგვხვდა რამდენიმე თიხის შავკრიალა ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელიც, როგორც ჩანს, ხრამის დიდ გორაზე ოდესღაც არსებული ადრებრინჯაოს ხანის (ბედენური ტიპის) განადგურებული სამარხიდან მომდინარეობს.

1974 — 1975 წლებში ძირითადი ყურადღება დაეთმო მავზოლეუმის გათხრას. გარედან იგი წრიული მოყვანილობისაა: 10 — 10,20 მ დიამეტრით. როგორც აღნიშნული იყო, მავზოლეუმისაგან მხოლოდ ქვედა იარუსია გადარჩენილი, რომელიც დასაკრძალავ კამერას წარმოადგენს. ზედა ნაწილი ფაქტიურად სრულად განადგურებულია; მისგან გადარჩენილია პროფილირებული ქვის ცოკოლი, რომელსაც აღმოსავლეთი მხრიდან, შესასვლელის თავზე სწორკუთხა გამონაშვერი აქვს. აგრეთვე ნაწილობრივ იყო შერჩენილი ქვის კედლის, უფრო ზუსტად, კედლებს შორის შევსების ფრაგმენტები, რომელიც წრიულადვე შემოუყვებოდა ცოკოლს, ოღონდ უფრო მცირე დიამეტრისაა. აღსანიშნავია, რომ „შევსების“ შიგნით შორენკეცები იშვიათად გვხვდებოდა. სამაგეროდ, მეტი იყო მთელი აგურები (ზომით 24×24×4,5 — 5 სმ), რაც გვავარაუდებინებს, რომ ზედა სათავსო შიგნიდან, ძირითადად, აგურით, გარედან კი შორენკეცებით იყო მოპირკეთებული.

მავზოლეუმის გარშემო საკმაოდ დიდ ფართობზე შეინიშნება აგურისა და კირხსნარის ძლიერი ნანგრევი ფენა, რომელშიც მრავლადაა შორენკეცების ცალკეული თუ ორნამენტირებულ სახეებად წარმოდგენილი ფრაგმენტები. როგორც ჩანს, მავზოლეუმის მიწისზედა ნაწილი მდიდრულად ყოფილა მოპირკეთებული შორენკეცებითა და ტერაკოტული ფილებით. ბათქაშის რამდენიმე

დაწახნაგებული ფრაგმენტი, ზოგ შემთხვევაში ზედ შერჩენილი შორენკეცებით, მიგვანიშნებს სტალაქტიტების არსებობაზე.

მავზოლეუმის მოსაპირკეთებლად გამოყენებული ყოფილა მოგრძო მოპრჭული აგურები ამოღარული გვერდითი წახნაგებით და სხვადასხვა ფორმის (სამკუთხა, კვადრატული, წაგრძელებული ოთხკუთხა, რომბული, ხუთწახნაგა ექვსჭიმიანი ან რვაჭიმიანი ვარსკვლავის მოყვანილობის) მოჭიქული ბრტყელი კერამიკული ფილები. შორენკეცები უპირატესად დაფარულია შაბიამნისფერი მინარით, მაგრამ გვხვდება მუქი ლურჯი, მოყავისფრო ან მოშავო ეგზემპლარებიც.

მავზოლეუმს შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან (მცირე გადახრით ჩრდილოეთისაკენ) აქვს. მიწის ზედაპირიდან დასაკრძალავ კამერაში შესასვლელ კარამდე ჩადის ექვსსაფეხურიანი დრომოსი, რომლის კიბეები, იატაკი და კედლები გათლილი ქვის ბლოკებითაა ნაგები.

დრომოსის ბოლოში მოწყობილია დეკორატიულად დამუშავებული ქვის კარი ისრული თაღით. თაღს ზემოთ, გვერდებზე მოთავსებულია ორი მრგვალი მედალიონი. კარის ამყოლი დეკორატიული თვალსაზრისით შედგება კაპიტელის, წახნაგოვანი სვეტების და ბაზისაგან. მედალიონის ცენტრში მდებარეობს ვარდული, რომელსაც გარშემოუყვება კვეთილი სამკუთხედებით შევსებული ჩარჩო. ბაზისა და კაპიტელის ორნამენტი ასევე კვეთილი სამკუთხედით შევსებულ კვადრატს წარმოადგენს. კარის თავზე გადებულია ორნაწილიანი ქვის ბლოკი. კართან მოწყობილია მაღალი ქვის ზღურბლი; შიგნითა მხრიდან შებმული ყოფილა მასიური ხის კარი, რაზედაც მიუთითებდა კუთხეებში შემორჩენილი ხის ნაშთი. გარედან კი, როგორც ჩანს, მთლიანად თუ არა, თაღის დასაწყისამდე მაინც გვერდზე დაწყობილი აგურებით ყოფილა ამოშენებული.

კარიდან დასაკრძალავ კამერამდე ვიწრო დერეფანი შედიოდა. მხოლოდ აქ იყო ჩაუქცევლად გადარჩენილი ელიფსური თაღი. დერეფანი უშუალოდ უერთდებოდა ტოლმკლავებიანი ჯვრის გეგმის ცენტრალურ კამერას. დერეფნისა და დასაკრძალავი კამერის ქვედა ნაწილს შემოუყვება ორ, ზუსტად თარაზულ რიგად დაწყობილი საგულდაგულოდ დამუშავებული ქვის ფილების (უფრო ბლოკების) პერანგი. ჯვრის თითოეული მკლავი გვირგვინდებოდა ნახევარწრიული თაღით. ცენტრალური კამერა გადახურული უნდა ყოფილიყო აფრებზე დაყრდნობილი გუმბათით; ამ ვარაუდის საშუალებას იძლევა NW მკლავებშორისი კუთხის თავზე შერჩენილი აგურის აფრის ფრაგმენტი, რომელიც პრეპარაციის პროცესშივე ჩამოიშალა. აფრების დიდი ბლოკების სახით შერჩენილი ნაწილები ჩავარდნილი იყო იატაკზე კამერის HO და SO კუთხეებშიც.

თაღები და აფრები გამართული ყოფილა ოთხკუთხა აგურებისაგან, რომლებიც გარე მხრიდან რიყის ქვითა და დუღაბით ყოფილა დაფარული. აგურები იშვიათად იყო შერჩენილი ადგილზე, მაგრამ მათი ანაბეჭდი დუღაბში ყველგან კარგად ჩანდა. S, N და W მკლავები მთავრდებოდა ყრუ კედლით, რომლებიც აგრეთვე აგურით ყოფილა ამოშენებული. სამივე კედელზე შეინიშნება 2 — 2 ვერტიკალური სიხისტის წიბოსა და მათ შორის თითო სარკმლისებრი შეღრმავების კვალი, რომლებიც ამჟამად ან დაზიანებულია, ან ამოვსებულია. აგურის წყობა შიგა მხრიდან საგულდაგულოდ ყოფილა ბათქაშით შელესილი და შემდეგ მუქი წითელი საღებავით შეღებილი, ზოგ შემთხვევაში მოხატულიც — გამოსახული იყო ფილების იმიტაცია, რაც კარგად შეიმჩნეოდა იშვიათად ადე-

გილზე შერჩენილ აგურის წყობასა თუ ჩამოშლილ მეტ-ნაკლებად მოზრდილ ფრაგმენტებზე. რამდენიმე შემთხვევაში ამგვარად წითლად შეღებილ ზედაპირზე — ძირითადად აფრებზე — ამოკაწრულია მეტად სქემატური ნახატები, ერთ შემთხვევაში კი, NO კუთხესთან ჩავარდნილი აფრის ფრაგმენტზე არაბული წარწერაცაა დადასტურებული.

გარეთა ფართობთან შედარებით, კამერის შიგნით შორენკეცების აღმოჩენა იშვიათია. როგორც ჩანს, დასაკრძალავ დარბაზში შორენკეცები გამოყენებული თითქმის არ ყოფილა. როგორც დერეფნის, ისე ცენტრალური კამერის იატაკი მოგებული ყოფილა ორრიგად დაწყობილი კვადრატული აგურით, რომელიც ზემოდან კირხსნარის თხელი ფენითაა გადალესილი.

დასაკრძალავ კამერაში ოთხი სამარხი აღმოჩნდა — ორი მოზრდილისა, ორიც ბავშვისა. სამარხები დანომრილია გათხრის თანმიმდევრობის მიხედვით.

№ 1 სამარხი მდებარეობდა S მკლავში, W — O მიმართულებით დამხრობილი. მიცვალებული დაკრძალული იყო იატაკის ქვეშ აგურით ამოშენებულ სწორკუთხა აკლდამაში (ზომები: 2,15×0,73×0,70 მ), რომელიც გადახურული იყო განივად დადებული 6 მოზრდილი გათლილი ფილაქვით (მათგან აღმოსავლეთით მდებარე განაპირა ფილა აკლდამის ფარგლებს გარეთ იყო გადასული). ქვის სახურავი ზევიდან გადაფარული იყო ჯერ თხელი კირხსნარით, შემდეგ 7 სმ სისქის მიწის ფენით (სადაც სხვათა შორის ბედენური კერამიკის ფრაგმენტი აღმოჩნდა), შემდეგ ისევ კირხსნარით და ორრიგად დაწყობილი აგურის ფენით. ამ აგურების ქვეშ ალაგ-ალაგ გვხვდებოდა თეთრი ფერის უკვე გამოფიტული თავთავები და მარცვლები, რომელიც ბრინჯს წააგავდა. ყოველივე ამის თავზე გამართულია სამსაფეხურიანი აგურის სახურავი, გარედან კირხსნარით შელესილი. სამარხის გასწვრივ, ჩრდილოეთის მხრიდან, თავში, შუაში და ბოლოში სამი ექვსკუთხა შაბიამნისფერი შორენკეცი იყო იატაკში ჩასმული.

მიცვალებული დაკრძალული იყო თავით დასავლეთისაკენ. ძვლები ძალიან ცუდად იყო შენახული, ხშირ შემთხვევაში მიკარებისთანავე მტვრად იქცეოდა. გვამი ზურგზე წოლილა. გაშიმული ფეხებით; მარჯვენა ხელი გაშლილი ჰქონდა ტანის პარარელურად, მარცხენა კი გულზე ედო. თავის ადგილას ოთხკუთხა აგური იდო, თავის ქალის კი ნაშთიც აღარ დაგვხვდა. სამწუხაროდ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით ამის მიზეზს. შესაძლოა ეს მოხდა თანამედროვე „მძარცველების“ მუშაობის შედეგად, რომლებიც ღამით შეიპარნენ დასაკრძალავ კამერაში და როგორც ჩანს, გაძარცვის მიზნით სამარხის გახსნა დაუპირებიათ. სიჩქარეში, დასავლეთით თავისკენ მდებარე დიდი ლოდი წიბოთი სამარხში ჩავარდნილა, სწორედ იმ ადგილას, სადაც თავის ქალა უნდა ყოფილიყო. შესაძლოა გამოფიტული თავის ქალა ქვის სიმძიმემ მტვრად აქცია.

როგორც დადგინდა, მიცვალებული ესვენა ხის კუბოში — ძვლების ზევიდან, ქვევიდან და გვერდებზეც შემორჩენილი იყო 1,5 — 2 სმ სისქის კარგად გარანდული ფიცრების ნაშთი, რომელიც სიცარიელეში ყოფნისაგან საცობივით იყო დარბილებული. იქვე მრავლად აღმოჩნდა რკინის ლურსმნები. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

დასავლეთ მკლავის სამხრეთ ნაპირთან, ასევე O — W მიმართულებით გამართული იყო № 2 სამარხი, რომელშიც ბავშვი იყო დაკრძალული. ეს სამარხი კონსტრუქციულად რამდენადმე განსხვავდებოდა პირველისაგან. პატარა აკლდამა, რომელიც აქაც იატაკის ქვეშ მდებარეობდა, ამოშენებული იყო გვერდზე დაწყობილი აგურებით; ზევიდან იგი გადახურული იყო ერთმანეთზე მიყრდნო-

ბილი წყვილ-წყვილი აგურებით, რომლებიც ორფერდა სახურავს ქმნიდა. შემდეგ ეს სახურავი კირხსნარის მეშვეობით გადასწორებული იყო იატაკის დონეზე, ხოლო ზევიდან გამართული იყო ორსაფეხურიანი სახურავი. ჩონჩხი აქ უფრო ცუდად იყო შენახული, ვიდრე პირველ სამარხში.

№ 2 სამარხის გვერდით, ჩრდილოეთის მხრიდან გამართული იყო სრულიად ჩვილი ბავშვის სამარხი № 3. იატაკქვეშა აკლდამა აქაც გვერდზე დაწყობილი აგურით იყო ამოშენებული და იმდენად ვიწრო იყო, რომ ზევიდან თითო აგური ჰფარავდა. შემდეგ კირხსნარით იყო გადალესილი იატაკის დონეზე და ასევე იყო დატოვებული. ისე რომ, ზევიდან სამარხი სრულად არ ჩანდა. სრულად დაშლილი ძვლები არეული იყო. აქაც აღმოჩნდა ხის ნაშთი და რკინის ლურსმნები.

დასაკრძალავი კამერის ცენტრალურ კვადრატში მდებარეობდა ერთი სამარხი (№ 4), რომელსაც ცენტრალური კვადრატის თითქმის მთელი სამხრეთი ნახევარი ეკავა. დანარჩენი სამარხებისაგან განსხვავებით აქ კუბო პირდაპირ ორმოში ჩაუსვენებიათ. ორმო მიწაში ჩაჭრილი იყო საფეხურისებურად. ამ სამარხსაც, № 1 და № 2 სამარხების მსგავსად, კირხსნარით შელესილი აგურის საფეხურებიანი სახურავი ჰქონია, რომელიც გათხრის დროისათვის ორმოში იყო ჩაქცეული. ჩონჩხი მავზოლეუმში გათხრილი სამარხებიდან ყველაზე კარგად აქ იყო შენახული. მიცვალებული დამხრობილია W — O ხაზზე, თავით დასავლეთისაკენ, გულაღმა გაშოტილი, გაჭიმული ფეხებით. მარჯვენა ხელი გაჭიმული აქვს, მარცხენა — გულზე დაკრეფილი. შიგადაშიგ ჩნდებოდა ხის „კონსტრუქციის“ კვალი. მრავლად იყო სხვადასხვა ზომის ლურსმნები. ისევე როგორც დანარჩენი სამი, ეს სამარხიც უინვენტაროა.

მეტად მცირერიცხოვანი მასალა მომდინარეობს დასაკრძალავი დარბაზიდან. მათ შორის აღსანიშნავია სანახევროდ მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები (რომლებიც, ლ. ჭილაშვილის აზრით, XIII — XIV სს. თარიღდება), ფაიანსისა და მინის ჭურჭლის ორიოდე ფრაგმენტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მავზოლეუმის ნანგრევებში, შესასვლელიდან ჩრდილო-დასავლეთით ოლჯაითუ ხოდაბენდეს (1304 — 1325 წწ.). სახელით მოჭრილი ჰულაგუიდური ვერცხლის მონეტის აღმოჩენა, რომელთა მიმოქცევის ზედა თარიღი XIV ს. შუა ხანებს არ სცილდება[3]. სხვა ზოგად პარალელებთან ერთად, აღნიშნული მონეტა საშუალებას გვაძლევს დავათარიღოთ ეს ძეგლი ზოგადად XIV საუკუნით, უფრო კი მისი I ნახევრით.

როგორც აღნიშნული იყო, ხრამის დიდ გორაზე გათხრების წარმოების მთავარ მიზანს შეადგენდა ადრესამიწათმოქმედო ფენის, კერძოდ კი მისი ზედა დონეების შესწავლა. სამწუხაროდ ამ მიმართულებით საანგარიშო წლებში მთლად სახარბიელო შედეგს ვერ მივაღწიეთ — ჯერ ერთი, ბევრი დრო და ენერგია მოუნდა აღნიშნული მავზოლეუმისა და მიწურების გათხრას და რაც მთავარია, ფეოდალური ხანის ამ ნამოღვაწარის მიერ ძლიერ იყო დაზიანებული ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარის ზედა დონეები.

ადრესამიწათმოქმედო ფენის რამდენიმე ნაგებობა გავთხარეთ HC კვადრატის W ნახევარში. მათგან ყველაზე მაღლა მდებარეობდა ნაგებობა № 26, რომლის შერჩენილი კედლის პირი მოდიოდა — 2,10 მ, ხოლო ძირი — 2,64 მ დო-

---

[3] მონეტის განსაზღვრა ეკუთვნის ნუმიზმატ ირ. ჯალაღანიას, რომელმაც მოგვაწოდა აღნიშნული ცნობა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ნეზე. ეს ნაგებობა მდებარეობდა HC — 42, 43, 52, 53 კვადრატებში. ნაგებობის ჩრდილოეთი ნაწილი მორღვეული იყო. მისგან დასავლეთით მდებარეობდა ნაგებობა № 28, რომლის კედლის პირი მოდიოდა — 2,53 — 2,64 მ, ხოლო ძირი — 3.00 მ დონეზე. ეს ნაგებობა ეჭცეოდა HC — 41, 42, 51, 52 კვადრატებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ნაგებობის ერთ-ერთ ზედა დონეზე სხვა კერამიკულ ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა გარედან და შიგნიდან წითლად შეღებილ და გაპრიალებულზედაპირიანი მცირე ზომის ქილისებური ჭურჭელი.

№ 26 ნაგებობის SO-ით, HC — 53, 54, 63, 64 კვადრატებში გაიწმინდა № 27 ნაგებობა. მეტად საინტერესო მინაშენი აქვს ამ ნაგებობას. მისი კედლიდან ჩრდილოეთის მიმართულებით გადის კედელი, რომელიც 53 — 54 კვადრატის ხაზს მიუყვება, შემდეგ უხვევს აღმოსავლეთით და შედის ჯერჯერობით გაუთხრელ ფართობზე. ამ კედელს O-დან ებჯინება მეორე, შედარებით მოკლე, რკალისებური კედელი, რომელიც № 27 ნაგებობამდე მოდის. ამ ორი კედლის შეერთების ადგილას კარგად გამოყვანილი პილასტრი დგას. ორივე კედელს საერთო შელესილობა აქვს და ამიტომ ძნელია ისინი სხვადასხვა დონის ნაგებობათა ფრაგმენტებად მივიჩნიოთ (იხ. სურ. 3), მინაშენისა და № 27 ნაგებობის კუთხეში ერთი მასიური როდინი იდო.

№ 27 და № 28 ნაგებობანი VI სამშენებლო ჰორიზონტს უნდა ეკუთვნოდეს; № 26 ნაგებობა კი სავარაუდოა, რომ VII სამშენებლო ჰორიზონტს ეკუთვნის (ჰორიზონტები დანომრილია ქვევიდან ზევით).

ამ ჰორიზონტებს ეკუთვნის (და შესაძლოა VIII-საც) HC კვადრატის W ნაწილში გათხრილი რამდენიმე სხვადასხვა „ნაგებობის“ კედელი თუ კედლის ფრაგმენტი. მათგან აღსანიშნავია ერთი ნაგებობის კედელი 25, 35, 45 კვადრატებში, რომელიც დავნომრეთ, როგორც ნაგებობა № 29. მისი შერჩენილი ზედა ნაწილი მოდის—2,12 მ, ხოლო ერთ-ერთი ზედა იატაკი—2,48 მ დონეზე (პირობითად VII ჰორიზონტი). ამავე ჰორიზონტისა ჩანს HC — 02, 03 კვადრატებში აღმოჩენილი კედლის ფრაგმენტი, რომელიც O — W ხაზზე მდებარეობს და თითქმის სწორი მოყვანილობა აქვს და HC — 84,94 კვადრატებში გამოჩენილი კონტრფორსიანი ნაგებობის ფრაგმენტი, რომელიც N — S ხაზზეა მიმართული.

HC — 82 კვადრატში იწმინდება კიდევ ერთი ნაგებობის (№ 30) ფრაგმენტი.

- რამდენიმე წრიული მოყვანილობის ნაგებობისა თუ სათავსოს ფრაგმენტები გაიწმინდა HC კვადრატის NO სექტორში, რომლებიც ძლიერ იყო დაზიანებული აქ არსებული ფეოდალური ხანის ხაროებით.

ნაგებობიდან, ნაგებობათა შორის ფართობიდან და არეული ზედა ფენებიდან მომდინარეობს ადრესამიწათმოქმედო ხანის საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა, რომლის დიდ ნაწილსაც კერამიკა შეადგენს. ფართოდაა გავრცელებული უხეშ ან მოგლუვებულზედაპირიანი ნაწარმი, რომელიც ხშირად რელიეფური ორნამენტითაა შემკული. ორნამენტი ძირითადად კონუსური კოპებითაა წარმოდგენილი, თუმცა გვხვდება რელიეფური (უპირატესად ნალისებური) ლილვები ან კოპებისა და ლილვაკების კომბინაცია. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დონეებზე შეგვხვდა რამდენიმე ფრაგმენტი, რომელთაც პირს ქვემოთ დაძერწილი აქვს ჰორიზონტალური ყურისებრი შვერილები.

საკმაო რაოდენობითაა შედარებით თხელკედლიანი, წითლადშეღებილ და

ორმხრივგაპრიალებულზედაპირიანი კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც № 28 ნაგებობის გარდა ბევრ ადგილას იქნა ნაპოვნი.

ამ ჰორიზონტებში ძირითადად გავრცელებული ჩანს კასრისებური, პირმოყრილი ქილები, იშვიათია სუსტად პროფილირებული, კონუსურყელიანი ჭურჭლები და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია — ჯამისებური თუ ბადიისებრი ჭურჭლები. მრავლადაა ობსიდიანისა და კაჟის მასალა — ლამელები, ანატკეცები და მათზე ნაკეთები იარაღები და წარმოების ნაშთები, იარაღებს შორის ვხვდებით საჭრისებს, საფხეკებს, ხოწებს, სახვრეტებს და სხვ. შედარებით მრავლადაა ე. წ. შომუ-თეფეს ტიპის ნამგლის ჩასართები.

გახეხილ-გაპრიალებული იარაღი წარმოდგენილია რამდენიმე ცულითა და სატეხით.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ჭიქისებური ფორმის ქვის ჭურჭლების აღმოჩენის ფაქტი.

ნაპოვნია სამი მასიური ქვის როდინი. მრავლადაა ხელსაფქვავები და მათი კურანტები, სახეხ-სალესები, საბეგვები და სხვ. რამდენიმე ასეული ცალი იყო შურდულის ქვა.

ისევე როგორც წინა წლებში, მრავლად გვხვდებოდა ძვლის სადგისები და საპრიალებლები, თოხები თუ მათი ფრაგმენტები და ა. შ. რქის იარაღებს შორის ვხვდებით თოხებს, ცულებს, კვერთხისთავებს და მათ ნამზადებს თუ ფრაგმენტებს. ყურადღებას იმსახურებს რელიეფური კოპებით შემკული თოხისებური ნივთი, მრგვალი, გამჭოლი სატარე ნახვრეტით.

გამოუწვავი თიხის რამდენიმე ანთროპომორფული ქანდაკების ფრაგმენტი იყო ნაპოვნი, მათ შორის აღსანიშნავია კონუსური ფიგურის ფრაგმენტი, რომელსაც მოჩქმეტილი ზედა ნაწილიცა და ქვედა მხარეც მოტეხილი აქვს. ქანდაკების ზედაპირი დაფარულია სოლისებური ღრმა ნაჭდევებით. მსგავსად დამუშავებული ფიგურა ჯერჯერობით ერთადერთია ხრამის დიდ გორაზე, იგი ზედაპირის დამუშავებით ზოგადად გარღალარ-თეფესიზე ნაპოვნ ფიგურას უახლოვდება.

ხრამის დიდი გორის SW მხარეს ბორცვისაგან მოშორებით გავლებულ იქნა საკონტროლო თხრილი, ზომით 15×3 მ (სურ. 1), რომელიც საშუალებას მოგვცემდა გაგვერკვია, ერთი მხრივ, ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარის გავრცელების ფარგლები ამ მიმართულებით და მეორე მხრივ, არუხლო I და იმირის გორის მსგავსად, ხომ არ შემოუყვებოდა ძველ ნასახლარს რაიმე სახის თხრილი.

საკონტროლო თხრილი მიწის ზედაპირიდან 2 მეტრის მეტ სიღრმეზე იქნა დაყვანილი. მასალა მეტად მცირერიცხოვანი იყო. 1,5 მეტრზე ჩადიოდა აგურის ნატეხების შემცველი ფენა. ადრესამიწათმოქმედო კულტურის მონაპოვარი მხოლოდ უფრო ქვევით ჩნდებოდა. ზედაპირიდან დაახლოებით 1,8 მ სიღრმეზე თხრილის SW ნაწილში გამოჩნდა ალიზის წრიული ნაგებობის კვალი, ისე რომ, ნასახლარის გავრცელება გარკვეულად სცილდება ბორცვის ფარგლებს. თხრილი, თუ კი საერთოდ არსებობდა, კიდევ უფრო შორს არის საძებნელი.

1974 — 1975 წლებში ექსპედიციამ აწარმოა დაზვერვითი ხასიათის გათხრები ს. სიონის (მარნეულის რ-ნი) ტერიტორიაზე; აქ გათხრების აუცილებლობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მთის პატარა ღელის ხუდისწყლის (შულავრის ღელის მარცხენა შენაკადი) მოქმედების შედეგად ნადგურდებოდა ძეგლი, საიდანაც მომდინარეობდა შემთხვევით აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს

ანის საინტერესო კომპლექსი. სამარხეული კომპლექსი აღმოჩნდა სოფ. სიონის განაპირას, ხუდისწყლის მარცხენა ნაპირზე, ადგილ „ფარეხებთან“, რომელიც მთის გავაკებულ ფერდს წარმოადგენს. ექსპედიციამ დაზვერვითი გათხრებიც სწორედ აქ დაიწყო, კერძოდ იმ ადგილას, რომელსაც ყველაზე მეტად ელოდა დანგრევა წყლის მოქმედების შედეგად. 1974 წელს აქ ორი სამარხი გაითხარა, ორივე გვიანბრინჯაოს ხანის და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ საქმე გვქონდა გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანთან, თუმცა აუხსნელი რჩებოდა გათხრების პროცესში აღმოჩენილი არქაული იერის ობსიდიანის ნაწარმის წარმომავლობა. 1975 წლის გათხრებმა გაარკვია ეს საკითხიც, როდესაც გამოვლინდა ადრესამიწათმოქმედო ხანის ნაგებობის ფრაგმენტი.

ადგილ „ფარეხებზე“ საკმაოდ მცირე ფართობზე სულ გაითხარა 4 ორმოსამარხი, რომელთაგან სამი გვიანბრინჯაოს ხანისაა, ხოლო მეოთხე შუაბრინჯაოს ხანისა, და ზემოთ დასახელებული ნაგებობა.

№ 1 სამარხის ძირი ზედაპირიდან 1 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა ძლიერ მოხრილი ფეხებით, დამხრობილი იყო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ჩონჩხი ცუდად იყო შენახული. სამარხში ჩატანებული იყო სამი თიხის ჭურჭელი (ხელადა, პატარა ლანგარი და ცალყურა, წელში გამოყვანილი კოჭობი). ბრინჯაოს სამაჯური და პატარა რგოლი (სურ. 7).

უფრო ნივთმრავალი იყო № 2 სამარხი, რომელიც პირველიდან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 1 მეტრის დაშორებით იყო. იგი თანამედროვე ზედაპირიდან 0,70 მ სიღრმეზე მდებარეობდა. ადამიანის ძვლები იმდენად ცუდად იყო შენახული, რომ დაბეჯითებით რაიმეს თქმა მიცვალებულის დამხრობისა და პოზის შესახებ ძნელდება. აქაც სავარაუდებელია მოკრუნჩხული გვამის მარჯვენა გვერდზე დაკრძალვა. თიხის ფრაგმენტირებული ჭურჭლის გარდა სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 სატევარი, ბრინჯაოსივე პატარა რგოლი და სხვადასხვა ზომის 18 დისკო, რომლებიც გამოხერხილი იყო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან — მათგან ორს ორნამენტი აქვს შერჩენილი, ერთი კი ჭურჭლის მხრის ნაწილს წარმოადგენს. მათი დანიშნულების შესახებ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით (სურ. 7).

№ 3 სამარხის ორმო შედარებით კარგად შემოიხაზა (1,20×0,80 მ). იგი № 2 სამარხიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 20 მ მდებარეობდა. მისი ძირი მიწის ზედაპირიდან 0,75 მ-ზე მდებარეობდა. ადამიანის ძვლები აქაც ცუდად იყო შენახული. ნაწილი სრულიად გამქრალი იყო, თუმცა ჩონჩხს ბუნებრივი მდებარეობა ჰქონდა და დაძრული არ უნდა ყოფილიყო. დამხრობა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მოკრუნჩხული მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა, ძლიერ მოხრილი ფეხებით; ხელები კი სახესთან ჰქონდა მიტანილი. სამარხში აღმოჩნდა თიხის 3 ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევარი (№ 2 სამარხის ერთ-ერთი სატევრის ანალოგიური), ლურსმნისებურთავიანი საკინძი, ჩქიფი და სარდიონის მძივები.

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე სამარხში მოზარდი ბავშვები იყვნენ დაკრძალულნი, რომელთაც მხოლოდ წინა კბილები ჰქონდათ მოცვლილი. შესაძლოა ამის გამო იყო ძვლები ცუდად შენახული სამარხებში.

სოფ. სიონში გათხრილი სამივე სამარხი წინასწარულად ძვ. წ. XIV — XIII საუკუნეებით შეიძლება დავათარიღოთ. ამავდროული უნდა იყოს შემთხვევით აღმოჩენილი კომპლექსიც.

რაც შეეხება № 4 ორმოსამარხს, იგი მდებარეობდა ზემოაღნიშნული სამარხების ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 10 მ დაშორებით. სამარხი ჩაშვებული იყო აქვე გათხრილი ადრეული ნაგებობის კედლის წყობაში. იგი წარმოადგენდა ვიწრო გრძელ ორმოს, რომელიც მიმართული იყო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ორმოს სიგრძე 2,20 მ-ია, სიგანე ბოლოებში — 0,95 მ, ხოლო შუა ნაწილში — 1 მ. ძირი თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 1,70 მ სიღრმეზე მდებარეობდა. № 4 სამარხი ნივთმრავალი აღმოჩნდა, ამასთანავე დაკრძალვის მეტად საინტერესო წესი დაგვიდასტურა. თიხის 19 ჭურჭელი სამარხში ორ ჯგუფად იყო განლაგებული: შუა ნაწილში ჩადგმული იყო სამარხის ყველაზე დიდი შავპრიალა ჭურჭელი, რომელსაც ქვის სარქველი ჰქონია. მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოწყობილი ჰქონდა თიხის 9 ჭურჭელი, რომელიც ავსებდა სამარხის ნახევარს. ჭურჭლების მეორე ჯგუფი თავმოყრილი იყო სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. 2 პატარა კოჭობი იდო ცენტრალური ჭურჭლის დასავლეთით. აქვე იყო მობნეული სარდიონის მძივები და თეთრი პასტის იოტები. თიხის ჭურჭლების ზემოაღნიშნულ ჯგუფებს შორის მდებარე არე შევსებული იყო ცხოველის ძვლებით. ცენტრალურ ჭურჭელს ჩრდილოეთიდან ებჯინებოდა მთელი ხბოს (?) ჩონჩხი, რომელიც დიაგონალურად იყო გადებული სამარხში. მრავლად იყო სხვა ძვლებიც. ჯამებზე მოზრდილი ნეკნები ელაგა და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამარხში ადამიანის ძვლების ნაშთიც კი არ აღმოჩნდა. სრული შთაბეჭდილება იქმნება იმისა, რომ საქმე გვაქვს კრემაციის წესთან. საფიქრებელია, რომ ცენტრალური ჭურჭელი урნას წარმოადგენდა, რომელიც სარქვლით იყო დაგმანული.

№ 4 სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის ერთი ნაწილი შუაბრინჯაოსათვის დამახასიათებელი შავად გაპრიალებული მოზრდილი ყელიანი ჭურჭლებია. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვაგვარი ჯამები, რომლებიც, აგრეთვე, შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებშია გავრცელებული. იგივეს თქმა შეიძლება პატარა კოჭობებსა და სარდიონის მძივებზე. შუაბრინჯაოსათვის დამახასიათებელია დაკრძალვის წესიც. ამდენად ვფიქრობთ, რომ სოფ. სიონის № 4 ორმოსამარხი შუაბრინჯაოს განვითარებულ საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს.

სიონში წარმოებული გათხრების უმნიშვნელოვანეს შედეგად უნდა ჩაითვალოს აქ ადრესამიწათმოქმედო ფენის მიკვლევა. როგორც 1975 წლის გათხრებმა დაადასტურა, ბრინჯაოს ხანის სამაროვანი გამართული ყოფილა ოდესღაც არსებული ადრეული ნასოფლარის ტერიტორიაზე. ერთ-ერთ საკონტროლო თხრილში გაითხარა წრიული მოყვანილობის ქვის ნაგებობის გადარჩენილი ნაწილი. ნაგებობის ნახევარზე მეტი ხუდისწყლის მიერ იყო მორღვეული, ამავე ნაგებობის კედელი № 4 სამარხის ორმოთი იყო ჩაჭრილი. ნაგებობის დიამეტრი დაახლოებით 5 — 6 მეტრია. საშუალოდ ერთი მეტრი სისქის კედლი მშრალი წყობითაა ნაგები, გვერდებზე მასიური ქვებია დაწყობილი, შუა ნაწილი კი წვრილი ქვითა და ღორღითაა შევსებული.

მეტად მცირე ფართობზე იყო გადარჩენილი მოტკეპნილი და მოლესილი თიხის იატაკი.

განსაკუთრებით საინტერესოა მასალა, რომელიც ამ ნაგებობაში ჩნდებოდა. საკმაოდ მრავალრიცხოვან ობსიდიანისა და კაჟის ინვენტარში გამოიყოფა კარგად დამუშავებული ბოლოკიდურა საფხეკები, საჭრისები და რეტუშირებული ლამელები. ლამელების ერთი ნაწილი ჭავლისებური რეტუშითაა დამუშავებუ-

ლი, რომელიც ზოგჯერ მცოცავში გადადის. გვხვდებოდა რიყის ქვები დამუშავების კვალით. მეტად საინტერესო და საკმაოდ არქაული იერისაა აქ აღმოჩენილი კერამიკა, რომელთა შორისაც გამოიყოფა გაპრიალებულზედაპირიანი, ცილინდრულყელიანი პირდაშდეული ან ტალღისებურპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები.

აღნიშნული ნაგებობა ერთადერთი რომ არ არის, ამას მიგვანიშნებს მთელ გათხრილ ფართობზე, სხვადასხვა საკონტროლო თხრილებში ანალოგიურივე მასალის აღმოჩენა და ერთ-ერთ თხრილში მსგავსივე მორკალული წყობის ფრაგმენტის აღმოჩენა.

ნაგებობათა ტიპი, აქ მოპოვებული კერამიკისა და ქვის ინდუსტრიის მეტად თავისებური სახე გვაძლევს საფუძველს სიონის ნასოფლარი ზოგადად მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანით დავათარიღოთ და ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ადრესამიწათმოქმედო ხანის დღემდე უცნობ ეტაპთან, შესაძლოა კულტურასთანაც კი.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, სოფ. სიონში გათხრილი ძეგლი მეტად საინტერესო და შეიძლება ითქვას უნიკალურია, რომელიც შემდეგში მოითხოვს აქ გათხრების გაფართოებას, რადგანაც ეს მნიშვნელოვანი ძეგლი მდინარის მოქმედების შედეგად ყოველწლიურად ზიანდება და ინგრევა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფ. სიონის ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა პერიოდის, განსაკუთრებით კი ფეოდალური ხანის ძეგლებით.

ადრეფეოდალური ხანის ერთი სამარხი გავთხარეთ სოფლის მცხოვრების ილია კუპატაძის ეზოში. დაფერდებული ეზოს ბულდოზერით მოსწორებისას მოუჭრიათ 0,5 — 1,5 მ სისქის მიწის ფენა, რომლის დროსაც განადგურებულა რამდენიმე ქვაყუთი; ერთ-ერთი მათგანის კედლის ქვა იყო გაშიშვლებული. გათხრის დასაწყისშივე შემოიხაზა ქვაყუთის კონტური. ქვაყუთის პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ მეტად ორიგინალური კონსტრუქციის სამარხთან გვქონდა საქმე. სამარხი ყუთი ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ოთხი მასიური ფლაქვისაგან იყო შედგენილი, რომელთაგან ერთი, S კედლის ქვა გატეხილი იყო ორად, რაც ბულდოზერის მუშაობის შედეგი უნდა იყოს. სამარხის სახურავის ქვა ბულდოზერს ადრევე მოუხსნია და მისი ნატეხები იქვე ეგდო; ჩრდილოეთის კედლის ქვის ზომებია: 1,95×0,58×0,07 მ; სამხრეთის კედლისა — 1,87×0,70×0,11 მ; დასავლეთისა — 0,76×0,60×0,07 მ; აღმოსავლეთისა — 0,60×0,60×0,05 მ.

მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით გაშოტილი, გულაღმა, თავით დასავლეთისაკენ. საინტერესოა, რომ ძირითადი ჩონჩხის გარდა, სამარხში სხვა, მოზარდი ბავშვის ძვლების ფრაგმენტებიც გვხვდებოდა. მაგალითად, ძირითადი ჩონჩხის თავის ქალასთან, სამარხის W კედელზე მიბჯენილი იყო 7 — 10 წლის ბავშვის ქვედა ყბა; მცირე რაოდენობის ძვლები მენჯის არეში იყო გაბნეული; ბარძაყის ძვალი კი ძირითადი ჩონჩხის მარცხენა ბარძაყის ძვალთან იდო ირიბად. სამარხის ძირზე დაგებული იყო მოზრდილი კრამიტები (ზომით: 45×35×29 სმ) ქვევით ჩაბრუნებული კიდეებით. ვინაიდან კრამიტები ტრაპეციის ფორმისაა, ისინი თავბოლოშექცევითაა ჩაწყობილი (სურ. 3).

ქვაყუთში მარჯვენა მენჯის ძვლის ქვეშ აღმოჩნდა კონუსურთავიანი ბრინჯაოს საკინძი და რკინის ნივთის ნაშთი. სამარხი თავისი აგებულებითა და ბრინჯაოს საკინძის ანალოგიებით ადრეფეოდალური ხანით, V — VI სს. უნდა დათარიღდეს.

ექსპედიცია აწარმოებდა ზედაპირულ დაზვერვებსაც, რის შედეგად სოფ. შულავერსა და არაფლოს შორის ექსპედიციამ მიაკვლია ერთ-ერთ გორა-ნამოსახლარს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის უსახელო ნასოფლარი ბორცვის აღმოჩენა მდ. ხრამის მარცხენა სანაპირო ზოლში, მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირას, სოფ. აზიზჭენდის ტერიტორიაზე, რომელსაც ალგეთის გორა ვუწოდეთ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს პირველი შემთხვევაა ამ კულტურის ძეგლის ხრამის მარცხენა მხარეს აღმოჩენისა.

ალგეთის გორა წარმოადგენს ველის დონიდან 2 — 2,5 მ სიმაღლეზე ამოზიდულ წაგრძელებულ ბორცვს. დაახლოებით 60 — 70 მ სიგრძისა და 30 — 40 მ სიგანის ბორცვის ზედაპირი მიწურებითაა თითქმის მთლიანად გადათხრილი. დღესაც კი ბორცვის ტერიტორიიდან გააქვს მოსახლეობას მიწა, ისე რომ, ნასოფლარის დაუზიანებელი ფართობი თითქმის არ არის გადარჩენილი.

ზედაპირულად და ახალი ნათხარის ჩამოსწორების დროს შევაგროვეთ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა, ძირითადად ობსიდიანის ლამელები, ობსიდიანისა და სხვა ქანის იარაღები: საჭრისები, ხოწები, სახოკები და სხვ., კერამიკის მხოლოდ ორიოდე უსახო და მეტად მცირე ზომის ფრაგმენტია ნაპოვნი. ზედაპირულადვე ჩანდა ხელსაფქვავის ქვედა ქვებისა და კურანტების ნატეხები. უხეში სახეხ-საბეგვები, შურდულის ქვები და სხვ.

М. В. МЕНАБДЕ, Т. В. КИГУРАДЗЕ

РЕЗУЛЬТАТЫ РАБОТ КВЕМОКАРТЛИЙСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ (1974—1975 гг.)

(Табл. I)

В 1974—1975 годах Квемокартлийская археологическая экспедиция Гос. Музея Грузии им. С. Н. Джанашиа продолжила работу в Марнеульском районе ГССР на раннеземледельческом поселении Храмис Диди-гора и производила разведочные раскопки на территории с. Сиони.

В предыдущие годы экспедиция на Храмис Диди-гора изучила семь нижних строительных горизонтов на западном краю холма. Для выявления более верхних строительных горизонтов на данном памятнике в 1974—1975 гг. раскоп был расширен в восточном направлении с охватом наиболее возвышенной части западной половины холма (рис. 1).

К сожалению верхние горизонты и здесь оказались потревоженными или вовсе уничтоженными средневековым мавзолеем и более поздними землянками и хозяйственными ямами, не говоря о впускных погребениях разных эпох.

Мавзолей расположен в самой высокой части западной половины холма в квадратах НС и НД. Строение было повидимому двухъярусное. От верхней части сохранился круглый цоколь диаметром 10—10, 20 м., облицованный профилированными, хорошо пригнанными друг к другу каменными блоками. В развалинах мавзолея, занимающих большую площадь, имелось много разноцветных изразцов, что свидетельствует о богатой наружной облицовке строения. Нижний ярус, или погребальная камера располагалась ниже уровня земли. Вход был устроен с восточной стороны в виде ступенчатого дромоса, ступени, подпорные стены и пол которого были выложены хорошо отесанными каменными блоками. В конце дромоса устроено декоративно оформленное каменное дверное отверстие со стрельчатой аркой. От двери к погребальной камере ведет узкий коридор, где сохранился необвалившийся свод.

Погребальная камера в плане имеет крестообразную форму, все четыре рукава которого заканчиваются арочными перекрытиями. Центральная квадратная часть камеры в NW углу сохранила нижнюю часть паруса; остатки этого паруса явно свидетельствуют, что погребальная камера имела купольное перекрытие. Нижняя часть коридора и центральной камеры была облицована каменными блоками уложенными в два ряда, верхняя же часть была выложена квадратными кирпичами, сохранившимися лишь частично.

В погребальной камере были открыты четыре погребения — два

взрослых и два детских. Одно погребение занимало почти весь южный рукав камеры, другое же было помещено в южной части центрального квадрата. Детские погребения находились в южной части западного рукава. Все погребения с ориентировкой W—О; они не содержали инвентаря.

В развалинах мавзолея, у входа, была найдена серебряная монета, чеканенная от имени Хулагуида Улджайту (1304—1325 гг.). Скудный археологический материал, а также общие архитектурные аналогии, наряду с монетой, позволяют датировать памятник XIV веком.

В раннеземледельческом слое Храмис Диди-гора были раскопаны несколько круглопланных сырцовых строений и фрагменты таковых, которые относятся к VI—VII, а некоторые и к VIII строительному горизонту.

Среди археологического материала имеются фрагменты грубой лепной керамики, часть которых украшена рельефным орнаментом. Отдельно следует выделить находки мискообразных сосудов, доселе неизвестных на этом памятнике. Особого внимания заслуживают находки сравнительно тонкостенной, окрашенной в темно-красный цвет керамики с лощеной поверхностью.

Наряду с керамикой обнаружен многочисленный и разнообразный кремневый, обсидиановый, каменный, костяной и роговой инвентарь, а также фрагменты антропоморфных фигурок из необожженной глины.


Экспедиция провела также разведочные раскопки на территории с. Сиони, в местечке «Парехеби», на левом берегу речки Худисцкали, где размывается археологический памятник. В отчетных годах здесь были раскопаны три погребения эпохи поздней бронзы (XIV—XIII вв. до н. э.) и одно — с богатым керамическим интентарем — поздней ступени средней бронзы.

Одним из наиболее важных результатов работ экспедиции в отчетных годах, можно считать открытие раннеземледельческого слоя в с. Сиони. Выясняется, что вышеназванные погребения были устроены на территории раннеземледельческого селища, где на всей раскопанной площади попадались кремневые и обсидиановые орудия, фрагменты архаичной керамики. В одном случае засвидетельствован фрагмент круглого строения, стена которого толщиной до 1 м, была сложена из булыжника. Диаметр здания, больше половины смытого речкой, приблизительно 5—6 м. В нем сохранились маленькие фрагменты утрамбованного и обмазанного глиной пола. В этом помещении обнаружены фрагменты лепной керамики с насечками по венчику или волнистым краем; кремневые и обсидиановые скребки, резцы и ретушированные пластины. Среди последних примечательны пластины, обработанные струйчатой ретушью.


Тип строения, найденная здесь керамика и своеобразие каменной индустрии дают основание датировать Сионское селище в общих чертах периодом, предшествующим куро-аракской культуре и предположить, что мы дело имеем с доселе неизвестным этапом, или может быть даже культурой раннеземледельческой эпохи.

В другом пункте с. Сиони нами раскопан каменный ящик раннефеодального периода.


Во время разведок экспедицией были открыты несколько новых археологических памятников, из которых особого внимания заслуживает жилой холм Шулавери—Шомутепинской культуры на правом берегу р. Алгети, на территории с. Азизкенд (Марнеульский р-н); памятник назван Алгетис-гора.



სურ. 1. ხრამის დიდი გორა, ტოპოგეგმა
Рис. 1. Храмис Диди-гора, топоплан





სურ. 2. ხრამის დიდი გორა, 1974 წ. გათხრილი ფართობის გეგმა
Рис. 2. Храмис Диди-гора, план раскопа 1974 года




სურ. 3. ხრამის დიდი გორა НС კვ. W ნაწილში გათხრილი ადრე-სამიწათმოქმედო ფენის შენობები

Рис. 3. Храмис Диди-гора, постройки раннеземледельческого слоя в W части НС квадрата






სურ. 4. ხრამის დიდი-გორა, მავზოლეუმის გეგმა და ჭრილები
Рис. 4. Храмис Диди-гора, план и разрезы мавзолея



სურ. 5. სოფ. სიონში გათხრილი ადრეფეოდალური ხანის ქვაყუთი; ხრამის დიდ გორაზე გათხრილი სამარხი № 26

Рис. 5. Сел. Сиони, каменный ящик раннефеодального периода; Храмис Диди-гора, погребение № 26



სურ. 6. სოფ. სიონში გათხრილი გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები № 1 და № 2
Рис. 6. Сел. Сиони, погребения № 1 и № 2 позднебронзовой эпохи

ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი

მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 — 1975 წწ. მუშაობის ანგარიში

(ტაბ. II — V)

არტაანის მტკვრის აუზში, სადაც 1970 წლიდან თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და საქართველოს სახ. მუზეუმის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია სწავლობს შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებს, ყორღანები დაჯგუფებულია მტკვრის ხეობის ფერდების ტერასებსა და პლატოებზე. ყორღანულ ველად გამოყენებულია თითქმის ყოველი დიდ-პატარა ტერასა. ერთ ვერტიკალურ ზოლში განლაგებული ყორღანული ტერასები ქმნის კომპაქტურ ჯგუფებს. ასეთი ჯგუფები ექსპედიციამ არტაანის მტკვრის აუზში სამი დაამოწმა: 1. აღჩიანიალას, 2. ბერის ხევი — ნაკალოები, ზემო თმოგვის და ვ. ბერთაყანების ჯგუფები. წინა წლებში ექსპედიციის მიერ შესწავლილი იყო აღჩიისა და ბერთაყანების ჯგუფის ყორღანები[1]. 1974 — 1975 წლებში კი ექსპედიცია ჯავახეთისა და ერუშეთის პლატოებზე მუშაობდა.

ჯავახეთის პლატოზე გასათხრელად შევარჩიეთ ე. წ. „ოკამის დიდი გორა“ და მის მიდამოებში მდებარე ძეგლები. „ოკამის დიდი გორა“, რომელსაც „ჰასანჩაურსაც“ უწოდებენ, მდებარეობს სოფ. ოკამსა და გოგაშენს შორის. მას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ოკამის ტბა აკრავს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან დამკლის ტბა. როგორც გორაზე, ასევე მის ირგვლივ 1970 წელს დაზვერვების დროს ავკრიფეთ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა. გორა საკმაოდ დიდია, მისი დასავლეთი მხარე მოზვინულია მოზრდილი ლოდებით. ეს ზვინული ყორღანის შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ გორა უფრო საფორტიფიკაციო ნაგებობაა. მას სამხრეთით თითქმის მთელ სიგრძეზე, დიდი ლოდებისაგან მშრალად ნაგები კედელი შემოუყვება, ალაგ-ალაგ გამოწეული კონტრფორსებით (?). ზვინული, როგორც ჩანს, ჩამოშლილი კედლები უნდა იყოს.

---

[1] იხ. О. Джапаридзе, Я. Киквидзе, Г. Авалишвили, Новый очаг Триалетской культуры, А. О. Москва, 1971; მათივე, Раскопки Месхетских курганов, А. О. Москва, 1974; მათივე, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წლების ანგარიში, საქ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბილისი, 1974, მათივე, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972—1973 წლების ანგარიში. საქ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები IV, თბ., 1975.

გორის აღმოსავლეთ ნაწილში გავლებულ სადაზვერვო თხრილში (სიგრძე 3,60 მ, სიგანე 2,20 მ, სიღრმე 1 მ) ამოვიდა ადრეული ბრინჯაოს, გვიანი ბრინჯაოს, ურარტული (?) და ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ნახშირთან ერთად.

„ოკამის დიდი გორის“ მიდამოებში არა ერთი ყორღანების ტიპის ქვაყრილია. გვხვდება, აგრეთვე, ლოდებისაგან შეკრული წრეები, რომლებიც დაბალყრილიან ყორღანებს ჩამოგავს. იმისათვის, რომ გაგვერკვია თუ რას წარმოადგენენ ეს ყრილები, გადავწყვიტეთ ზოგიერთი მათგანის გათხრა.

„ოკამის დიდი გორის“ დასავლეთით, 20—25 მეტრის დაშორებით, გაითხარა წრიული ქვაყრილი (დიამეტრი 7,5 მ, წრის ქვების სიმაღლე 10 — 15 სმ, ყრილის სიმაღლე 60 სმ). ქვაყრილის აღების შემდეგ მის ცენტრში 70 სმ სიღრმეზე კაჟის დაკბილული ჩასართი აღმოჩნდა, ხოლო 2 მ სიღრმეზე მეტად დაშლილი ძვალი. 2,10 მ სიღრმეზე უზარმაზარი ლოდები გამოჩნდა, აქვე იყო ობსიდიანის ლამელა, ხოლო 2,80 მ უკვე დადასტურდა კლდოვანი ფენა.

„ოკამის გორიდან“ ჩრდილოეთით 500 მ დაშორებით გაითხარა სხვა ქვაყრილი (დიამეტრი — 7,80 მ, სიმაღლე — 1.20 მ). ყრილის მოხსნისას მთელ ფართობზე რამდენიმე შავპრიალა კერამიკის ნატეხი და დიდი რაოდენობით ადრე ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა. იქვე ამოვიდა ბათქაშის და ლასტის ნატეხები კრემისფერი (მოყვითალო) შელესილობის ნაშთით. როგორც ჩანს, ქვაყრილის გამართვისას მტკვარ-არაქსისდროინდელი ნასახლარი ჩაჭრეს. ყრილის ქვეშ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ლოდებისაგან მშრალად ნაგები ნალისებრი შენობა გამოჩნდა (S კედლის სიგრძე 2,5 მ. W კედლის სიგრძე 1,60 მ, N კედლის სიგრძე 2,20 მ, შესასვლელის სიგანე — 1,08 მ). შენობის შიგნით 0,90 მ სიღრმეზე, თითქმის მთელ ფართობზე მიმოფანტული იყო ყვითელ-მოწითალოდ გაპრიალებული თიხის ჭურჭლის ნატეხები და საქონლის ძვლები, ხოლო SO კუთხეში ადამიანის ყბა და რამდენიმე ძვალი აღმოჩნდა.

ნალისებური ნაგებობის კედლები ერთი დროის არ არის. ისინი სხვადასხვა წყობით არიან ნაგები. ამავე დროს N კედელი W კედელზე გადადის. შენობაში მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ნატეხებთან ერთად, ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა.

ამგვარად, არც ერთი ჩვენ მიერ გათხრილი ქვაზვინული ყორღანი არ არის. მიუხედავად ბეჯითი ძიებისა, ახალქალაქის პლატოზე შუა ბრინჯაოს ხანის კვალს ვერ მივაკვლიეთ, განსხვავებით ერუშეთის პლატოსა და არტაანის მტკვრის ხევისაგან ეს მხარე შუაბრინჯაოს ხანაში ნაკლებად ათვისებული ჩანს, რასაც ვერ ვიტყვით ადრებრინჯაოს ხანაზე. მტკვარ-არაქსის პერიოდის დროს ახალქალაქის პლატო მეტად მჭიდროდ არის დასახლებული. ამ ხანის კერამიკა პლატოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე იკრიფება.

ახალქალაქის პლატოზე სამუშაოების პარალელურად გათხრები მიმდინარეობდა სოფ. ჭაჭკარის მიდამოებში.

1974 წ. ექსპედიციამ მიაკვლია და შეისწავლა ყორღანების ჯგუფი „ნაკალოებზე“. ეს ადგილი წარმოადგენს ბერის ხევსა და ჭაჭკარის შორის კონცხივით წინ წამოწეულ პატარა მინდორს. ჭაჭკარის ზემოთ, მისგან 1 კმ დაშორებით აქ სამი დიდი ზომის ყორღანია — ორი ქვაყრილიანი, ერთი კი სანახევროდ ტერასში შეჭრილი. ამ ყორღანის მახლობლად, ისევე როგორც არაერთგზის იყო დადასტურებული, აღჩიის მინდვრებზე, ნიალაზე თუ ბერთაყანებში, პატარა

ყორღანებია შეჯგუფებული. ამ ყორღანებს დაბალი ყრილი აქვთ და გარს შემოუყვებათ ქვებისაგან შედგენილი წრე. ორივე დიდი ზომის ქვაყრილიან ყორღანს ცენტრში ყრილი მოცლილი ჰქონდა და კარგად ჩანდა კამერის სახურავის ქვები. ტერასში შეჭრილი ყორღანი ნაკლებად დაზიანებული იყო და ამიტომ პირველად მისი გათხრა გადავწყვიტეთ. „ნაკალოევის“ ჯგუფის ყორღანებში იგი № 1 აღინიშნა (სურ. 1).

ყორღანი № 1 დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლის ტერასაშია შეჭრილი. ტერასის თავზე ნათლად ჩანდა ქვის დიდი ლოდებისაგან შეკრული წესიერი წრე. ამ წრის დიამეტრი S — NS მიმართულებით 14,5 მ-ია, O — W მიმართულებით კი 20 მ. აღმოსავლეთ მხრიდან მას მოზრდილი რიყის ქვებისაგან შედგენილი ქვაყრილი ჰქონდა, რომლის სიმაღლე — 2 მ, სიგრძე — 6 მ, სიგანე — 9 მ იყო.

დრომოსი, ისე როგორც მესხეთ-ჯავახეთის სხვა ყორღანებში, 1,4 მეტრის სიღრმეზე ქვის დიდი ლოდებით იყო ამოვსებული, ამ ქვებში, დრომოსის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა მოწითალო ფერის ცალყურა კოჭობის ნატეხი და შავპრიალა ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი, შესასვლელთან 1 მ-ის სიღრმეზე კი, ქვის ჭურჭელი — ჯამი. დრომოსი მოწყობილი იყო ყორღანის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი შედარებით მოკლეა, ნაგებია მოზრდილი ქვებით, მისი კედელი პირდაპირ გადადის კამერის კედელში. დრომოსისა და კამერის გამყოფი ტიხარი, რომელიც ჩვეულებრივ ახასიათებს მესხეთ-ჯავახეთის ყორღანებს, № 1 ყორღანში ვერ დავადასტურეთ. შეიძლება ტიხარი ჩაინგრა და კამერის შესასვლელთან დამოწმებული ქვის ლოდებისაგან ნაგები საფეხური მისი წყობის ქვედა რიგი იყო. ასევე შეიძლება ტიხრის ქვებად მივიჩნიოთ კამერის შესასვლელთან აღმოჩენილი ქვის ლოდები.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1972—75 წლებში აღმოაჩინა და ნაწილობრივ გათხარა წინაქრისტიანული ხანის სატაძრო კომპლექსი დედოფლის მინდორზე, ქარელის რაიონის სოფელ არადეთის დასავლეთით, 3 კმ მანძილზე[1]. აქ, ამჟამად დაუსახლებელი დედოფლის მინდვრის ჩრდილოეთ ნაწილში აღმართულია ქვის სტელა გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებითა და XIX საუკუნის მხედრული წარწერით, რომელიც გვამცნობს, რომ იგი შეუწირავს ვინმე ალექსანდრე ფანიაშვილს სარკის წმ. გიორგისათვის[2]. საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობი, თითქმის 80 ჰა მიწა სარკის წმ. გიორგის ნიშის გარშემო უძველესი დროიდან „დასარყული“ ყოფილა: არც ხვნა-თესვა და არც ბალახის მოთიბვა შეიძლებოდა იქ. ასე გაგრძელებულა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე, როცა ახალშექმნილმა კოლმეურნეობამ „საჯვარე“ გადახნა, თუმცა მცირე ფართობი (დაახლ. 2000 კვ. მ) უშუალოდ ნიშის გარშემო ბოლო დრომდე მაინც ხელუხლებლად დარჩა. სარკის წმ. გიორგის ნიში თითქმის დღემდე დიდი პატივისცემით სარგებლობს დედოფლის მინდვრის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობაში. სწორედ ამ ნიშთან დაკავშირებულმა ლეგენდებმა და უამრავმა უცნაურმა წეს-ჩვეულებამ (მაგ. დედოფლის მინდორზე აკრძალული ყოფილა ხარის გუთანში შებმა ორშაბათო-

---

[1] ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნ. ჩუბინაშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ლექვინაძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები გ. აბრამიშვილი და თ. სანიკიძე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები ზ. ალექსიძე, ი. გაგოშიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ც. კაჯაბაძე, გ. კიკნაძე, მ. საგინაშვილი, ო. ჩიქოვანი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები: ნ. აფხაზავა, ნ. ჯიქია, ლაბორანტები: ნ. ბეროშვილი, ფ. ბოლქვაძე, გ. მახარაძე, ნ. მექვაბიშვილი, ფ. ინასარიძე, თ. ფანიაშვილი, გ. ჭანიშვილი, ე. ჯაში, არქიტექტორი ვ. ჩაგუნავა, ტოპოგრაფი გ. სარაჯიშვილი, ფოტოგრაფი ი. გილგენდორფი, ავტომანქანის მძღოლები: გ. ბუნტური, ს. ილიჯევი, ი. კვირიკაშვილი.

[2] სარკის მონასტერი მდებარეობს თრიალეთის ქედზე, დედოფლის მინდვრის სამხრეთით, დაახლოებით 15 კმ მანძილზე. თანახმად ლეგენდისა, რომელიც ჩავიწერეთ სოფ. არადეთში. წვერსა და საღოლაშენში, წმინდა გიორგი სასწაულებრივ „გადაბრძანებულა“ სარკის მონასტერში დედოფლის მინდვრიდან, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც წარმართული ტაძრის ნაშთები აღმოჩნდა.

ბით) მიიპყრო ჩვენი ყურადღება და გადაგვაწყვეტინა არქეოლოგიური დაზვერვების ჩატარება დედოფლის მინდორზე. ამასთან, არქეოლოგიურ სამუშაოთა დაწყება მეტად საშური საქმე ჩანდა, რადგანაც ტაშისკარის სარწყავი არხის გაყვანის შემდეგ დაიწყო დედოფლის მინდვრის ინტენსიური ათვისება, რაც დაღუპვას უქადდა არქეოლოგიურ ძეგლებს. ამიტომ 1972 წელსვე გადაწყდა დაუყოვნებლივ დაგვეწყო არქეოლოგიური გათხრები.

დაზვერვების შედეგად დედოფლის მინდორზე მივაკვლიეთ სხვადასხვა პერიოდის მრავალ არქეოლოგიურ ძეგლს, მაგრამ სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები დავიწყეთ სწორედ ნიშის გარშემო, სადაც პირველივე საველე კამპანიის დროს აღმოჩნდა წინაქრისტიანული ხანის სატაძრო კომპლექსი.

1972 — 75 წლების ოთხი საველე სეზონის განმავლობაში თანდათან გამოიკვეთა სატაძრო ნაგებობათა გრანდიოზული სისტემა, რომელიც უზარმაზარ, თითქმის 6 ჰა ფართობის მართკუთხედადაა შეკრული (სურ 1, ტაბ. XI). ტემენოსი გრძივი ღერძით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენაა ორიენტირებული, მცირეოდენი, სულ 6° გადახრით. მისი სიგრძე 300 მ აღემატება, სიგანე 150 მ აღწევს. უკვე მთლიანად გათხრილია მთავარი და მცირე ტაძრები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კარიბჭეები, რომელთა საშუალებითაც შეიძლებოდა შიდა კვადრატულ ეზოში მოხვედრა, ნაგებობები ტემენოსის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში და ნაწილობრივ რამდენიმე სხვა ნაგებობა, მათ შორის, კომპლექსის ძირითადი მართკუთხედის გარეთაც.

ყველა ნაგებობის კედლები აგებულია სტანდარტული ზომის (50×50×12 სმ და 50×25×12 სმ) ალიზით რიყის ქვის საფუძველზე. გადახურვის ძელური კონსტრუქციები, რომლებიც ჩვენ ნაგებობათა იატაკებზე დავაფიქსირეთ, ოდესღაც რკინის ნაკედი ლურსმნებით ყოფილა შეკრული (ლურსმნების ზომებია 15-დან 59 სმ-მდე) და ხის სვეტებს ეყრდნობოდა. სვეტებს ბაზები არა ჰქონდათ. მათი ხისავე საყრდენები თიხატკეპნილ იატაკებში ამოღებულ ოთხკუთხა ფოსოებში იჯდა. სვეტების უმეტესობას აგვირგვინებდა თლილი ქვის ჩუქურთმიანი კაპიტელები.

სვეტისთავები გამოთლილია მოთეთრო-მოყვითალო ფერის აგებრივი წვრილმარცვლოვანი კარბონატული ქვიშაქვისაგან. კაპიტელების ტანი დაფარულია რელიეფური „ენებით“, რომლებიც ლოტოსის გაშლილი ყვავილის ფურცლებს უნდა გამოსახავდნენ: ექინი ნახევარწრიულია, აბაკი კი შემკულია ლოტოსის პალმეტებითა და ექვსფურცლიანი ვარდულებით (ტაბ. XV). ზედაპირის ფაქიზი დამუშავება და დახვეწილი კვეთა ამ კაპიტელებს ხელოვნების ნიმუშად აქცევს. პირდაპირი ანალოგიები მათ ჯერჯერობით ვერ მოეძებნეთ, თუმცა ორნამენტის ყველა ელემენტს უამრავი პარალელი ეძებნება აქემენიდური, პართული თუ სასანური ხელოვნების ძეგლებში. კაპიტელების სიმაღლე 40 სმ-ია, უდიდესი დიამეტრი — 90 სმ, სვეტების ზედა დიამეტრი — 40 სმ.

ყველა ნაგებობა, მთავარი ტაძრის ცენტრალური ნაწილის გარდა, წითლად შეღებილი კრამიტით ყოფილა დახურული. კრამიტი ჩვეულებრივია ანტიკური ხანის საქართველოსთვის — ღარისებრი და ბრტყელი, გვერდებაკეცილი; ნახმარია, აგრეთვე, დიდი დიამეტრის ღარისებრი კეხის კრამიტიც. დედოფლის მინდვრის კრამიტი თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორც მცხეთური, ოღონდ უფრო დიდი ზომისაა (სიგრძით 57 სმ-მდე) და რამდენადმე განსხვავდება ცალკეული დეტალებით, მაგალითად, შვერილების ფორმით ბრტყელ და ღარისებრ

კრამიტებზე და სხვ. ზოგიერთ კრამიტზე გამოწვამდე დატანილია ცალკეული ნიშნები, რომელთა ნაწილი ასოებს წააგავს.

მთავარი ტაძარი, რომლის ზომებია 46×30 მ, მდებარეობს ტემენოსის სამხრეთ ნაწილში (ტაბ. XII). სამხრეთისაკენ ფართოდ გახსნილი ოთხსვეტიანი პორტიკიდან (ფარ. 190 კვ. მ) საკურთხეველიან დარბაზში (ფართ. 300 კვ. მ) შეიძლება მოხვედრა. საკურთხეველი მდგარა ოთხსვეტიანი კვადრატული ცელის ცენტრში, ოთხკუთხა თიხატკეპნილ პლათფორმაზე, რომლის ზომებია 1,60×1,60×0,15 მ.

პორტიკიდან ცელაში შესასვლელი კარი ტაძრის ცენტრალურ ღერძზე კი არ არის გაჭრილი, არამედ აღმოსავლეთითაა გადაადგილებული, უთუოდ იმ მიზნით, რომ საკურთხეველი გარედან არ გამოჩენილიყო, უცხო თვალს არ დაენახა. ამ გარემოებას ეძებნება ბევრი ანალოგია აქემენიდური და პართული ხანის ტაძრებში, სადაც, მართალია, განსხვავებული ხერხებით, მაგრამ იგივე შედეგია მიღწეული: საკურთხეველი გარედან არა ჩანს.

ცელასა და პორტიკს სამი მხრიდან (აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან) შემოსდევს დერეფნების სისტემა, რომელიც ტიხრებით სამ ნაწილადაა დაყოფილი. თითოეულ ამ ნაწილს დამოუკიდებელი შესასვლელები აქვს გარედან და მხოლოდ ჩრდილოეთი დერეფანია უშუალოდ დაკავშირებული ცელასთან, მისი ჩრდილოეთი კედლის ცენტრში გაჭრილი კარით. ტაძრის „გარსშემოსავლელის“ ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში მოქცეულ სათავსოებს კარების გარდა სიმეტრიულად განლაგებული ოთხი ფართო სარკმელიც ჰქონდათ.

მთავარ ტაძარს ჩრდილოეთიდან ეკვრის ორსვეტიანი ღია აივანი. სვეტებს ქვის კაპიტელები ჰქონდა. მანძილი სვეტებს შორის 3 მ-ია.

ტაძრის კედლები შელესილი და შეღებილი ყოფილა. აღმოჩნდა შელესილობის ფრაგმენტები, რომლებიც წითელი, თეთრი და ლურჯი საღებავით იყო შეფერილი. ტაძრის „გარსშემოსავლელი“ კრამიტით იყო დახურული, ცელასა და პორტიკს კი ბანური გადახურვა ჰქონდა. ცენტრში, საკურთხევლის თავზე აღმართული იყო დაბალი, ორსაფეხურიანი გვირგვინი, რომელიც ოთხ თავისუფლად მდგარ ორმაგ სვეტს ეყრდნობოდა. ასეთივე შეწყვილებული ოთხი სვეტი იდგა პორტიკშიც. როგორც ირკვევა, სვეტები შელესილი უნდა ყოფილიყო და კაპიტალები, ყოველ შემთხვევაში ქვის კაპიტალები, მათ არა ჰქონიათ. სვეტებს შორის მანძილი 5,5 მ-ია.

სვეტების დიამეტრებით თუ ვიმსჯელებთ, ჩრდილოეთი აივნის თავდაპირველი სიმაღლე 5 — 6 მ უნდა ყოფილიყო (სვეტის ქვედა დიამეტრი დაახლ. 60 სმ, ზედა დიამეტრი — 40 სმ), ცელა და სამხრეთი პორტიკი კი, როგორც ჩანს, უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, ასე 8—10 მ-მდე. ამის სასარგებლოდ მეტყველებს როგორც კედლების უფრო მეტი სისქე (1,60 მ) აივნის კედლებთან შედარებით (1,10 მ), ისე სვეტების უფრო დიდი დიამეტრი და აგრეთვე ცელაში ჩაქცეული კედლების ნანგრევებში ალიზების რიგების რაოდენობაც (კედლების უდიდესი შემორჩენილი სიმაღლე 2 მ აღწევს).

მთავარი ტაძრის სამხრეთი შესასვლელი ორივე მხრიდან ფლანკირებული ყოფილა სიმეტრიულად განლაგებული ნაგებობებით, რომელთაგანაც ერთი, სიგრძით 46 მ, გაითხარა 1975 წელს ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით.

მცირე ტაძარი (ტაბ. XIII) მდებარეობს მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით, მისგან 90 მ-ის მანძილზე, შიდა ეზოს საპირისპირო მხარეს. მისი გეგმა ძირი-

თადად ისეთივეა, როგორც მთავარი ტაძრისა. აქაც გვაქვს სამხრეთით გახსნილი სვეტებიანი პორტიკი, თითქმის ოთხკუთხა ცელა და „გარსშემოსავლელი“, მაგრამ პორტიკსა და ცელას შორის ორი კარია გაჭრილი,“ „გარსშემოსავლელი“ მხოლოდ ორმხრივია (აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით), ცელას ერთადერთი ქვის კაპიტელიანი დედაბოძი აქვს, საკურთხეველი კი მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია მოწყობილი; საკურთხევლის პლათფორმაც კონსტრუქციულად ისეთივეა, როგორც მთავარი ტაძრისა, ოღონდ უფრო მცირე ზომისა (1,10×1,10×0,15 მ). მცირე ტაძარს კრამიტით დახურული ორფერდა სახურავი უნდა ჰქონოდა. ამაზე მეტყველებს აქ სპეციალური კეხის კრამიტის აღმოჩენა. მთავარ ტაძართან კეხის კრამიტის არც ერთი ნატეხი არ გვიპოვია, თუმცა ჩვეულებრივი კრამიტი, მათ შორის მთელებიც, უამრავი აღმოჩნდა.

აღმოსავლეთი და დასავლეთი კარიბჭეები (ტაბ. XIV) ტაძრების მიმართ მკაცრად სიმეტრიულადაა განლაგებული ცენტრალური შიდა ეზოს ორივე მხარეს. თითოეული კარიბჭე ვრცელი ექვს-ექვსსვეტიანი პროპილეებია და შედგება ორ-ორი არატოლი პორტიკისაგან, რომელთაგანაც უდიდესები გარეთაა მიმართული, უმცირესები კი შიგნით. შიდა პორტიკების ორივე მხარეს თითო მცირე ზომის სათავსოა, მათთან კარებით დაკავშირებული. გარეთა პორტიკები ოთხ-ოთხსვეტიანია, შიდა — ორსვეტიანი.

ნივთიერი არქეოლოგიური აღმოჩენები ტემენოსზე შედარებით ცოტაა. თვალშისაცემია საყოფაცხოვრებო ნარჩენების — ძვლების, კერამიკის ნატეხების და სხვ. — თითქმის სრული არარსებობა. მხოლოდ მთავარი ტაძრის საკურთხევლის თავზე, მიწის ორმეტრიან ფენაში გვხვდებოდა XVIII — XX სს. მონეტები, ძვლები და კერამიკა — თანამედროვედან ადრეფეოდალურ ხანამდე. ყველაფერი ეს აშკარად ტაძრის ნაადგილევზე, შემდეგ კი ნიშთან მიტანილი შესაწირის ნაშთი უნდა იყოს. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სარკის წმ. გიორგის გამოსახულებიანი სტელა, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, იდგა ზუსტად წარმართული ტაძრის საკურთხევლის თავზე.

არქეოლოგიური მასალა, რომელიც აღმოჩნდა უშუალოდ მთავარი ტაძრის იატაკზე, კედლების ნანგრევებს ქვეშ — ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურის ფრაგმენტი, მინის ცილინდრული პოლიქრომული მძივი, თიხის შავპრიალა ჭუსლიანი ჯამები და სხვ. — ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეს მიეკუთვნება. უნდა ვიფიქროთ, რომ ტაძარიც ძვ. წ. I საუკუნეშია აგებული და მთელი სატაძრო კომპლექსიც იმავე დროს, თანაც, როგორც ჩანს, ერთდროულად, ერთიანი გეგმით. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ტემენოსის ნაგებობათა მკაცრი სიმეტრიულობა, მისი ცალკეული ნაწილების თანაზომიერება, დეტალებისა და სამშენებლო ელემენტების სტანდარტულობა. მაგალითად, შიდა კვადრატულ ეზოში ოთხივე მხრიდან გადიოდა სავსებით ერთნაირი ღია პორტიკები, რომელთაც ერთნაირი სვეტები და ერთნაირად ორნამენტირებული კაპიტელები ჰქონდათ; ასევე ერთი ზომისაა მთავარი ტაძრის სამხრეთი პორტიკი და კარიბჭეების გარეთა პორტიკები; ყველა კედელი ერთი სისქისაა — ალიზის ორი აგურის სისქის (1,10 მ), მთავარი ტაძრის უფრო სქელი, სამაგურიანი (1,60 მ) კედლებისა და დერეფნების ნახევარაგურიანი (0,30 მ) ტიხრების გარდა; ერთნაირია ალიზის აგურები და კრამიტი; დაბოლოს, ყოველ ეჭვს გარეშე ერთი სახელოსნოს პროდუქციაა თვრამეტივე კაპიტელი, რომლებიც დღემდე აღმოჩნდა დედოფლის მინდორზე.

დედოფლის მინდორზე გამოვლენილი ტაძრები მიეკუთვნება ძველი და ელინისტური აღმოსავლეთის იმ მრავალრიცხოვან სატაძრო და სასახლის ტიპის ნაგებობათა რიგს, რომელთა მთავარი ხუროთმოძღვრული თემაა სვეტებიანი დარბაზი. ამ ტიპის ნაგებობამ, რომელსაც ერთ ან რამდენიმე მხარეს ღია პორტიკი აქვს, საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე აქემენიანთა ხანაში მიიღო (პერსეპოლისის სასახლეები, ცეცხლის ტაძარი სუზაში და სხვ.), თუმცა დედოფლის მინდვრის ტაძართა ზოგიერთი თავისებურება გვაფიქრებინებს, რომ იგი ბევრად უფრო გვიან ხანას განეკუთვნება. ვიდრე აქემენიდური ეპოქა. ასეთი „გამაახალგაზრდავებელი“ ნიშანია, უპირველეს ყოვლისა, „გარსშემოსავლელის“ გადატიხვრა, რაც მიუთითებს, რომ ცელასა და პორტიკის გარშემო მოწყობილმა დერეფნებმა დაკარგეს გარსშემოსავლელის დანიშნულება და მათ რაღაც ახალი, განსხვავებული ფუნქცია დაეკისრა. მართლაც, სამხრეთ-აღმოსავლეთი დერეფანი სამსხვერპლო ცხოველთა საცავად ქცეულა. აქ აღმოჩნდა ასზე მეტი კეთილშობილი ქორბუდა ირმის თავის ქალა, რომლებიც ოდესღაც კედლებზე ყოფილა დამაგრებული (ამ მიზნით თავის ქალები კეფასთან ჩამოხერხილია, რქები კი ძირებთან გახვრეტილი): აქვე იყო ნიამორისა და ტახის რამდენიმე თავის ქალაც.

დედოფლის მინდვრის მთავარი ტაძრის თავისებურებად უნდა იქნეს მიჩნეული მისი ჩრდილოეთი პორტიკი — აივანიც, რომელიც უშუალოდ, კარით არ უკავშირდება საკუთრივ ტაძარს. ესეც მის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე უნდა მეტყველებდეს. აღმოსავლეთის არც ერთ ტაძარზე არ გვეგულება ამგვარი რამ, მაგრამ აივნის მოთავსება ტაძრის უკანა, მთავარი პორტიკის საწინააღმდეგო მხარეს, ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, ხომ არა გვაქვს აქ ჩვენ საქმე ანტიკური ტაძრის ოპისტოდომოსის ანალოგიურ სათავსოსთან? თუ ეს მოსაზრება დადასტურდა, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ ელინისტურ გავლენებზე, ოღონდ მხოლოდ იდეისა და არა ხუროთმოძღვრული ფორმების ნასესხობაზე.

ტაძარი დაიღუპა ძლიერი ხანძრის შედეგად, მაგრამ არამოულოდნელად: დაწვის წინ იგი საფუძვლიანად დაუცლიათ და არც ძალადობა-ნგრევის კვალი ატყვია კედლებს. შესაძლებელია ეს მოხდა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ და, ვინ იცის, დედოფლის მინდორზე შემორჩენილი ტოპონიმი — სისხლის (ცეცხლის) ჯვარი, ეგებ, ქართლში ქრისტიანობის ცეცხლითა და მახვილით გავრცელების ანარეკლი იყოს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ V საუკუნეშიც კი ვახტანგ გორგასალს უხდება ცეცხლის საგზებელის დაქცევა ნიქოზს, სადაც იგი ტაძარსაც აგებს[3], ხოლო მტკვრის სათავეებში დაახლოებით ამავე დროს თანასოფლელებმა ჩაქოლეს ცხრა ძმა კოლაელი ქრისტიანობის მიღებისათვის, რამეთუ „იყო უმრავლჱსი ერი სოფლისაჲ მის წარმართთა კერპთ — მსახური და უმცროჲსი ერი ქრისტიანე ღმრთის მსახური“[4].

ტაძრის დაწვისა და დანგრევის შემდეგ მისი ნანგრევები ამ ბოლო დრომდე არავის შეუბღალავს. მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში ამოუთხრიათ ტაძრის ნანგრევებში ორად ორი ზერელე ორმო ვიღაცათა დასაფლავების მიზნით. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ აქ კრიმინალთან გვქონდეს საქ-

---

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 199.

[4] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 61.

მე: ერთ-ერთი მიცვალებული მაინც პირქვე იყო ჩამხობილი ოვალური მოყვანილობის და სულ 40-იოდე სმ სიღრმის ორმოში. სამწუხაროდ, მთავარი ტაძრის გარდა ყველა სხვა ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული მიწის დამუშავებით, განსაკუთრებით ბოლო წლებში, როცა ეს ტერიტორია ღრმად მოხნეს.

დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის ჭეშმარიტად „ძველაღმოსავლური“ მასშტაბები, მისი მდებარეობა ძველი ივერიის გეოგრაფიულ ცენტრში და თავდაცვით ნაგებობათა სრული არარსებობა ტაძრის გარშემო ამ სალოცავის საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ დედოფლის მინდორი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მეფის დომენში შედიოდა და დედოფლის სარგო იყო. ყველაფერი ეს მხედველობაშია მისაღები, როცა ვეცდებით განვსაზღვროთ კულტი, რომელსაც ოდესღაც ამ ტაძრებში მსახურობდნენ. ზოგიერთი არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დედოფლის მინდვრის მთავარი ტაძარი აგებული იყო ავესტური არდვი-სურა ანაჰიტას ტიპის რომელიღაც ქალღმერთის სახელობაზე. ეს მოსაზრება ჯერჯერობით წინასწარულია და ამ საკითხზე საბოლოო პასუხის გაცემა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა დასრულდება ტემენოსისა და მის მიდამოებში აღმოჩენილი მისივე თანადროული სამაროვნებისა და ნასოფლარების გათხრა. იქ, ალბათ, ცხოვრობდნენ ტაძრეულნი — ის სატაძრო თემი, რომელიც უშუალოდ ემსახურებოდა დედოფლის მინდორზე არსებულ სალოცავს.

Ю. М. ГАГОШИДЗЕ

РАСКОПКИ ЯЗЫЧЕСКОГО ХРАМОВОГО КОМПЛЕКСА НА ДЕДОПЛИС МИНДОРИ

(Табл. XI—XV)

В 1972—1975 годах Шида-картлийской археологической экспедицией Государственного Музея Грузии имени акад. С. Н. Джанашиа раскапывались остатки дохристианского храмового комплекса в трех км западнее с. Арадети, Карельского района в междуречье рек Вост. и Зап. Проне, левых притоков р. Куры[1]. Здесь, в северной части обширной, незаселенной ныне равнины Дедоплис Миндори («Поле царицы»), площадь которой достигает 2500 га, находится весьма почитаемое населением близлежащих сел святилище — небольшая каменная стела, по-видимому XIX века, с рельефным изображением конного св. Георгия — Змееборца, с соответствующей грузинской надписью, в которой сообщается, что некий Александр Паниашвили посвятил эту стелу св. Георгию Саркейскому[2]. Довольно значительный участок, площадью около 80 га, вокруг святилища считался священным и не распахивался вплоть до середины 30-ых годов текущего столетия. Именно это обстоятельство, а также целый ряд странных на первый взгляд верований и легенд, связанных с этим святилищем и сохранившихся в местной среде, привлекло наше внимание к данной местности. В результате археологических разведок на Дедоплис Миндори был обнаружен целый ряд первоклассных памятников древности, начиная с эпохи ранней бронзы и кончая ранним средневековьем. Однако стационарные раскопки были начаты в районе вышеназванного свя-

---

[1] В работах экспедиции принимали участие: старшие научные сотрудники, доктор искусствоведения Н. Чубинашвили, доктор исторических наук В. Леквинадзе, кандидаты искусствоведения Г. Абрамишвили и Т. Саникидзе, кандидаты исторических наук Ю. Гагошидзе (руководитель экспедиции), О. Чиковани, З. Алексидзе, Г. Кикнадзе, М. Сагинашили, Ц. Какабадзе, младшие научные сотрудники Н. Джикиа, Н. Абхазава, лаборанты Н. Берошвили, П. Болквадзе, Э. Джаши, Г. Махарадзе, Н. Меквабишвили, П. Инасаридзе, Т. Паниашвили, Г. Чанишвили, архитектор В. Чагунава, топограф Г. Сараджишвили, фотограф И. Гильгендорф, водители автомашин Г. Бунтури, С. Илиджев, И. Квирикашвили.

[2] Монастырь Сарке находится примерно в 15 км южнее Дедоплис Миндори на Триалетском хребте. Согласно легенде, записанной в сс. Арадети, Цвери и Сагола-шени, св. Георгий «переселился» в названный монастырь чудодейственным образом именно с Дедоплис Миндори, с того места, где нами были выявлены развалины языческого храма.

тилища и в первый же полевой сезон здесь, как и предполагалось, были выявлены остатки дохристианского храмового комплекса.

Комплекс представляет собой грандиозную систему одновременных построек, составляющих прямоугольник, площадью около 6 га, ориентированный продольной осью с юга на север, с небольшим отклонением (рис. 1, табл. XI). В течение четырех полевых сезонов раскопаны: Главный и Малый храмы, часть восточной внешней стены на протяжении 120 м, Восточные и Западные ворота, ведущие во внутренний квадратный двор и ряд других помещений, в том числе и вне основного прямоугольника комплекса. Все стены возведены из сырцовых кирпичей стандартных размером (50×50×12 см и 50×25×12 см) на каменном (булыжном) основании. Балочные конструкции перекрытий, зафиксированные нами на полях помещений, некогда были скреплены железными четырехгранными кованными гвоздями, длиной от 15 см до 59 см, и опирались на деревянные колонны, часть которых была увенчана разными белокаменными капителями. Колонны не имели баз. Деревянные четырехугольные опоры колонн были вмазаны в толщу глинобитных полов.

Капители изготовлены из прекрасного местного мелкозернистого карбонатного песчаника, желтовато-белого цвета. Капители покрыты резными рельефными «языками» — лепестками лотоса; они имеют гладкий полукруглый эхин и несколько отличаются друг от друга только орнаментом абак, украшенных пальметками и шестилепестковыми розетками (Табл. XV). Великолепная обработка поверхности и тонкая резьба делают эти капители выдающимися произведениями камнерезного мастерства. Прямые их аналогии нам не известны, хотя все отдельные элементы орнаментации находят множество параллелей в произведениях ахеменидского, парфянского и сасанидского искусства. Высота капителей — 40 см, наибольший диаметр — 90 см; верхний диаметр колонн — 40 см.

Все раскопанные здания, за исключением центральной части Главного храма, имели черепичную кровлю. В кровле были использованы желобчатые и плоские с вертикальными бортами, а также широкие коньковые желобчатые черепицы. Поверхность керамид окрашена в красный цвет и они, в общем, обычного для античной Иверии типа, хотя несколько крупнее (дл. до 57 см) мцхетских, отличаясь от них отдельными деталями (формы выступов на плоских черепицах и калиптерах и т. п.). На некоторых черепицах имеются знаки, нанесенные по сырой глине.

Главный храм (разм. 46×30 м) занимает южную часть комплекса (Табл. XII). Открытый с юга обширный портик ведет в квадратную четырехколонную целлу (площ. 300 кв. м), в центре которой возвышается четырехугольная платформа (разм. 1,60×1,60×0,15 м) для алтаря. Дверь между портиком и целлой расположена ассиметриччо по отношению к центральной оси, очевидно с той целью, чтобы алтарь не был виден снаружи. Целлу и портик с трех сторон окружает система коридоров, разделенных перегородками на три части, каждая из которых имеет самостоятельные наружные входы. Кроме того, в северной части «обхода» имеются четыре симметрично расположенных широких окна. В северной стене целлы прорезана дверь, связывающая целлу с «обходом». К основному прямоугольнику храма с севера примыкает помещение типа айвана — открытый портик с двумя колоннами. Стены храма были оштукатурены и окрашены. Сохранились куски обмазки, покрытые красной, белой и синей красками.

Целла и портики имели плоскую кровлю с уступчатым ложным куполом в центре, над алтарем. Внешние галереи храма имели односкатную черепичную кровлю. В целле и южном портике стояли спаренные (двойные) деревянные колонны, по-видимому, оштукатуренные и не имевшие каменных капителей. Пролет между колоннами достигает 5,5 м. В северном портике колонны были круглые, с каменными капителями, пролет же между ними около 3 м.

Судя по диаметру колонн (около 60 см внизу и 40 см наверху), общая высота айвана могла достигать 5—6 м, высота же целлы и южного портика, по-видимому, была несколько больше, порядка 8 — 10 м. В пользу этого говорит и большая толщина стен целлы (1,60 м) по сравнению со стенами айвана (1,10 м), а также подсчет количества рядов кирпичей в кладке стен, завалившихся целлу. Наибольшая сохранившаяся высота стен около двух метров.

С юга Главный храм был фланкирован двумя симметрично расположенными зданиями. Нами в 1975 году раскопано одно из этих зданий, длиной в 46 м, расположенное к юго-западу от входа в Главный храм.

Малый храм (Табл. XIII), расположенный в 90 м к северу от Главного, имеет аналогичное в принципе решение плана. Здесь, также как и в Главном храме, видим открытый с юга портик, почти квадратную целлу и, двустороннюю, обходную галлерею. Но целла с портиком связана не одной, а двумя дверьми, и имеет всего дону, центральную, увенчанную каменной капителью колонну. Алтарь в Малом храме находился у юго-западного угла целлы. Платформа алтаря, конструктивно не отличаясь от платформы Главного храма, несколько меньших размеров (1,10×1,10 м), при одной с ней высоте (0,15 м). Черепичная кровля Малого храма, по-видимому, была двускатной.

Восточные и Западные ворота (Табл. XIV) расположены строго симметрично по отношению к храмам. Каждые из ворот обширные пропилеи с шестью колоннами, составленные как бы из двух неравных портиков, больший из которых обращен наружу, а меньший, двухколонный, во внутрь комплекса. По обе стороны внутреннего портика расположены небольшие прямоугольные помещения, связаные с ним дверьми.

Вещественных находок на территории комплекса сравнительно мало. Бросается в глаза почти полное отсутствие бытовых остатков (керамики, костей и т. п.). Только над центром Главного храма, в двухметровой толще земли, накопившейся в течение веков, встречались монеты XVIII—XX веков и керамика от современной до раннесредневековой — явно приношения к разрушенному святилищу, а позже, к заменившему его св. Георгию Саркейскому. Поразительно, но факт, что вышеназванная стела с изображением св. Георгия стояла точно над алтарем Главного храма.

Археологические материалы, найденные на полу Главного храма под завалом саманных стен (бронзовый браслет с вогнутой спинкой, цилиндрическая полихромная стеклянная бусина, чернолощенные миски с поддонами и др.) относятся к I веку до н. э. Комплекс был возведен, по-видимому, в I веке до н.э.,и, вне всякого сомнения, одновремнено, по единому замыслу. В пользу такого соображения говорят строгая симметричность комплекса, соразмерность отдельных его частей, стандартность деталей и строительных элементов. Так, например, во внутренний квадратный двор теменоса со всех четырех сторон выходили открытые портики совершенно одинаковых разме-

ров с одинаковыми колоннами и капителями; равны по размерам внешние портики ворот и южный портик Главного храма; все стены одной ширины (в два кирпича — 1,10 м), за исключением более толстых (в три кирпича — 1,60 м) стен Главного храма и тонких перегородок в полкирпича в северном коридоре храма; одинаковы саманные кирпичи и черепицы; все восемнадцать уже открытых капителей безусловно являются продукцией одной мастерской и т. д.

Храмы Дедоплис Миндори стоят в одном ряду со множеством храмовых и дворцовых зданий Древнего и эллинистического Востока, главная архитектурная тема которых — колонный зал. Здания такового типа — с центральным колонным залом, открытыми портиками и обиходными галереями — приняли окончательно завершенный вид в эпоху Ахеменидов (дворцы Персеполя, храм огня в Сузах и др.), но ряд своеобразии в решении плана Главного храма Дедоплис Миндори свидетельствует об его более молодом, чем ахеменидская эпоха, возраста. Это, первым долгом, расчленение галерей, окружающих целлу и портик, на несколько самостоятельных помещений, что указывает на вырождение самой идеи обхода. Эти помещения несли иную функциональную нагрузку. Так, например, юго-восточный коридор служил хранилищем жертвенных животных: в нем обнаружено более сотни черепов благородных оленей с ветвистыми рогами, некогда прикрепленных к стенам (для этой цели черепа спилены, а в рогах просверлены отверстия), а также несколько черепов кабана и безоарового козла.


Своеобразием храма надо считать и наличие северного портика — айвана. Портик этот не сообщается с другими помещениями храма, что также должно указывать на какие-то его особые функции. Расположение айвана с тыльной стороны храма невольно наводит на мысль, не имели ли мы тут дело с подобием опистодома античного храма. Если это подтвердится, то можно будет говорить об эллинистическом влиянии, но только о взаимствовании идеи, а не архитектурных форм.

Храм погиб в результате сильнейшего пожара, возможно, после объявления христианства государственной религией в Грузии. Горевшая кровля целиком провалилась на пол и была закрыта развалинами стен. С тех пор развалины Главного храма никто не тревожил. Только в позднем средневековье здесь были вырыты две неглубокие ямы для случайных, явно криминальных захоронений. Остальные здания комплекса, к сожалению, сильно повреждены глубокой вспашкой последних лет.

Грандиозные, поистине «древневосточные» масштабы храмового комплекса Дедоплис Миндори, его расположение в географическом центре древней Иверии и полное отсутствие оборонительных фортификационных сооружений вокруг него свидетельствуют об общегосударственном значении этого святилища. Особый интерес представляет тот факт, что Средние века территория Дедоплис Миндори входила в царской домени являлась уделом грузинских цариц. Эти обстоятельства должны быть приняты во внимание при определении культов, которым были посвящены храмы Дедоплис Миндори. По некоторым данным, Главный храм мог быть посвящен какому-то женскому божеству, типа авестийской Ардви-суры Анахиты, но это предположение сугубо предварительное и окончательное суждение можно будет составить только после завершения раскопок всего храмового комплекса, а также обнаруженных в его окрестностях одновременных с ним

могильников и трех селищ, где, очевидно, должны были проживать члены храмовой общины, непосредственно обслуживавшей некогда святилище Дедоплис Миндори.

Дохристианские культы и культовая архитектура одни из наименее изученных областей истории культуры древней Грузии. Вплоть до недавнего времени среди значительной части историков древнегрузинского зодчества бытовало мнение, что, якобы, дохристианская Грузия не знала специальных культовых сооружений и только принятие христианской религии поставило перед архитектурой задачу их создания: считалось, что языческие культы в Грузии были настолько примитивны, что культовые ритуалы не требовали специальных храмовых зданий. Однако результаты археологических изысканий последних лет и, в частности, открытия на Дедоплис Миндори показали несостоятельность этого мнения.



სურ. 1. დედოფლის მინდორი, გენგეგმა; 1. მთავარი ტაძარი. 2. მცირე ტაძარი, 3. აღმოსავლეთის კარიბჭე, 4. დასავლეთის კარიბჭე

Рис. 1. Дедоплис Миндори, генплан. 1. Главный храм; 2. Малый храм; 3. Восточные ворота; 4. Западные ворота

ც. დავლიანიძე

სოფ. გომარეთში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში

(ტაბ. XII — XIII)

ქვემო ქართლი უდიდესი კულტურული მემკვიდრეობის მხარეა. არქეოლოგიური მონაპოვრებიდან თუ სხვა მოგვიანო ხანის ძეგლებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს რაიონი ყოველ ისტორიულ პერიოდში იყო ინტენსიური ცხოვრების კერა, რაც დღემდე არ შეწყვეტილა.

ძველთაგანვე ადამიანის მიერ ამ მხარის ინტენსიური ათვისება განაპირობა მისმა ბუნებრივმა მდებარეობამ. ქვემო ქართლში ყველა პირობა არსებობდა მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეტალურგიის განვითარებისათვის, ქვემო ქართლი არის საქართველოს უკიდურესი სამხრეთი რაიონი დასერილი გზების ხშირი ქსელით, რითაც ის აკავშირებს საქართველოს რაიონებს აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებთან.

სოფ. გომარეთის ტერიტორიაზეც ადამიანი უძველესი დროიდან დასახლებულა. მის მიდამოებში აღმოჩენილია ნეოლით-ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები, გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვანი და ნამოსახლარი, ელინისტური ხანის სამაროვანი, ფეოდალური ხანის სამაროვანი და ეკლესიები. არქეოლოგიური მონაპოვრები მოწმობს უძველესი დროიდან „აქ მოსახლე ტომების ბინადარ ცხოვრებას მესაქონლეობისა და მემინდვრეობის ბაზაზე“[1]. ქვემო ქართლის ეს რაიონი მიჩნეულია როგორც „საზაფხულო საძოვრების დიდი და ნოყიერი მასივი ქართლის, კახეთის, ქვემო ქართლის უმრავლესი სოფლებისათვის“. თვით სახელწოდება გომარეთსაც — გომი, გომური მიხედვით, ხსნიან როგორც „საქონლის დასაყენებელი ადგილის აღმნიშვნელ სიტყვას“[2].

სოფ. გომარეთთან ახლოს არის, აგრეთვე, ადვილად დასამუშავებელი კარგი ხარისხის კირქვების საბადოც, რასაც, ალბათ, ძველი დროიდანვე იყენებდნენ აქ მოსახლე ადამიანები. გომარეთი მდიდარია ობსიდიანითაც.

გომარეთს პირველად ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა“. აქ იგი წერს: ყარაბულახს ქვევით ზურ-

---

[1] დ. ბერძენიშვილი, მასალები კლდეკარის საერისთავოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. ქვემო ქართლის 1966 — 1967 წწ. ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (ხელნაწერი), გვ. 9.

[2] იქვე, გვ. 4.

ტაკეტას ერთვის საფიქლის ხევი, გამოსდის ქარვასლის ხევსა, მოერთვის აქ ზურტაკეტას. შესაყარს ერთვის მეორე საფიქლის ხევი. აქა არს დაბა დიდი გომარეთი ვითარცა მცირე ქალაქი ზურტაკეტასა“[3].

გომარეთის მჭიდრო დასახლებას და დაწინაურებას ხელს უწყობდა მასზე გამავალი გზებიც. კერძოდ, „კლდეკარ-წალკაზე გამოვლით შიდა ქართლიდან ერთი გზა პირდაპირ შემოდის გომარეთში“, მეორე კი „მანგლისის ქვეყნიდან ბედენ კლდეისზე გამოვლით, ქაკლიანით, გომარეთით, საფიქლით — ჯაველეთში“[4].

აი, ეს მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ტერიტორია, სადაც შემთხვევითი თუ მცირე დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად სხვადასხვა პერიოდის ბევრი მატერიალური ნაშთი გამოვლინდა, კვლავ მოითხოვდა კვლევას. 1975 წელს აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ექსპედიციის მიზანიც გომარეთის ტერიტორიაზე მცირე დაზვერვითი და გათხრითი სამუშაოების ჩატარება იყო.

სოფ. გომარეთში, ადგილობრივი მცხოვრების ვასო მურჯიკნელის ეზოში 1962 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის არქეოლოგიურმა რაზმმა (დ. თუშაბრამიშვილის, გ. გრიგოლიას, გ. ჯავახიშვილის შემადგენლობით) მიაკვლია ელინისტური ხანის მეტად საყურადღებო და ვრცელ სამაროვანს. ამ წელს არქეოლოგებმა გათხარეს მხოლოდ 14 ქვაყუთი. ძეგლის ხასიათის უკეთ დადგენისა და შესწავლის მიზნით მათ მაშინვე გამოთქვეს მოსაზრება ამავე სამაროვანზე შემდგომში არქეოლოგიური გათხრების განახლების აუცილებლობის შესახებ.

1975 წელს მიღწეული ექსპედიციის ერთ-ერთი მიზანიც ამ ტერიტორიაზე მცირე არქეოლოგიური გათხრების განახლება-ჩატარება იყო.

ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ც. დავლიანიძე — ექსპედიციის ხელმძღვანელი, ზ. ქიქოძე — ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე, მეცნ. თანამშრომელი — მ. კეცხოველი და ფოტოგრაფი (მოწვევით) — ლ. მოწონელიძე. ექსპედიციის ხანგრძლივობა — 20 დღე.

სანამ გომარეთის მიდამოებში დაზვერვითი სამუშაოების ჩატარებას შევუდგებოდით, ექსპედიციამ გადაწყვიტა ჯერ ემუშავა 1962 წ. ვ. მურჯიკნელის ეზოში მიკვლეულ ელინისტური ხანის სამაროვანზე.

გათხრები დაიწყო № 1 თხრილის გავლებით ვ. მურჯიკნელის სახლიდან ჩრდ.-დასავლეთით, დაახლ. 10 მ მანძილზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მანძილი 1975 წ. გავლებულ თხრილებსა და 1962 წ. მიკვლეულ სამარხებს შორის დაახლ. 7—8 მ იქნებოდა.

გარდა № 1 თხრილისა, ამ წელს წარმოებული მუშაობისას გავავლეთ კიდევ ორი თხრილი. აქედან № 3 თხრილი გაითხარა № 1 თხრილის პარალელურად და ორივე დამხრობილი იყო ჩრდ.-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ხოლო № 2 თხრილი კი აერთებდა № 1 და № 2 თხრილებს და მაშასადამე, დამხრობილი იყო სამხრ.-აღმოსავლეთიდან — ჩრდ.-დასავლეთისაკენ.

№ 1 თხრილის სიგრძე უდრიდა — 8 მ, სიგანე — 1,50 მ.

---

[3] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ., 1913, გვ. 318.

[4] დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11—12.

№ 2 „ „ „ — 6,50 მ, „ — 2,90 მ.
№ 3 „ „ „ — 10 მ, „ — 3,20 მ.

სამივე თხრილი დავიყვანეთ 1 მ სიღრმემდე.

№ 1 თხრილის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა მხოლოდ მცირე ზომის ორი ქვაყუთი (ტაბ. XVI). № 2 და № 3 თხრილების შესაყარზე აღმოჩნდა დიდი ზომის ერთი ქვაყუთი (№ 3), ხოლო № 3 თხრილში კი გამოვლინდა ერთი პატარა ორმოსამარხი და სხვადასხვა ზომის 9 ქვაყუთი. მაშასადამე, ვ. მურჯიკნელის ეზოში 1975 წ. წარმოებული გათხრების შედეგად სულ გამოვლინდა 12 ქვაყუთი და ერთიც მცირე ზომის ორმოსამარხი.

ქვაყუთების დონეზე დასვლამდე დაახლ. 60 — 70 სმ სიღრმიდან ყველა თხრილში ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რკინის სამაჯურისა და დანის ნატეხები, ე. წ. „სკვითური ტიპის“ ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირი (1 ც) და საქონლის ძვლები.

თიხის ჭურჭლის ამ ნატეხთაგან განსაკუთრებით საინტერესოა № 1 თხრილში 60 სმ სიღრმეზე გამოვლენილი ყვითლად ანგობირებულზედაპირიანი ჭურჭლის კედლის ნატეხი, რომელსაც შუა ნაწილში გასდევს მოყავისფრო-მოწითალო ფერის საღებავით შესრულებული ერთი განიერი ზოლი (სავ. № 75 : 18). ეს ნატეხი და ბრინჯაოს „სკვითური ტიპის“ ისრისპირი ზუსტად იმ ადგილებიდან ამოყვა მიწას, სადაც შემდეგ გამოვლინდა მცირე ზომის ორი ქვაყუთი.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 1 აღმოჩნდა № 1 თხრილის ცენტრალურ ნაწილში, 80 სმ სიღრმეზე. ქვაყუთი მცირე ზომისა იყო. დამხრობილი ჩრდილო-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ-დასავლეთისაკენ. მისი კედლები ნაგები აღმოჩნდა თითო მთლიანი, თხელი ფილისაგან, სახურავი კი ორი ასევე ქვისაგან. სამარხის სამხრ.-დასავლეთი კუთხე შევსებული იყო რამდენიმე წვრილი ქვით. სამარხის გარე ზომებია: სიგრძე — 85 სმ, სიგანე — 50 სმ, სიმაღლე — 27 სმ. შიდა ზომებია : სიგრძე — 50 სმ, სიგანე — 30 სმ.

სამარხში აღმოჩნდა ერთი მიცვალებული, რომელიც იწვა მარჯვენა გვერდზე ძალზე მოხრილი ქვედა და ზედა კიდურებით. ისე რომ, თითის ძვლები ეწყო სახის წინ. სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა. მიცვალებულიც დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან სამხრ.-დასავლეთ-დასავლეთისაკენ.

ჩონჩხის თავის ქალასთან, ქვაყუთის ჩრდილო კუთხეში აღმოჩნდა თიხის კოჭობი, მონაცრისფრო ფერის. პირგადაშლილი, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი, ძირვიწრო. h — 8 სმ, max. d — 8,3 სმ (სავ. № 75 : 2, სურ. 1_2).

მიცვალებულის ფეხებთან იდო თიხის ცალყურა ქოთანი მოყვითალო-მოყავისფრო ფერის. პირგანიერი, ყელდაბალი. მცირედ გამობერილი მაღალი მუცლით, ბრტყელი, განიერი ძირით. მუცელზე მიბმული ლენტური ყურით. h — 24 სმ. max. d — 21,5 სმ (სავ. № 75 : 1, სურ 1_1).

ჩონჩხის ყელის არეში აღმოჩნდა სარდიონის 3 და მინის 1 მძივი. სარდიონის მძივები მოყავისფრო-მოყვითალო ფერისაა, კასრისებური და მანდარინისებური ფორმის, ბიკონუსურნახვრეტიანები. მინის მძივიც მოყვითალო ფერისაა, გაუმჭვირვალე. ცილინდრული ფორმის განიერნახვრეტიანი (სავ. № 75 : 3, სურ. 1_3).

ქ ვ ა ყ უ თ ი № 2. აღმოჩნდა № 1 ქვაყუთიდან 65 სმ დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, № 1 თხრილის ჩრდ.-აღმოსავლეთ ნაწილში. ამ ქვაყუთის

დამხრობაც ზუსტად ისეთივე იყო, როგორც № 1 ქვაყუთისა. მეორდება მიცვალებულის დამხრობაც და პოზაც. ჩანდა, რომ ეს ქვაყუთიც ბავშვს ეკუთვნოდა.

ქვაყუთი № 2 აღმოჩნდა 90 სმ სიღრმეზე. მისი გარე ზომებია: სიგრძე — 85 სმ, სიგანე — 50 სმ, სიმაღლე — 22 სმ. შიდა ზომებია: სიგრძე — 50 სმ, სიგანე — 30 სმ. სამარხის კედლები ნაგები იყო თითო ქვისაგან. სახურავი კი ერთი ბრტყელი ქვისა და რამდენიმე წვრილი ქვისაგან (ტაბ. XVII).

მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა თიხის ორი კოჭობი — ერთი მონაცრისფრო ფერის, მოშავო და მოყვითალო ადგილებიანი. პირგანიერი, ყელდაბალი, მკვეთრად გამობერილი მუცლით. ვიწრო, ბრტყელი ძირით. მუცლის ზემო ნაწილში შემკული ოთხი კონუსისებური შვერილით, h —8,2 სმ, max. d — 9,2 სმ (სავ. № 75: 4), სურ. 1_4.

- მეორე კოჭობიც მონაცრისფრო-მოშავო ფერისაა. ბრტყელი. განიერი ძირით. მუცელზე მიბმული ერთი ყურით. აკლია ყელპირი. h — 10,5 სმ, max. d — 11 სმ (სავ. № 75: 6), სურ. 1_6).

- მიცვალებულის ფეხებთან აღმოჩნდა თიხის ხელადა მონაცრისფრო-მოყავისფრო ფერის. ოდნავ გადაშლილი პირით, მომაღლო ყელით. მაღალი მუცლით. ბრტყელი, განიერი ძირით. ვიწრო, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, რომელიც მიბმულია პირთან და მხარზე. h — 18,8 სმ, max. d — 14 სმ (სავ. № 75: 5, სურ. 1_5).

ჩონჩხის მაჯის ძვლებთან იდო ბრინჯაოს ორი სამაჯური. ერთის ღერო მრგვალგანივკვეთიანია, ბოლოები კი დაბრტყელებული აქვს—გაგანიერებული და წარმოადგენს ქვეწარმავლის თავების სტილიზებულ გამოსახულებას. ბოლოების ზედაპირზე შეიმჩნევა ჭდეული სამკუთხედისებური და განივი ხაზები. d — 5.4 სმ (სავ. № 75 : 7). მეორე სამაჯურის ღერო ოვალურგანივკვეთიანია. ბოლოებთან ღერო დაბრტყელებულია და ქვეწარმავლის თავების ძალზე სტილიზებულ გადმოცემას წააგავს. d — 5,9 სმ (სავ. № 75:8, სურ. 1_7).

თავის ქალას არეში აღმოჩნდა ერთი საყურე, რომელიც შედგება ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან ნაკეთები რგოლისა და მასზე უძრავად (?) ჩამოკიდებული მოთეთრო პასტის წაგრძელებულ-კონუსისებური ფორმის საკიდისაგან. საკიდის განიერ ნაწილს ამკობს სიმეტრიულად განლაგებული ოთხი ბურთულა (სურ. 1_9).

მიცვალებულის ყელის არეში იდო 13 მძივი: სარდიონისა — 1 ცალი, დახეთქილი. წვრილ-კონუსისებურნახვრეტიანი, დანარჩენი — მინისებრი პასტისა და მინისა — მრგვალი, მანდარინისებრი, მრგვალბრტყელი, გვერდებდაღარული, სხვადასხვა ფერის: თეთრი, მოყვითალო და მოცისფრო (სურ. 1_8).

ამ ორი ქვაყუთის ალაგების შემდეგ, № 1 თხრილის პერპენდიკულარულად, მის სამხრეთ-დასავლეთი ბოლოდან გაიკვლო № 2 თხრილი. ამ თხრილის ბოლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან 80 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა № 3 ქვაყუთი. სანამ სამარხის დონემდე დავიდოდით, დაახლ. 60 — 70 სმ სიღრმეზე, დიდი რაოდენობით ჩნდებოდა თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები, მსხვილფეხა და წვრილფეხა (ძროხა? ცხვარი?) საქონლის ძვლები. საქონლის თავის ქალები, ძვლები აღმოჩნდა თვით სამარხის სახურავ ქვაზეც.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 3 დიდი ზომისა იყო. განსაკუთრებით ის დიდი ჩანდა სახურავი ქვების მოცილებამდე. მისი გარე ზომებია: სიგრძე — 1,40 მ, სიგანე — 1,25 მ. შიდა ზომებია: სიგრძე — 1,05 მ, სიგანე — 45 სმ, სიმაღლე — 72 სმ. სახურავი შედგებოდა სხვადასხვანირი ფორმის 5 ბრტყელი, მოზრდილი ქვისა-

გან. კუთხეები შევსებული ქონდა რამდენიმე წვრილი ქვით. სამარხის განივი კედლები ნაგები იყო თითო სქელი ლოდისაგან, სიგრძივი კედლები ასეთივე სისქის 2-2 ქვისაგან. სამარხი დამხრობილი აღმოჩნდა ჩრდილო-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ-დასავლეთისაკენ.

ქვაყუთი № 3 განსაკუთრებით იმით იყო საინტერესო, რომ მასში დაკრძალული აღმოჩნდა ორი მიცვალებული. ორივე დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ-დასავლეთისაკენ. № 1 მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე. მისი ძვლები და თავის ქალა კარგად იყო შენახული, მაგრამ გადაადგილებული ჩანდა. ყბის ძვალი ეგდო ფეხებთან და საერთოდ, შეინიშნებოდა, რომ მისი ძვლები მიხვეტილი იყო სამარხის კედლისაკენ. ჩანს, № 1 მიცვალებული გვერდზე მისწიეს ამავე სამარხში ახალი მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ. მეორე ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე ძალზე მოხრილი ქვედა და ზედა კიდურებით.

- სამარხი ინვენტარით ღარიბი აღმოჩნდა. № 1 ჩონჩხის თავის ქალასთან იდო თიხის პატარა ხელადა — მონაცრისფრო ფერის, პირგადაშლილი, ყელდაბალი, სფერულმუცლიანი, ოდნავ განიერი ძირით. h — 12.7 სმ, max. d — 11 სმ, (სავ. № 75: 11, სურ. 1_{12}).

ამავე ჩონჩხის ხელის ძვლებთან აღმოჩნდა რკინის სამაჯურის ნატეხები, ფორმაგაურკვეველი (სავ. № 75: 13).

- № 2 მიცვალებულის თავის ქალასთან კი აღმოჩნდა თიხის ცალყურა ჭოთანი მონაცრისფრო-მოშავო ფერის, მოყვითალო ადგილებით, პირგანიერი, ყელდაბალი. მცირედ გამობერილი მუცლით. განიერი, ბრტყელი ძირით. ლენტური ყური ებმის მუცლის ზემო ნაწილზე. h —13,6 სმ, max. d —14 სმ (სავ. № 75: 12, სურ. 1_{13}).

ქვაყუთი № 3 მდებარეობამ მოითხოვა № 2 თხრილის გაგანიერება ჩრდ.-აღმ. კედლის ბოლო ნაწილთან. გაივლო თხრილი № 3 თხრილის № 2-ის პერპენდიკულარულად და თხრილი № 1-ის პარალელურად. ამ თხრილში, როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, გამოვლინდა 9 ქვაყუთი და ერთიც პატარა ზომის ორმოსამარხი.

ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ი № 4. ეკუთვნოდა ჩვილ ბავშვს. აღმოჩნდა ქვაყუთი № 3 ჩრდ.-აღმოსავლეთით 20 სმ მანძილზე. სამარხი მდებარეობდა 70 სმ სიღრმეზე. მასში დაკრძალული ბავშვი იწვა მარჯვენა გვერდზე მოკუნტული.

ბავშვის თავთან აღმოჩნდა ძალზე ჩაშლილი თიხის მოშავო-მოყავისფრო ფერის ჭურჭელი. თავის ქალას არეში ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან ნაკეთები საყურე-რგოლი. ხოლო ფეხებთან თუ მუცლის არეში 20 სმ სიგრძის ბრინჯაოსავე ძეწკვი (სურ. 1_{15}).

№ 3 თხრილში გამოვლენილი №№ 5, 6, 6ა, 7 ქვაყუთები მდებარეობდნენ ერთ ხაზზე — ერთმანეთის თანმიმდევრობით. დანარჩენები კი (№№ 8 — 12) თხრილის სხვადასხვა ადგილას. სამარხები ერთმანეთისაგან მცირე მანძილით იყო დაშორებული (1,80 მ — 13 სმ-მდე), ხოლო № 6 და № 6ა ქვაყუთებს ერთი საერთო გამყოფი ქვაც კი ჰქონდათ.

№ 3 თხრილში გამოვლენილ ყველა სამარხშიც დაკრძალვის იგივე წესი დადასტურდა, როგორიც ახასიათებდათ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ სამ ქვაყუთს. ე. ი. ყველა სამარხში აღმოჩნდა თითო მიცვალებული დაკრძალული მარჯვენა ან მარცხენა (მხოლოდ ერთ შემთხვევაში — ქვაყუთი № 12) გვერდზე. ძალზე მოხრილი ზედა და ქვედა კიდურებით. ყველა დამხრობილი იყო ჩრდი-

ლო-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ-დასავლეთისაკენ. ყველა ქვაყუთი ნაგები იყო ბრტყელი ფილებისაგან.

ქვაყუთი № 5. აღმოჩნდა № 3 ქვაყუთის ჩრდილოეთით 1,80 მ მანძილზე. სამარხი მდებარეობდა 80 სმ სიღრმეზე. სამარხის გარე ზომებია: სიგრძე — 80 სმ, სიგანე — 46 სმ, სიმაღლე — 34 სმ. შიდა ზომებია: სიგრძე — 45 სმ, სიგანე — 32 სმ, სიმაღლე — 25 სმ. ქვაყუთის სამი კედელი ნაგები იყო თითო ფილისაგან, სამხრეთ-დასავლეთი კედელი კი ორი ქვისაგან და ცალ ბოლოსთან დატანილი სამი წვრილი ქვისაგან. სახურავი ქვა წარმოადგენდა ერთ დიდ ფილას, რომლის სამხრ.-დასავლეთი ბოლო მთავრდებოდა წვრილი ქვებით. როგორც ჩანს, ქვაყუთი ეკუთვნოდა ბავშვს.

სამარხის სახურავზე ელაგა მსხვილფეხა საქონლის ძვლები და თიხის ჭურჭლის (ხელადის?) პირის ორი ნატეხი, მოყვითალო ფერის სქელკედლიანი (სავ. № 75: 22).

მიცვალებულის ხელებთან, ე. ი. სამარხის ჩრდ.-დასავლეთი კედლის შუა ნაწილში აღმოჩნდა თიხის ცალყურა ჭოთანი, არათანაბრად გამომწვარი: მოყვითალო-მონაცრისფრო ფერის, შავი ადგილებით. პირგანიერი, მრგვალმუცლიანი, ძირვიწრო. ოვალურგანივკვეთიანი ყური ებმის მუცელზე. h — 12,4 სმ, max. d — 11,2 სმ (სავ. № 75: 21, V სურ. 1_{16}). სამარხში სხვა ნივთი არ აღმოჩენილა.

№ 5 და № 6ა ქვაყუთებს შორის 80 სმ სიღრმიდან მიწას ამოჰყვა რკინის სამაჯურის ნატეხები, რომლის მრგვალგანივკვეთიანი ღერო შემკულია ბურთულისებრი შემსხვილებებით (სავ. № 75: 23).

ქვაყუთები № 6 და № 6ა აღმოჩნდა 90 სმ სიღრმეზე. ორივე გადახურული იყო ერთი დიდი მთლიანი ლოდით და რამდენიმე წვრილი ქვით. ორივე სამარხის მთლიანი სიგრძე უდრიდა — 1,55 სმ. სიგანე — 76 სმ. მათი კედლები ნაგები იყო თითო მთლიანი ქვით. აკლდა № 6ა სამარხს სამხრეთ-დასავლეთი კედელი. სამარხების გამყოფი ქვის (ტიხარის) სიგანე — 15 სმ უდრიდა. ორივე სამარხი ოთხკუთხა ფორმისა იყო, დამხრობილი ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ (ტაბ. $XVII_2$).

სამარხების სახურავზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები, აგრეთვე, თიხის ჭურჭლის ნატეხები (სავ. № 75: 24 — 25).

№ 6 ქვაყუთის შიდა ზომებია: სიგრძე — 60 სმ, სიგანე — 76 სმ, სიმაღლე — 40 სმ. სამარხი, როგორც ჩანს, ბავშვს ეკუთვნოდა.

მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა თიხის ცალყურა კოჭობი მონაცრისფრო-მოყვითალო ფერის. პირგანიერი, ყელდაბალი, ცილინდრულივით ტანით, ბრტყელი, განიერი ძირით. პატარა ყური მრგვალგანივკვეთიანია და ებმის პირსა და მუცელზე. ჭურჭელი ხელით ნაძერწი ჩანს. სქელკედლიანია, ასიმეტრიული. h — 8, 4 სმ, max. d — 9,8 სმ (სავ. № 75: 26, სურ. 2_{18}).

თიხის ცალყურა ჭოთანი აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის უკან, სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ჭურჭელი მოშავო-მოყავისფრო ფერისაა. პირგანიერი, ყელდაბალი, ძირგანიერი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარსა და მუცელზე. h — 15,3 სმ, max. d — 15,8 სმ (სავ. № 75: 27, სურ 2_{19}).

მიცვალებულის თავის ქალას არეში იდო ვერცხლის საყურე — რგოლები (2 ც.), რომლებიც ბოლოებთან დაბრტყელებულია, გახვრეტილი და წააგავს ფრინველის თავის სქემატურ გადმოცემას. d—1,9 სმ (სავ. № 75: 28, სურ. 2_{21}).

მიცვალებულის ხელის ძვლებთან იდო რკინის სამაჯურები (2 ც.), რომლებიც ამჟამად ძალზე დაზიანებულია (გატეხილია 9 ნაწილად) და ფორმაგაურკვეველი. როგორც ჩანს, რკალი მთელ სიგრძეზე შემკული ყოფილა ბურთულისებური შემსხვილებებით (სავ. № 75: 29, სურ. 2_{20}).

სამაჯურების მახლობად აღმოჩნდა რკინის მრგვალგანივკვეთიანი ღეროს (საკინძის?) ნატეხები, რომელზეც შერჩენილია ქსოვილის ანაბეჭდები (სავ. № 75: 30).

ჩონჩხის ყელის არეში 23 ცალი მძივი შეგროვდა. სარდიონის 14 მძივი მოვარდისფრო-მოწითალო ფერისაა. ცილინდრული, მილისებური, ხუთწახნაგა, ბიკონუსური, შინდისებური ფორმის. გიშრის (?) მძივები (7 ც.) — 4 წახნაგაა. პასტისა — შინდისებური და მრგვალი (2 ც), მოყავისფრო და მოყვითალო ფერის (სავ. № 75: 31, სურ. 2_{22}).

ქვაყუთი № 6ა-ში დაკრძალული მიცვალებულის ძვლები არეული ჩანდა. თავის ქალას ადგილისა და ზოგი ძვლის მდებარეობის მიხედვით ჩანდა მიცვალებულის იგივე დამხრობა და პოზა. ამ სამარხის ზომებიც იგივე იყო. სიმაღლე კი 35 სმ უდრიდა.

№ 6ა ქვაყუთში მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა თიხის მხოლოდ ერთი ჭურჭელი — ცალყურა ჭოთანი მოყავისფრო-მოყვითალო ფერის, პირგადაშლილი, ყელდაბალი, მცირედგამობერილმუცლიანი, ძირგანიერი. მუცლის ზემო ნაწილზე მიძერწილი ბრტყელი ყურით. ჩ — დაახლ. 16 სმ. სამარხი ღარიბული იყო, ან შესაძლებელია, გაძარცულიც, ვინაიდან მასში სხვა ნივთი არ აღმოჩენილა.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 7 (სურ. 2_{23-29}) მდებარეობდა № 6 სამარხის ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,17 მ მანძილზე. ქვაყუთი აღმოჩნდა 75 სმ სიღრმეზე. მისი გარე ზომები იყო: სიგრძე — 1,30 მ, სიგანე — 85 სმ, სიმაღლე — 40 სმ. შიდა ზომებია: სიგრძე — 90 სმ, სიგანე — 41 სმ, სიმაღლე — 30 სმ.

ქვაყუთის სახურავი წარმოადგენდა ორ დიდ ფილას, რომელიც შუა ადგილას ჩრდილო და აღმოსავლეთ მხარეებში შევსებული იყო სხვადასხვა ფორმის წვრილი ქვებით. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლები ნაგები იყო თითო დიდი ფილით. სამხრეთ-დასავლეთი კედელი ერთი ფილით, მაგრამ კუთხეში აკლდა ერთი წვრილი ქვა. ჩრდილო-დასავლეთ კედელი კი ერთი დიდი და ორი პატარა ქვით.

სამარხის სახურავ ქვაზე იდო თიხის ჯამი ტუჩიანი ლენტური ყურით. მოყვითალო-მონაცრისფრო ფერისა (სავ. № 75: 33): რკინის დანის ნატეხები (სავ. № 75: 38), რკინის სამაჯურის ნატეხები, რომელიც ზურგშეზნექილი უნდა იყოს (სავ. № 75: 39), ბრინჯაოს ვიწრო მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან ნაკეთები რგოლის ოთხი ნატეხი (სავ. № 75: 40).

მე-8 სამარხში მიცვალებულის ფეხებთან აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი: ხელადა, რომელიც იდო სამარხის სამხრეთ კუთხეში. ტოლჩისებური ჭურჭელი — სამარხის დასავლეთ კუთხეში.

ხელადა მოყვითალო-მოვარდისფრო ფერისაა. პირგანიერი, ყელდაბალი; მრგვალმუცლიანი, ოდნავ განიერი ძირით, მრგვალგანივკვეთიანი ყურით. ჩ — 14 სმ, max. d — 12 სმ (სავ. № 75 : 34).

ტოლჩისებური ჭურჭელი მოყვითალო-მონაცრისფრო ფერისაა. პირგანიერი, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი, ძირვიწრო. ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო ყურით, თხელკედლიანი. h — 10 სმ, max. d — 12 სმ (სავ. № 75 : 35).

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან, მიცვალებულის ზურგის არეში აღმოჩნდა რკინის შუბისპირი — გრძელი, ფოთლისებური პირით, უქედო. მასრის ბოლოზე შერჩენილი ქსოვილის ნაშთით. სიგრძე — 35,3 სმ (სავ. № 75: 36).

რკინის შუბისპირთან იდო აგრეთვე, რკინის დანის ბრტყელი ტარის ნატეხები, რომელზეც სამი მანჭვალია დარჩენილი (სავ. № 75: 37).

ჩონჩხის თითის ფალანგებთან აღმოჩნდა რკინის ბეჭედი, რომელსაც თვალბუდე ოდნავ შესამჩნევად აქვს ამოწეული (სავ. № 75: 41).

მიცვალებულის ფეხებთან ეყარა გიშრის (?) მძივები (2 ც.), მოგრძო კასრისებური ფორმის (სავ. № 75: 42).

ქვაყუთი № 8. გაითხარა № 7 ქვაყუთის აღმოსავლეთით 60 სმ მანძილზე. სამარხი აღმოჩნდა 80 სმ სიღრმეზე. ის ძალზე პატარა ზომისა იყო. მისი გარე ზომებია: სიგრძე — 71 სმ, სიგანე — 53 სმ, სიმაღლე — 50 სმ. შიდა ზომებია: სიგრძე — 50 სმ, სიგანე — 30 სმ, სიმაღლე — 30 სმ.

სამარხის სახურავი ქვა წარმოადგენდა ერთ ბრტყელ ფილას. სამი კედელი ნაგები იყო თითო ფილისაგან, სამხრეთ-დასავლეთი კედელი ორი ასეთივე ქვისაგან. სამარხში გამჭრალი იყო მიცვალებულის ძვლები. თავის ქალაც თითქმის მთლიანად ჩაშლილი აღმოჩნდა.

ჩონჩხის ყელის არეში აღმოჩნდა მინისა და მინისებრი პასტის ბრტყელი, „ბორბლისებური“, თეთრი, მოყვითალო და მოცისფრო მძივები (23 ცალი მთელი და რამდენიმე წვრილი ნატეხი. სურ. 2_{30}). სამარხში სხვა ნივთი არ აღმოჩენილა. ჩანს, ქვაყუთი ეკუთვნოდა ჩვილ ბავშვს.

ქვაყუთი № 9. აღმოჩნდა ქვაყუთი № 8-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთით 13 სმ მანძილზე. ის მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 80 სმ სიღრმეზე. ქვაყუთი თითქმის ოთხკუთხა ფორმისა იყო. მისი გარე ზომებია: სიგრძე — 88 სმ, სიგანე — 78 სმ, სიმაღლე — 40 სმ. შიდა ზომებია: სიგრძე — 60 სმ, სიგანე — 58 სმ, სიმაღლე — 27 სმ.

სამარხის სახურავი ნაგები ჩანდა ერთი ქვისაგან, რომელიც შიგ იყო ჩაწოლილი. კედლებად გამოყენებული იყო თითო ბრტყელი ქვა.

მიცვალებულის ფეხებთან, სამარხის დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა თიხის ერთი ჭურჭელი — ცალყურა ჭოთანი. მოშავო-მონაცრისფრო ფერის. მოყავისფრო ადგილებით. პირგანიერი, ყელდაბალი. მცირედ გამობერილი მუცლით, ოდნავ ვიწრო ძირით, ოვალურგანივკვეთიანი ყურით. h — 19 სმ, max. d — 18 სმ (სავ. № 75: 44, სურ. 2_{29}).

ჩონჩხის თითის ფალანგებზე წამოცმული იყო ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან ნაკეთები რგოლები (სავ. № 75: 44ა).

თავის არეში იდო ბრინჯაოსავე საყურე — რგოლი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა (სავ. 75: 45), ხოლო მიცვალებულის მაჯის ძვლების მიდამოებში აღმოჩნდა რკინის მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან ნაკეთები სამაჯურის ნატეხები (სავ. № 75: 46).

ქვაყუთი № 10. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 75 სმ სიღრმეზე. მისი სახურავი ქვა ნაგები იყო ორი მოზრდილი ბრტყელი და ორი წვრილი ქვისაგან. სამი კედელი — თითო ლოდისაგან. აღმოსავლეთ კედელი — ერთი დიდი და ერთიც მომცრო ქვისაგან.

სამარხის გარე ზომებია: სიგრძე — 81 სმ, სიგანე—50 სმ, სიმაღლე—30 სმ. შიდა ზომებია: სიგრძე — 45 სმ, სიგანე — 40 სმ, სიმაღლე — 20 სმ.

სამარხის გარეთ, მის ჩრდილო კედელთან აღმოჩნდა თიხის ჯამი, მონაცრისფრო ფერის, პირმოყრილი. h — 4,8 სმ, max. d — 1,5 სმ (სავ. № 75: 49).

მიცვალებულის თავის ქალა ჩაშლილი იყო. ძვლების განლაგებით კი მისი პოზა კარგად იხაზებოდა.

მიცვალებულის თავთან, სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა თიხის ხელადა მოყავისფრო-მოყვითალო ფერის, შავი ადგილებით. პირგანიერი, ოდნავ მომაღლო ყელით, მცირედ გამობერილი მუცლით, ძირგანიერი, მრგვალგანივკვეთიანი ყურით. h — 16.6 სმ, max. d — 12, 5 სმ (სავ. № 75: 47, სურ. 2_{31}).

თიხის მეორე ხელადა აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან, სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ხელადა მოყავისფრო-მოყვითალო ფერისაა, მონაცრისფრო ადგილებიანი. აქვს ძალზე დანაკვთული სამტუჩა პირი; მაღალი, ვიწრო ყელი: გამობერილი მუცელი: საშუალო სიგანის ძირი: ოვალურგანივკვეთიანი ყური. ჩ — 13,5 სმ, max. d — 11 სმ (სავ. № 75: 48, სურ. 2_{32}).

ამავე ქვაყუთის მიწაში გამოვლინდა თხელკედლიანი, წითლად შეღებილი თიხის ჭურჭლის კედლის პატარა ნატეხი (სავ. № 75: 50).

მიცვალებულის ყელის არეში იდო რკინის მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან ნაკეთები ხატისუღელის ნატეხები (სავ. № 75: 41), ხოლო თავის არეში ბრინჯაოს ვიწრო მრგვალგანივკვეთიანი ღეროს საყურე-რგოლები (2 ც.). (სავ. № 715: 52, სურ. 2_{33}).

№ 3 თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან კიდევ ორი ქვაყუთის (№№ 11, 12) კედლების გამოჩენის გამო, საჭირო გახდა ამ თხრილის ჩრდილო-დასავლეთი ნაპირის გადაწევა დაახლოებით 1 მეტრით.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 11. აღმოჩნდა № 7 ქვაყუთის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 50 სმ მანძილზე. მიწის ზედაპირიდან 80 სმ სიღრმეზე.

მისი გარე ზომებია: სიგრძე — 1,30 სმ, სიგანე — 90 სმ, სიმაღლე — 48 სმ. შიდა ზომებია: სიგრძე — 98 სმ, სიგანე — 65 სმ, სიმაღლე — 20 სმ. სამარხის სახურავად გამოყენებული იყო ერთი ძალზე დიდი ზომის სქელი ფილა (სისქე — 18 სმ, სიგრძე — 1,15 სმ, სიგანე — 70 სმ). კედლებიც ნაგები იყო ასევე სქელი თითო მთლიანი ფილით.

სამარხის გარეთ, მის ჩრდილო კედელზე მიდგმული იყო თიხის ცალყურა ქოთანი მონაცრისფრო ფერის, პირგანიერი, ყელდაბალი, მუცელმომრგვალებული, ძირგანიერი, ოვალურგანივკვეთიანი პატარა ყურით. h — 12,7 სმ, max d — 14,2 სმ (სავ. № 75 : 53, სურ. 2_{34})

სამარხის გარეთ, მის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა აგრეთვე საქონლის თავის ქალა. მიცვალებულის ჩონჩხი ქვაყუთში ცუდად იყო დაცული. ჩაშლილი იყო თავის ქალა. ძვლების ნაშთების განლაგების მიხედვით ჩანდა, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე ძალზე მოხრილი კიდურებით.

მიცვალებულის თავის ქალასთან, სამარხის ჩრდილო კუთხეში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი: 1. ჯამფიალა, შავადგამომწვარი, ოდნავ მომრგვალებული კალთებით, ბრტყელძირიანი, ასიმეტრიული. h — 5,3 სმ, max. d — 14,4 სმ (სავ. № 75 : 54, სურ. 2_{38}). და 2. ცალყურა ქოთანი. მოყავისფრო-მოშავო ფერის. პირგანიერი, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ოდნავ ძირვიწრო, ოვალურგანივკვეთიანი პატარა ყურით. h — 17,7 სმ, max. d — 17,4 სმ (სავ. № 75: 55). ტაბ. V_{35}.

მიცვალებულის ფეხებთან აღმოჩნდა მეტად საინტერესო ჭურჭელი — მილიანი ხელადა. ის მოყვითალო-მოვარდისფრო ფერისაა. პირგადაშლილია, ყელდაბალი, სფერულმუცლიანი, ძირვიწრო, ლენტურყურიანი. h — 17, 4 სმ, max. d — 15,6 სმ (სავ. № 75 : 56, სურ. 2_{37}). თავის ქალას არეში ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან ნაკეთები საყურე — რგოლები (2 ც.) (სავ. № 75:57, სურ. 3_{36}), მაჯის ძვლებზე სურ. 3_{38}. ბრინჯაოს სამაჯურები: 1. ბაწრისებურად გრეხილღეროიანი (სავ. № 75: 58,) 2. მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, რომლის რკალიც მთელ სიგრძეზე დაფარულია განივი ჭდეული ზოლებით და 4 ადგილას ბურთულისებური შემსხვილებებით (სავ. № 75: 59, სურ. 3_{42}). 3. ბოლოებშევიწროებული სამაჯური (სავ. № 75: 60, სურ. 3_{34} და 4. ზურგშეზნექილი სამაჯური, რომლის დაბრტყელებული, ოდნავ შევიწროებული ბოლოები წარმოადგენს ქვეწარმავლის თავების ძალზე სქემატურ გადმოცემას. სამაჯურის რკალი შემკულია გეომეტრიული ჭდეული ორნამენტით (სავ. № 75: 61, სურ. 3_{45}.) მიცვალებულის თითის ძვლებზე იყო ბრინჯაოს ორი ბეჭედი: ერთი ბრტყელღეროიანია, ზედაპირშემკული განივი ჭდეული ხაზებით. მეორე თვალბუდიანი. თვალბუდე მიღებულია ბრინჯაოსავე ვიწრო მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ჩახვევით (სავ. № 75: 62, სურ. 3_{40}).

მიცვალებულის გულმკერდის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძი თავდაბრტყელებული და გახვრეტილი, რომელზეც წამოცმულია ბრინჯაოსავე ძეწკვი (სავ. № 75 : 63, სურ. 3_{41}). მიცვალებულის გულმკერდის არეშივე იდო რკინის ღერო, ძლიერ დაზიანებული, ფორმაგაურკვეველი, ზედ შერჩენილი ქსოვილის ანაბეჭდით. ყელის არეში გამოვლინდა სხვადასხვა მასალისაგან (პასტა, მინისებრი პასტა, სარდიონი) ნაკეთები, სხვადასხვა ფორმის 33 ცალი მძივი (სურ. 3_{47}). სამარხის ცენტრში ეგდო ობსიდიანის ლამელაც (სურ. 3_{46}).

უნდა აღვნიშნოთ, რომ გომარეთის სამაროვანზე 1975 წ. გათხრილი სამარხებიდან ქვაყუთი № 11 გამოირჩეოდა მასალის მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით.

ქ ვ ა ყ უ თ ი № 12 მდებარეობდა № 7 ქვაყუთის ჩრდილოეთით 76 სმ მანძილზე. მიწის ზედაპირიდან 90 სმ სიღრმეზე. მისი გარე ზომებია: სიგრძე — 1,30 სმ, სიგანე — 90 სმ, სიმაღლე — 40 სმ. შიდა ზომებია: სიგრძე — 80 სმ, სიგანე — 50 სმ, სიმაღლე — 30 სმ.

სამარხის სახურავად გამოყენებული იყო მოზრდილი ორი ფილა და რამდენიმე წვრილი ქვა. კედლები კი ნაგები იყო — თითო მთლიანი ქვისაგან.

სხვა ქვაყუთებისაგან განსხვავებით, ამ სამარხში მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე ძალზე მოხრილი ქვედა კიდურებით.

სახურავ ქვაზე იდო თიხის ორი ჭურჭელი: 1. კოჭობი მოყავისფრო-მოწითალო ფერის. ვიწრო ბრტყელძირიანი. h — 4,7 სმ, max. d—9,7 სმ (სავ. № 75: 67, სურ. 3_{50}). და 2. ქოთანი (?) მოშავო-მოყავისფრო ფერის, სქელკედლიანი, ძალზე დაზიანებული (სავ. № 75 : 68). აქვე, სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა თიხის სხვა ჭურჭლის (ჯამის?) ნატეხებიც (სავ. № 75: 69). სამარხის სახურავზე დიდი რაოდენობით ეყარა საქონლის ძვლებიც. ხოლო ქვაყუთის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილი იყო საქონლის თავის ქალას ნაშთები.

მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი: 1) კოჭობი — მოშავო ფერის, პირვიწრო, ყელდაბალი, მუცელგამობერილი; ბრტყელი, ასიმეტრიულძირიანი. h — 5,8 სმ, max. d — 8,6 სმ (სავ. № 75 : 70, სურ. 3_{51}); 2.

ხელადა—მოყვითალო-მოვარდისფრო ფერის; პირვიწრო; დაბალი და გამობერილი მუცლით; ძირგანიერი; მრგვალგანივკვეთიანი ყურით. h — 11 სმ, max. d — 9,5 სმ (სავ. № 75 : 71, სურ. 3_{49}).

ჩონჩხის გულმკერდის არეში იდო: 1) რკინის პირმოხრილი, ბრტყელტარიანი დანა (სავ. № 75: 72, სურ. 3_{52}) და 2) რკინის რგოლი (ბეჭედი?), ზედ შერჩენილი ქსოვილის ანაბეჭდით (სავ. № 75: 73).

მიცვალებულის ყელის არეში აღმოჩნდა ლურჯი მინის ორი მძივი ინკრუსტირებული თეთრი თვლებით (სავ. № 75: 74, სურ. 3_{53}).

ამრიგად, გომარეთის სამაროვნის ახლადგათხრილ სამარხებში გამოვლინდა 74 დასახელების 200-მდე ნივთი.

როგორც სამარხების აღწერილობიდან ჩანს, ყველა ქვაყუთში მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ ისეთივე წესით, როგორიც საერთოდ დამახასიათებელი იყო ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ქვემო ქართლისათვის. აქაც მიცვალებულისათვის თიხის ჭურჭლის, სამკაულის და ზოგ შემთხვევაში იარაღის ჩატანებაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. თუმცა გვხვდება ისეთი სამარხებიც, სადაც მხოლოდ თიხის ჭურჭელი იყო ჩატანებული (ქვაყუთი № 5,) ან მხოლოდ სამკაული (ქვაყუთი № 8). მაშასადამე, ზოგი სამარხი შეიცავდა მხოლოდ 2 — 3 ნივთს, ზოგი კი გამოირჩეოდა ნივთების შედარებით მრავალრიცხოვნობით. ჩანს, გომარეთის სამაროვანი ეკუთვნოდათ საშუალო შეძლების ადამიანებს. ამ სამაროვანზე არც ერთი მდიდრული სამარხი არ აღმოჩენილა.

– როგორც სამარხეული მასალების აღწერილობებიდან დავინახეთ, გომარეთის ქვაყუთებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ძირითადად მუქი ფერისაა (მოყავისფრო-მონაცრისფრო, ან მოშავო-მონაცრისფრო, მოყავისფერო. შავი). აქ გამოვლენილი 30-მდე თიხის ჭურჭლიდან ღია ფერისაა (მოყვითალო-მოვარდისფრო, მოყვითალო) მხოლოდ 4 ჭურჭელი. არ აღმოჩენილა წითლად შეღებილი არც ერთი ჭურჭელი, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ პატარა, თხელკედლიან ნატეხს, რომელიც № 10 ქვაყუთის მიწაყრილში აღმოჩნდა. არ აღმოჩენილა აგრეთვე, არც ერთი მოხატული ჭურჭელი ერთი ნატეხის გარდა, რომელიც № 1 თხრილიდან ამოყრილ მიწას ამოყვა. მაშასადამე, ყველა ჭურჭელი სადაა, უორნამენტო.

თიხის ყველა ჭურჭელი ნაკეთებია მორგვზე ზოგი გამონაკლისის გარდა, რომელიც ხელით უნდა იყოს ნაძერწი. მიუხედავად მხატვრულად სიღარიბისა, თვალშისაცემია ფორმათა მრავალფეროვნება. ერთი და იმავე დასახელების ჭურჭლებსაც კი სხვადასხვა ფორმა აქვს. მაგ., ხელადები, რომელიც ყველაზე მეტი რაოდენობით აღმოჩნდა (7 ც.), ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცალკეული ნაწილების პროპორციებით. ზოგი ძირგანიერია, ზოგი ძირვიწრო. ზოგი ყელმაღალი, ზოგი ყელდაბალი. ერთი ჭურჭელი მკვეთრადდანაკვთულ სამტუჩაპირიანია, ერთი ხელადა კი მილიანი და ზუსტად იმავე ფორმას იმეორებს, როგორიც გავრცელებული იყო ადრეანტიკური ხანის ძვ. წ. VI — V სს. დათარიღებულ სამარხებში (ბეშთაშენი, კუმისი, კიკეთი). სხვაობა ამ ორი პერიოდის მილიან დოქებს შორის მხოლოდ ზომაშია.

რაოდენობრივად ხელადებს არ ჩამორჩებიან ცალყურა ქოთნები. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ძირითადად ზომით. ასევე ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმისა და ზომისანი არიან უყურო და ყურიანი კოჭებები, ტოლჩისებური ჭურჭლები (2 ც.), თიხის ჯამები (3 ც.). ჩვენ მიერ ზემოთ აღ-

წერილი თიხის თითქმის ყველა ჭურჭელი (გარდა მილიანი ხელადის, ტუჩიანი ჯამის, ტოლჩისებური ჭურჭლის) ფორმით, ფერით, თიხით, დამზადების ტექნოლოგიით, სრულიად მსგავსია 1962 წ. გომარეთის ამავე სამაროვანზე გათხრილი ქვაყუთებიდან გამოვლენილი თიხის ჭურჭლებისა.

ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნები: ჭურჭლის მცირე ზომა, ზოგ შემთხვევაში განიერი ძირი (ახასიათებს მხოლოდ ათამდე ჭურჭელს, ყველაზე მეტად ხელადებს და შემდეგ კოჭებს), მკვეთრად დანაკვთული სამტუჩა პირი და სხვა, თავმოყრილია გომარეთის სამაროვნის ამ ახლადგათხრილ სამარხებში მოპოვებულ თიხის ჭურჭლებშიც. მაგრამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ ჭურჭელთა შორის ბევრია ისეთიც (ცალყურა ქოთნები, ცალყურა და უყურო კოჭები, შავადგაპრიალებული ჯამი), რომელიც მსგავსებას იჩენს ფორმითა თუ ფერით ადრეანტიკური ხანის მასალებთანაც (ყერძოდ, ბეშთაშენის, ახალსოფლის).

ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი ნიშანი — სამარხებში იარაღის მცირე რაოდენობით გამოვლენა, ან საერთოდ მათი სრული გაქრობა — ახასიათებთ გომარეთის ამ ახალადგათხრილ ქვაყუთებსაც. 12 ქვაყუთსა და ერთ ორმოსამარხში გამოვლინდა რკინის 3 დანა და 1 შუბისპირი. ბრინჯაოს 1 ცალი სამფრთიანი ე. წ. „სკვითური ტიპის“ ისრისპირი აღმოჩნდა № 1 თხრილში.

საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, ბრინჯაოს სამფრთიანი, მრგვალმასრიანი, სკვითური ტიპის ისრისპირები, ძირითადად გავრცელებული ჩანს ძვ. წ. VII — IV სს. დათარიღებულ მასალებს შორის (სამთავროს ორმოსამარხები[5], განთიადის[6], მინგეჩაურის[7], ჯრარატის[8], ჩრდ. შავიზღვისპირეთის სამარხები[9] და სხვ.).

ა. მელიუკოვამ თავის გამოკვლევაში სკვითური ტიპის სხვადასხვა სახის იარაღებთან ერთად შეისწავლა რკინის შუბისპირებიც. მოგვცა მათი კლასიფიკაცია და გომარეთის შუბისპირის მსგავსი იარაღების შესახებ გააკეთა გარკვეული დასკვნა, რომ გრძელპირიანი, უქედო შუბისპირები ჩრდ. შავიზღვისპირეთის სამარხებში ჩნდებიან ძვ. წ. V — IV სს. და ყველაზე მეტ გავრცელებას ღებულობენ ძვ. წ. IV — III სს[10]. ვანში, წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩენილი შუბისპირიც ამავე ტიპისაა და თარიღდება ძვ. წ. IV ს. III მეოთხედით[11].

გომარეთის სამაროვანზე აღმოჩენილი რკინის დანები წარმოდგენილია ნატეხებით. მიუხედავად ამისა, მაინც ჩანს, რომ ისინი ეკუთვნიან მცირე ზომის

---

5 რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართოდ ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, ტ. XIX — B და XXI — B, თბ., 1957, გვ. 127.

6 გ. ავალიშვილი, ო. სანებლიძე, არქეოლოგიური გათხრები ქვემო ქართლში, ჟურნ. „მაცნე“, თბ., 1967, № 4 (37), გვ. 237 — 238.

7 С. М. Казиев, Археологические раскопки в Мингечауре, МКА, т. I, с. 27.

8 А. О. Мнацаканян, Г. А. Тирацян, Новые данные о материальной культуре древней Армении», Известия. Общественные науки, 1961, № 8, Ереван.

9 А. И. Мелюкова, Вооружение скифов, Археология СССР, Свод археологических источников, выпуск Д 1—4, 1964, гз. 29. სურ. 1. ტიპი 4-ა, 1, 2, 5, 6.

10 А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

11 ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჰყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ., ვანი 1, თბ., 1972, გვ. 203, სურ. 175.

პირმოხრილი, ბრტყელტარიანი დანების იმ ჯგუფს, რომელთა გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ძალზე ფართოა და ამიტომაც სამარხეული კომპლექსების დათარიღებისათვის ნაკლებად დასაყრდნობი.

გომარეთის ქვაყუთებში აღმოჩენილი სამკაულებიც მრავალფეროვანია. ყველაზე მეტი რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოს სადა საყურე-რგოლები (7 ც.), ისინი სამარხებში ჩატანებული იყო წყვილად. მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ერთი ცალი. წყვილადვე ყოფილა ჩატანებული ვერცხლის ბოლოებგახვრეტილი საყურე-რგოლებიც. ასეთი სამკაულის მოდაში შემოსვლა ძვ. წ. VII — VI სს. შეინიშნება (სამთავროს ორმოსამარხები[12], ბეშთაშენის[13], კიკეთის[14] და ა. შ.) და გავრცელებული ჩანან ადრეელინისტურ ხანაშიც (თეთრიწყაროს[15], დაფნარის[16] ქვევრსამარხები). საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამთავროში ბოლოებგახვრეტილი, ზოგ შემთხვევაში მასზე მძივწამოცმული ვერცხლის საყურეები, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოდაში ყოფილა ძვ. წ. VII — VI სს. მაგრამ ამავე ტერიტორიაზე გათხრილ ძვ. წ. II—I სს. ქვევრსამარხებში ბოლოებგახვრეტილი საყურე-რგოლის აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის დამოწმებული. ასეთი რგოლები არ გვხვდება არც ურბნისის ელინისტური ხანის სამარხებში და არც ქვემო ქართლის ძვ. წ. II — I სს. დათარიღებულ სამაროვნებზე (სანთა, შულავერი).

გომარეთის ახლადგათხრილ ქვაყუთებში გამოვლენილი ნივთებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს № 2 ქვაყუთში აღმოჩენილი საყურე ბრინჯაოს რგოლითა და პასტის კონუსისებური საკიდით, რომლის ანალოგიაც ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის და ამიტომ მის შესახებ ვერაფერს ვიტყვით.

ასევე განცალკევებით დგას № 11 ქვაყუთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭედიც. ბრინჯაოსავე ღეროს სპირალურად ჩახვევით მიღებული თვალბუდით. ზუსტად ასეთივე ფორმის ბეჭედი აღმოჩენილია სოფ. დიდ ლილოში პრიზმისებურთავიან ბრინჯაოს საკინძებსა და სხვა ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ ნივთებთან ერთად[17]. ასეთი ფორმის თვალბუდიანი ბეჭედი გვხვდება სამთავროს № 227 ქვევრსამარხში[18]. მაგრამ გომარეთისა და დიდი ლილოს ბეჭდებისაგან განსხვავებით სამთავროს ბეჭდის ბრტყელ რკალზე თვალბუდის სპირალი აღარ გრძელდება. მაშასადამე, როგორც ჩანს, ბეჭდის ეს ფორმა ჩნდება ადრეანტიკურ ხანაში და გარკვეული სახეცვლილებებით არსებობს გვიანელინისტურ პერიოდშიც.

გომარეთის ქვაყუთებში აღმოჩნდა ბრინჯაოს 6 და რკინის 6 სამაჯური. ბრინჯაოს სამაჯურებიდან ზოგის ბოლო ქვეწარმავლის თავების სტილიზებულ

---

[12] იხ. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების „სამთავროს ფონდში“ 1939 წ. N უბნის ორმოსამარხები №№ 191, 210. 1940 წ. N უბნის ორმოსამარხები №№ 57, 117, 129.

[13] იხ. ამავე განყოფილების „თრიალეთის ფონდში“ ინვ. № 169—64: 54, 125, 172.

[14] იხ. ამავე განყოფილების „მცირე ექსპედიციების 1 ფონდში“ ინვ. № 40 — 58: 40.

[15] ა. ბოხოჩაძე, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად. მასალები საქ. და კავკ. არქეოლოგიისათვის, ტ. III, 1963, ტაბ. V, სურ. I.

[16] იხ. მუზეუმის არქეოლოგიის განყ. „მცირე ექსპედიციების 1 ფონდში დაცული დაფნარის სამაროვნის ქვევრსამარხი № 15. სავ. № 56.

[17] იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების „ძირითად ფონდში“ ინვ. № 180 — 970: 19.

[18] იხ. ამავე განყოფილების „სამთავროს ფონდში“ ინვ. № 12 — 54; 11811 (1940 წ. უბანი).

გადმოცემას წააგავს. ზოგი ოდნავ გაწვრილებულბოლოებიანია. ერთი სამაჯურის ღერო გრეხილია. ერთი კი ზურგშეზნექილია და ისიც აღმოჩენილი სწორზურგიან ბრინჯაოს სამ სამაჯურთან ერთად ერთ სამარხში. ზოგი სამაჯურის რკალი შემკულია განივი და სიგრძივი ჭდეული ხაზებით და ზოგჯერ მათ შორის მოთავსებული ბურთულისებური მონაკვეთებით.

ეს სამაჯურები ფორმით (გარდა ზურგშეზნექილი სამაჯურისა), ორნამენტის სახით და მისი შესრულების ტექნიკით, უფრო მეტად უახლოვდებიან ადრეანტიკური ხანით დათარიღებულ სამაჯურებს (ბეშთაშენი, კიკეთი), ვიდრე გვიანელინისტური ხანით დათარიღებულ სამაჯურებს (სანთა, შულავერი, სამთავრო, ურბნისი). მაშასადამე, გომარეთის ამ სამაჯურების შესწავლისას თვალშისაცემია ადრეანტიკური ხანის სამაჯურებიდან მომდინარე ტრადიციები (ე. ი. ნიშნები იმ პერიოდის სამაჯურებისთვის დამახასიათებელი). მაგრამ ამავე დროს, მათ გაფორმებასა და ბოლოების გადაწყვეტაში სიახლე და გარდამავალი ელემენტები შეინიშნება. ასეთი სახის სწორზურგიან სამაჯურებთან ერთად ზურგშეზნექილი სამაჯურის აღმოჩენაც ამ სიახლის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.

ადრეელინისტური ხანით გომარეთის მასალების დათარიღებას არ ეწინააღმდეგებიან აქვე აღმოჩენილი სხვა ნივთებიც — რკინის სამაჯურები ღერო შემკული ბურთულისებური შემსხვილებებით, ბრინჯაოს ძეწკვები, თავდაბრტყელებული და ყელგახვრეტილი საკინძი, რკინის ხატისულელი, სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთები (სარდიონი, მინა, მინისებრი პასტა) სხვადასხვა ფორმის და ფერის მძივები. ამ მძივებს შორის შედარებით მცირეა სარდიონის მძივების რაოდენობა. რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენა არ არის. ეს ფაქტიც, როგორც უკვე ბევრჯერ იქნა სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული, ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ელინისტური ხანის სამარხებისათვის.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ მასალის საერთო იერის, ზემოთ მოტანილი მცირეოდენი ანალოგებისა და 1962 წ. გომარეთში ამავე სამაროვანზე მოპოვებული მასალების საფუძველზე, ეს ახლად გათხრილი ქვაყუთებიც წინისწარულად ძვ. წ. IV — III სს. დავათარიღოთ. სამარხებისა და მასალის აღწერილობიდან ჩანს, 1975 წ. სოფ. გომარეთში ვ. მურჯიკნელის ეზოში წარმოებულმა მცირე არქეოლოგიურმა გათხრებმა გაამართლა 1962 წ. არქეოლოგთა მიერ გამოთქმული მოსაზრება ამავე ტერიტორიაზე მეტად საინტერესო და ვრცელი სამაროვნის არსებობის შესახებ.

1975 წლის სექტემბერში უამინდობისა და დროის შეზღუდვის გამო ჩვენ გათხრები ჩავატარეთ სამაროვნის მცირე ტერიტორიაზე. გარკვეული მონაცემების და თვით ადგილობრივი მცხოვრებლების მითითებით იგრძნობა, რომ სამაროვანი კვლავ გრძელდება. თვით ეზოს პატრონი ვ. მურჯიკნელი მრავალი ნიშნის საფუძველზე ვარაუდობს იქვე, რამდენიმე ადგილას სამარხების არსებობას.

ვფიქრობთ, რომ გომარეთში, ვ. მურჯიკნელის ეზოში გამოვლენილი სამაროვანი, ქვემო ქართლის ელინისტური ხანის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, იძლევა მეტად საინტერესო და საყურადღებო მასალას. ამიტომ, ჩვენი აზრით, შემდგომში ამ სამაროვნის სრულყოფილი შესწავლა საჭიროა და აუცილებელიც.

ექსპედიციის მიზანი იყო აგრეთვე, მცირე დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება გომარეთის მიდამოებშიც.

სოფ. გომარეთის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შემთხვევითი აღმოჩენის ბევრი ადგილი მიგვითითეს, მაგრამ უამინდობის გამო ჩვენ არ გვქონდა საშუა-

ლება ფართო დაზვერვითი სამუშაოების ჩატარებისა. გადავწყვიტეთ გვენახა „პაპუნაანთ წყარო“, რომელიც სოფელ გომარეთის ჩრდილოეთით, დაახლოებით 2 კმ მანძილზე მდებარეობს. ამ ტერიტორიას უკავია ვრცელი ფართობი და დასერილია სიგრძივი, დაახლოებით 20 — 30 მეტრის სიღრმის ხევებით. ამ ადგილებში, ჯერ კიდევ 1962 წ. არქეოლოგებმა მიაგნეს კულტურულ ფენებს წარმოდგენილს ორი ეპოქის — ადრებრინჯაო, გვიანბრინჯაო — რკინის ხანის ნაშთებით.

1975 წ. აქ წარმოებული დაზვერვების შედეგადაც ამ ორი პერიოდის კერამიკის ნატეხები აიკრიფა. ხოლო ერთი დაზიანებული სამარხიდან კი გამოვლინდა ადრებრინჯაოს (?) ხანის გახვრეტილი შვერილისებურყურებიანი თიხის ჭურჭელი.

ვფიქრობთ, რომ ეს ტერიტორიაც არქეოლოგიური თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა და მოითხოვს შემდგომ შესწავლას. აქვე გვინდა აგრეთვე მოგახსენოთ, რომ ამ ტერიტორიაზე შენიშნული ნამოსახლარის ნაშთები და სამარხები ძლიერი წვიმების დროს ინგრევა და ირეცხება.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დაგვეზვერა კიდევ ერთი ადგილი, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიგვითითეს. სოფ. გომარეთის მთავარი გზის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პატარა გორაზეც გავხსენით ფეოდალური ხანის რამდენიმე ქვაყუთი. ყველა სამარხი აღმოჩნდა უინვენტარო, მიცვალებულები კი მათში ესვენენ გაშოტილი პოზით.

Ц. О. ДАВЛИАНИДЗЕ

КРАТКИЙ ОТЧЕТ РАЗВЕДОЧНЫХ РАСКОПОК 1975 ГОДА В СЕЛ. ГОМАРЕТИ

(Табл. XVI—XVII)

В сентябре 1975 года археологическая экспедиция Государственного музея Грузии им. С. Джанашиа, работавшая в сел. Гомарети (Дманисский район), раскопала 12 каменных ящиков и одно грунтовое погребение на приусадебном участке местного жителя В. Мурджикнели.


В погребениях скелеты лежали на правом или же на левом боку, в скорченном положении. Почти во всех могилах были найдены глиняная посуда, украшения и в некоторых случаях, оружие.

На могильнике было выявлено около 30 глиняных изделий, в большинстве случаев темного цвета, или неравномерного обжига; лишь 4 сосуда — светлого тона; это: 1) кувшинчики — с круглым венчиком, трегубые и «чайникообразные»; 2) кувшинчики без ручек или с одной ручкой; 3) кувшины с одной ручкой; 4) миски с вогнутым во внутрь венчиком; 5) кружкообразные сосуды.

Оружие найдены в малом количестве — 3 ножа и 1 наконечник копья. Трехгранный бронзовый наконечник стрелы т. н. «скифского типа» был найден в насыпи, около траншеи № 1.


Украшения разнообразны: браслеты бронзовые, украшенные по концам змеиными головками, или же с заостренными концами; один браслет имеет вогнутую спинку. Браслеты железные — со сферическими утолщениями по всей поверхности. Серьги-кольца, конец некоторых просверлен. Бронзовые булавки, цепь, обломки железной шейной гривны, бусы разной формы и разного материала (сердолик, стекло и стекловидная паста).

Обнаруженный материал предварительно датируется раннеэллинистическим периодом т. е. IV—III в.в. до н. э.




სურ. 1. გომარეთის სამაროვანი: 1—3—ქვაყუთი № 1, 4—9—ქვაყუთი № 2, 10—11—თხრილი № 1, 12 — 13 — ქვაყუთი № 3, 14 — 15 — ქვაყუთი № 4, 16— ქვაყუთი № 5, 17—№ 5 და № 6ა ქვაყუთებს შორის

Рис. 1. Гомаретский могильник: 1—3. Каменный ящик № 1; 4—9 — Каменный ящик № 2; 10 — 11. Траншея № 1; 12 — 13, Каменный ящик № 3; 14 — 15. Каменный ящик № 4; 16. Каменный ящик № 5; 17. Между каменными ящиками № 5 и № 6а.



სურ. 2. გომარეთის სამაროვანი: 18—22— ქვაყუთი № 6, 23—28— ქვაყუთი № 7, 29— ქვაყუთი № 9, 30— ქვაყუთი № 8, 31—33— ქვაყუთი № 10

Рис. 2. Гомаретский могильник; 18 — 22. Каменный ящик № 6; 23 — 28. Каменный ящик № 7; 29. Каменный ящик № 9; 30. Каменный ящик № 8; 31 — 33 — Каменный ящик № 10.



სურ. 3. გომარეთის სამაროვანი: 34—48— ქვაყუთი № 11, 49—53— ქვაყუთი № 12

Рис. 3. Гомаретский могильник: 34 — 48. Каменный ящик № 11; 49 — 53. Каменный ящик № 12

პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლეჟვინაძე, გ. გვინჩიძე

ნოქალაქევის ექსპედიციის 1974 — 1975 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში

(ტაბ. XVIII — XXIII)

— ნოქალაქევი წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს იგივე ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქს IV — VIII საუკუნეებში და კარგად იყო ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსებისათვის (პროკოპი კესარიელი, აგათია და სხვ.) არქეოპოლისის სახელით. ამ წყაროების მიხედვით იგი ეგრისის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ქალაქს წარმოადგენდა[1]. ქართული წყაროების მიხედვით კი, ნოქალაქევი იბერიის მეფის ფარნავაზის თანამედროვე ეგრისის ერისთავის ქუჯის მიერ იყო დაარსებული და მას ამ დროს, ე. ი. ძვ. წ. III ს. დასაწყისში ციხე-გოჯი ეწოდებოდა[2]. სწორედ ეს ქალაქი შეუმუსრავს VIII ს. 30-იან წლებში არაბთა სარდალს მურვან ყრუს, რის მერეც მას შეუწყვეტია არსებობა, როგორც ქალაქს და მხოლოდ ციხედდა დარჩენილა. —

საანგარიშო ორი წლის განმავლობაში ნოქალაქევის შემსწავლელი ექსპედიცია, ერთი მხრივ, აგრძელებდა 1973 წელს დაწყებულ სამუშაოებს, მეორე მხრივ, თანმიმდევრულად აფართოებდა გათხრების არეს[3].

ნაქალაქარის ტერიტორია რთული რელიეფის გამო გასათხრელად ძნელია. ქალაქის ნანგრევები იწყება მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირას და აღმართით ჩრდილოეთისკენ ერთ კილომეტრზე გრძელდება. ქვედა და ზედა დონეებს შორის განსხვავება თითქმის 200 მეტრია. გალავნის შიგნით ქალაქის ქვედა მონაკვეთის სიგანე 400 მეტრს აღემატება. ზემოთ ციტადელის სიგანე კი 50 მეტრის ფარგლებშია.

საანგარიშო წლებში დაწყებული ახალი უბნებიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მეორე აბანოს მიკვლევა. იგი აღმოჩნდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, მაღლა მდინარის ნაპირზე (უბ. IX). დღევანდელი გზის პირას, სამხრეთით მდებარე შემაღლების გაწმენდამ გამოავლინა სწორკუთხა ნაგებობა, რომ-

---

[1] იხ. გ. გოზალიშვილი, ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. XXVI — 6, 1974, გვ. 87 — 154.

[2] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქცა, ტ. I, 1955, გვ. 234 — 235; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქცა, ტ. IV, 1973, გვ. 777.

[3] საანგარიშო წლებში ექსპედიციის ძირითადი ბირთვი ერთი და იგივე იყო. ესენი იყვნენ: პ. ზაქარაია (ხელმძღვანელი), ნ. ლომოური, ვ. ლეჟვინაძე (ხელმძღვანელის მოადგილეები), ლ. ხვედელიძე (რაზმის უფროსი), მ. იაშვილი, მ. ზამთარაძე, მ. საყვარელიძე, გ. გვინჩიძე (უმცრ. მეცნ. თანამშრომლები) და ნ. ველიაშვილი (მხატვარი).

ლის კედლები ზოგან ორი მეტრის სიმაღლეზე იყო შერჩენილი. იატაკის ჩანგრეულ ნაწილებში გამოვლინდა კალორიფერები.

აბანოს სამხრეთის მხარე ჩამოშლილ კლდეს ჩაჰყოლია. ამ მონაკვეთში გათხრების გაგრძელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კლდის გამაგრების შემდეგ. ამ მიმართულებით სამუშაო მიმდინარეობს.

ახალი აბანო, 1973 წელს აღმოჩენილ აბანოსთან შედარებით, პატარაა და ნაკლებად კაპიტალური.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა სასაფლაოს ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგები. გათხრები ტარდებოდა ტაძარსა და სასახლეს შორის, სადაც გამოვლინდა დიდი ზომის ბაზილიკა. მისგან დარჩენილია საძირკვლები და ზოგან კედლების ზედა ნაწილიც. ეკლესიას მრავალწახნაგა შეერილი აფსიდი აქვს და სამნავიანი ბაზილიკის ფორმებს ავლენს (ტაბ. XVIII$_1$). შესასვლელთა მცირე ნაშთები დარჩენილია სამხრეთით და დასავლეთით (უბ. XI).

ამ ბაზილიკის აღმოჩენა მოულოდნელი იყო, რადგან იქვე მდგარი ეკლესია დიდი ხანია შესულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და ცნობილია როგორც ერთ-ერთი პირველი ეკლესიათაგანი. მას გ. ჩუბინიშვილი V ს. ბოლო მეოთხედით ათარიღებს[4].

როგორც გათხრებმა გვიჩვენა, აღმოჩენილი ბაზილიკა ახლა მდგარი ეკლესიაზე ადრეა აგებული, რადგან მისი ჩრდილო კედელი ნაწილობრივ იმ ეკლესიის ქვეშ შედის.

გათხრებმა ისიც გვიჩვენა, რომ ნაგებობა მტრის ძლიერი ხელით ერთბაშადაა დანგრეული. ზოგან დიდი ხანძრის კვალიცაა დარჩენილი.

დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა გალავნის აღმოსავლეთის ხაზზე (ტაბ. XVIII$_2$). ასეთი მასშტაბის სამუშაოების ჩატარების საშუალება მოგვეცა მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიიდან სათანადო წესების დაცვით, გაყვანილი იქნა ორი მოსახლე. 4 — 5 მეტრის სიმაღლის ნანგრევების აღების შემდეგ აღმოჩნდა კოშკი (სურ. 1.), რომელიც მდებარეობდა გალავნის ოთხკუთხა შეერილის შიგნით (ტაბ. XIX$_1$) გალავანი და კოშკი, ნაგები დიდი ზომის კვადრებით. მშენებლობის ტექნიკის მეტად მაღალ დონეზე მეტყველებს (ტაბ. XIX$_2$).

ასეთივე კოშკი გამოვლინდა იმავე ხაზზე, ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში. ორივე კოშკისა და გალავნის გათხრა გრძელდება (უბ. X).

— ნაქალაქარის კულტურული ფენების შესწავლისას ჩნდება მასობრივი არქეოლოგიური მასალა, რომელსაც, პირველ რიგში არქეოპოლისის, როგორც ქალაქის არსებობის დათარიღებისათვის აქვს მნიშვნელობა. მასალის ერთი ნაწილი ამასთანავე ასახავს არქეოპოლისის (და შესაძლოა საერთოდ კოლხეთის შიდა რაიონების) კულტურულ-ეკონომიკურ კავშირს რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან გვიანანტიკურსა და ადრებიზანტიურ ხანაში. წინარე ხანისა და შემდეგდროინდელი მონაპოვარი კი აქ ძალზე მცირეა; ესაა ელინისტური ამფორების ორი ძირი, ე. წ. კოლხურ პითოსთა ნატეხები და წინარეანტიკური და ადრეანტიკური ჭურჭლის რამდენიმე ზოომორფული ყური; ამასთან, აქვეა ნაპოვნი გვიანფეოდალური ხანის მოჭიქული და ფაიანსის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, ამავე ხანის ქვევრის ფრაგმენტები და სამი აღმოსავლური მონეტა. —

---

[4] გ. ჩუბინაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. XI, გვ. 128 — 135; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, 1936, გვ. 29 — 31; Н. Г. Чубинашвили, Вопросы истории искусства, ტ. 1, 1970, გვ. 93—103.

რაც შეეხება არქეოპოლისის ქალაქობის დროინდელ მასალას, იგი აქ საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი. ამათგან უნდა გამოიყოს აქ მოპოვებული მონეტები. საანგარიშო ორი წლის მანძილზე ნაქალაქარის ტერიტორიაზე სულ 8 მონეტა აღმოჩნდა. მათ შორის უძველესია IV ს. შუა ხანის რომაული სპილენძის მონეტა[5]. ყველაზე მეტია ადრებიზანტიური ხანის სპილენძის მონეტები — 4 ცალი. სამი მათგანი 40 ნუმიის ნომინალისა, თარიღდება V ს. ბოლოთი და VI ს. მხოლოდ ერთის შესახებ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი გამოშვებულია იმპერატორ იუსტინიანეს დროს (527 — 565 წწ.). დანარჩენები იმდენად ცუდადაა დაცული, რომ მათი ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება. ისინი შეიძლება ანასტასის (491 — 518), იუსტინე I (518 — 587) და იუსტინიანეს დროსაც იყვნენ გამოშვებული. მეოთხე ადრებიზანტიური მონეტა კი 20 ნუმიის ღირებულებისა, ყველაზე უკეთ ისაზღვრება — ესაა იუსტინე II და სოფიოს მონეტა, გამოშვებული 568 თუ 569 წელს, თესალონიკში[6]. ამრიგად, ჩამოთვლილი მონეტები მოწმობენ, რომ ნოქალაქევში მიმოქცევაში იყო გვიანრომაული და, შემდეგ, ადრებიზანტიური მონეტები.

დანარჩენი სამი მონეტა, როგორც ითქვა, გვიანფეოდალური ხანის აღმოსავლური მონეტებია.

— არქეოპოლისის კერამიკული მასალის ერთი ნაწილი — იმპორტული კერამიკის სახით, შეიძლება ძეგლის დათარიღებისათვის გამოდგეს. ამ სახის კერამიკა განსაკუთრებით უხვადაა აქ წარმოდგენილი ამფორათა მცირე ნატეხებით. ამფორების ფრაგმენტთა ასეთი სიუხვე მოწმობს, რომ ეს იმპორტული ამფორები ნოქალაქევში ხვდებოდნენ იმ პროდუქტებთან ერთად, რომელიც აქ შემოქონდათ რომაულ-ბიზანტიური ოლქებიდან. ამფორების ყველა ის ფორმა, რომელიც ნოქალაქევში მოპოვებული ნატეხებითაა წარმოდგენილი ლიტერატურაში არაა დამოწმებული, ამიტომ მათ მთლიან სახეზე ლაპარაკი ძნელია. ხოლო აღნიშნული პერიოდის კარგად ცნობილი ამფორებიდან აქ წარმოდგენილია მუცელშეზნექილი ამფორები, რომლებიც IV—VII საუკუნეებით თარიღდება და რომლებშიაც რამდენიმე სახესხვაობა გამოირჩევა. ამფორების (და საერთოდ არქეოპოლისის კერამიკის) ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენენ წელშეზნექილი, მკვეთრად გამოყოფილმხრებიანი და თავწაკვეთილი კონუსის მოყვანილობის პირიანი ამფორები, რომელთაც კუთხისებურად მოხრილი ყურები აქვთ. ამგვარი ამფორების ნატეხებს ჩვენ ხშირად ვპოულობთ ნოქალაქევში ყოველწლიურად. მაგრამ 1975 წ. აქ აღმოჩნდა წელშეზნექილი ამფორის ყელი, რომელსაც არა აქვს გვირგვინი. როგორც ჩანს, ესაა ისეთიეე ამფორის ფრაგმენტი, როგორიც ცნობილია IV ს. ბოლოთი დათარიღებულ ურეკის სამარხიდან. წელშეზნექილ ამფორათა ფრაგმენტების დიდი რაოდენობა არქეოპოლისში და ამგვარ ამფორათა წებელდაში დამზადების დადგენილი ფაქტი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამგვარი ამფორები ლაზიკაშიაც მზადდებოდა და ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ ფორმის უცხოურობა და არა თვით ამ ამფორათა გარედან შემოტანა.

ნოქალაქევის გათხრებისას ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ჩნდება აგრეთვე ნამდვილად იმპორტულ ამფორათა ფრაგმენტებიც. ესაა ამფორები,

---

[5] გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევა... „დიდი პიტიუნტი", I. თბ., 1975, ტაბ. 94 — 18.

[6] Н. И. Толстой, Византийские монеты, вып. II, III, IV. СПб., 1912—1913.

[7] А. Л. Якобсон, Раннесредневековые поселения, 1970, рис. 2, стр. 30 и сл.

რომელთა ზედაპირის ზონები მსხვილად დაღარულია. ამგვარი ამფორებიც, როგორც ცნობილია, ასევე დროის ხანგრძლივი მონაკვეთით თარიღდებიან. კერძოდ — კი IV — VII საუკუნეებით[7]. დადგენილ იქნა, რომ ზოგიერთ ხშირადდაღარულ ზედაპირიან ამფორებს ჰქონდათ პატარა, ყურისებური სახელურები. ნოქალაქევიდან მომდინარე იმპორტულ ამფორებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ 1974 — 1975 წლებში აქ არ აღმოჩნდა არც ერთი ფრაგმენტი IV საუკუნის იმ სამოსური ამფორებისა, რომელთა ერთი ყელი და სამი ძირი ნაპოვნი იქნა 1973 წ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ერთი ან თუნდაც ორი სეზონის გათხრები მთლიანად ვერ ასახავენ ჩვენი ძეგლის კულტურული ფენის ხასიათს.

ამავე გარემოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის ფაქტიც, რომ ჩვენ დღემდე ვერ ვპოულობთ აქ წითელლაკიან რომაულ კერამიკას დიდი რაოდენობით. ამავე დროს, სწორედ ამ კერამიკის საფუძველზე ჯერ კიდევ ა. შნაიდერი მივიდა დასკვნამდე, რომ არქეოპოლისი აღმოცენდა როგორც ქალაქი უკვე IV საუკუნეში. 1974 — 1975 წლებში აღმოჩნდა ამ სახის კერამიკის მხოლოდ სამი ფრაგმენტი, თანაც ორი ნატეხი ნაქალაქარის ტერიტორიაზე კი არ იქნა მოპოვებული, არამედ აკროპოლის ძირში მდებარე სამაროვანზე. ერთი ნატეხი წარმოადგენს ლანგარისა თუ დიდი თეფშის ძირის ნაწილს, რომელსაც შერჩენილი აქვს ოდნავადგამოყოფილი წრისებური ქუსლი. ორი ნატეხი კი ეკუთვნოდა ერთნაირ წითელლაკიან თეფშებს, რომელთაც ვიწრო ძირი და ფართოგადაშლილი კედლები აქვს, შიგნით პირშებრუნებული.

კარგად ათარიღებენ ნაქალაქარის კულტურულ ფენას IV — VI საუკუნეებით ფეხიანი მინის ჭურჭლის ძირები, რომელთაც ყოველწლიურად ვპოულობთ არქეოპოლისში.

სამწლიანი გათხრების პროცესში უკვე შესაძლებელი გახდა კერამიკული ჭურჭლის იმ ფორმების დადგენა, რომლებიც ამ ძეგლისათვის მასობრივად უნდა ჩაითვალოს. ეს მასალაც აგრეთვე IV — VII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს (VIII ს. დასაწყისში წერილობითი წყაროების თანახმად ნოქალაქევი წყვეტს არსებობას). ასეთ მასობრივ ფორმებს წარმოადგენენ:

1. სხვადასხვა ზომის, მაგრამ ერთნაირი ძირის მქონე ქვევრები. მათთვის დამახასიათებელია ფსკერისაგან გამოყოფილი ქუსლი, რომელიც პროფილში თავწაკვეთილ გადაბრუნებულ კონუსს მოგვაგონებს.

2. ტუჩიანი ლიუთერიუმები შიგნით შებრუნებული პირით.

3. მკვეთრად გამოყოფილნაპირიანი მასიური ჯამები, რომელთა პირი ზოგჯერ ლიუთერიუმების პირს მოგვაგონებს.

4. მასიური ერთხელიანი სურები, რომელთაც მკვეთრად გადაშლილი პირი აქვთ.

5. გაურკვეველი დანიშნულების „ჭურჭლის“ ძირები, რომელთაც ცენტრში დიდი მრგვალი ნახვრეტი აქვთ.

6. შებოლილი, სფეროსებური ფორმის სამზარეულო ქოთნები, მკვეთრად გამოყოფილი ყელით და პირგადაშლილი.

ერთეულ მონაპოვართა კატეგორიას განეკუთვნებიან არქეოპოლისში აღმოჩენილი შემდეგი ნივთები:

1. შეკიდული ტყვიის ბეჭედი, რომელსაც ორივე მხარეს ჯვრისებური მონოგრამები და წრიული ლეგენდები აქვს. ბეჭდის პირზე მონოგრამა იხსნება: „ღვთისმშობელო (ლეგენდა კი გვამცნობს) შეიწყალე მონა შენი“. ზურგის მხარის მონოგრამაში, როგორც ჩანს, სახელი გიორგია, ხოლო ლეგენდაში კი შე-

სულია ამ გიორგის ტიტულები შემოკლებული სახით. ლეგენდა მთლიანად ჯერ-ჯერობით ვერ იქნა წაკითხული[8].

2. ჭოროსის (ლამპადოფოროსის) მრგვალი, აჟურული დეტალის ფრაგმენტი (ტაბ. XX$_1$), რომელიც ჯვრისებური მონოგრამითაა შემკული[9].

3. კერამიკული ჭრაქი ზეთის ჩასასხმელი ნახვრეტით, რომელსაც მილისებური ტუჩი აქვს, სადაც პატრუქი იდებოდა (ტაბ. XX$_2$).

4. რკინის ორი სხვადასხვა ფორმის ცული (ტაბ. XXI$_1$). ცულების ორივე ეს ფორმა ცნობილია წებელდის სამარხეული ინვენტარიდან, რომელიც IV — VII სს. თარიღდება[10].

ნაქალაქარის აღმოსავლეთით, გალავნის გარეთ, მიკვლეულ იქნა სამაროვანი, სადაც 1974 — 75 წლებში ექსპედიციამ შეისწავლა 5 ქვევრსამარხი, 7 ორმოსამარხი და კულტურული ფენა.

ქვევრსამარხებიდან, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა №№ 3, 4 და 5.

ქვევრსამარხი № 3 (19.VII.74. უბ. VI, კვ. K$_{19}$) გაითხარა გალავნიდან 25 მ დაშორებით, 50 სმ სიღრმეზე (ტაბ. XXII$_1$). ქვევრი დაფლული იყო ჰორიზონტულ მდგომარეობაში, პირით აღმოსავლეთისაკენ. მასში გამოვლინდა თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული ადამიანის ჩონჩხი, აგრეთვე თიხის დოქი, ბრინჯაოს რკალშეზნექილი სამაჯური, ორი ბრინჯაოს საყურე-რგოლი, ორი ოქროს მცირე ზომის ტანისამოსის შესამკობი, სხვადასხვა ფერის, მცირე ზომის ჭრგვალი მინის მძივები და მონეტა, ე. წ. კოლხური თეთრი; ხოლო ქვევრის გარეთ, ზუსტად მის გვერდით სამხრეთის მხრიდან და იმავე სიღრმეზე, სხვა მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელიც დაკრძალული იყო თავით დასავლეთისაკენ. ზურგზე გაშოტილი, სახით ქვევრისაკენ. ამ მიცვალებულს არავითარი ინვენტარი არ გააჩნდა, მხოლოდ გულმკერდის არეში რკინის წვრილი ნატეხი დადასტურდა.

ქვევრსამარხი № 4 (21. VIII. 74. უბ. V, კვ. L$_9$) გამოვლინდა ნოქალაქევის მეურნეობის კანტორის ახალი შენობით ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან ხუთიოდე მეტრით ჩრდილოეთით, 60 სმ სიღრმეზე. ქვევრი ჩაფლული იყო ჰორიზონტულ მდგომარეობაში, პირით დასავლეთისაკენ. მას შემოწყობილი ჰქონდა საშუალო ზომის თეთრი ქვები. ქვევრსამარხის ქვედა ნაწილზე, ჩრდილოეთის მხრიდან, მიდებული იყო შავლაკიანი კანთაროსი (ტაბ. XXI$_2$). ქვევრში კი გამოვლინდა თავით აღმოსავლეთისაკენ დაკრძალული ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც მარჯვენა ხელზე ორი ბრინჯაოს რკალშეზნექილი სამაჯური და საბეჭდავი ბეჭედი ეკეთა. ბეჭედზე გამოსახულია ორ ხეს შორის სკამზე მჯდომი ადამიანის ფიგურა. მას წინ გაწვდილ ხელში თასი უკავია. ქვევრსამარხში აღმოჩნდა აგრეთვე რკინის შუბისპირი, ბრინჯაოს ორი საყურე-რგოლი და მონეტა, კოლხური თეთრი, რომელიც მიცვალებულისათვის კბილებში ჩაუდვიათ.

სამარხი ქვევრის ძირთან, სამხრეთის მხრიდან, ჩაფლული იყო მეორე ქვევრის ქვედა ნაწილი, ვერტიკალურ მდგომარეობასა და პირით ზემოთკენ. მასში არც ძვლები და არც რაიმე ნივთი აღმოჩენილა. ამ, როგორც ჩანს, სარიტუალო დანიშნულების ქვევრის გვერდით, სამხრეთის მხრიდან, ქვევრსამარხის დაფლვის სიღრმეზე, დადასტურდა სრულიად უინვენტარო, ზურგზე გაშოტილი და

---

[8] G. Schlumberger. Sigllographie de l'empire Byzantin. Paris. 1886.

[9] МИА, № 34, рис. 40, с. 371.

[10] Ю. Н. Воронов, Тайна Цебельдинской долины, М., 1975, стр. 91.

თავით დასავლეთისაკენ დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი, რომელსაც ისევ სახე მარცხნისაკენ, ე. ი. ქვევრსამარხისაკენ, ჰქონდა მიბრუნებული.

ქვევრსამარხი № 5 (22. VIII. 75. უბ. VI, კვ. K_{19}) მიკვლეულ იქნა № 3 ქვევრსამარხის ჩრდილოეთით, ამ უკანასკნელიდან 3 მ დაშორებით, 50 სმ სიღრმეზე (ტაბ. $XXII_2$). სამარხი ქვევრი, რომელსაც საშუალო ზომის თეთრი ქვები ჰქონდა შემოწყობილი, დაფლული იყო ჰორიზონტულ მდგომარეობაში, პირით აღმოსავლეთისაკენ. მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 35 სმ დაშორებით, გაითხარა შედარებით მცირე ზომის რიტუალური დანიშნულების, ვერტიკალურ მდგომარეობაში, პირით ზემოთკენ დაფლული ქვევრის ქვედა ნაწილი ფრინველის ძვლებითა და ბრინჯაოს სამაჯურით. არ აღმოჩნდა ინვენტარი სამარხ ქვევრში, სადაც თავით აღმოსავლეთისაკენ დასვენებული ადამიანის ჩონჩხის ძვლები ეწყო.

ნოქალაქევის ყველა ქვევრსამარხი დაფლული იყო ჰორიზონტულ მდგომარეობაში: ოთხი მათგანი პირით აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ერთი — დასავლეთისაკენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც ყველა დანარჩენში, მიცვალებული ქვევრში ესვენა თავით აღმოსავლეთისაკენ. რაც შეეხება ქვევრებში დაკრძალულ მიცვალებულთა მდგომარეობას, ამის დადგენა მეტად ჭირს.

ნოქალაქევის სანაროვანზე აღმოჩენილი ქვევრები წარმოადგენენ ჩვეულებრივ სამეურნეო (საღვინე) ქვევრებს, რომელთა ზედაპირი შავია, სარჩული — აგურისფერი, ხოლო კეცი — მორუხო (ქვევრის საშუალო ზომებია: სიმაღლე — 1 მ, უდიდესი დმ — 90 სმ, პირის დმ — 35 სმ, ძირის დმ — 15 სმ, კედლის სისქე — 2სმ).

ნოქალაქევში აღმოჩენილი ქვევრსამარხები, რომლებიც ინვენტარის მიხედვით ძვ. წ. III — II სს. დათარიღდა, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევენ სამარხ ქვევრებთან მიცვალებულთა დამარხვის ფაქტით. მართალია, სამწუხაროდ, სამაროვნის მიწის სტრუქტურა არ იძლევა სამარხი ორმოსათვის თვალის გადევნების საშუალებას, მაგრამ, ვფიქრობთ, ქვევრსამარხთა და მათ გვერდით მდებარე ჩონჩხების ერთ დონეზე აღმოჩენის ორი შემთხვევა, უბრალო დამთხვევით ვერ აიხსნება და ისინი თანადროულად დამარხულებად უნდა ჩავთვალოთ. ასეთ ვითარებაში კი, გავითვალისწინებთ რა ქვევრების გვერდით მიცვალებულთა პირდაპირ გრუნტზე და უინვენტაროდ დაკრძალვას, ეს უკანასკნელნი ქვევრებში ჩასვენებულებისადმი მსხვერპლად შეწირულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქვევრსამარხთა აღმოჩენისას ნოქალაქევში დამოწმებული დამარხვის წესის მსგავსი შემთხვევა აღნუსხული არ ყოფილა, ხოლო რაც შეეხება მთელ ამიერკავკასიას, აქ ასეთ ფაქტს ვხვდებით მხოლოდ ერთხელ, კერძოდ მინგეჩაურის № 17 სამარხში[11]. საინტერესოა აგრეთვე, რომ დღემდე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მონამსახურთა (ტყვეთა?) ნაძალადევი, საწესო-რიტუალური სიკვდილი და პატრონებთან ერთად დამარხვის წესი ანტიკური კოლხეთის მონათმფლობელური სა-

[11] Г. И. Ионе, Мингечаурские кувшинные погребения с оружием, Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института Истории Материальной Культуры, вып. 60, 1955, М., გვ. 62.

ზოგადოების მხოლოდ ზედა ფენებს უკავშირდებოდა[12]. ნოქალაქევში წარმოებულმა გათხრებმა კი აღნიშნული წესის არსებობა დაბალ ფენებშიაც დაადასტურა. ამის მაჩვენებელია ნოქალაქევის ქვევრსამარხების როგორც ინვენტარი, ისე თვით სამარხთა ტიპი, რადგან საფუძვლიანად გამოიყურება ვარაუდი, რომლის მიხედვით ქვევრსამარხებში იკრძალებოდნენ მევენახე-მეღვინეები[13].

ორმოსამარხებიდან აღსანიშნავია ნოქალაქევის ეგრისის სამეფოს დედაქალაქობის დროინდელი № 5 და № 6, რომლებიც ზემოხსენებული კანტორის უკანა ეზოს ჩრდილო და აღმოსავლეთ მესრების გადაკვეთის წერტილიდან 6,5 მ-ით სამხრეთ-დასავლეთით, 1 მ სიღრმეზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდა. ამ სამარხებში მიცვალებულები დაუსვენებიათ ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ.

№ 5 ორმოსამარხში (13. VIII. 75. უბ. V, კვ. L_4) მიცვალებულის გულ-მკერდის არეში გამოვლინდა ჯვრისებრი ტიპის ორი ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ლურჯი გაუმჭვირვალი მინისაგან დამზადებული ექვსწახნაგა საბეჭდავი, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანია დასავლეთ საქართველოსათვის, სარდიონის თოთხმეტწახნაგა დაბრტყელებული და სხვადასხვა ფორმისა და ფერის მინის მძივები (ტაბ. $XXIII_1$). ეს სამარხი, ძირითადად მასში დადასტურებული ჯვრისებრი ტიპის მშვილდსაკინძების მიხედვით, რომლებიც მშვილდსაკინძთა ძირითად ტიპს წარმოადგენდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე V ს. ბოლოს — VII საუკუნეებში[14], V — VII სს. დათარიღდა.

№ 6 ორმოსამარხის (14. VIII. 75. უბ. V, კვ. L_4) ინვენტარი შეადგინა ორმა წრისებურმა, ოთხკუთხაგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებულმა ოქროს საყურემ, რომლებსაც ქვემოდან მცირე ზომის რგოლები აქვთ მირჩილული, ბრინჯაოს ქინძისთავმა და ყავისფერი მინის წრიულმა ბეჭდის თვალმა (ტაბ. $XXIII_2$). საყურეების მიხედვით, რომელთა მსგავსი დადასტურებულია წებელდის ტერიტორიაზე VI ს. მეორე ნახევარში—VII ს. პირველ ნახევარში[15], სამარხი VI — VII სს. დათარიღდა.

სამაროვნის კულტურულ ფენაში დასტურდება ძირითადად წინარეანტიკური და ანტიკური პერიოდებისათვის დამახასიათებელი მასალა, რომელიც ფენის დაზიანების გამო ძლიერაა აღრეული. კულტურული ფენების დაზიანება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოისახა V უბნის L_9 კვადრატის გათხრისას, როდესაც თიხის ჭურჭლის მასიური ზოომორფული ყურისა და სხვა ფრაგმენტების ქვემოთ ჩვენი საუკუნის სახარაზო იარაღი აღმოჩნდა. სამაროვნის ტერიტორიაზე კულტურული ფენების აღრევის მიზეზი, როგორც ჩანს, უნდა ვეძიოთ როგორც ბოლო დრომდე აქ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ისე სამარხების გაჭრასა და აგრეთვე წვიმის ნაკადების ზემოქმედებაში, რაც ძლიერ უნდა განეცადა მთის ძირში განლაგებულ სამაროვანს.

კულტურულ ფენაში ძირითადად გვხვდება კოპებით, დამრეცი ჭდეებით, ბადური და ტალღური ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები,

---

[12] მაგ. ვანის წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხი (№ 9). იხ. ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ვანის ნაქალაქარი, ვანი, I, თბ., 1972, გვ. 27.

[13] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 91.

[14] Ю. Н. В о р о н о в, Тайна Цебельдинской долины, М., 1975, გვ. 121.

[15] იქვე, გვ. 126.

ასევე ვერტიკალურ ქიმიანი, ზოომორფული და მილიანი ყურების მქონე ჭურჭლის ფრაგმენტები, ადგილობრივი თასების, ქოთნების, როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული ამფორებისა და თეფშების ნატეხები. ცალკეული ნივთებიდან ყურადღებას იქცევს თიხისაგან დამზადებული ცხოველების ქანდაკებები, ნამგლის კაჟის ჩასართავები, კვირისტავები, ვერტიკალური სართავი დაზგის საწონი, რკინის შუბისპირი და სხვ.

ექსპედიცია ყოველ წელს სისტემატურად ატარებს დაზვერვებს ნოქალაქევის მიდამოებში და უფრო შორსაც ძველი „ეგრისის ქვეყნის“ შესასწავლად. ჯერჯერობით მასალა გროვდება და მათი ჩართვა ამ მოკლე ანგარიშში ამ ეტაპზე აუცილებელი არ არის.

ექსპედიცია, ასევე სისტემატურად, გეგმაზომიერად, გათხრების პარალელურად ატარებს არქიტექტურული ძეგლების კონსერვაცია-რესტავრაციას. რესტავრატორთა ნამუშევარი ნაქალაქარის ტერიტორიაზე ამჟამად უკვე შესამჩნევია[16].

---

16 სარესტავრაციო სამუშაოებს ატარებს საქ. კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სარესტავრაციო სახელოსნოს ჭუთაისის უბანი გ. ასათიანისა და კ. ჯანაშიას ხელმძღვანელობით.

П. П. ЗАКАРАЯ, Н. Ю. ЛОМОУРИ, В. А. ЛЕКВИНАДЗЕ, Г. О. ГВИНЧИДЗЕ

КРАТКИЙ ОТЧЕТ РАБОТ НОКАЛАКЕВСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1974—1975 гг.

(Табл. XVIII—XXIII)

В 1974—1975 гг. раскопки в Археополисе попрежнему продолжались вокруг обнаруженной здесь ранее бани, где массовый археологический материал выявляется пока больше, чем в других местах городища. В востоку от этой бани, также над рекой, обнаружена была в 1975 г. еще одна баня, под которой грунт частично обвалился в реку. Вторая, пока еще нераскопанная, баня гораздо меньше и «беднее» первой, в связи с чем первую можно считать дворцовой, а вторую общественной.

В связи с начатыми в центре городища раскопками большого дворцового здания, здесь пришлось переключиться на раскопки другого сооружения, уходящего частично под стены дворца. Это сооружение в 1975 г. было полностью раскопано. Оно оказалось развалинами большой трехнефной базилики, более древней чем расположенная рядом хорошо известная другая базилика, переделанная позднее в купольную церковь. Таким образом, и раннесредневековых базилик в Археополисе оказалось две, но поздняя была сооружена после разрушения древнейшей.

Продолжались раскопки и наиболее ответственного участка городской фортификации. Этот единственный незащищенный природными условиями участок обороняет нижнюю часть города с востока. Здесь на расстоянии 150 м раскрыта была древнейшая оборонительная стена города, образующая в плане два широких прямоугольных выступа. Центральный выступ был полностью расчищен и изнутри. Внутри него оказалась башня, к которой сзади были пристроена более поздняя двойная оборонительная стена. У самого же выступа ограды оказались такие детали, как пристроенная изнутри широкая лестница наверх ограды и вылазная калитка с остатками клинчатого арочного перекрытия. Калитка эта расположена в боковой стороне выступа.

Начаты раскопки и второго выступа древнейшей ограды — углового. Здесь также уже появилась внутри выступа башня.

Все указанные развалины фортификации носят трагические следы вражеских разрушений и поджегов.

Массовый археологический материал, выявленный экспедицией на территории самого городища, хорошо отражает период существования города и тесные связи его с римско-византийским миром. Это, во-первых, монеты, из которых древнейшая медная римская датирует-

ся серединой IV в. Больше же всего здесь монет медных ранневизантийских конца V—VI вв. Среди обломков керамики хорошо датируются IV—VII вв. многочисленные черепки амфор, среди которых наиболее известны: амфоры с перехватом на корпусе, а также амфоры с густым рифлением на корпусе или с бороздками. Мало найдено пока (всего три черепка) фрагментов от римской краснолаковой керамики. Составилось уже представление о том, какие формы местной керамики были массовыми в Археополисе и следовательно характерными для IV—VII вв. Это пифосы с выделенным донышком, лутерий лутериовидные массивные миски, массивные одноручные кувшинчики с широким отогнутым наружу устьем, кухонные сферические горшки и «сосуды» с большим отверстием на дне.

Единичными же находками являются пока ажурные фрагменты бронзового хороса (люстры), вислая свинцовая печать с крестообразными монограммами на обоих сторонах, керамический светильник и два железных топора.

В 1974—1975 гг. велись раскопки и за пределами городища — к востоку от него, где обнаружен был могильник, на территории которого выявлено уже 5 кувшинных и 7 грунтовых погребений, а также культурный слой. Некоторые из кувшинных погребений не содержали никакого погребального инвентаря. В некоторых же таковой имелся — глиняная посуда, бронзовые браслеты с прогнутой спинкой, различные бусы, кольцевидные серьги, монеты (колхидки), бронзовый перстень-печатка с изображениями на щитке, наконечник железного копья, черполаковый канфар. Рядом с некоторыми из кувшинных погребений расположены были одновременные им грунтовые захоронения явно жертвенного характера, что придает нокалакевскому могильнику исключительное для Колхиды значение. Кувшинные погребения вместе с связанными с ними жертвенными грунтовыми захоронениями датируются III—II вв. до н. э.

Другая группа грунтовых захоронений датируется уже эпохой существования Археополиса как города, т. е. V—VII вв. н. э. Эту группу грунтовых захоронений датируют так называемые фибулы крестовидного типа и золотые кольцевидные серьги с припаянными снизу колечками.

Культурный же слой на территории могильника представлен в основном материалами раннеантичной и предантичной эпохи.

სურ. 1. ნოქალაქევი. გარე გალავანი, ცენტრალური კოშკის გეგმა
Рис. 1. Пока-лакеви. Внешняя ограда, план центральной башни

ლ. ჰილაშვილი

არეშის ნაქალაქარის გათხრები[1]

(ტაბ. XXIV — XXVII)

1974 — 1975 წწ. ექსპედიცია აგრძელებდა არეშის ტაძრის და მისი მომიჯნავე ტერიტორიის შესწავლას. 1973 წ. გაითხარა 10 სამარხი, რის მიხედვითაც დადგინდა, რომ ეკლესიის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე სამაროვანი იყო განლაგებული. საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია აგრძელებდა სამაროვნისა და ტაძრის გათხრას და აწარმოებდა სადაზვერვო სამუშაოებს.

სამაროვნის გათხრები

საანგარიშო პერიოდში გაითხარა 11 სამარხი (საველე აღრიცხვით № 11-დან № 21-ის ჩათვლით), რომელთა აღწერილობასაც ვიძლევით თანმიმდევრულად[2]:

სამარხი № 11 ქვებისაგან შეკრული სამარხია, დამხრობილი აღმოსავლეთ-დასავლეთით, ეხურა ერთი დიდი და ორი მომცრო ბრტყელი ქვა. ქვაყუთის სიგრძეა 1,65 მ, სიგანე თავთან 0,55 მ, ბოლოში 0,5 მ. სამხრეთის კედელი შედგენილია სამი ფილით, ჩრდილოეთისა 5-ით. მიწის ზედაპირიდან სამარხის სახურავი დაცილებულია 0,95 მ-ით. სამარხში ერთი ჩონჩხია დადასტურებული, გაშოტილი, თავით დასავლეთით, ხელები ნიკაპთან უწყვია. ჩონჩხის სიგრძეა 1,48 მ. სამარხეული ინვენტარი არ არის დადასტურებული.

ჩონჩხის აღების შემდეგ გამოირკვა, რომ ქვაყუთი იდო დარღვეულ სამარხზე, საიდანაც მხოლოდ რამდენიმე ძვალი იყო შემორჩენილი. აქვე იდო სამარილეც, მცირედ ნაკლული, მოჭიქული ჭურჭლის მინაბაძი: ანგობირებული კეცი შემკულია ყავისფერი საღებავის ზოლებით და რამდენიმე მწვანე ჭიქურის წერტილით.

---

[1] ექსპედიციამ 1974 წ. ველზე იმუშავა 45 დღის განმავლობაში — 20 ივნისიდან 5 აგვისტომდე. შემადგენლობა: ლ. ჰილაშვილი (ხელმძღვანელი), ნ. ჭანთარია (ხელმძღ. მოადგილე), გ. კიკნაძე (ხელმძღ. მოადგილე სამეურნეო ნაწილში, ანგარიშვალდებული), ვ. ცისკარიშვილი (რაზმის უფროსი), უმც. მეცნ. თანამშრომლები: დ. აბჟანდაძე, ბ. მჭედლიშვილი, ნ. აფხაზავა, მძღოლი ს. ხუგაევი. 1975 წ. ექსპედიცია საველე სამუშაოებს აწარმოებდა 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე 60 დღის განმავლობაში. შემადგენლობა: ლ. ჰილაშვილი (ექსპ. ხელმძღვანელი), ვ. ცისკარიშვილი (ხელმძღ. მოადგილე), გ. კიკნაძე (ხელმძღ. მოადგილე სამეურნეო ნაწილში, ანგარიშვალდებული), უფროსი მეც. თან. — თ. კერესელიძე, უმც. მეცნ. თანამშრომლები: დ. აბჟანდაძე, ბ. მჭედლიშვილი, ნ. აფხაზავა. ორივე წელს არქიტექტურულ ანაზომებს აწარმოებდა ბ. მჭედლიშვილი, ფოტო-გადაღებებს ლ. ჰილაშვილი.

[2] 1973 წ. გათხრილი სამარხები გამოქვეყნებულია. იხ. ლ. ჰილაშვილი, არეშის ტაძრის გათხრები, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, IV, 1976.

სამარხი № 12 ქვაყუთია, დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით, მდებარეობდა ეკლესიის სამხრეთის კედლის ცოკოლის ძირში. სამარხის სიგრძეა 2,28 მ, სიგანე თავთან 1,22 მ, ბოლოში 1,25 მ. სახურავად გამოყენებულია სამი ბრტყელი ქვა. ჩრდილოეთის კედელს შეადგენს ერთი ბრტყელი ფილა, სამხრეთის კედელი კი შედგენილია სამი ფილით. თავსა და ბოლოში თითო ფილა იყო ჩადგმული. სამარხში ძვლები მიხვეტილი იყო აღმოსავლეთის კედლისაკენ. სამარხში სამი ჩონჩხის ნაშთები იყო შემორჩენილი, არეული ერთმანეთში. სამარხეული მასალა არ არის დადასტურებული, გარდა რამდენიმე კრამიტის ნატეხისა, მსგავსი ეკლესიის გათხრებისას აღმოჩენილი კრამიტებისა.

სამარხი № 13 დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, სიგრძეა 2,2 მ, სიგანე 0,55 მ. სახურავად გამოყენებულია შვიდი ბრტყელი ქვა. გვერდები თითო ფილით არის შედგენილი. დადასტურებულია ერთი ჩონჩხი: წევს გაშოტილი, ხელები უწყვია მუცლის არეში, სიგრძე 1,75 მ. თავის ქალა ძლიერაა დაზიანებული. ჩონჩხის ალაგებისას გამოჩნდა სხვა ჩონჩხის ნაშთიც.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: 1. სპილენძის სფერული, ყუნწიანი საკიდი.
2. მსგავსივე საკიდის ქვედა ნახევარი.

სამარხი № 14 ქვაყუთია, ეფარა ერთი მოზრდილი და შვიდი მომცრო ფილა. სიგრძე 2,1 მ, სიგანე თავში 0,65 მ. თავსა და ბოლოში თითო ფილა იყო ჩადგმული, გვერდებიც თითო დიდი ფილით იყო შედგენილი. სამარხში ერთი ჩონჩხი იყო დადასტურებული. თავის ქალა დაზიანებულია.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი: 1. მინის სამაჯური. მინა მოცისფროა. დიამეტრი 4,5 სმ.
2. ვერცხლის მრგვალფარაკიანი ბეჭედი. დიამეტრი 16 მმ.
3. ყუნწიანი სფერული საკიდის ერთი ნახევარსფერო.
4. ფაიანსის მძივი.

სამარხი № 15 ქვაყუთია, დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. სიგრძე 2,3 მ, სიგანე 1,2 მ. სახურავად გამოყენებულია ოთხი კარგად გათლილი ფილა. კედლებიც თითო ფილით იყო შედგენილი. ერთი ჩონჩხის ცუდად შემონახული ძვლები იყო შემორჩენილი. დაკრძალული ყოფილა გაშოტილი თავით დასავლეთით.

სამარხეული ინვენტარი არ არის დადასტურებული.

სამარხი № 16 ქვაყუთია. სახურავად გამოუყენებიათ ხუთი ფილა. სიგრძე 2,1 მ, სიგანე 0,8 მ. სამარხში ძვლები ერთმანეთში იყო არეული, არც დაკრძალულთა რაოდენობა არ ირკვევა.

სამარხეული ინვენტარი არ არის შემორჩენილი.

სამარხი № 17. ესეც ქუაყუთია დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთით. ზევიდან ეფარა ექვსი ქვა. სიგრძე 2 მ, სიგანე 1 მ. სამარხს ირგვლივ რიყის ქვები ჰქონდა შემოწყობილი, კირის ხსნარზე, ერთ რიგად. სამარხში ერთი ჩონჩხის ნაშთია დადასტურებული, თავით დასავლეთით.

სამარხეული ინვენტარი არ არის შემორჩენილი.

სამარხი № 18. სახურავი ჩანგრეულია. თავსა და ბოლოში თითო ქვა იდო. შემორჩენილია ერთი ჩონჩხი თავით დასავლეთით. ჩონჩხის სიგრძეა 1,7 მ. ჩონჩხს ჩრდილოეთით ქვები ჰქონდა შემოწყობილი.

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი № 19 სადაზვერვო თხრილშია გათხრილი (ტაბ. XXIV$_{1,2}$). სამარხს ეხურა სამი მოზრდილი და ორი მომცრო ფილა. დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. შეკრულია ოთხი კარგად გათლილი ფილით. სიგრძე 2,2 მ, სიგანე

1,2 მ. სამარხის ქვედა ფენაში ორი თავის ქალას ნაშთია დადასტურებული, ზედა ფენაში კი ორი ჩონჩხია დადასტურებული თავებით დასავლეთით. ჩრდილოეთის ჩონჩხის სიგრძეა 1,75 მ, სამხრეთის ჩონჩხისა 1,65 მ.

ინვენტარი: 1. სპილენძის სფერული საკიდები 2 ც.
2. მძივები — სარდიონის, გიშრის, მთის ბროლის.

სამარხი № 20 ქვაყუთია (ტაბ. XXV$_{1,2}$). ახურავს სამი კარგად გათლილი ფილა. გვერდები თითო ფილით არის შედგენილი. სამარხი არეული ძვლების გროვას შეიცავს, რომლის ვერც დაკრძალვის პოზას და ვერც ჩონჩხების რაოდენობას ვერ ვარკვევთ. სამარხი დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით. სიგრძე 2,1 მ, სიგანე 0,9 მ.

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი № 21, დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთით, ეფარა 12 ქვის ფილა. კედლები თითო ფილით იყო შედგენილი. ძვლები ერთმანეთშია არეული და პოზის გამოცნობა და დაკრძალულთა რაოდენობის გარკვევა შეუძლებელია.

ინვენტარი: 1. შავი მინის სამაჯური, გრეხილღეროვანი.
2. მოლურჯო მინის ღეროგრეხილი სამაჯურის ნატეხები.
3. შავი და თეთრი მინის გრეხილღეროვანი სამაჯურის ერთი ნატეხი.

ზემოთ აღწერილი სამარხებიდან ყველა ქვაყუთს წარმოადგენს. სამარხის მოწყობის მხრივ აქ სიახლეს ვერ ვხედავთ. ქვაყუთები შედგენილია ქვის ფილებით, ალაგ-ალაგ გამოყენებულია რიყის ქვებიც. თუ ზოგ შემთხვევაში ქვები საგანგებოდ არის გათლილი და სასურველი ფორმა აქვს მიცემული, ბევრ შემთხვევაში უბრალო რიყის ბრტყელი ქვებია გამოყენებული.

გათხრილი თერთმეტი სამარხიდან ექვსში მხოლოდ თითო ჩონხია დადასტურებული, დაკრძალულთა რაოდენობა და პოზა სამ შემთხვევაში ვერ დგინდება. ორი სამარხი კოლექტიურია.

თუ სამარხებში დაკრძალულთა რიცხვის მიხედვით ვიმსჯელებთ, აშკარად ჩანს იმ სამარხთა უპირატესობა, რომლებშიც თითო ჩონჩხია დადასტურებული. ეს მიგვანიშნებს, რომ ძველი სამარხები არ ყოფილა გამოყენებული ხელახალი დაკრძალვისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა უპირატესად გვიან შუასაუკუნეებში. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა გავაზის სამაროვანი. აღნიშნული მომენტის გამო, რა თქმა უნდა, სხვა მონაცემებთან ერთად, წინასწარულად შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ადგილი გვიან შუასაუკუნეებში, ყოველ შემთხვევაში XV საუკუნის შემდეგ, არ იყო დასახლებული.

ნივთები მხოლოდ ოთხ სამარხშია დადასტურებული, ესენია: სპილენძის სფერული საკიდები, ფაიანსის და ქვებისაგან გამოთლილი მძივები და მინის სამაჯურები. ყურადღებას იქცევს მინის სამაჯურები, რომლებიც როგორც წესი მომცრო ზომისაა და ისინი ამ მხრივ ძლიერ განსხვავდებიან რუსთავის, სიონის და გავაზის სამაჯურებისაგან.

როდესაც სამარხეულ მასალებზეა ლაპარაკი, ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება თუ სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალებსაც — მხედველობაში გვაქვს მინის სამაჯურების ნატეხები, ასევე სამკაულები — სამარხეულად მივიჩნევთ და მათ დარღვეულ სამარხებს დავუკავშირებთ. თუ ასეთი გზა გამართლებული იქნება, მაშინ სამაროვნის მასალა შედარებით მრავალრიცხოვანი გამოჩნდება. მინის სამაჯურების გვერდით ცალკე მოხსენიების ღირსია რკინის ფა-

რაკიანი ბეჭედი და ექვსწახნაგა ფარაკიანი ვერცხლის ბეჭედი ზედ ამოკაწრული დაჭარაგმებული ორი ჭართული ასოთი.

რაც შეეხება ერთადერთ სამარილეს, რომელიც № 11 სამარხის ქვეშ მდებარე დარღვეულ სამარხში იდო, იგი მოჭიქული კერამიკის მინაბაძს განეკუთვნება და შეიძლება XIII ს. ბოლოთი და XIV ს-ით დავათარიღოთ. მთლიანად სამარხების კომპლექსი შუაფეოდალური ხანით შეიძლება დათარიღდეს.

ტაძრის გათხრები

საანგარიშო პერიოდში გათხრების ძირითადი დრო და თანხები დავთმო ტაძრის შესწავლას. ტაძრის შესწავლა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რამდენადაც მიწის გატანა გვიხდებოდა საკმაოდ შორს და სამუშაოების გაშლის საშუალება არ ჰქონდა ექსპედიციას: ტაძარს სამი მხრიდან ეკვრის საკარმიდამო ნაკვეთები, ჩრდილოეთიდან კი სასოფლო გზა გადის. ეკლესიის ჩრდ. მინაშენის ერთი ნაწილი სწორედ გზის ქვეშ იყო მოქცეული. რამდენადაც სასოფლო გზის გაუქმების საშუალება არ იყო, მომიჯნავე ნაკვეთის პატრონის ნებართვით გზის ერთი მონაკვეთი გადავწიეთ, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ტაძრის ჩრდ. მინაშენიც.

საანგარიშო პერიოდში ტაძრის გათხრები ძირითადად დამთავრდა. თუ არ ჩავთვლით ზოგი დამატებითი სამუშაოს ჩატარების აუცილებლობას ტაძრის მშენებლობის თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაც მომავალში გვაქვს დაგეგმილი.

ნაგებობა შედგება ძირითადი სამნავიანი ტაძრისაგან და ჩრდილო, სამხრეთ და დასავლეთიდან მიშენებული გარშემოსასვლელებისაგან (სურ. 1). ტაძრის საერთო სიგრძე 27 მ, ხოლო სიგანე 21 მ უდრის. როგორც გათხრებმა ცხადყო, გარშემოსავლელების შესაქმნელად ტაძრის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლების გასწვრივ ამოუშენეს 1 მ სიგანის ბაქანი, რომელზედაც ამოიყვანეს მინაშენების (სტოების) თაღების საყრდენები. დასავლეთისა და სამხრეთ სტოების გარე კედლები ცოკოლზე ამოყვანილ სვეტნარს წარმოადგენს, ხოლო ჩრდილოეთის სტოას კედელს მხოლოდ ერთი ღიობი აქვს კარისათვის.

ძირითადი ტაძრის სიგრძე 22 — 80 მ უდრის, ხოლო სიგანე 14 მ. მისი შიდა სივრცე სამი წყვილი სვეტით გაყოფილია სამ ნაწილად (ნავებად). სვეტების ფუძე, რომელიც იატაკის დონიდან 10 — 15 სმ სიმაღლეზეა და სწორკუთხა მოყვანილობისაა, საყრდენი უნდა ყოფილიყო მრგვალი სვეტებისათვის. რომლის ერთადერთი ნაშთი ჩრდილოეთ მწკრივის შუა სვეტის მახლობლადაა შემორჩენილი. ცენტრალური ნავის სიგანე 5 — 50 მ უდრის და აღმოსავლეთით მთავრდება ნახევარწრიული საკურთხევლით, რომელსაც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ეკვრის ორი სათავსო. სათავსოებს დასავლეთიდან შესასვლელები აქვს გვერდითი ნავების ღერძზე. აღსანიშნავია, რომ ტაძარი (მინაშენების გარეშე) აგებულია სიმეტრიის დაცვით. დასავლეთის კარი გაჭრილია ზუსტად საკურთხევლის სარკმლის გასწვრივ. აგრეთვე ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარებიც ერთ ღერძზეა მოთავსებული.

ტაძარი ძლიერაა დაზიანებული. მისი აღმოსავლეთი ნაწილი უკეთაა გადარჩენილი. აბსიდის კედლის შემორჩენილი სიმაღლე ტაძრის იატაკის დონიდან 6 — 80 მ აღწევს. შემორჩენილი ნიშნების მიხედვით კონქი სწორედ ამ სიმაღლიდან უნდა იწყებოდეს. დასავლეთისაკენ კედლების სიმაღლე თანდათან ძლებულობს და ბოლოს ქვის ერთ წყობამდე დადის. ტაძარი თითქმის მთლია-

ნად მიწით იყო დაფარული, მხოლოდ აღმოსავლეთის კედელი ჩანდა მიწის ზევით.

ძირითად ტაძარს ჰქონდა სამი შესასვლელი. აღმოსავლეთიდან საკურთხეველი ნათდებოდა მაღალი სარკმლით, რომლის მხოლოდ სამხრეთი კედელია გადარჩენილი. სარკმელი ჰქონდა საკურთხევლის გვერდით ჩრდილოეთ სათავსოსაც (სარკმლის, შემორჩენილი მცირე ნაშთის მიხედვით). თუ გავითვალისწინებთ სიმეტრიულობას, ძნელი არაა დამტკიცება, რომ სამხრეთის სათავსოსაც ექნებოდა სარკმელი. სათავსოს აღმოსავლეთი კედელი მთლიანად მოროვეულია.

ჩაქცეული კედლების ფრაგმენტების მიხედვით, ივარაუდება ტაძრის ჩრდილო და სამხრეთ კედლებში ორ-ორი სარკმლის არსებობა.

ტაძარი გვირგვინდებოდა ნახევარცილინდრული თაღით, რომლის ნაშთებმა, ნგრევის შედეგად, დაფარა იატაკი.

როგორც ძირითადი ნაგებობის კედლებისათვის, ასევე მინაშენებისათვის ძირითად საამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვები. სამშენებლო მასალის ძირითადი ნაწილი სავარაუდოა მოზიდულია მდინარე არეშიდან. ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებულია ფიქალიც. კედლის წყობაში გარეპირისათვის მორგებულია ქვების ბუნებრივი სიბრტყეები, ხოლო კუთხეებისათვის ეხვდებით საგანგებოდ, ხშირ შემთხვევებში უხეშად დამუშავებულ ქვებს, რომელთათვისაც სასურველი ფორმა მიუციათ. ქვის ზომები მერყეობს 0,20 — 1,00 მ შორის. ყველაზე დიდი ქვის ლოდი სიგრძით — 1,70 მ, სისქით დაახლოებით 0,40 მ გადებულია საკურთხევლის გვერდით, ჩრდილო სათავსოს კარის თავზე. სვეტებისათვის საგანგებოდაა დამუშავებული მომცრო ზომის ქვები, რომელთაც ხშირ შემთხვევაში სამკუთხედის ფორმა აქვთ მიცემული და სეგმენტისებურად არის ჩაწყობილი.

ტაძრის მშენებლობისას გამოუყენებიათ აგური. როგორც ირკვევა, აგური უხმარიათ კანკელისა და საკურთხევლის მოწყობისას. ტაძრის გადაკეთების დროს, 1973—1974 წწ. სამხრეთ სტოას გაწმენდისას მის დასავლეთ მხარეს ქვის ნაყართან ერთად ჩნდებოდა აგურის ნატეხებიც, აგრეთვე მთელი აგურებიც. საფიქრებელია, რომ პილასტრები ზევით თაღის ნაწილში აგურით ყოფილიყო ნაგები. ასეთი სურათი ჩანს 1975 წ. გათხრების დროსაც; ამავე სტოას აღმოსავლეთ ნაწილში სულ ბოლო პილასტრს, რომელიც მიშენებულია ტაძრის კედელზე 1,05 მ სიმაღლეზე, გასდევს აგურის ერთი წყება, ზემოდან ადევს ქვის წყობა, ხოლო გადარჩენილი ზედა ნაწილი შედგება აგურის ორი წყობისაგან (საერთო სისქე 18 სმ). ძირითადად ორი სახის აგურია გამოყენებული. ოთხკუთხა ბრტყელი და მრგვალი. ოთხკუთხა აგურების ზომებია 23×23×6; 24×24×6. ზოგ შემთხვევაში სისქე 5 სმ უდრის. მრგვალი აგურის დიამეტრია 35 სმ, სისქე 6 სმ. ორივე სახის აგური დამზადებულია ნამჯანარევი თიხისაგან და გამომწვარია წითლად. საკურთხევლის იატაკი და კანკელი მთლიანად ნაგებია აგურებით. აგურის ნატეხები გამოყენებულია აგრეთვე ტაძრის შიგნით მერხის გაწყობისას და კანკელის წინ იატაკის ზოგ ადგილას.

სამხრეთ სტოაში გარდა პილასტრებისა, აგურით გამოუშენებიათ გამონგრეული კედელი საკურთხეველთან.

ტაძრის მშენებლობისას ორი სახის კრამიტია გამოყენებული — ღარიანი და ბრტყელი. სამწუხაროდ, კრამიტის დიდი ნაწილი ძლიერაა დამტვრეული და საშუალებას არ იძლევა მთლიანი ზომების აღსადგენად.

ღარიანი კრამიტები ერთ ბოლოში განიერია, მეორეში დავიწროებული. სი-

გრძე მერყეობს 37 — 38 სმ შორის. სიგანე მსხვილ ნაწილში 18 — 19 სმ; ვიწროში — 13. ამავე ნაწილში ბოლოდან 6 სმ დაცილებით კრამიტს ზემოდან 1,5 სმ სიმაღლის ჭიმი (კურტანი) აქვს (სიგანე 7 — 7,5). ზოგ შემთხვევაში ჭიმის სიმაღლე 3 სმ-ია. ამ ტიპის კრამიტებიდან 7 მთელია ნაპოვნი ჩრდილოეთ სტოაში.

ზოგიერთ ნიმუშს ზემოდან სიგრძეზე რამდენიმე კლაკნილი ზოლი გასდევს. ბრტყელი კრამიტებიც ასევე ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი, ზოგ მათგანზე წარწერებია შემორჩენილი[3].

გეგმაში ტაძარი წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედს დანაწევრებულს ხუთ გრძივ სივრცეებად. ძირითადი საერთო სივრცე სამი წყვილი სვეტებით დანაწევრებულია სამ ნავად, რომლებიც გვერდით მინაშენებთან დაკავშირებულია კარებით. დასავლეთის სტოა შემკვრელია მინაშენთა სივრცეებისა და კიდევ, ერთ საზეიმო შესასვლელს ჰმატებს ტაძარს სვეტებზე ამოყვანილი თაღების მეშვეობით.

ძირითადი, პირვანდელი ნაგებობის კედელთა სისქე 110 სმ აღწევს. ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში აბსიდის ხაზის ცენტრთან კედლის სისქე კლებულობს და უდრის 80 სმ. კედლები ნაშენია ხარისხიანად, დაცულია სიზუსტე, პროპორციულობა და სიმეტრია. სამშენებლო მასალის შემაკავშირებლად, ასევე იატაკისათვის ნახმარია კირის ხსნარი.

სამხრეთის კარის ღიობის სიგანე 1 — 90 მ, კედლების სიგანე ორივე მხარეს 1 — 10 მ-ია. კარის ზღურბლი ტაძრის იატაკის დონიდან 30 სმ სიმაღლეზეა. კედლის გარეთ მიშენებული ბაქნის სიმაღლე 25 — 27 სმ-ია ზღურბლიდან.

კარის სამხრეთ მხარეს შეიმჩნევა ჩარჩოს ჩასამაგრებელი ბუდე.

ჩრდილოეთის კარი ზუსტად სამხრეთის კარის საპირისპირო ხაზზეა გაჭრილი. მისი სიგანეა 1 — 90 მ. კარის ზღურბლი იატაკის დონიდან 25 — 28 სმ სიმაღლეზეა. შუაში ზღურბლის კარის სიგანეზე 32 — 35 სმ სიგანის და ზღურბლიდან 12 სმ ზევით გასდევს შემაღლება, რის შემდეგაც კარის ჩრდილოეთ ნაწილში იქმნება 8 სმ სიღრმის კარის ჩარჩოს ბუდე კედლის ნაპირამდე. კედელს, ისევე როგორც სამხრეთის კარებს, მოშენებული აქვს ბაქანი, რომლის სიგანე 1 — 05 მ უდრის. კარის გვერდითი კედლები შემორჩენილია დაახლოებით 100 სმ სიმაღლეზე ზღურბლიდან.

დასავლეთის კარი გაცილებით უფრო დაზიანებულია. გვერდითი კედლების შემორჩენილი სიმაღლე სამხრეთიდან 60 სმ, ჩრდილოეთიდან 40 სმ (ზღურბლიდან), კარების სიგანე 180 სმ-ია.

კარის ზღურბლი იატაკის დონიდან 25 სმ ზევითაა. კარის დასავლეთ ნაწილში შეინიშნება კარის ჩარჩოს ბუდე, რომელსაც დასავლეთიდან საზღვრავს კედელზე მიშენებული ბაქანი.

ძირითადი ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში საკურთხევლის ორივე მხარეს აშენებულია ორი სწორკუთხა სათავსო, საკურთხევლისაკენ კედლებში დატანებული მცირე ოთხკუთხა ნიშებით.

ცენტრალური ნავი აღმოსავლეთით მთავრდება ნახევარწრიული საკურთხევლით (ტაბ. XXVI$_1$).

სინათლე შემოდიოდა აღმოსავლეთ კედელში გაჭრილი სარკმლიდან, რომელიც ტაძრის იატაკის დონიდან 340 სმ სიმაღლეზეა.

---

[3] ლ. ჭილაშვილი. არეშის ტაძრის გათხრები, სსმ არქეოლოგიური ექსპედიციები, IV, 1976, გვ. 25.

საკურთხევლის პირვანდელი იატაკი სადღეისოდ გამოჩენილი არ არის, ამჟამად შემორჩენილი იატაკის დონიდან 90 სმ უდრის. თვითონ საკურთხეველიც გამოწეულია ცენტრალურ ნავში, გაგანიერებულია თითქმის სათავსოების კარებამდე. მიმატებულ ნაწილში ამოყვანილია ოთხკუთხა და მრგვალი აგურების მეშვეობით კანკელი (ტაბ. XXVI$_2$). აბსიდის ცენტრში მოთავსებულია აგურით ნაშენი ოთხკუთხა საკურთხეველი (ტრაპეზი) 90×100 სმ გრძელი ნაწილით ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე. შემორჩენილი სიმაღლე 60 სმ-ია, სამსხვერპლოს აგურების ზომებია 22×22×5.

კანკელის საყრდენი, საკურთხევლის იატაკთან ერთად დასავლეთისკენ გამოწეულია 150 სმ-ით. თავის მხრივ საყრდენი დამკვიდრებულია ბემზე. რომელიც საფეხურად შემოუყვება კანკელს სამი მხრიდან. იატაკის დონიდან ბემის სიმაღლე თანაბარი არაა. საშუალოდ 40 სმ. ბემის სიგრძე ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე 800 სმ უდრის, ხოლო სიგანეში 170 სმ. ისე რომ, კანკელის საყრდენიდან ბემი საშუალოდ 20 სმ-მდეა გაწეული.

კანკელს საკურთხეველში ასასვლელად სამი საფეხური აქვს. „აღსავლის“ კარს სამი საფეხური აქვს. ქვედა პირველი საფეხური მიშენებულია ბემზე. იგი თავის დროზე სწორკუთხა იქნებოდა, ამჟამად გარე კუთხეები მოშლილია. სიმაღლე 20 სმ უდრის, სიგანე 38, სიგრძე 60 სმ. მეორე საფეხურის მოვალეობას ბემი ასრულებს, რომლის სიგანე ამ ნაწილში 24 სმ-ია. მესამე საფეხური კანკელის საყრდენ კედელშია. საფეხურები, ისევე, როგორც მთლიანად კანკელი, შელესილია კირხსნარით.

კანკელის საფასადო მხარეს დასავლეთიდან აღმართული ყოფილა ექვსი წრიული ფორმის აგურით ნაგები სვეტი.

კანკელის ჩრდილო და სამხრეთ კიდეებს ჰკეტავს ორი კუთხის კედელი. ჩრდილოეთისა მთლიანად მოშლილი აღმოჩნდა, ხოლო სამხრეთისა გადაწოლილია და სადიაკვნეს კარები ჩაუკეტავს. ამ კედლის სიგანეა დასავლეთიდან 60 სმ, სამხრეთიდან 70. კედლის სისქეა 50 სმ. ორი განაპირა მრგვალი სვეტი შერწყმული ყოფილა ამ კედელთან ისე, რომ მის ორგანულ ნაწილად გამოჩენილიყო. ეს დეტალი კარგად ჩანს სამხრეთ კუთხეში.

საკურთხევლის იატაკზე გადაქცეული კანკელის ნაწილების გაზომვამ საშუალება მოგვცა კანკელის სრული სურათის წარმოსადგენად. მრგვალ სვეტებს აგურით ნაშენი კაპიტელები ედგა თავზე, რომლებიც სამრგვალიდან გადადიან კვადრატში.

სვეტები შეკრული იყო ნახევარწრიული კამარებით. სვეტებსა და კამარას შორის შევსებული სივრცის სრული აღდგენა ამჟამად ჭირს. ნიში ბოლომდე შეიძლება არ იყო შევსებული თაღამდე და ლუნეტები ჰქონოდა.

საკურთხევლის განიერ ნაწილში სამსხვერპლოს აქეთ-იქით იატაკზე ამოშენებულია ორი მერხი; ჩრდილოეთისა (სიგრძე = 30 სმ, სიგანე 50 სმ, სიმაღლე 30 სმ) და სამხრეთისა (სიგრძე = 132 სმ, სიგანე 42 სმ, სიმაღლე 30 სმ). ძირითადი ნაგებობის კედლებს შიგნიდან მთელ პერიმეტრზე, გარდა საკურთხევლისა, შემოუყვება ქვით ამოშენებული და კირით მოლესილი მერხი. მერხები წყდება მხოლოდ კარებთან. მისი საშუალო სიგანე 40 სმ-ია, სიმაღლე 25—28 სმ.

კედლებისა და თაღის ჩამოქცევას იატაკი ძლიერ დაუზიანებია, თუმცა შემორჩენილი ფრაგმენტებით ზოგი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია. პირველ ყოვლისა, ტაძრის თითქმის მთელი ფართობი (სანამ იატაკს დააგებდნენ) საგულდაგულოდ არის მომზადებული. ადგილი მოსწორებულია და მოხრეშილი.

შემდეგ ალაგებენ მოზრდილ ქვებს (სიგრძით 40 — 50 სმ) ვერტიკალურად, ისე, რომ ზედაპირი უსწორმასწორო არ იყოს და შემდეგ კი გადალესილია წმინდა კირხსნარით, შედეგად იატაკი სწორია და პრიალა.

ყველაზე უკეთესად იატაკი გადარჩენილია საკურთხევლის წინ სვეტებამდის, დასავლეთის კართან, ჩრდილოეთ ნავის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში. სამხრეთის ნავი თითქოს მთლიანად ქვაფენილის ამარა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სულ არ ჩანს მოკირწყვლის კვალი, ამასთან ნავის აღმოსავლეთ ნაწილში კარგად ჩანს ქვების სიბრტყეზე დაწყობა იატაკისათვის.

ცენტრალური ნავის ექვსი სვეტიდან შემორჩენილია მხოლოდ ოთხკუთხა ნაშთები, ალბათ სვეტების ძირებისათვის. სვეტისძირები ნაგებია ქვის ნატეხებისაგან, ზოგჯერ დიდი ზომის ქვებიც ურევია. შეკავშირებულია დუღაბით და მოლესილია კირის ხსნარით (ტაბ. XXVII$_2$).

კარგად შენახული სვეტის ძირის ზომებია 100×105×20 სმ. შემორჩენილი სიმაღლე 15 სმ არ აღემატება.

ყველაზე მეტად დაზიანებულია ჩრდილო-დასავლეთის სვეტი, რომლის მხოლოდ ერთი კუთხეა გადარჩენილი. დაზიანებულია აგრეთვე ჩრდილოეთის მწკრივის შუა სვეტი, რომელსაც თავის დროზე ძლიერი დარტყმა განუცდია ზემოდან და გადანგრეულა ჩრდილო-დასავლეთისაკენ ისე, რომ სვეტის გადავარდნილ ნაწილს ჩაუჭრია იატაკი და ღრმად ჩასულა მიწაში. გადავარდნილი სვეტის გაწმენდისას გაირკვა, რომ სვეტები მრგვალი უნდა ყოფილიყო.

აღნიშნული მრგვალი სვეტი, ისევე როგორც გარშემოსავლელების მრგვალი სვეტები, შედგენილია რიყის ქვებისაგან, სქელ დუღაბზე. გარედან გალესილია წმინდა ხსნარით.

სამხრეთის სტოა წარმოადგენს ვიწრო და გრძელ მინაშენს (ტაბ. XXVII$_1$), რომლის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია საკურთხეველი აბსიდით. სამხრეთის კედელში შვიდი სვეტია ჩამენებული, რომლითაც ექვსი შემოსასვლელი ღიობია შექმნილი. შვიდი სვეტიდან ორი განაპირა მრგვალი სვეტი შერწყმულია კედლებთან.

სვეტებზე თავის დროზე დაყრდნობილი იქნებოდა თაღის ჭუსლები, ხოლო მინაშენის მთლიანი თაღი ეყრდნობოდა პილასტრებს, რომელთა ნაშთები შემონახულია ტაძრის სამხრეთ კედელზე. პილასტრები ყველა ერთი სისქისაა (45 სმ).

აღმოსავლეთიდან პირველი სვეტი მიბჯენილია საკურთხევლის სამხრეთ კედელზე, გარეთა კუთხიდან 350 სმ მანძილზე. კედლის მხრიდან სვეტი წაკვეთილია 10 სმ სეგმენტით.

შემორჩენილი სიმაღლე 110 სმ-ია, დიამეტრი 100 სმ. სვეტის მიხედვით, ჩანს, რომ თავის დროზე სვეტი არ იქნებოდა 110 სმ მაღალი და სავარაუდოა ამ სიმაღლეზე იყო მოთავსებული თაღის ჭუსლიც.

სვეტი ნაგებია მცირე ზომის ქვის ნატეხებისაგან, ხშირად სეგმენტური მოყვანილობის ქვებისაგან. თითქმის მთელ სიმაღლეზე შემორჩენილია კირით ნალესობა.

კედელიცა და სვეტიც დაზიანებულია სამხრეთის მხრიდან. სვეტები ამოყვანილია მთლიან კედელზე, რომლის ზედაპირი გატოლებულია ტაძრის შიდა საფეხურის დონესთან. კედელი თავის მხრივ დამკვიდრებულია ცოკოლზე, რომლის სიგანე 135 სმ აღწევს, ხოლო კედლის სიგანე 120 სმ. სტოას თავის დროზე მხოლოდ მიწატკეპნილი იატაკი უნდა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში არ შეინიშნება იატაკის მომზადების რაიმე კვალი.

მინაშენის აღმოსავლეთ კიდეში მოთავსებულია აბსიდა, რომლის იატაკი რიყის ქვებითაა მოწყობილი. იატაკი დაგებულია 210 სმ სიგრძეზე. აბსიდის წინ სამხრეთის კედელზე მიშენებულია ოთხკუთხა აუზი. აუზის ზომებია 100×70 სმ, სიმაღლე 76 სმ. აუზის შიდა მოცულობა 52×53 სმ, სიმაღლე 45 სმ.

ამოღებულ ჭურჭლებში ჭარბობს ჯამის ნატეხები. ერთი ჯამი შესაძლოა მთლიანად აღსდგეს — აქვს სქელი კეცი, დაბალი პირმრგვალი კედელი და განიერი ძირი. უხეშ ნახელავია და ცუდად გამომწვარი, იშლება.

ისევე როგორც სამხრეთ სტოას, დასავლეთის მინაშენსაც მრგვალი სვეტები აქვს — ორი თავისუფალი, ორი — ერთი მხრიდან კედელს შერწყმული და ერთიც კედელში ამოყვანილი, რომელსაც უფრო დეკორატიული მნიშვნელობა ექნებოდა; სვეტების განაწილებაში სიმეტრიულობა არაა დაცული.

სვეტები ნაგებია ზუსტად ისე, როგორც სხვა სვეტები — კუთხოვანი ქვის ნატეხებით და დუღაბით, ურევია აგრეთვე სხვადასხვა მოყვანილობის ქვებიც. ზოგს კარგად ეტყობა შელესილობაც.

სამხრეთიდან პირველი სვეტი უფრო დეკორატიული დანიშნულებისაა, ვიდრე კონსტრუქციული, ჩასმულია კედელში და სვეტის მხოლოდ მომრგვალებული მხარეები ჩანს. შემორჩენილი სიმაღლეა 83 სმ, დიამეტრი აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 100 სმ. კედლებს შორის მოქცეული ნაწილი 85 სმ.

II სვეტის შემორჩენილი სიმაღლე 82 სმ-ია, დიამეტრი აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე 103 სმ. ნგრევისას დაწოლა უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთიდან, ვინაიდან სვეტის ნახევარი გადაწოლილია დასავლეთისაკენ.

III შემორჩენილია 30 სმ სიმაღლეზე, დიამეტრი 102 სმ.

IV სვეტი გადავარდნილია მთლიანად დასავლეთისაკენ, მაგრამ ვინაიდან თავის საყრდენ კედელთან ახლოსვეა, ადვილია მისი პირვანდელი ადგილის მიგნება. შემორჩენილი სიმაღლე 100 სმ, დიამეტრი 100 სმ.

V სვეტი აგრეთვე გადავარდნილია დასავლეთით, ამასთან შემორჩენილი აქვს სრული სიმაღლე და თაღის ის ნაწილი, მას რომ ებჯინებოდა. თაღის თითქმის ნახევარი გადარჩენილია, აქვს ნალისებური მოყვანილობა, გადაყვანილია თხელი ქვების მეშვეობით. სვეტის სიმაღლე 110 სმ უდრის, აღდგენილი სიმაღლე შესასვლელისა დაახლოებით 200 სმ უნდა იყოს.

დასავლეთ სტოას თავის დროზე უნდა ჰქონოდა 4 — 5 პილასტრი, ზუსტად იმავე ზომების, როგორიცაა სამხრეთ სტოაში. ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. გადარჩენილი პილასტრის ძირი სტოას ჩრდილო ნაწილშია. აქაც, ისევე როგორც სამხრეთ სტოაში, ტაძრის კედელთან შექმნილია ბაქანი 105 სმ სიგანის, ხოლო თუ სამხრეთ სტოაში პილასტრებს საყრდენად ცოკოლი აქვთ აშენებული, აქ პილასტრები უშუალოდ ბაქანს ეყრდნობოდა. პილასტრების ფუძის ზომებია 85 სმ×45 სმ.

სტოას ჩრდილოეთ ნაწილში პირობითი იატაკის დონის ქვემოთ — უშუალოდ კედლის ქვეშ, რომელზეც ამოყვანილი იყო V სვეტი, აღმოჩნდა ქვაყუთი ორი კარგად შენახული ჩონჩხით, თავებით დასავლეთისკენ და აღმოსავლეთით მიხვეტილი ძვლებით. ქვაყუთი შეკრული იყო ქვისაგან. გადახურული იყო რამდენიმე ქვით, რომლებიც ჩამტვრეულია როგორც ჩანს ეკლესიის ნგრევის დროს. რადგანაც თვითონ კედლის ის ნაწილიც, რომელიც სამარხზე გადადის, ჩაწოლილია ქვევით 20 სმ.

სამარხის სახურავი სვეტები კედლის ზედაპირიდან ანუ ღიობის ზღურბლის დონიდან 80 სმ სიღრმეზეა.

სამარხის სიგრძე 200 სმ უდრის, სიგანე ფეხებთან 70 სმ. სამარხი ამოჭრილია ოდნავი გადახრით სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ ხაზისკენ. დასავლეთის კარის ღერძიდან დაშორებულია 210 სმ-ით. მისი სიგრძის დიდი ნაწილი — 120 სმ — სტოას არეშია მოქცეული, დანარჩენი 80 სმ — კედლის ქვეშ.

ყველაზე ცუდად ჩრდილოეთის სტოაა შემორჩენილი. საბოლოო გაწმენდამდე ამ მონაკვეთში შესაძლებელია მხოლოდ ზოგი სურათის მოხაზვა. მინაშენი წარმოადგენს ვიწრო და გრძელ სათავსოს, რომლის აღმოსავლეთი კიდე მთავრდება ნალისებური აბსიდით, შუა ნაწილში სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს ორი კარი ერთ ღერძზე (ერთი ძირითადი კორპუსისა, მეორე ჩრდილოეთიდან გარეთ გასასვლელი). აღმოსავლეთ ნაწილი უკავშირდება დასავლეთ სტოას და მისგან გამიჯნული უნდა ყოფილიყო მხოლოდ სპეციალურად მოწყობილი შესასვლელით, რომელსაც ამავე დროს კონსტრუქციული დანიშნულებაც ექნებოდა, ესაა ტაძრის ძირითადი კორპუსის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებზე ამოყვანილი დამატებითი კუთხეები, პილონები, რომლებიც თაღებს ერთვიან, ამავე დროს დაწოლის სიმძიმეს ინაწილებენ.

მინაშენს უნდა ჰქონოდა აგრეთვე პილასტრებიც. ამჟამად გამოვლენილია მხოლოდ ორი, ტაძრის ჩრდილო კარების აქეთ-იქით. აქაც პილასტრები ეყრდნობა ცოკოლს, რომელიც ძლიერ დაზიანებულია, ხოლო ცოკოლი თავის მხრივ დაშენებულია 110 სმ სიგანის ბაქანზე.

არქეოლოგიური მასალა ტაძრის გათხრებისას, თუ არ ჩავთვლით სამშენებლო კერამიკას, არ არის დადასტურებული, მხოლოდ ორი ნივთია ნაპოვნი ჩრდილოეთ სტოას აბსიდის წმენდისას. ესენია მოჭიქული ჯამი და სპილენძის ჯვარი. ისინი შესაძლოა კედელში დატანებულ ნიშაში იყო შენახული, რომლებიც კედლის დანგრევის შემდეგ მოხვდნენ ნანგრევში.

— თიხის ჯამი მთელია, დგას ქუსლშეზნექილ ძირზე. პირის დიამეტრია 17 სმ. ჯამი დაფარულია მოვარდისფრო ანგობით, შემდეგ კი მოჭიქული მოცისფრო გაუმსჭვარი, მქრქალი ჭიქურით. ჯამის ძირი საკმაოდ დაუდევრად არის გამოყვანილი, ქუსლზე ჭიქურის ნაღვენთებია შემორჩენილი. ჭიქური მეტად დაბალი ხარისხისაა, რის გამოც ჯამის თითქმის მესამედზე ის ანგობთან ერთად აცვენილია. არც ანგობია საგულდაგულოდ წასმული. ჯამის ფსკერზე უხარისხოდ დამუშავების გამო სპირალური რელიეფებია გაჩენილი. ჩვენი აზრით, ის იმიტაციების ჯგუფში უნდა მოექცეს.

რაც შეეხება ჯვარს (სურ. 2) გულსაკიდი ჯვრების კვალობაზე საკმაოდ დიდია (სიგრძე 10 სმ). ჯვრის მკლავების ბოლოები ორ-ორი ყლორტით ბოლოვდება, რომლებიც ერთი შეხედვით რკოებსაც მიემსგავსებიან. ჯვრის ცენტრალურ ნაწილში თვალბუდეა მოთავსებული. თვალი არ არის შემორჩენილი. ჯვარი გულსაკიდად ყოფილა გამოყენებული, რაზედაც მიუთითებს საკიდი ყუნწი და გაპრიალებული მეორე მხარე. ჯვარი ჩამოსხმულია. იგი ვერ ჩაითვლება საგულისგულოდ შესრულებული ნაწარმის ნიმუშად: პროპორციები დარღვეულია, ზოგი დეტალი ნაკლულია. მიუხედავად ამისა, საჭმე გვაქვს ნივთთან, რომელიც უშუალო კავშირშია ტაძართან.

როგორც ზევით ითქვა, არქეოლოგიური მასალა, გარდა ზემოთ აღნიშნული ჯამისა და ჯვრისა, რომლებიც ტაძრის ფუნქციონირების დროს შეიძლება დაუკავშიროთ, ჯერჯერობით არ არის. სხვა დანარჩენი მასალა, რომელიც თხრისას ჩნდებოდა, უპირატესად კერამიკა. უკავშირდება ტაძრის ირგვლივ მდებარე

ნამოსახლარებსა და სამაროვანს და ტაძრის ფუნქციონიერების ბოლო პერიოდს განსაზღვრავს სავარაუდოდ XIV ს. ბოლოთი ან XV ს. დასაწყისით.

რაც შეეხება ტაძრის ძირითადი ნაგებობის აგების თარიღს და გარშემოსავლელების მიშენებას, გადაწყვეტით ვერაფერს ვამბობთ, რამდენადაც მომავალ სეზონში ჩასატარებელია დამატებითი სამუშაოები, კერძოდ შესამოწმებელია საკურთხევლისა და მთლიანად ტაძრის შიდა არე (საკურთხევლის პირველი ფენის და მინაშენების იატაკები), ასევე ჩრდ. სტოა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ტაძრის ორივე (ძირითადი და მინაშენი) მშენებლობის ქრონოლოგიური თავისებურებების გარკვევა და საბოლოო დასკვნის გამოტანაც მაშინ იქნება შესაძლებელი. დღევანდელი შთაბეჭდილებით მხოლოდ ორი თარიღის აღნიშვნაა შესაძლებელი, ისიც სავარაუდოდ; რომ ტაძრის ძირითადი ნაგებობა ძირითად დეტალებში ამჟღავნებს სინქრონულობას ადრექრისტიანულ ბაზილიკებთან უპირატესად VI ს. ძეგლებთან და რომ მთლიანად ტაძარი მწყობრიდან უნდა იყოს გამოსული XIV ს. ბოლოს ან XV ს. დასაწყისში. რაც შეეხება გარშემოსავლელის გაჩენას, დამატებითი სამუშაოების ჩატარებამდე მის შესახებ დასკვნის გამოტანა ადრეა.

Л. А. ЧИЛАШВИЛИ

РАСКОПКИ АРЕШСКОГО ГОРОДИЩА

(Табл. XXIV—XXVII)

В 1974—1975 гг. продолжались раскопки христианского храма и прилегавшей к ней территории, где предыдущими полевыми исследованиями был выявлен могильник. Всего раскопано 21 погребение, из них 10 в 1974 г. Погребения однотипны — представляют собой каменные ящики, сложенные из плоских каменных плит, порой из тесаных известняков и сланцев. В некоторых случаях использована речная галька. В шести погребениях — единичные захоронения, остальные представляют собой коллективные усыпальницы. Погребальный инвентарь засвидетельствован лишь в четырех погребениях; это — медные сфероидные подвески, бусы из разных минералов и фаянса, стеклянные браслеты. Стеклянные браслеты, в отличие от подобных изделий из Рустави, Сиони и Гавази, выделяются малыми размерами. Материал из погребений предварительно можно отнести к X—XIV вв.

Основные средства и время экспедиции были использованы для исследования христианской церкви, раскопки которой в основном завершены; остается провести добавочные работы для выяснения некоторых моментов, связанных с вопросом возведения и перестройки храма.

Церковь состоит из основного трехнефного сооружения и пристроенного с трех сторон обхода. Общая длина церкви 27 м., ширина 21 м. Длина трехнефного сооружения 22,8 м., ширина — 14 м. Основная постройка тремя парами столбов разделена на три нефа. Ширина центрального нефа — 5,5 м. Его восточная часть завершается полукруглой абсидой, с маленькими помещениями с двух сторон, с выходами в боковые нефы. Церковь была возведена из крупного булыжника и гальки на известковом растворе. Обожженные квадратные кирпичи были использованы в основном в процессе перестройки храма, для настилки полов и возведения алтарной преграды. Сооружение было перекрыто, после реконструкции и перестройки, черепицами плоской и полуцилиндрической формы. На некоторых плоских черепицах сохранились изображения крестов и грузинские надписи, выведенные низким рельефом.

Судя по обвалившимся частям перекрытия, которыми было завалено сооружение, основная постройка завершалась полуцилиндрическим сводом.

В плане храм представляет собой прямоугольное сооружение, удлиненное с востока на запад, с пятью продольными помещениями.

Центральная часть с тремя нефами сообщается с пристройками тремя дверными проемами в южной, западной и северной стенах. Западная пристройка как бы объединяет все внутреннее пространство церкви.

Как было сказано выше, восточную часть центрального нефа занимала полукруглая абсида, сохранившаяся до нас не в первичном виде. По всей вероятности, в момент реконструкции церкви в основной постройке в первую очередь была переделана абсида — она была расширена в сторону главного нефа, почти до дверей боковых помещений; значительно был поднят уровень пола абсиды по сравнению с уровнем основного нефа и, главное, везде, при перестройках (настилки полов и возведения алтарной преграды) в качестве стройматериала использованы обожженные кирпичи.


Основная архитектурная часть алтарной преграды это — шесть колонн, возведенных из круглых обожженных кирпичей, с опирающейся аркатурой. Круглые колонны постепенно переходят в квадратные «капители». Межколонные пространства со стороны алтаря были заполнены полукруглыми кирпичами в два ряда так, что в алтарной преграде с внешней стороны образовывались ниши. Абсида освещалась через прорезанное в восточной стене окно, часть проема которого хорошо сохранилась.

При раскопках церкви, археологический материал, кроме строительной керамики, а также других предметов, связанных с погребениями и поселением, находившемся около храма, не найден. Исключение составляют два предмета — поливная чаша и медный нательный крест. Оба они обнаружены в абсиде северной пристройки. Чаша покрыта розовым ангобом, а затем покрыта синей непрозрачной глазурью. По технике изготовления и качеству поливы чаша оставляет впечатление небрежной работы. Скорее всего, она является имитацией поливной керамики.

Медный крест также не блещет техникой обработки. Крест предназначался для подвешивания. В центре креста помещено гнездо для камня; тябла заканчиваются стилизованными листьями.


Оба предмета предварительно можно отнести к последнему периоду функционирования церкви, т. е. к концу XIV и началу XV вв.

Что касается вопросов хронологии — времени строительства основного сооружения и пристройки обхода, — то, до проведения добавочных контрольных работ, ответить на них трудно. По имеющимся на сегодня материалам возможно лишь предварительно заключить, что основное сооружение находит аналогии в памятниках раннехристианской эпохи (преимущественно в базиликах VI в.) и, что храм прекращает функционирование в конце XIV или в начале XV в.



სურ. 1. არეშის ეკლესია, გეგმა

Рис. 1. Арешская церковь, план



სურ. 2. არეში. სპილენძის ჯვარი
Рис. 2. Арешн, медный крест

მ. სინაურიძე

1974 — 1975 წწ. არახლო-კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში

1974 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების კაზრეთის ექსპედიციას გათვალისწინებული ჰქონდა, ისევე როგორც წინა წლებში, არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ბოლნისის რაიონის დაბა მადნეულში და მის მახლობელ ტერიტორიაზე. მაგრამ მუზეუმს მოუვიდა ცნობა, რომ საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „წყალმშენის“ ტრესტს ბოლნისის რაიონის სოფ. არახლოს ტერიტორიაზე გაჰყავს სარწყავი სისტემის ახალი ტრასა, რომელიც გადის ფეოდალური ხანის დიდ ნამოსახლარზე. ამასთან დაკავშირებით კაზრეთის ექსპედიცია გავიდა ველზე არახლოს ტრასაზე სამუშაოდ.

არახლოს არხი გაჰყავთ მდ. ხრამიდან არახლოს მეურნეობის ტერიტორიის შემავალი მიწების მოსარწყავად. არხი წყალს იღებს ხრამის მარჯვენა მაღალსა და კლდოვან ნაპირზე მოთავსებული რეზერვუარიდან. აქედან დაწყებული სარწყავი არხის მთელ სიგრძეზე იჭრება ტრასა დიდი დიამეტრის მილების ჩასაწყობად, ეს ტრასა ხრამის ნაპირიდან გადის დაბა არახლოს ზემოთ ბოლნისისაკენ მიმავალ საავტომობილო გზატკეცილის პარალელურად 14 კმ მანძილზე დ. კუჩულომდე და ტაშტიკულარამდე.

როგორც აღვნიშნეთ, უკვე ტრასის დასაწყისშივე არახლოს ზემოთ მდებარე კლდოვანი კონცხის ტერიტორიაზე, წყლის რეზერვუართან მიწის სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდა შუაფეოდალური ხანის ორი ქვევრი და კერამიკა. ადგილის დაზვერვამ დაგვარწმუნა, რომ საქმე გვქონდა შუაფეოდალური ხანის მნიშვნელოვან ნამოსახლართან. რეზერვუარიდან სულ რამდენიმე მეტრის მანძილზე ჩვენ დავაფიქსირეთ ორი ეკლესიის ნაშთი გალავნითა და სამარხებით და შუაფეოდალური ხანის მრავალფეროვანი თიხის ჭურჭლის და მინის სამაჯურების ნატეხები. ამრიგად, უეჭველი იყო, რომ გათხრები უნდა დაწყებულიყო სწორედ ამ უბანზე. მაგრამ ვიდრე შევუდგებოდით მუშაობას, ჩვენ დავზვერეთ მთელი ნასახლარი და შევარჩიეთ სამუშაო ობიექტი.

არახლოს ნასახლარი (დაახლოებით 5 ჰა) მდებარეობს ხელოვნურად გამაგრებულ კლდოვან და მაღალ კონცხზე, რომელსაც ორი მხრიდან, ნაწილობრივ ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან, ჩამოუდის მდ. ხრამი. მთელი კონცხი ტერასულად ნაგები შენობებით არის მოფენილი. მიუხედავად იმისა, რომ ნასახლარს მეტად ხელსაყრელი მდებარეობა აქვს, მტრისაგან თავდაცვის მიზნით მდინარის კლდოვანი ნაპირი დამატებით კიდევ დამცველი კედლებით გაუმაგრებიათ.

დასავლეთით კონცხი თანდათან დაბლდება და ივაკებს. აქ ერთ ადგილას თითქოს ყელია გამოყოფილი, ყოველ შემთხვევაში ამ ადგილას აშკარად ჩანს ნამოსახლარში შემოსასვლელი გზა, შეიმჩნევა აგრეთვე გზის გაჭრისას გაშიშვლებული ქვის მასივი. სამხრეთით სადამდე ვრცელდებოდა ნასახლარი, ძნელი დასადგენია, აქ სულ ახლოს უკვე იწყებოდა ახალი სამოსახლოები და მათ მიერ განადგურებული ნასახლარის ქვედა ტერასები. შესაძლოა დავუშვათ, რომ აქეთ ნამოსახლარს ჰქონდა თხრილი ან გალავანი და ტერასებით გამაგრებული ეს სამოსახლო თანდათან ეშვებოდა დღევანდელი დაბის ბოლომდე, ხრამის დაბალ ნაპირებამდე.

არახლოში 1 უბანი გავხსენით სამოსახლო ბორცვის სამხრეთ ფერდობზე მდებარე ეკლესიასთან. ამ უბანს სამხრეთიდან საზღვრავს სარწყავი არხის ტრასის მონაკვეთი, რომელიც ბორცვის ფერდობს ჭრის 7 მ სიგანის ტრასით, ხოლო ჩრდილოეთიდან ნასახლარზე გამავალი გზა. გათხრები დავიწყეთ ეკლესიის ნანგრევების გარშემო, იმ ვარაუდით, რომ აქ ახლოს უნდა გაევლო გალავანს, რომლის კვალი აღმოჩნდა არხის ტრასის ჭრილში და ეკლესიის ნაშთის ჩრდილოეთით. როგორც შემდეგში გამოირკვა, გალავანი ეკლესიას შემოუყვებოდა 22 მ მანძილზე სამხრეთიდან, შემდეგ მოემართებოდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ ტეხილი ხაზის სახით 43 მ მანძილზე. შემორჩენილი გალავნის საერთო სიგრძე 86 მ-ია (სურ. 1).

არხის ტრასასთან გალავანი შემონახულია 30—50 სმ. სიმაღლეზე. ეკლესიის ჩრდილოეთით იგი აღწევს დაახლოებით 3 მ სიმაღლეს.

გალავნის შიგნით მოქცეული ტერიტორია (არხის ტრასის ჩრდილოეთით) დაახლოებით 64×52 მ ფართობი მოფენილი აღმოჩნდა ნათალი ქვით და ქვის ლოდებით დახურული სამარხებით, რომელთა შორის ბევრი იყო ცარიელი ორმოსამარხი ქრისტიანული წესით დაკრძალული მიცვალებულით.

ეკლესია თითქმის მთლიანად მიწაში იყო ჩამჯდარი. მხოლოდ აღმოსავლეთ მხარეს მიწის ზედაპირიდან ზემოთ ამართული იყო აღმოსავლეთი კედელი 2,70 — 1,80 მ სიმაღლეზე. ეკლესიის კედლების მიწისაგან განთავისუფლებისას მრავლად ჩნდებოდა შუაფეოდალური ხანის პოლიქრომული და წითელკეციანი კერამიკა, ღარიანი და გვერდაკეცილი კრამიტი.

ეკლესია, ისევე როგორც გალავანი, ნაშენია თლილი და ნაგლეჯი ქვითკირის ხსნარზე. იგი წარმოადგენს ერთნავიან დარბაზული ტიპის ნაგებობას, რომელსაც სამხრეთიდან მიშენებული აქვს ეკვდერი, მისი საერთო ზომებია 9×11 მ. ნაგებობა დგას 80 სმ სიგანის ცოკოლზე. აღმოსავლეთით ეკვდერსა და ეკლესიას აქვს აფსიდა, რომელშიაც გაჭრილია თითო სარკმელი.

მთელი ნაგებობა გარედან ჩასმულია ოთხკუთხედში. მას კედლები საკმაოდ განიერი აქვს 80 — 90 მ; ეკლესია ეკვდერს უკავშირდება სამხრეთ კედლის ბოლოში გაჭრილი კარით. ეკლესიის იატაკის დონე (იატაკი მოტკეპნილია კირით) ეკვდერის დონესთან შედარებით დაბალია და ამიტომ ზღურბლთან იგი ერთი საფეხურით დაბლდება. შესასვლელი მთელ ნაგებობას სამხრეთიდან აქვს ეკვდერის სამხრეთ კედელში გაჭრილი, ეკლესიის კარის პირისპირ, მისგან ოდნავ აღმოსავლეთით გადაადგილებული.

ეკლესიის წმენდისას აღმოჩნდა ჩამოქცეული ტრიუმფალური და სართავი თაღების ნათალი ქვები; აგრეთვე აგური, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, კამარის შესაკრავად იყო გამოყენებული. აგურის ზომა 23×23×4; 24×24×4; 23×24×4 სმ.

აღსანიშნავია, აგრეთვე ეკლესიის აფსიდაში სატრაპეზო ქვის აღმოჩენის ფაქტი. ქვა მიდგმული აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან. მას ზურგი რკალისებურად ამოღებული ჰქონდა.

ამრიგად, ეკლესია ყველა ნიშნის მიხედვით შუაფეოდალურ ხანაზე ადრე და მასზე გვიანი ხანით არ უნდა დათარიღდეს.

ეკლესიის გარეთა კედლების გაშიშვლებისას აღმოჩნდა, რომ სამარხების უდიდესი ნაწილი ეკლესიასთან შედარებით გვიანდელია, ისინი აქ გაუმართავათ უკვე დანგრეული ეკლესიის კედლებთან მიჯრით ეკლესიის ბაზის და იატაკის დონიდან საკმაოდ მაღლა, ეს სამარხები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უინვენტარო იყო, და ჩონჩხები იმდენად ჩამლილი იყო, რომ ხშირად დაკრძალვის პოზაც კი არ ირკვეოდა.

ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის წმენდისას, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გახსნილი სამარხის პრეპარაციისას აღმოჩნდა გრეხილი მინის, მსხვილი სამაჯურის ნატეხი, ბრინჯაოს ჯვარი და საყურე გახსნილი რგოლით, რომელსაც ყუნწით უკავშირდება თეთრი მარგალიტით დაბოლოებული საკიდი.

ეს სამარხი, წინასწარი დაკვირვებით, ეკლესიის თანადროულად გვეჩვენება და ზოგადად XII — XIII სს-ით უნდა დათარიღდეს.

საყურადღებოა, რომ არხმშენის მიერ ტრასის გაჭრისას ხრამის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩნდა თიხის ქილაში შენახული ვერცხლის მონეტების განძი. ჯერჯერობით აღნიშნული განძიდან ჩვენ შევაგროვეთ 24 მონეტა. მონეტები განსაზღვრულია (საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომელთა მიერ) როგორც ყაანური და ჰულაგუიდური და თარიღდება XIII — XIV სს.

არახლოში, ხრამის მარჯვენა ნაპირზე, ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე ზემოდან მეორე ტერასაზე გაიხსნა მეორე უბანი — „საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი“. იგი შეიცავდა 8 სათავსოს, რომელთაგან ხუთი ოთხივე მხრივ კედლებით შემოზღუდული ოთახებია, ხოლო სამი წარმოადგენდა ცალ მხარეს ღია დერეფანს (სურ. 2). მთელი ნაგებობა ზურგით ეყრდნობა კლდოვან მასივს (სამხრეთი და ნაწილობრივ სამხრეთ-დასავლეთის მხრივ), მისასვლელი აქვს სამხრეთიდან, ხოლო აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს გადმოკიდებულია ხრამის კბოდეზე და ხელოვნურად გამაგრებულია ქვის მასიური მშრალი წყობით. კომპლექსი ნაგებია ძირითადად დიდი ლოდებით მშრალ წყობაზე, კედლები შემორჩენილია სხვადასხვა სიმაღლეზე, დაახლოებით 0,1 — 0,5 მ-დან, 1,15 — 2,0 მ-მდე. მთელი კომპლექსის სიგრძე 15 მ-ია, სიგანე 7.60 მ. კედლის სიგანე საშუალოდ 0,6 — 1,0 მ.

როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთის მხრიდან ნაგებობას უდგება „გზა“. ამ მხარეს მას აქვს კარი, რომელსაც შევყავართ აღმოსავლეთი მხრიდან ღია დერეფანში (სათავსო № 1). მისი ფართობია (4×2,5 მ), იგი აღმოსავლეთი მხრიდან დგას ხრამის კბოდეზე და გამაგრებულია ხელოვნური კედლებით. დერეფნის აღმოსავლეთ ნაწილში იატაკის წმენდისას აღმოჩნდა 1,5×2,5 მ ფართობი, მიკირწყლული ნაგლეჯი ქვით და ოდნავ შემაღლებული.

დერეფანი უკავშირდება სამ ოთახს. ერთი გასასვლელი გაჭრილია სამ კედელში დერეფნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და გადის № 8 სათავსოში. მეორე გაჭრილია დერეფნის დასავლეთ კედელში და კიბეებით უკავშირდება სათავსო № 7-ს. კიბე ორსაფეხურიანია. ზედა საფეხური შედარებით პატარაა და მოთავსებულია ქვედა საფეხურის შუაში, ისე რომ კიბე ორ საფეხურად იშლება. მესამე გასასვლელი გაჭრილია დერეფნის ჩრდილო კედელში და გადის დიდ

დარბაზში (ოთახი № 2). მისი სიგრძე 5,25 მ-ია, სიგანე — 4 მ. ამ ოთახის იატაკის დონეზე აღმოჩნდა ქვის კერა და სვეტების საყრდენი ქვის ოთხი ბალიში, განლაგებული ცენტრალური ოთხკუთხედის (3,5×4,6 მ ფართობი) კუთხეებში. იატაკის წმენდისას კედლების ძირას აღმოჩნდა მათ სიმეტრიულად განლაგებული ასეთივე ბაზები. მთელ ფართობზე ჩნდება ხის ძელების ნაშთები. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო სვეტებისა და სახურავების ძელები. სამწუხაროდ, ეს ნაშთები იმდენად დაშლილი იყო, რომ დარბაზის სახურავის კონსტრუქციაზე მსჯელობა არ შეიძლება. რაც შეეხება დარბაზის ცენტრში სვეტებით გამოყოფილ ოთხკუთხედს, შეიძლება დავუშვათ, რომ მასზე დაყრდნობილი იყო გვირგვინი (თუმცა რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ლიტერატურაში დადასტურებული და დღემდე შემორჩენილ დარბაზების კონსტრუქციებში მას უშუალო ანალოგი არ მოეძებნება). ამავე სვეტზე შეიძლება დაყრდნობილი ყოფილიყო ბანური სახურავიც. მთელ ნასახლარზე უმთავრესად სწორედ ასეთი ბანური სახურავები იყო გავრცელებული და, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიაც ბანურ გადახურვასთან უნდა გვქონდეს საქმე.

– დარბაზის გათხრისას ჩნდება მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა, რომელიც ზოგადად შუაფეოდალური ხანით, უფრო კი XII — XIII სს.ĭ შეიძლება დათარიღდეს. მინისა და რკინის ნივთების ნატეხები, აგრეთვე კრამიტის რამდენიმე ნატეხი, რომელიც შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სახურავის ერდოს ხურავდა, თუ მის არსებობას დავუშვებთ.

დარბაზის ჩრდილოეთ კედელში, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გაჭრილია კარი, რომელიც გადის ხრამის კბოდეზე მოთავსებულ, დაახლოებით 2×2,5 მ ფართობის დერეფანში. (სათავსო № 3) დერეფნისა და დარბაზის გამყოფი კედელი ნაწილობრივ კლდეზეა ნაშენი და ნაწილობრივ ამოშენებულია მშრალი წყობით. იატაკის დონე დერეფანში, დარბაზთან შედარებით, მაღალია (მაშინ როდესაც I დერეფნის და დარბაზის იატაკის დონე ერთნაირია), მეორე დერეფანი (№ 4), რომელიც ამ დერეფნის დასავლეთიდან აკრავს, მდებარეობს ამავე ტერასაზე და იატაკის იგივე დონეზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს ორი დერეფანი არა მარტო ერთდროულად არის აშენებული, არამედ ერთიანია, მათ შორის გამავალი კედელი რომ მთელ კომპლექსს არ ჭრიდეს შუაზე და კაპიტალურ შთაბეჭდილებას არ ახდენდეს.

– № 4 დერეფნის აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩნდა ორი ქვევრი და თონე. ამავე ტერასაზე გამოდის დერეფნის დასავლეთ კუთხეში ამოშენებული ხარო, რომელიც ზურგით კლდოვან მასივს ეყრდნობა. ხარო დიდია. მისი დიამეტრი გარეთ 1,25 მ-ია, შიგნით 0,75 მ, კედლის სისქე 0,25 მ. № 4 დერეფანი ფართო გასასვლელით უკავშირდება ოთხკუთხა ვიწრო ოთახს (№ 5), რომლის ფართობია 2,85×1,0 მ. ოთახის დასავლეთ ნაწილში შეიმჩნევა მორკალული ქვის წყობის ნაშთი, რომლის დანიშნულების გარკვევა ვერ მოხერხდა. ამ სათავსოს სამხრეთ კედელში გაჭრილია გასასვლელი, ოთახი № 6 რიგი თითქმის კვადრატულია, 2,75×2,75 მ. ოდნავ ასიმეტრიული დასავლეთის კედელი ეყრდნობა კლდოვან მასივს. აქ თითქმის მთელი კედლის გაყოლებაზე აღმართულია ნალისებური კონტურის 15 — 20 სმ სიმაღლის ნახევარწრიული ნაგებობა — ნაპირებთან შედარებით დაბალი და ცენტრისაკენ თანდათან შემაღლებული. ამ ნაგებობის პრეპარაციის დროს ნაყარი ქვების აღებისას ჩნდება სამზარეულო და სამეურნეო სადა კერამიკის ნატეხები, მათ შორის ქვევრის ნაწილებიც, რომლებიც შუაფეოდალურ ხანას მიეკუთვნება. –

ოთახი № 6 სამხრეთ კედელში დაყოლებული გასავლელით უკავშირდება № 7 ოთახს. იგიც თითქმის კვადრატულია — 2,50×2,75 მ. ზურგის მხრიდან ეს სათავსო კლდეს ეყრდნობა, სხვა მხარეები შემოზღუდული აქვს მასიური კედლით. საყურადღებოა, რომ ამ სათავსოს იატაკი არა აქვს მოსწორებული. იგი დგას საკმაოდ უსწორმასწორო კლდეზე. ქვედა დონის მიწისა და ნაყარი ქვებისაგან განთავისუფლების დროს აღმოჩნდა ჰუმუსური მიწის ფენა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ იგი შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული წივის მარაგის შესანახად.

(სათავსო № 1) დერეფანი ერთი მხრივ უკავშირდება ზემოთ აღწერილ სათავსოს, მეორე მხრივ — სათავსო № 8-ს. ეს უკანასკნელი თითქმის კვადრატულია 2,25×2,44 მ. ჩრდილო და აღმოსავლეთი კედელი მყარად აქვს ნაგები მშრალი წყობით, სამხრეთ და დასავლეთისა უფრო ყორეს შთაბეჭდილებას სტოვებს. როგორც ჩანს, მისადგომი მთელ კომპლექსს მხოლოდ სამხრეთ აღმოსავლეთი კუთხიდან ჰქონდა და № 8 სათავსოს დასავლეთ და აღმოსავლეთ მხრიდან განსაკუთრებულ გამაგრებას არც საჭიროებდა, რადგან ამ მხრებიდან ის დაცული იყო კლდის მასივითაც.

მესამე თხრილი გაიჭრა ბორცვის ცენტრალურ ნაწილში. გათხრების დაწყებისთანავე გამოვლინდა მშრალი წყობით ნაგები ათამდე სათავსო. არქეოლოგიური მასალა შეიცავს შუაფეოდალური ხანის კერამიკას და მინას. ქვედა ფენებში ჩნდება გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის მასალა.

არახლოს ძირითადი ნამოსახლარის გასწვრივ, აღმოსავლეთით, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე აშკარად შეიმჩნევა ზემოთ აღწერილი თანადროული სახლარის არსებობა. იგი მდებარეობს მდინარისაგან შემაღლებულ ტერასზე. აქ შედარებით მცირე ფართობზე აგებულია სამი დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელთაგან უმცირესი ძლიერაა დაზიანებული (თითქმის მთლიანად ჩამონგრეული სახურავით და დარღვეული კედლებით). ამ სამოსახლოს ჩრდილოეთით, ქედის წვერზე აგებულია მეოთხე ეკლესია, რომლის კედლები საკმაოდ კარგად არის დაცული. ეკლესიას გარშემო შემოუყვება დამცველი გალავნის ნანგრევები, რომლის შიგნით და გარეთ შეიმჩნევა ნასახლარი ორმოები. მიმდინარე სეზონში მოხერხდა ამ ეკლესიების ახაზვა, გაკეთდა გეგმები და ჭრილები (სურ. 3).

დასასრულ ისმის კითხვა, კონკრეტულად რომელ ქალაქთან გვაქვს საქმე. ამ კითხვაზე საბოლოოდ პასუხის გაცემა ალბათ შესაძლებელი გახდება ძეგლის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ, ჯერჯერობით კი გონივრულად გვეჩვენება გავიხსენოთ იმ მკვლევართა (ერემიანი, მელიქსეთ-ბეგი, ს. კაკაბაძე) მოსაზრება, რომლებიც გაჩიან-ცურტავის ლოკალიზაციისას მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იგი სოფელ არხულოსთან მდებარეობს. ი. აბულაძე ეხება რა ამ მოსაზრებას, აღნიშნავს: „მართლაც აქ მდ. მაშავერისა და ქციის შესართავის ახლოს ვახუშტის აღწერით და რუქით (№ 2) აღნიშნულია „გაჩიანი“, ალბათ *Գաչհնք* უხტანესისა.... საბოლოოდ ამის დასაბუთება ნივთიერ საბუთს შეუძლია, მიწის სიღრმეში იქნება მოპოვებული იგი, თუ მის ზემოთ“[1].

ქართულ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია აზრი, რომ გაჩიანს ქართველი ისტორიკოსები არსად არ ახსენებენ როგორც ცოცხალ, თანამედროვე პუნქტს, „ის უფრო ძველი ტრადიციის გადმოცემას ჰგავს ლეონტი

---

[1] იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 055.

მროველთან და დავითის ისტორიკოსთან. აქაც ის უფრო მხარეს უნდა გულისხმობდეს, ვიდრე პუნქტს"[2].

გაჩენქს *ფაქინდ* იცნობს უხტანესი და მას ცურტავად თვლის. მის დროს (X ს.) ის დამცირებული და ზომიერი დაბა-ქალაქია მდ. გაჩენაგეტის კიდეზე — ვრაც დაშტის კუთხეში, რომელიც შუა ზღვარია სომხეთისა და ქართლისა[3]. სამეულ ანეცის მიხედვით, XII ს. 30-იან წლებში ივანე აბულეთის ძე დამარცხდა გაჩიანში[4].

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" აღნიშნავს: „შულავერის დასავლით არს მანხუტის ჯვარი და ამის დასავლით ტალავრის ჯვარი. ამ ხევის ბოლოს ჭაპალა და ციხე მისი (და ამას სწერენ გაჩიანად). არამედ ჭაპალის ჩრდილოთ, ქციის კბოდებზედ არს არქევანი. ამას ეწოდა ქაოზიანი, სადაცა არს დიდ-დიდნი ნაშენებნი. ესევე არს გაჩიანი"[5].

რამდენად მართალი იყო ვახუშტი, როდესაც ძველი გაჩიანის ასეთ ლოკალიზაციას იძლეოდა?! როგორც ცნობილია, ვახუშტის დროს გაჩიანი უკვე აღარ იყო ცოცხალი პუნქტი. მაგრამ ვახუშტისეული გაჩიანის ლოკალიზაცია მაინც ანგარიშგასაწევია. ამას გარდა, ის სხვა მხრივაც არის საინტერესო. ვახუშტი თვლიდა, რომ მის დროს არსებული დაბა არქევანი „პირველ იყო გაჩიანი და სანადირო ქალაქი. მერმე ქაოზიანი"... (მინაწერი არშიაზე ტექსტისავე ხელით)[6] და იგი ქციის კბოდეზე ჭაპალის ჩრდილოეთით მდებარეობდა. მაშასადამე, ვახუშტი იცნობდა ცალკე ჭაპალას და ცალკე ჩრდილოეთით მდებარე არქევანს, რომელსაც ის (სწორად თუ არასწორად) მიიჩნევდა გაჩიანად.

დ. ბერძენიშვილი — ნაშრომში „ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები" — ცდილობს დაასაბუთოს, რომ გუჩულოს ციხე არის გვიანფეოდალური ხანის ჭაპალა და ამავე დროს შუაფეოდალური ხანის ქავაზიანი. ხოლო აქედან გამომდინარე შესაძლოა იგი გამოდგეს ძველი გაჩიანიც (ვახუშტი) და ცურტავიც (უხტანესი) — ასკვნის ავტორი. მაგრამ თუ გუჩულოს ციხე მართლაც არის გვიანფეოდალური ხანის ჭაპალა (რაც დამაჯერებლად გვეჩვენება). როგორღა გამოდის ჭაპალა არქევან-ქავაზიანი, გაჩიანი და ცურტავი? ვახუშტი ხომ არ აიგივებდა და, პირიქით, ხაზგასმით ასხვავებდა ჭაპალას არქევანისაგან, რომელიც მას გაჩიანად მიაჩნდა.

ვახუშტის მიხედვით ჭაპალას ჩრდილოეთით, ქციის კბოდეზე მდებარე გაჩიანი სწორედ არახლოს უდგება და არა კუჩულოს; რაც შეეხება უხტანესს, გაჩიანი მდინარის კიდეზე მდებარეობს. კუჩულას კი ასეთი მდებარეობა არა აქვს. და თუ მდ. გაჩენაგეტი, რომელსაც უხტანესი ასახელებს, არ არის ხრამი, და გაჩიანი სხვაგან უნდა ვეძებოთ და არა არახლოში, კუჩულას გაჩიანობა მაინც გამორიცხულია.

დ. კაზარეთის, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ტერიტორიაზე სამტრედოში მდ. კაზრეთულას მარცხენა ნაპირზე გრძელდება გვიანფეო-

---

[2] დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 44.

[3] იხ. იაკობ ცურტაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 051 — 052.

[4] დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44 — 45.

[5] ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973, გვ. 1 — 2.

[6] ქართლის ცხოვრება, ტომი IV, გვ. 310.

დალური სასახლის კომპლექსის გათხრები. გაიწმინდა ადრეგამოვლენილი „აგურის ნაგებობის“ ნიშებიანი ოთახის ჩრდილოეთით მდებარე ორი სათავსო და დაიწყო ოთახების აღმოსავლეთით გამართული სათავსების და ლოჯიის გათხრები (სურ. 4).

სასახლის „აგურის ნაგებობის“ სამივე ოთახი განლაგებულია ერთ ღერძზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. „ნიშებიანი ოთახის“ (№ 1) ჩრდილოეთით გამოვლინდა დიდი ოთახი (12,25×5,25 მ), რომელიც ალბათ დარბაზის დანიშნულებას ატარებდა. მის სამხრეთ კედელში ნახევარწრიული ნიშაა გამართული, მარცხნივ გაჭრილია სარკმელი (?), მარჯვნივ კი № 1 ოთახთან დამაკავშირებელი კარი. დარბაზის აღმოსავლეთით კედლებში (ცენტრსა და კუთხეებში) გაჭრილია სამ-სამი გასასვლელი. ჩრდილო კედლის ცენტრში გამართული კარი უკავშირდება № 3 სათავსოს.

ჩრდილოეთის სათავსო (№ 3) ზომით 4,5×5,25 მ გეგმით თითქმის იმეორებს სამხრეთის სათავსოს, რომელსაც ჩვენ პირობით ნიშებიანი ოთახი ეუწოდეთ. მისი ჩრდილო კედლის ცენტრში გამართულია ნახევარწრიული და მის აქეთ-იქით ოთხკუთხა პროფილირებული ნიშნები. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში თითო გასასვლელია. ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება აღმოსავლეთიდან მიდგმულ სათავსოს.

აღმოსავლეთი კედლის წმენდისას გამოვლინდა ოთხკუთხა ნიშა. ასეთივე ნიშა გაიწმინდა № 1 ოთახის აღმოსავლეთით მიდგმულ სათავსოს შიდა კედელში. როგორც ჩანს, № 1 და № 3 ოთახებს აღმოსავლეთიდან მიდგმული აქვთ მსგავსი გეგმარების სათავსოები, რომელთა შორის დარბაზის წინ გამართული უნდა ყოფილიყო ლოჯია.

ამრიგად, ცენტრში მოთავსებული დარბაზის ჩრდილოეთით და სამხრეთით სიმეტრიულად განლაგებულია ერთნაირი გეგმარების სათავსოები.

დადგინდა შენობის ფართობი (22,25×13,5 მ), კედლის სისქე (1,0 — 1,20 მ) და მაქს. სიმაღლე (0,75 — 2,25 მ).

სასახლის გათხრისას აღმოჩნდა ლურჯად მოხატული შავკონტურებიანი, მცენარეული ან გეომეტრიული ორნამენტით შემკული ირანული ფაიანსის ნატეხები, რომელიც სასახლის კომპლექსს 17 — 18 სს-ით ათარიღებს.

სოფ. რაჭის უბნის საშუალო სკოლის ეზოში სპორტდარბაზისა და სპორტული მოედნის მშენებლობისას განადგურებულა რამდენიმე ინვენტარიანი ქვაყუთი. ამიტომ გადაწყდა საცდელი გათხრების ჩატარება. გაითხარა 9 ქვაყუთი. აქედან 5 უინვენტაროა, 7 ბავშვის სამარხია. უმეტეს მათგანში (8 ც.) მიცვალებული იწვა გვერდზე, კიდურებმოხრილი; მოზრდილების სამარხი იყო ორი (№№ 5—6). მათში ძირითადი მიცვალებულის ძვლების გარდა აღმოჩნდა ადამიანის ძვლის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც არ ეკუთვნოდა პირველს და მეტყველებდა ქვაყუთის მეორად გამოყენებაზე. სამარხები ძირითადად ღამბრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, თავით დასავლეთისაკენ. ქვაყუთები შეკრული იყო კარგად გამოთლილი ქვის ფილებისაგან, ორ-ორი ფილა გვერდებზე და სახურავად, თითო-თითო ბოლოებში.

ინვენტარი აღმოჩნდა ოთხ ქვაყუთში:

ქვაყუთი № 2 — დაკრძალული იყო ბავშვი, კიდურებმოხრილი, ყელისა და თავის არეში მოიკრიფა მრგვალბრტყელი და მანდარინისებური მინის მძივები (0,3×0,6 სმ).

ქვაყუთი № 3 — დაკრძალული იყო ბავშვი. ყელის არეში იდო ნიჟარა კაური. წელის დონეზე კი პატარა ზანზალაკი.

ქვაყუთი № 5 — გამართულია მოზრდილი მიცვალებულისათვის. ჩატანებული ჰქონდა ვერცხლის პატარა ნივთი და ბრინჯაოს ღილი თუ ზარიკი.

ქვაყუთი № 6 — გამართულია მოზრდილი მიცვალებულისათვის. აღმოჩნდა ოქროს პატარა მასრა და სამი საკინძი: 1) სამი მარგალიტით, 2) გიშრის მძივით და 3) მინის მასიური თავით შემკული.

ქვაყუთები მოპოვებული ინვენტარით ზოგადად ადრეფოდალური ხანით თარიღდება, უფრო კონკრეტულად კი VI — VIII სს-ით.

სოფელ ბალიჭში გათხრები მიმდინარეობდა მაშავრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ეკლესიის გორასთან. გორის ჩრდილო მხარეს გაივლო შურფი, რომელშიაც აღმოჩნდა ფეოდალური ხანის ნაგებობა. კულტურული ფენა შეიცავდა აგრეთვე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნატეხებს. გორის სამოსახლო სწორედ ამ პერიოდ'ში ჩანს ათვისებული.

გორის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაითხარა ექვსი ქვის სამარხი. სამარხების ზომებია: 2×0.80 მ. სამარხები დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. კედლები 2—2. სახურავი კი რამდენიმე ფილისაგან იყო შემდგარი.

სამარხები უინვენტარო იყო. მიცვალებულები იწვნენ გაშოტილი, ხელები მენჯზე ჰქონდათ დაკრეფილი, თავი დასავლეთისაკენ ედოთ.

1975 წ. ექსპედიციის ბოლოს გათხრები დავიწყეთ სოფ. ბალიჭის მახლობლად, აბულბუგში. ჩვენი ყურადღება მიიპყრო გუმბათურმა ნაგებობამ, რომლის დიდი ნაწილი მიწაში იყო ჩამჯდარი. გათხრების შედეგად გამოვლინდა 9 მ სიგრძის ქვით ნაგები, სქელკედლიანი ნაგებობა სამი განყოფილებით: საცეცხლეფარეშო, საკუთრივ აბანო და მის წინ მდებარე ნიშებიანი ოთახი[7].

აბანო წარმოადგენს პატარა კვადრატულ ოთახს, რომელიც ტრომპების საშუალებით დახურულია გუმბათით. გუმბათის ცენტრში ღიადია დატოვებული. ოთახი შიგნიდან კირით არის შელესილი. კედლებში დატანილია წყლის შემოსასვლელ-გასასვლელი მილები და საკვამურები. აბანოს დასავლეთით მოწყობილია საქვაბე, რომლის ზემოთ მოთავსებულია ცხელი წყლის აუზი. მასში შეყვანილია მილი, რომელიც ამარაგებს აბანოს წყლით. ამ წყალსადენის მეორე ხაზი შეყვანილია საკუთრივ აბანოს ჩრდილო კედელში და ჩადის აუზში, რომელიც ამჟამად ნახევრად დანგრეულია. აბანოს დასავლეთ კედელში მოწყობილია ცხელი წყლის აუზი.

აბანოს იატაკის წმენდისას აღმოჩნდა თონე. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი აბანოს დანგრევის შემდეგ ყოფილა გამართული. აბანოს კარის წინ, რომელიც სამხრეთ კედელშია გაჭრილი, აღმოჩნდა რუსუდან მეფის მონეტა (XIII ს.). აბანოს შიგნით და გარეთ კი — პოლიქრომული მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. აღსანიშნავია ცისფრად მოჭიქული და გოფრირებული ბადიის ნატეხი.

სოფ. კუჩულოში გათხრები ჩავატარეთ ციხის ტერიტორიაზე. კუჩულოს ციხემ ყურადღება მიიქცია ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებული ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს. ამ ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა დ. ბერძენიშვილმა ნაშრომში — „ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“ — მას განსაკუთრებული ადგილი დაუთმო.

---

[7] აბანოს გათხრებს აწარმოებდა ლ. ხვედელიძე.

კუჩულოს ციხე მდებარეობს კლდოვან ბორცვზე, რომელიც ხრამის, მაშავრისა და ფოლადაურის ხეობებს გადაჰყურებს. ბორცვის ტერიტორია დაახლოებით (3 ჰა) შემოზღუდულია მრავალბურჯიანი გალავნით. აღმოსავლეთით და დასავლეთით ციხის ბორცვზე ბუნებრივი მაღალი კლდოვანი მასივებია შემორჩენილი. ერთ-ერთ მათგანზე (დასავლეთისაზე) მოთავსებულია შიდაციხე. ციხის გალავანი ბურჯები და კოშკები (ასევე შიდაციხისაც) ბათქაშზე აგურისა და ქვის წყობით არის ნაგები. აგური ბრტყელია, ძირითადად ორი ზომით წარმოდგენილი — ერთი 1×21×3 და მეორე 24×23×4, 24×24×4. კოშკების კედლის წყობა ძლიერ წააგავს შუაფეოდალური ხანის ნაგებობათა წყობას. მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა, მაგ., ნარიყალას ციხის წყობასთან. ციხის ტერიტორიის დაზვერვის შედეგად ჯერ კიდევ ქვემო ქართლის ექსპედიციის დროს გამოვლინდა ძირითადად შუაფეოდალური ხანის მასალა. დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ამას გარდა, აქ არის ადრე და წინაფეოდალური ხანის მასალაც, „გვიანფეოდალურ სანაში ციხის გამოყენება არ იწვევს ეჭვს. ამას მხარს უჭერს აქ არსებული ხიდი მაშავერაზე XVII ს-ისა"[8].

დ. ბერძენიშვილის აზრით, ეს ციხე, რომელსაც გვიანფეოდალურ ხანაში ჭაპალა ერქვა, ადრე ჭაღაზინი უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის აყენებს გაჩიან-ცურტავის ლოკალიზაციის საკითხსაც.

ამრიგად, ყოველივე ამან განსაზღვრა ჩვენი ინტერესი კუჩულოს ციხის მიმართ. სამუშაოდ ჩვენ შევარჩიეთ ციხის ეზოში არსებული ობიექტები. მათ შორის ერთმა, რომელიც მიშენებული იყო გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თავისი შიდა კედლის „თარაზული წყობით და აფსიდის მაგვარად მომრგვალებული კედლით" 1959 წ. ექსპედიციის ყურადღება მიიპყრო როგორც სავარაუდო ეკლესიის ნაშთმა. გათხრების დაწყებისთანავე თვალსაჩინო გახდა, რომ საქმე გვქონდა არა ეკლესიასთან, არამედ აბანოს ერთ-ერთ ოთახთან. რომელიც ადრევე სანახევროდ დანგრეული და ახლა მიწით იყო დაფარული. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა კვადრატული ფართობი 3.5×3.5 მ, რომელსაც კუთხეებში მეორე სართულის დონეზე აქა-იქ შემორჩენილი ჰქონდა კირით შელესილი მრგვალი ნიშები. ერთ ადგილას შეიმჩნევა კირითვე შელესილი იატაკის დონე ზედა სართულისა, რომელიც ნიშების საშუალებით გეგმაში რვაკუთხედს ქმნიდა. ამ დონის ქვემოთ ოთახის დასავლეთ კედელში გამოჩნდა აგურის დაბალი თაღი, რომელიც უკავშირდებოდა დასავლეთით მდებარე მეორე ოთახს. ამ უკანასკნელის გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ასეთივე ზომის ოთახი, რომლის ქვედა სართულზე გამართული იყო წრიული „სუფა". იგი აგურით იყო ნაშენი ბათქაშზე და მთელ სიგრძეზე ოთხი გამჭოლი ღარი თუ მილი გასდევდა. მის ზედაპირზე ჩანდა კირით მოლესილი ფართობი, რომელიც როგორც შემდგომმა დაკვირვებამ გვიჩვენა, „სუფის" ცენტრში გამართული აბაზანის ფსკერს წარმოადგენდა. ამრიგად, წრიული ნაგებობა წარმოადგენდა თავისებურ კალორიფერს, რომელშიაც გამავალი თბილი ჰაერი როგორც აბაზანას ისე ოთახს ათბობდა. ამას გარდა, ერთ ადგილას იატაკზე აღმოჩნდა ნახევარაგურიანებით შედგენილი სვეტისებური კალორიფერი. უნდა ვიფიქროთ, ასეთი სვეტების თითო რიგი შემოუყვებოდა „სუფას" ირგვლივ. მაშასადამე, ზედა სართულის იატაკი ეყრდნობა ამ კალორიფერებსა და სუფის წრიულ ნაწილს. ამრიგად, ეს

[8] დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

ოთახი ცხელ აბანოს წარმოადგენდა. მას მეორე სართულის დონეზე ჰქონდა ნახევარწრიული კირხსნარით შელესილი ნიშები, რომელთაგან შემორჩენილი იყო მხოლოდ ერთი. გალავნის მხარეს კი კედელში დატანებული იყო კერამიკული მილი.

აბანოს დასავლეთ კედელში აღმოჩნდა აგურით ამოშენებული ნახევარწრიული თაღი. იგი უკავშირდებოდა საქვაბეს, ხოლო მის ზემოთ გამართული იყო კირხსნარით მოლესილი ოვალური ფორმის ცხელი წყლის რეზერვუარი. ამრიგად, საქვაბედან თაღის საშუალებით აბანოს ქვედა სართულში გადიოდა ცხელი ჰაერი, ხოლო ცხელი წყლის მიწოდება ხდებოდა ზედა სართულიდან (სურ. 5).

აბანოს გათხრები დამთავრებული არ არის. გასაწმენდია აბანოს ჩრდილო და დასავლეთი მხარეები. გასარკვევია აბანოს წყლით მომარაგების, შესასვლელი კარის და სხვა საკითხები.

აბანოს გათხრების დროს აღმოჩნდა შუაფეოდალური ხანის მოჭიქული კერამიკა, მოჭიქული შორენკეცები და ფერადი რელიეფური მრგვალი ფორმის (ნატეხების სახით წარმოდგენილი) მინა. ყოველივე ამის მიხედვით ჩვენ აბანოს წინასწარულად XII — XIII, უფრო კი XIII ს. ვათარიღებთ. ამ თარიღს მხარს უჭერს თვით შენობის კედლის წყობა, თაღების ფორმა, შენობის გაფორმება, სარკმლები და სხვ.

აბანოს დასავლეთ კედლის გადაღმა აღმოჩნდა ხის ძელების ნაშთები და ნაცარ-ნახშირიანი ფენა, სამზარეულო და სხვა ჭურჭლები. მათ შორის ქოთნები, ქილები და ერთი სადღვებელი. აღსანიშნავია მოჭიქული ქილა არაბული წარწერით.

მიმდინარე წელს ექსპედიციას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა აბანოს უბანზე და გახსნას ახალი უბნები ციხის ტერიტორიაზე.

М. И. СИНАУРИДЗЕ

ОТЧЕТ АРАХЛО-КАЗРЕТСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ 1974—1975 гг.

В 1974—1975 гг. экспедиция Гос. Музея Грузии проводила раскопки в Болнисском районе на объектах новостроек совхоза Арахло и села Казрети.

В с. Арахло во время прокладывания трассы оросительного канала был обнаружен археологический материал, содержащий керамику и грузино-хулагуидские мочеты и каанники, датирующиеся XIII—XIV вв.

Начавшиеся на месте находок раскопки велись на трех участках: 1-ый (площадь 64×32 м), расположенный на склоне холма вдоль трассы канала (шириной 7 м), содержал остатки церкви и нарушенных строительством погребений. В результате раскопок была очищена церковь, выявлены протяженность и очертания ограды, обнаружены и частью раскопаны погребения, имеющиеся внутри ее.

Церковь зального типа с абсидой, в которой прорезано окно на восток. Общие размеры ее равны 9×11 м. Она сооружена тесаным и рваным камнем на известковом растворе, стоит на цоколе высотой 80 см. С юга к ней пристроен притвор, с абсидой и окном на востоке. Вход в церковь с юга. Здание снаружи вписано в четырехугольник. Стены достаточно толстые 80—90 см, у абсиды достигающие 1,90 — 2,20 м.

По находкам тесаных камней от триумфальной и подпружной арок, а также кирпича, можно заключить, что церковь была перекрыта сводом, в сооружении которого был применен и кирпич.

Во время расчистки церкви внутри ее было обнаружено множество обломков полихромных глазурованных и простых красных сосудов и плоских и желобчатых черепиц, характерных для развитого средневековья.

Снаружи на уровне разрушенных стен церкви были обнаружены пристроенные к ним погребения позднего средневековья. Под ними ярусами были расположены более ранние захоронения XII—XIII вв. Большинство этих погребений были повреждены. Однако удалось препарировать несколько из них. В одном был обнаружен стеклянный витый браслет, бронзовый крест и серьга с незамкнутым ушком и припаянным к ней стержнем с маленькой бусиной жемчуга на конце. По нашему мнению эти погребения синхронны церкви и аналогично могут быть датированы XII—XIII вв.

Ограда церкви выстроена из камня на известковом растворе, общая длина сохранившейся ее части 86 см, высота местами достигает 3 м.

II-ой участок. На северном склоне холма на второй террасе сверху был очищен «жилой и хозяйственный комплекс», содержащий 8 помещений. Весь комплекс спиной упирается в скалистый массив с юга и частично с юго-запада, а с востока и севера стоит над обрывом и поддерживается искусственными стенами. Вход в помещение с юга.

Комплекс сооружен в основном сухой кладкой. Стены сохранены на разной высоте с 0,5 до 2 метров.

В центре комплекса расположен большой зал, в котором обнаружены были очаг и каменные базы для установки столбов, а также обуглившиеся деревья от самих столбов. По расположению этих остатков можно заключить, что в центре зала был выделен четырехугольник, возможно особо перекрытый т. н. «двиргвини».

При очистке зала было обнаружено большое количество простой и поливной посуды, среди них чаши с изображением птиц в рамке растительного орнамента, а также обломки стеклянных сосудов, датирующихся XII—XIII вв.

Были расчищены также входящий в комплекс «марани» — помещение для хранения вина, со вкопанными в пол кувшинами разных размеров и круглые сооружения на известковом растворе, диаметром с 1,5 до 2 метров, суживающиеся к верху, с широким круглым отверстием, предназначенные для хранения зерна.

В центральной части холма были начаты раскопки еще одного жилого комплекса, содержащего до десяти комнат. Обнаруженный материал, главным образом, датируется развитым средневековьем. В нижнем слое засвидетельствованы обломки керамики и зернотерок позднебронзовой и раннежелезных эпох.

Наряду с раскопками экспедицией были проведены разведки всей территории с. Арахло. В результате этих работ можно заключить, что на месте села Арахло в XII—XIII вв. был расположен один из крупных городов Грузии. Остатки сохранившихся сооружений, церквей, улиц, древнего моста и пр. дают возможность восстановить топографию городища: на высоком скалистом правом берегу реки Храми находился укрепленный вышгород, ниже по обеим берегам реки располагалось поселение.

В конце трассы оросительного канала в с. Кучуло экспедиция начала раскопки крепости, расположенной на скалистом холме, возвышавшемся над окрестностями. Крепостная стена, включавшая круглые башни, замыкает небольшую территорию, внутри которой начались раскопки двух участков. На одном из них вскрыты помещения хозяйственного назначения со вкопанными в пол винными кувшинами и печами для выпечки хлеба. В верхнем слое обнаружена простая и глазурованная керамика, стеклянные браслеты, глазурованные черепицы и изразцы XII—XIV вв.

На втором участке в одной из башен была раскопана баня, состоящая из теплой и горячих отделений — восьмиугольных комнат и котельной с бассейном. В бане имеется своеобразная система отопления, проходящая под полом и по дну бассейнов. Ввиду того, что раскопки не закончены, остаются неясными некоторые вопросы, так например, вопрос снабжения бани холодной водой и пр. Вокруг и внутри бани обнаружены обломки разноцветных круглых оконных стекол с рельефным узором, возможно, вставленных в окнах куполов, покрывающих баню. Следует отметить также находки разноцветных изразцов, по-видимому, облицовывающих каменную кладку внешних стен. В помещении, находящемся за котельной, вместе с обугленными дро-

вами и золой были обнаружены глиняные сосуды, главным образом простые, и один глазурованный с арабской надписью — пожеланием. Обнаруженный археологический материал предварительно датируется XII—XIV вв. Как отмечалось выше, раскопки бани не окончены и будут продолжаться.

В с. Казрети на территории Маднеульского горно-обогатительного Комбината в местности «Самтредо» продолжались начатые в предыдущие годы раскопки позднефеодальной усадьбы. Был расчищен нижний этаж обширного дворцового сооружения, состоящего из трех комнат с нишами, окнами и проходами. Обнаруженный материал весьма скуден: это, главным образом, обломки простой неполивной посуды, датирующейся поздним средневековьем, а также фаянсовых изделий двух типов; один, представляющий, главным образом, мелкие обломки чаш и тарелок с тусклым синим рисунком растительно-геометрического орнамента, иногда изображенного вместе с птицами и животными; другой — с черным контуром по синему рисунку, представлен двумя обломками одного сосуда. По аналогичному материалу эта керамика относится к иранским изделиям и датируется XVII—XVIII вв.

В с. Рачис-убани во дворе средней школы случайно было обнаружено несколько каменных ящиков. Экспедиция приняла за раскопки этих погребений. Были вскрыты 9 каменных ящиков. Отсюда 5 безынвентарных. Погребения были христианскими, ориентированы с востока на запад, головой к западу. В них покойник уложен был на боку и спине со скрещенными на груди руками и только в одном, детском погребении № 2 — в скорченной позе на боку.

Каменные ящики были составлены из крупных тесаных плит. Продольными стенами служили по две, поперечными — по одной плите, сверху же накрывались крышкой, состоящей из двух плит.


Инвентарь обнаружен в четырех ящиках. Это, главным образом, стеклянные бусы, бронзовые пуговицы и булавки, украшенные стеклянной, пастовыми и гранатовой головками. Интересен золотой ободок от стержня длинного и узкого предмета (булавки?).

В с. Баличи раскопки велись на возвышающемся у правого берега р. Машавера холме, близ церкви. На северной стороне холма был заложен шурф, в котором обнаружены были остатки стен средневекового сооружения. Культурный слой, помимо керамики этого времени, содержал также обломки позднебронзовой и раннежелезных сосудов, указывающих на то, что освоение холма произошло в эту раннюю эпоху.

На юго-восточной стороне холма, был обнаружен могильник с безынвентарными и христианскими погребениями, в каменных ящиках.

В местности Абулбуги, расположенной напротив холма Баличи, были начаты раскопки бани, частью сохранившиеся на поверхности земли.


Археологические раскопки на территории Арахло-Казрети будут продолжены.



ᲐᲠᲐᲮᲚ


სურ. 1. არახლო. ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთი უბნის გეგმა

Рис. 1. Арахло. План юго-западного участка городища




სურ. 2. არახლო. სამეურნეო კომპლექსი

Рис. 2. Арахло. Комплекс хозяйственных построек




სურ. 3. არახლო. ეკლესიის გეგმა და ჭრილ

Рис. 3. Арахло. План и разрез церкви



სურ. 4. სამტრედო. სახახლის ნაშთები
Рис. 4. Самтредо. Остатки дворца



სურ. 5. ჭოჩულო. აბანოს გეგმა და ჭრილი
Рис. 5. Кочуло. План и разрез бани

რ. დოლაბერიძე

მთათუშეთის დაზვერვით-არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (1975 წ.)

(ტაბ. XXVIII — XXIX)

საქართველოს მთიანეთი სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიების ობიექტი ჯერ არ გამხდარა. მისი არქეოლოგიური მონაცემები მხოლოდ შემთხვევითი აღმოჩენებითა და საცდელი გათხრებით ამოიწურება. მიუხედავად ამისა, აქ გამოვლენილი არქეოლოგიური კომპლექსები თუ ცალკეული ნივთები ამ მხარის ისტორიისა და მატერიალური კულტურის დღემდე უცნობი, მეტად საინტერესო და თავისებური მხარეების წარმოჩინების საშუალებას იძლევა.

წერილობითი წყაროების ფრაგმენტული ცნობები, მთიელთა ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით, ძალზე მწირია და მათ საფუძველზე გამოთქმული მრავალი დასკვნა უმთავრესად ვარაუდებსა და წინასწარულ მოსაზრებებზეა დამყარებული. ასეთ ვითარებაში საქართველოს მთის რეგიონის არქეოლოგიური შესწავლა — მისი დასახელების დროისა და ფორმების დასადგენად, ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა გასარკვევად, მატერიალური და სულიერი კულტურის გამოსავლენად, რელიგიისა და სხვა საკითხების შესასწავლად, ერთ-ერთ სანდო და უტყუარ წყაროდ გვესახება. არქეოლოგიასთან ერთად, მეცნიერების სხვა დარგების—ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ფოლკლორის, ანთროპოლოგიისა და ტოპონიმიკის მოშველიება და მათი მონაცემების ურთიერთშეჯერება, საშუალებას მოგვცემს მეტ-ნაკლებად გავარკვიოთ საქართველოს მთის ისტორიული განვითარების გზა, რომელიც თავისი მკაცრი გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო ბარისაგან განსხვავებული, სპეციფიკური, ისტორიული განვითარების კონსერვატული ბუნებით ხასიათდება.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ზემოდასახელებული სხვა დარგების მონაცემების კომპლექსური გამოყენება მომავალში საფუძველს შექმნის საქართველოს მთისა და ბარის გენეტიკური კავშირის ადრეული ფორმების გამოსავლენად, ამასთანავე იმ ურთიერთგავლენის საძიებლად, რომელიც საქართველოს მთისა და ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ხალხთა ახლომეზობლობამ განაპირობა.

1975 წ. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა პირველად მოაწყო დაზვერვით-არქეოლოგიური ექსპედიცია მთათუშეთში[1]. ექსპე-

[1] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: რ. დოლაბერიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), მ. სი-

დიციამ ველზე იმუშავა ერთი თვის განმავლობაში გომეწრის და ჩაღმის ხეობებში — 2100 — 2000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საანგარიშო წელს ექსპედიციის მიზანს შეადგენდა: 1. წოვათას ნასახლარებისა და სამაროვნების დაზვერვა მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოების ჩატარებით, 2. დაზვერვითი ხასიათის გათხრების ჩატარება შენაქოში ნიშტაყოს ბორცვზე, სადაც 1964 წ. სოფელ ქვემო ალვანის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. ჯიჯურიძემ შემთხვევით მიაკვლია მდიდარ და საინტერესო არქეოლოგიურ მასალას[2].

ექსპედიციამ სამუშაოები დაიწყო წოვათას ნასახლარების დაზვერვითა და სამარხეული ძეგლების შესწავლით.

წოვათა მდებარეობს პირიქით ალაზნისა და გომეწრის ალაზნის ხეობებს შორის, ამ უკანასკნელის მარცხენა შენაკადის — მდინარე წოვათას წყლის ხეობის გასწვრივ, რომლის სიგრძე 7 — 8 კმ არ აღემატება. ძირითად ოროგრაფიულ ერთეულს ამ უბანზე წარმოადგენს ქედი — სამების გორა, რომლის წვერზე აღმართულია წმინდა სამების ნიში, ფერდობზე და მის წინ მდებარე ვაკეზე კი შემორჩენილია ხატის კომპლექსის ნანგრევები. სამების გორა კონცხის სახითაა შეჭრილი წოვათას წყლისა და მის მარცხენა შენაკადს შორის და მის ირგვლივ განლაგებულია წოვათას უკაცრიელი ნასოფლარები — საგირთა, ინდურთა, მოზართა და ეთელტა. ამათგან ხუთიოდე კილომეტრზე, წოვათას წყლის ქვედა დინებაში, მდებარეობს ნასოფლარი წარო.

ამჟამად, მთელი წოვათა ნანგრევებადაა ქცეული, მაგრამ ზოგიერთი ნასახლარის ან მისი ცალკეული კუთხის დაგეგმარებისა და ნაგებობათა არქიტექტურული შესწავლის შესაძლებლობა, მიუხედავად დიდი სირთულისა, ჯერ კიდევ არსებობს და ამიტომ აუცილებელ, გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს.

წოვათაში სამაროვნები ნასახლარების ახლოს მთის ფერდობზეა განლაგებული. ამჟამად ისინი ისევე, როგორც ნასოფლარები, გაპარტახებულია. ინდურთას, საგირთას და ეთელტას სამაროვნებზე სამარხები ზედაპირზე აღნიშნულია თავსა და ბოლოში ვერტიკალურად ჩასმული ქვებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში წაქცეულია. ნაწილს წინ ან თავზე ჰორიზონტულად დაწყობილი ფიქლებისაგან ყორე აქვს ამოშენებული.

ექსპედიციამ გათხარა ხუთი სამარხი: ორი — ინდურთაში, ორი — საგირთაში და ერთი — ეთელტაში. სამარხები წარმოადგენენ დიდი ზომის ფიქლებისაგან შეკრულ ვიწრო, ადამიანის სიგრძის, სწორკუთხა, ზოგჯერ თავისკენ უმნიშვნელოდ გაფართოებულ ქვაყუთებს, რომლებიც მიწის ზედაპირიდან 0,60—0,80 მ სიღრმეზეა ჩადგმული. ნიშანდობლივია, რომ ზოგ სამარხში ქვის სამარხს ზევით მიწის ფენებს შორის ფიქსირებულ იქნა რამდენიმე რიგად ჰორიზონტულად დაწყობილი ფიქლების ლოდები[3] (სურ. 1,2).

სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებული ყველგან ზურგზეა დასვენე-

---

ნაურიძე (უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი), ი. ჩხარტიშვილი (უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი), გ. მიქიაშვილი (სპი საამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი, რომელმაც ჩაატარა აზომვები და შეასრულა ნახაზები) და გ. ოთხმეზური (თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი). ექსპედიციას მუშაობაში დიდი დახმარება აღმოუჩინა მუზეუმის მეცნიერული ათეიზმისა და რელიგიის ისტორის განყოფილების ექსპედიციამ (ხელმძღვანელი — მ. ხუციშვილი, წევრები — ვ. ასათიანი და მ. გუგუტიშვილი).

[2] იხ. რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბ., 1973.

[3] მსგავსი სამარხი ინდურთას სამაროვანზე გათხარა ი. შავხელიშვილმა.

ბული, ფეხებგაშოტილი, ოთხ შემთხვევაში ხელები მუცლის არეში, ერთხელ კი — მენჯზე აქვს დაწყობილი. მიცვალებულთა დამხრობა სხვადასხვაგვარია: დასავლეთიდან — აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთ-დასავლეთიდან — ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ზოგიერთ სამარხში დადასტურებულ იქნა მსხვილად ნაქსოვი შალის ფეხსამოსის თუ წინდების ფრაგმენტები, რომლებიც ამოღებისთანავე დაიშალა. გარდა ამისა, ინდურთას № 1 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს რგოლი, საგირთას № 2 სამარხში — დიდი ზომის ფარისებრი მოყვანილობის ბრინჯაოს ბალთა, თავგახსნილი ორი ბრინჯაოს სამაჯური და აგრეთვე აშიის ფრაგმენტები. ბალთა და სამაჯურები შემკულია მარტივი გრავირებული სახეებით (სურ. 3). ეთელტას № 1 სამარხში დადასტურებულია ხავერდოვანი ქსოვილის ფრაგმენტები აშიითა და ნაქარგობით გაწყობილი.

ზემოგანხილული ქვის სამარხები გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ჩრდილო კავკასიის გვიანფეოდალური ხანის სამარხულ ძეგლთა შორის ქვის სამარხების სხვადასხვა სახეებია დადასტურებული, მაგრამ ისინი, ზოგჯერ ინვენტარის მსგავსების მიუხედავად, მთელი რიგი ნიშნებით, მათ შორის დაკრძალვის წესით, განსხვავდებიან მთათუშეთში დღესდღეობით გამოვლენილი ქვის სამარხებისაგან.

ნასოფლარ წაროში ექსპედიციამ დაათვალიერა მიწისზედა სამარხები — აკლდამები[4]. ისინი ნასახლარის თავზე ჯგუფურადაა განლაგებული: წარმოადგენენ კოლექტიურ სამარხებს. აკლდამები ფიქლებისაგან ნაგები სწორკუთხა გეგმის შენობებია, აქვთ სარკმელი. ზოგ მათგანზე შემორჩენილია ორფერდა საფეხურებიანი სახურავი. ისინი ერთკამერიანია, თაღოვანი ინტერიერით. კედლებზე ზოგან მიცვალებულის დასასვენებელი ერთი ან ორი ერთმანეთის თავზე გამართული ქვის თაროა შემორჩენილი. იატაკი მოფენილია ერთმანეთში არეული ძვლებითა და ფიქლებით (სურ. 4). წაროს აკლდამები, ისევე როგორც ზემოგანხილული ქვის სამარხები, გვიანფეოდალური ხანის ძეგლებია.

საქართველოში, მთა თუშეთის გარდა, აკლდამები გვხვდება ხევსურეთში, შატილის თემში — ანატორსა და მუცოში. მათი ნანგრევები შემორჩენილია აგრეთვე ხევში, ყაზბეგის მახლობლად[5].

ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ჩაჩან-ინგუშეთის, ჩრდილო ოსეთის და ყაბარდო-ბალყარეთის მთიან ზოლში შუა საუკუნეებში აკლდამა სამარხის ფართოდ გავრცელებული სახეა. ამასთან, აღსანიშნავია მათი ფორმათა სიმრავლე და გადახურვის მრავალსახეობა. აკლდამის გაჩენის მიზეზებსა და დროზე სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული და, ამდენად, ეს საკითხი დღესაც სადისკუსიოა[6].

---

[4] 1912 წ. ნ. მოლჩანოვის მიერ წაროს აკლდამებში მოპოვებული მასალა იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტ. II, თბ., 1955, გვ. 92 — 97, ტაბ. LIV — LIX.

[5] ს. მაკალათია, ხევსურეთი, ტფ., 1935, გვ. 219, სურ. 97.

[6] В. Ф. Миллер, Терская область. Археологические экскурсии, Материалы по археологии Кавказа, вып. I, 1888, стр. 24—27, 57—59, рис. 40, 41, 67—70; Л. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925—1927 гг., Известия Ингушского научно-исследовательского института краеведения, I, Влад., 1928, стр. 198—202; И. З. Теплицкий, Н. Д. Сангаев, Памятники материальной культуры Северной Осетии, Орджоникидзе, 1963, стр. 15—17; В. И. Марковин, Чеченские средневековые памятники в верховьях р. Чанты-Аргун, Древности Чечено-Ингушетии, М., 1963, стр. 256—269.

მეორე ობიექტი. სადაც წელს ექსპედიციამ ჩაატარა სამუშაოები, იყო სოფელი შენაქო. შენაქო მდებარეობს ჩაღმის ხევში, პირიქით ალაზნისა და გომეწრის ალაზნის შეერთების აუზში, მაღალი მთის ფერდობზე. მისგან ჩრდილოეთით ხევის გაღმა ზამთრის სადგომი — ბოსლებია. სოფელს მისასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდან აქვს. დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე სოფელში შესვლამდე ძველი სასაფლაოა, რომელიც დღესაც მოქმედებს.

სოფლის თავზე, მის განაპირას XIX საუკუნეში გუმბათიანი ეკლესია აუშენებიათ. ეკლესიისაგან ჩრდილო-აღმოსავლეთით ორწვერიანი ბორცვია, რომელსაც უძველესი სახელწოდება ნიშტაყო||ნისტაკო შემორჩა. ეკლესიის პირდაპირ, ბორცვის ძირას წმინდა სამების ნიშია — კვადრატული ფორმის, ფიქლებისაგან მშრალად ნაგები, რომლის თავზე აწყვია კვარცის ნატეხები, ირმისა და ცხვრის რქები. ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთის ზედა ნაწილში საქონლის სადგომია შემოღობილი.

ნიშტაყოს ბორცვის ძირითადი ქანები წარმოდგენილია შავი და მუქი ნაცრისფერი თიხაფიქლებით. ზოგან ისინი უშუალოდ ზედაპირზე გამოდიან. ბორცვის ზედაპირზე ნაგებობათა არავითარი კვალი არ შეინიშნება. ძველი ნასახლარი, დანგრეულ შენობათა რელიეფური კონტურები, ბორცვის ქვევით, მის წინ საკმაოდ დიდ ფართობზე აღინიშნება. ძველ ნაგებობათა ნაშთები კარგად ჩანს ავრეთვე ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხევს გაღმა ფერდობზე.

ნიშტაყო ძველთაგანვე იპყრობდა ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღებას. პერიოდულად, ზედაპირული გათხრების შედეგად აქ პოულობდნენ სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს — უმთავრესად სამკაულებსა და კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღესდღეობით დაკარგულია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმამდე მოაღწია მხოლოდ 1964 წელს გაათხრილმა მასალამ, რომლის მრავალგვაროვნებამ და თავისებურებამ განაპირობა ჩვენი ინტერესი ამ ძეგლის მიმართ.

საანგარიშო წელს ძეგლის ხასიათის გამოვლინების მიზნით ჩატარდა მხოლოდ დაზვერვითი თხრა. ბორცვის სხვადასხვა ნაწილში გავლებულ იქნა შურფები: A — სამხრეთ-დასავლეთ ფერდობის ზედა ნაწილში, B — ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთაზე საქონლის სადგომის ქვევით, C — მეორე ბორცვის წვერზე. A და B შურფებში გამოვლინდა კერამიკული წიდები და დამწვარ-გამოფიტული ფიქლები. C შურფში კი თავი იჩინა ფიქლებისაგან ნაგები კედლის ნაშთმა. შურფების საერთო ფართობი შეადგენდა 24 მ², ხოლო მაქსიმალური სიღრმე — 0,70 მ.

ამავე დროს, ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობის ქვედა ნაწილში, 1964 წლის აღმოჩენების ადგილის ზევით, უშუალოდ მის გაგრძელებაზე, გაიჭრა I თხრილი — 32 მ², დაიყო 2×2 მ ზომის კვადრატებად, მაქსიმალური სიღრმე — 1,20 მ. იგი დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

არქეოლოგიური მასალა უშუალოდ კორდოვანი ფენის აღებისთანავე გამოვლინდა. ზედა ფენაში 0,10 — 0,40 მ სიღრმეზე, მრავალრიცხოვან კერამიკულ ფრაგმენტებთან და წიდებთან ერთად დიდი რაოდენობით ამოდიოდა დიდ-პატარა ფიქლები და მათი ანატკეცები, გვხვდებოდა აგრეთვე დანახშირებული ხის ნაშთები და საქონლის ძვლები. 0,40 — 0,75 მ სიღრმეზე აღინიშნა დამწვარი მიწის ფენა. მასში გარდა ზემოდასახელებული მასალისა მრავლად იჩინა თავი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის დამწვარმა ძვლებმა, რომლებიც

სხვა ფენებში შედარებით იშვიათად გვხვდებოდა. უფრო ღრმად — 0.70 — 1,20 მ, იმატა დანახშირებული ხის ძელების ფრაგმენტებმა.

I თხრილში გამოვლენილი ფიქლების დიდი რაოდენობა, აგრეთვე ხის დანახშირებული ძელების ფრაგმენტების სიმრავლე, გათხრილ ფართობზე ნაგებობის არსებობის მანიშნებელია.

ექსპედიციის ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ბაგრატ IV (1027 — 1072 წწ.) ვერცხლის მონეტა, რომელიც კორდოვანი ფენის აღების დროს IV კვადრატში გამოვლინდა (ტაბ. XXVIII$_1$).

ბაგრატ IV მონეტა მიეკუთვნება იმ სამონეტო ტიპს, რომელიც საქართველოში იჭრებოდა X ს. ბოლოდან XI ს. ბოლომდე. ამ პერიოდში საქართველოს სამონეტო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა — მუსლიმანურ ყაიდაზე მოჭრილი მონეტები შეიცვალა ბიზანტიური მონეტების მსგავსი ნომინალებით; ამასთან, მათზე მოცემულია ასომთავრულით შესრულებული ზედწერილი, სადაც მოხსენიებულია საქართველოს მეფის სახელი და მისი ბიზანტიური ტიტული. ამ სერიის ქართული მონეტები საერთოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენენ, ბაგრატ IV მონეტა კი ამ აღმოჩენამდე სულ ორი ეგზემპლარით იყო ცნობილი. ერთი დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, მეორე კი ლენინგრადში, სახელმწიფო ერმიტაჟში. ცნობილია, რომ მოსკოვის ეგზემპლარი წარსულ საუკუნეში აღმოჩენილ მონეტების განძიდანაა და პ. ზუბოვის კოლექციაში შედიოდა. ერმიტაჟის ეგზემპლარი კი XIX ს. 50-იან წლებში ცნობილმა ნუმიზმატმა ი. ბარტოლომეიმ შეიძინა თბილისში[7].

შენაქოში აღმოჩენილი ბაგრატ IV ვერცხლის მონეტა საკმაოდ გაცვეთილია. კიდე სანახევროდ შემოტეხილი აქვს, წაშლილია ბერძნული წარწერის დიდი ნაწილი. მონეტა სამ ადგილასაა გახვრეტილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი გულსაკიდად უტარებიათ.

მონეტის შუბლი: კიდის ირგვლივ, ორ წრეხაზს შორის და ცენტრში სამ სტრიქონად ასომთავრულით შესრულებული ზედწერილია „ⴕⴜⴆⴑⴗⴒ (ⴃⴆⴔ) ⴏⴆⴇⴆⴔ(ⴔ)ⴗ ⴑⴆⴔⴒⴇⴗⴆⴖⴆⴜⴆⴜⴆⴑⴜⴆⴇⴜ“, რომელიც ქარაგმების გახსნით იკითხება: „ჭრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი“. წარწერის ორთოგრაფიაში მხოლოდ ერთ ადგილასაა შეცდომა. ცენტრში, მეორე სტრიქონის პირველი ასო ⴗ დაწერილია ⴈ-ს მაგივრად. დანარჩენი ასოების დაწერილობა სწორია, განსხვავებით ე. პახომოვის მიერ გამოქვეყნებულ მოსკოვის ეგზემპლარისაგან, სადაც ასოთა დაწერილობაში რამდენიმე შეცდომაა მითითებული[8].

ზურგი — ელახერნის ღვთისმშობლის წელსზევითი გამოსახულება, ზეაპყრობილი ხელებითა და შარავანდით. გამოსახულების ორივე მხარეზე ბერძნული ზედწერილია, რომლის მხოლოდ რამდენიმე ასო იკითხება: „Ⲏ Ⲁⲅⲓⲁ (ⲑⲉ ⲟⲧⲟ)ⲕ(ⲟⲥ)“ „წმინდა ღვთისმშობელი“. მთელი კომპოზიცია კიდის ირგვლივ შემოყოლებულ ორმაგ წრეხაზშია ჩასმული.

---

[7] ამ ტიპის მონეტებთან დაკავშირებით იხ. Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тб., 1970. стр. 51—74; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969, გვ. 61—68; Д. Г. Каланадзе. Грузинская нумизматика, М., 1955. стр. 54—57; В. М. Потин. Р. В. Кебуладзе. Монеты Давида Куропалата в кладах западноевропейских денариев. მაცნე, ტ. 2, 1970.

[8] Е. А. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 59.

მონეტის დიამეტრი — 2,5 სმ, წონა — 1,61 გრ.

მონეტა მოჭრილია 1040 — 1060 წლებში, როდესაც ბაგრატ IV იყო ბიზანტიის სამეფო კარისაგან ბოძებული ნოველისიმოსის ტიტულის მფლობელი[9].

— I თხრილი განსაკუთრებით მდიდარი აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმით. ფიქსირებულია 1700-მდე ნატეხი, რომელთა მიხედვით, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ორი ჭურჭლის მთლიანად აღდგენა. ერთი მათგანი დიდი ზომის, პირგადაშლილი, ბრტყელძირიანი, ორყურა ჯამია, რომელსაც ყურების ზედა ნაწილში ჯიხვის თავის სკულპტურული გამოსახულებები აქვს მიძერწილი (ტაბ. XXVIII$_2$). მეორე ბრტყელძირა ჯამია, გაშლილი პროფილებული პირით (ტაბ. XXVIII$_3$).

შენაჭოს კერამიკა ერთგვაროვანი სტრუქტურისა ჩანს. იგი მსხვილმარცვლოვანია. მონატეხში და ზედაპირზე მეტ-ნაკლებად შეინიშნება უხეში, თეთრი ფეროს ჩანართები. მხოლოდ თხელკედლიანი ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი შედარებით წმინდა სტრუქტურით ხასიათდება. კერამიკის დიდი ნაწილი ხანძრის ძლიერი მოქმედების შედეგად ფერშეცვლილია. საღ მონატეხზე იგი უმთავრესად რუხი ფერისაა, უმრავლესობას ზედაპირი და სარჩული მოწითალო ან მოყავისფრო აქვს, რამდენიმე ნატეხი კი წითელკეციანია.

ჭურჭელი ხელითაა გამოძერწილი. ზედაპირი გულდასმითაა მოსწორებული, შიგნითა პირი კი უმთავრესად უხეშია, ტლანქი. უმრავლესობას სადა, გაუპრიალებელი ზედაპირი აქვს, მცირე ნაწილს — სუსტად გაპრიალებული; მხოლოდ ორიოდე ჭურჭლის ნატეხი გამოირჩევა მოწითალო, შედარებით კარგად გაპრიალებული ზედაპირით.

ჭურჭელი სხვადასხვა დანიშნულებისაა და, შესაბამისად, ფორმების მრავალგვაროვნობით გამოირჩევა. გვხვდება ზემოდასახელებული ლანგრისა და ჯამის ტიპის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, რომელთა პირი სხვადასხვაგვარი ორნამენტული აშიებითაა შემკული, თხელკედლიანი გადაშლილი ჭურჭლის, შესაძლებელია ჯამების ნიმუშები, მრავლადაა წარმოდგენილი პირგადმოკეცილი, ყურიანი თუ უყურო სხვადასხვა ზომის ქილებისა და ჭოთნების ფრაგმენტები, მცირე ზომის პირმოყრილი ჭურჭლის ნატეხები. აღსანიშნავია მაღალყელიანი, პირისკენ გაფართოებული ყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელიც გოფრირებული ზედაპირით ხასიათდება (ტაბ. XXVIII$_4$). საინტერესოა ჭურჭელი, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან წვერებით მიდგმულ ორ კონუსს, ზედა ნაწილში შერჩენილი ყურის მიძერწვის ადგილით (ტაბ. XXVII$_5$). შეერთების ნაწილში ჭურჭელი მთლიანია. მის ორივე მხარეზე ცეცხლის თუ დამწვარი ნივთიერების კვალია შერჩენილი. ჭურჭელს ქვედა ნაწილი აკლია და, ამდენად, მისი ფორმა საბოლოოდ გარკვეული არ არის. განათხარ მასალაში ამ ტიპის ჭურჭლის კიდევ ორი ფრაგმენტია დადასტურებული. ამ ჭურჭლის ფორმის თავისებურება გვაფიქრებინებს, რომ იგი საკულტო დანიშნულებისა უნდა იყოს.

ჭურჭლის დიდი ნაწილი ორნამენტირებულია. შესამკობად ფართოდაა გამოყენებული მიძერწილი რელიეფური სარტყლები ირიბი ნაჭდევებით, რომლებიც გრეხილურ და წნულ სახეებს ქმნიან. ჭურჭლის პირი მოყვანილობის შესაბამისად, სხვადასხვაგვარადაა გაფორმებული — გვხვდება ტალღურკიდიანი

---

[9]. Е. А. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 59; Д. Г. Капанадзе. დასახ. ნაშრ., გვ. 55—56.

და დაბრილულკიდიანი ნიმუშები, ფართო, ჰორიზონტულად გამოყოფილი პირი კი ზოგჯერ ირგვლივი ღარებითაა შემკული. ჭურჭლის ზოგ ნატეხზე გრაფიკულად შესრულებული მარტივი სახეებია დატანილი—კონცენტრული წრეები, ტეხილი ხაზები, ჩხვლეტილი წერტილები და სხვ.

შენაქოს კერამიკულ ნაწარმს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ზოომორფული გამოსახულებებით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტები. ამგვარი რამდენიმე ნიმუში აქ 1964 წლის მონაპოვარშიც აღმოჩნდა. საანგარიშო წელს კი 11 ფრაგმენტია ფიქსირებული. მათზე, ყურის ზედა ნაწილში ან პირს ქვემოთ, ჭურჭლის კედელზე, ჯიხვის თავის გამოსახულებანია მიძერწილი. სახის ნაკვეთები ღრმა ფოსოებითაა გადმოცემული. ჯიხვის პლასტიკურ გამოსახულებებს შორის გვხვდება როგორც ძალზე სქემატური, ისე რეალისტურად გამოყვანილი ფიგურები (ტაბ. XXIX). შენაქოს ჭურჭელზე მოცემული ჯიხვის გამოსახულებანი, შესაძლებელია, აღნიშნულ ტერიტორიაზე მისი ძლიერი კულტის არსებობაზე მეტყველებენ.

ზემოაღწერილი კერამიკა I თხრილში სავარაუდო დანგრეულ ნაგებობასთან ჩანს დაკავშირებული. იგი, წინასწარულად, ადრეშუასაუკუნეების ხანის დასაწყისს შეიძლება მივაკუთვნოთ.

საანგარიშო წელს თხრილის ზედა ფენაში აღმოჩნდა მინის ერთი ინკრუსტირებული მძივი და ბრინჯაოს შემდეგი ნივთები: ორი ცილინდრი, რომელთაგან ერთი სადაა, მეორე კი — კონცენტრული წრეხაზებით შემკული (დეფორმირებული), რგოლისებრი ბალთა სეგმენტირებული ზედაპირით, საკიდის ფრაგმენტები — ორი სხვადასხვა ზომის ნახევარსფერო და სხვ. აღსანიშნავია, რომ ეს მასალა ამ თხრილში აღმოჩენილ კერამიკასთან შედარებით უფრო გვიანდელია და ჩვენი აზრით, ბაგრატ IV-ის მონეტასთან ერთად, ბორცვის უფრო გვიანდელი ხანის ფენებიდან უნდა იყოს მოხვედრილი.

მიმდინარე წელს შენაქოს ბორცვზე გამოვლენილი არქეოლოგიური მონაპოვარი მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს მთათუშეთის მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევისათვის.

Р. М. ДОЛАБЕРИДЗЕ

ОТЧЕТ РАЗВЕДОЧНО-АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ГОРНОЙ ТУШЕТИ (1975 г.)

(Табл. XXVIII—XXIX)

Систематические археологические исследования в высокогорных районах Грузии до настоящего времени не проводились. Тем не менее, случайные находки отдельных предметов и комплексов позволяют в определенной мере выявить новые, весьма интересные данные по истории и материальной культуре горных регионов Грузии, которые в силу суровых географических и климатических условий характеризуются специфической, консервативной природой развития.

В 1975 году Государственным Музеем Грузии им. акад. С. Джанашиа АН ГССР впервые была организована разведочно-археологическая экспедиция в Горной Тушетии. Экспедиция ставила перед собой следующие задачи: 1. Разведка селищ и могильников местности Цовата с маломасштабными раскопками. 2. Проведение раскопок разведочного характера на холме села Шенако, где в 1964 году был обнаружен богатый и своеобразный археологический материал[1].

Цовата расположена в долине р. Цоватис-Цхали — левого притока Тушетской Алазани. Основной орографической единицей района является хребет Самебис-Гора, вокруг которого расположены руины комплекса языческого святилища «джвари» и селищ—Сагирта, Индурта, Мозарта, Этелта. Примерно в 5 км ниже по течению р. Цоватис-Цхали находится селище Царо.

Могильники в местности Цовата расположены вблизи селищ, обычно на склонах гор. Погребения на поверхности зафиксированы вертикально вставленными у изголовья и ног плоскими глыбами сланца. В некоторых случаях между ними или впереди них воздвигнута низкая стена, сложенная горизонтально расположенными сланцами.

Всего было вскрыто пять погребений: два в Индурта, два в Сагирта и одно в Этелта. Погребения представляют собой узкие, длинные (в рост человека), построенные из больших глыб сланцев каменные ящики прямоугольной формы. В некоторых погребениях, над каменным ящиком были зафиксированы горизонтально расположенные в несколько рядов сланцы с прослоями земли. Погребения индивидуальные. Костяки лежали вытянутые на спине. В четырех случаях руки расположены в области живота, в одном случае — таза. Ориентация

[1] См. Р. М. Долаберидзе, Археологический материал из села Шенако (Тушетия), Тб., 1973.

могил различная: с запада на восток, с юго-запада на северо-восток, с севера на юг (рис. 1, 2). В Индурта, погребении № 1 было обнаружено бронзовое кольцо, в Сагирта, погребении № 2 — бронзовая бляшка щитовидной формы, бронзовые браслеты — 2 шт. (рис. 3) и фрагменты тесьмы, в № 1 погребении Этелта — фрагменты бархатной ткани с тесьмой и вышивкой. Рассмотренные каменные погребения датируются периодом позднего средневековья.

В селище Царо экспедицией были осмотрены наземные погребения—склепы, представляющие собой построенные из сланцев прямоугольные сооружения с оконными проемами; на некоторых из них сохранились двускатные, ступенчатые крыши (рис. 4); у стен на различных уровнях располагаются одна или две каменные полки для покойников. Пол склепов усеян человеческими костями и обломками сланцев. Склепы селища Царо относятся к периоду позднего средневековья.

Вторым объектом, где экспедиция проводила работы в отчетном году было селение Шенако, расположенное в бассейне слияния Пирикительской и Тушетской Алазани, на склоне высокой горы. К северо-востоку от села расположен холм — Ништако, на котором местные жители неоднократно находили различные предметы, что и обусловило наш интерес к этому памятнику.

С целью установления характера памятника на различных участках холма были проведены разведочные шурфы — А, В и С. В шурфах А и С были выявлены лишь керамические шлаки и обожженные камни, в шурфе В — каменная кладка.

I раскоп был проложен на юго-западном склоне холма, выше места находок 1964 года. Культурный слой здесь начинается непосредственно под растительным покровом. Вместе с многочисленными фрагментами керамических изделий и шлаков, а также костей животных, в большом количестве были выявлены сланцы различных размеров и древесный уголь, что указывает на наличие сооружения в отмеченном участке.

Особо важной находкой экспедиции является серебряная монета грузинского царя Багарата IV (1027—1072 гг.).

Монеты этого типа в Грузии чеканились с конца X-го до конца XI вв. В этот период в монетной системе Грузии происходят значительные изменения: мусульманский тип монет заменяется номиналами византийского типа. В то же время на них дается грузинская надпись с упоминанием имени грузинского царя и его византийского титула.

На лицевой стороне монеты Багарата IV из Шенако надпись: «Христе, возвеличь Багарата, царя абхазов новелисимоса». На оборотной стороне изображение Влахернской богоматери и греческая надпись: «святая богородица» (табл. XXVIII,1).

Монета датируется 1040—1060 гг., когда царь Багарат IV носил титул новелисимоса.

Следует отметить, что до настоящего времени аналогичные монеты были обнаружены всего в двух экземплярах, одна из которых хранится в Эрмитаже, а вторая, в Государственном историческом музее, в Москве.

Обнаруженная в I раскопке керамика (более 1700 фрагментов) серо и красноглиняная. Изготовлена ручным способом, довольно грубо.


Форма сосудов многообразна. Среди них много орнаментированных образцов. Особый интерес представляют фрагменты посуды с

зооморфными изображениями, главным образом тура (11 экз.), среди которых встречаются как схематичные, так и весьма реалистичные фигуры (табл. XXIX). Помимо керамики в верхнем слое I раскопа выявлены бусина, фрагмент браслета и другие металлические изделия.

Керамика из I раскопа, предварительно может быть отнесена к начальному периоду раннесредневековья. Очевидно, она связана с предполагаемым погибшим от пожара сооружением.


Что касается некоторых сравнительно поздних металлических изделий из верхнего культурного слоя, то они, вместе с монетой Баграта IV, могли попасть сюда из более поздних культурных слоев этого холма.

Данные проведенных разведочных работ — наличие сооружения и добытый богатый археологический материал свидетельствуют, что холм Ништако относится к древнему поселению.



სურ. 1 — 2. ინდურთა, სამარხი № 2; საგირთა, სამარხი № 2.

Рис. 1—2. Индурта, погребение № 2; Сагирта, погребение № 2



სურ. 3—4. ბრინჯაოს ბალთა და სამაჯურები საგირთადან, ბრინჯაოს ბეჭედი ინდურთადან; ჭაროს აკლდამები

Рис. 3—4. Сагирта, бронзовые браслеты и бляшка из погребения № 2; Индурта, бронзовое кольцо из погребения № 1; Царо, склепы

გ. მჭედლიშვილი

ივრისპირების „ქვაბებიs“ არქეოლოგიური დაზვერვები

(ტაბ. XXX — XXXII)

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის ლაბორატორიამ 1974 — 1975 წწ. განახორციელა ივრისპირების „ქვაბების“ არქეოლოგიური დაზვერვები. აღნიშნული რაიონის არქიტექტურულ-სპელეისტური შესწავლა ლაბორატორიამ წამოიწყო ჯერ კიდევ 1970 წელს[1].

საანგარიშო წელს ექსპედიციას განზრახული ჰქონდა დაზვერვების ჩატარება მცირეოდენი თხრით და ქრონოლოგიის საკითხების გასარკვევად რამდენიმე შურფის გაკეთება.

ივრის შუა წელზე, სოფელ ქვემო ბოდბედან სამხრეთით 25 კმ მანძილზე (სიღნაღის რაიონი), მდინარის მარცხენა მხარეს, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე გადაჭიმულია 3 კმ სიგრძის მთა, რომელსაც ეწოდება „ქვაბები“[2]. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 860 მ-ს აღწევს. ის შედგება თიხებისა და ღორღების კონგლომერატოვანი შრეებისაგან. ქედის სამხრეთ კლდოვან ქარაფზე, დაახლოებით 700 მ-ის სიგრძეზე გამოკვეთილია ქვაბთა კომპლექსი (სურ. 1, ტაბ. XXX).

ქვაბები განლაგებულია სხვადასხვა სიმაღლეზე რამდენიმე სართულად. საღღეისოდ გადარჩენილ ქვაბთა რაოდენობა ოთხმოცს აღწევს. კლდის დიდი ნაწილი ამჟამად მონგრეულია, ხოლო კლდისძირა ქვაბები ჩამარხული. იმის გამო, რომ ნიადაგი ადვილად შლადია, კომპლექსის წინა მიდამო ნიაღვრების მიერ ძლიერაა დახრამული, თავდაპირველი რელიეფის დიდი ნაწილი გადარეცხილია ან დაფარულია მთიდან ჩამორეცხილი თიხეებისაგან. „ქვაბები“ მეტად ღარიბია მცენარეული საფარით და მხოლოდ საძოვრებადაა გამოყენებული. მთის ჩრდილო კალთებიდან იწყება ე. წ. „შინდის ყელის“ დავაკება, რომლის ნიადაგი შავი ნოყიერი მიწისაგან შედგება და პურის ყანებისთვისაა გამოყენებული.

ამჟამად ძნელი გასარკვევია, თუ როგორ მარაგდებოდა წყლით „ქვაბების“

---

[1] 1970 წელს სპელეისტიკის ლაბორატორიამ დაზვერა და აღწერა გარეკახეთის ძეგლები, მათ შორის „ქვაბებიც“.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გ. გაფრინდაშვილი (ხელმძღვანელი), ი. გაგოშიძე, ა. ვართაგავა, დ. ბაქანიძე, ს. ბურდილაძე, გ. თოდუა.

[2] დ. გონაშვილი, ივრის ხეობაში, „საბჭოთა ხელოვნება, 1964, № 2, 1965, № 12; მ. ქეთრაძე, რამდენი მონასტერია გარეჯში? „ძეგლის მეგობარი“, № 27—28, 1971, გვ. 68 — 78; თ. თოდუა, გარეჯა (მონასტერთა ლოკალიზაციისათვის), „ძეგლის მეგობარი“, № 31—32, 1973, გვ. 17—30.

მოსახლეობა, ვინაიდან არხის ან წყალსადენის არავითარი კვალი არ ჩანს. ხოლო ნასახლარი მდინარე ივრისაგან 3 კმ-ით არის დაშორებული.

იმ ზედაპირული მასალების მიხედვით, რომლებიც უხვადაა გაფანტული ქვაბთა კომპლექსის წინა ფერდობზე და იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც ადამიანის დასახლებაზე მეტყველებენ (მიწაში ჩადგმული ქვევრები, დამწვარი ნახანძრალი ფენები), ნასახლარი 35 ჰექტარს მოიცავდა.

წლების განმავლობაში სპელეისტიკის ლაბორატორიამ „ქვაბების“ ზედაპირზე მოიპოვა კერამიკული, მინისა და ლითონის ნაწარმი, რომლის დიდ ნაწილს მოჭიქული ჯამები და მინის სამაჯურები შეადგენს.

„ქვაბების“ ინტენსიურ დასახლებაზე მეტყველებენ აგრეთვე მთელ ტერიტორიაზე გაფანტული რკინის, კერამიკისა და მინის წიდები, კერამიკული ქურების ნაშთები და სხვ.

საანგარიშო 1974 — 1975 წწ. „ქვაბებზე“ გაიწმინდა სამაროვანი, ე. წ. „ქურებიანი სათავსო“, გაკეთდა სტრატიგრაფიული ჭრილები.

სამაროვანი

„ქვაბების“ ტერიტორიაზე ამჟამად მიგნებულია ოთხი სამაროვანი: I სამაროვანი განლაგებულია „ქვაბების“ მთის აღმოსავლეთ პლატოზე, დაახლოებით 100 მ სიგრძეზე. კლდის ნაპრალებში მოჩანს ადამიანის ძვლები და ქვის ფილები.

II სამაროვანი „ქვაბების“ ცენტრალური კლდის ძირას რამდენიმე ნაშთითაა წარმოდგენილი. ეს ადგილი ძლიერაა დაზიანებული. რამდენიმე ადგილას შეინიშნება დანგრეული სამარხები.

III სამაროვანი „ქვაბების“ ცენტრალური კლდის სამხრეთით მცირე კლდოვან პლატოზეა, რომლის აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეები მონგრეულია. მის გაშიშვლებულ-გადარეცხილ ზედაპირზე კარგად მოჩანს კლდეში ამოკვეთილი სამარხის კონტურები. ჩვენ გავწმინდეთ რამდენიმე სამარხი, დადგენილია სამაროვნის გავრცელების საზღვრები.

სამარხების მოსაწყობად კლდოვან მასივში იჭრებოდა ორმო იმის მიხედვით, თუ რა ზომისა იყო მიცვალებული, დაწყებული ბავშვის სამარხიდან, რომლის სიგრძე 115 სმ აღწევს, და დამთავრებული დიდი ზომის სამარხებით, რომელთა სიგრძე 2 მ აღემატება (ტაბ. XXXI). დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ორმო თანდათან ვიწროვდება, მხრებთან უფრო გაგანიერებულია, თავთან მომრგვალებული, ფეხებთან დაკუთხული. ზოგიერთ შემთხვევაში ფეხებთანაც მომრგვალებულია.

ორმოს ნაპირები, რომელთა სიგანე 10 — 20 სმ უდრის, ქვის ფილების დასადებადაა განკუთვნილი, ხოლო გადახურვის ზედა სივრცე შესაბამისად განიერია. სამარხები დამხრობილია ძირითადად აღმოსავლეთ-დასავლეთით მცირე გადახრებით. როგორც წესი, სამარხის ორმო იკვეთებოდა წვეტიანი იარაღით, რის ანარეკლიც მართალია მკრთალად, ბევრგან არის შესამჩნევი.

გადახურვისათვის გამოყენებულია ქვის უხეში ფილები. № 21 სამარხის სახურავად გამოყენებულია წისქვილის ქვის ნახევარი, რომლის დიამეტრი 100 სმ უდრის. ზუსტად ასეთივე ჯიშის ვარდისფერი ქვის ხელსაფქვავების ნატეხები უხვადაა გაფანტული სამაროვანის ტერიტორიაზე და მის კლდის ძირზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია № 4 სამარხი, რომელიც 1974 წელს გაითხარა. მისი სიგრძეა 223 სმ, სიგანე 100 სმ. მიწის დონიდან დაცილებულია 160 სმ-ით.

სამარხის სახურავის ზემოთ, დასავლეთ კედელში, გამოკვეთილია ნალისებური მოყვანილობის ნიში, რომლის სიგანეა 50 სმ, სიღრმე 36 სმ და სიმაღლე 75 სმ (სურ. 2).

ჩვენ მიერ გაწმენდილ სამარხებში, გარდა ორი შემთხვევისა, როდესაც თითო ორმოში თითო მიცვალებული ესვენა, ყველა დანარჩენი გამოყენებულია მრავალგზის; რამდენიმე მიცვალებული ესვენა ერთი მეორეზე. აღმოსავლეთ კედელთან, როგორც წესი, მიხვეტილი ძვლებისა და თავის ქალების გროვა გვხვდება. მიცვალებულებს თავი დასავლეთით, ხოლო სახე აღმოსავლეთისაკენ აქვთ მიქცეული, ერთი ხელი მუცლის არეშია მოთავსებული, მეორე—მენჯთან.

სამარხებში ინვენტარი არ არის დადასტურებული, გამონაკლისია № 20 და № 22 სამარხები.

№ 20 სამარხი, მიცვალებულის ყელის არეში დადასტურებულია სხვადასხვა მასალის და ფორმის მძივები და მძივსაკიდები (სურ. 3). მათ შორისაა სხვადასხვა ფორმის ორასზე მეტი შავი მინის წვრილი მძივი, სარდიონის სამი მძივი: ამათგან ორი მრგვალი, არათანაბრად დამუშავებული ზედაპირით, და მესამე — გრძელი წახნაგოვანი, ბოლოებში დავიწროვებული, ასევე არათანაბრად და არაზუსტად დამუშავებული; ქარვის სამი მძივი; ორი მრგვალ-ბრტყელი და მესამე მრავალწახნაგოვანი (14 წახნაგით), მთის ბროლის სფერული მძივი და ყუნწიანი (შესაძლოა ვერცხლის), დაზიანებული საკიდი, ოთხკუთხა განივკვეთიანი ლურჯი მინის გრძელი მძივი, გიშრის რომბისებური ორი მძივი ძაფის გასაყრელი ორ-ორი ნახვრეტით. მინის ორმაგი ბრტყელი მძივი ორსაგუდლიანი და სხვ.

№ 22 სამარხის ზედა მიცვალებულს მარჯვენა მხარეზე აღმოაჩნდა გამოფიტული, ჟანგიანი ნივთი, რომელიც მაშინვე დაიშალა, და ჭსოვილის ნაშთებზე ბრინჯაოს წვრილი 8 მმ დიამეტრიანი 6 რგოლი.

ზემოთ ჩამოთვლილი უმნიშვნელო მასალა თარიღის მხრივ თითქმის არაფერს გვეუბნება. სამარხიდან ამოყრილ ძვლებს შორის შემთხვევით აღმოჩნდა იოანე ციმისხის სპილენძის მონეტა, რომელიც მიმოქცევაში იყო X საუკუნის ბოლოდან XI საუკუნის დასაწყისამდე. ამის გარდა სამაროვანზე ნაპოვნია მძივები და სპილენძის ბეჭდები (სურ. 4), რომლებიც შესაძლოა გაძარცული და დანგრეული სამარხებიდან მომდინარეობს. ერთ-ერთ დანგრეულ სამარხში აღმოჩნდა სპილენძის ბეჭედი თვალბუდით და შიგ ჩასმული ცისფერი მინის პასტის თვლით.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება—რამდენიმე შემთხვევაში მიცვალებული სამარხების სახურავზე იყო დასვენებული.

IV სამაროვანი „ქვაბების“ სამხრეთით III სამაროვნიდან დაახლოებით 800 მეტრითაა დაშორებული. ზედაპირზე რამდენიმე ადგილას შოჩანს ქვის ფილების ნატეხები და ადამიანის ძვლები. 1966 წელს ამ ადგილებში პალეონტოლოგებმა აღმოაჩინეს უძველესი ცხოველების ნაშთები. აღნიშნულ სამარხთა არსებობაც ხსენებული მეცნიერებისაგან შევიტყვეთ.

„ქვაბების“ სამაროვანთა შესწავლა, რაც მომავალში გვაქვს დაგეგმილი, იმედია, ბევრ საინტერესო საკითხს გააშუქებს მათი და, საერთოდ, ამ გეოგრაფიულ გარემოში აღმოჩენილ მასალათა შესასწავლად.

სამაროვანზე გათხრების პარალელურად ზუსტდებოდა „ქვაბების“ ტიპოგრაფია, გამოვლინდა აქამდე უცნობი ნასახლარის ნაშთები, საცხოვრებელი კომპლექსები, რომლებიც ძლიერაა დაზიანებული ნიადაგის გადარეცხვით ან

პირიქით. ზემოდან ჩამონგრეული კლდის ლოდებით. ერთ-ერთი ნასახლარი გამოვლინდა სამაროვნის აღმოსავლეთით, პატარა კლდის ძირას. შემორჩენილია კლდეში გამოკვეთილი ერთმანეთის გვერდით სამი თაღიანი ნიში. კედელი მთლიანად ცეცხლისაგან იყო დაწითლებული. იგი მოქცეული იყო დანალექი სტერილური თიხების და ცეცხლისაგან დაწითლებული თიხის წრეების ქვეშ. სავარაუდოა „სახლი“ რაიმე საწარმოსთან იყოს დაკავშირებული, თუმცა გამორიცხული არაა აგრეთვე ხანძრის ზემოქმედებაც.

მთავარი ღირსება ამ ნასახლარისა მაინც იმაში მდგომარეობს, რომ აქ არის დადასტურებული თაღიანი ნიშების არსებობა „ქვაბებზე“. საერთოდ ნიშები თითქმის არ გვხვდება, გარდა № 68 და № 70 ქვაბებისა, სადაც მათ ოთხკუთხა ფორმები აქვთ.

სამწუხაროდ, ამ კედლების გარდა, „სახლის“ დანარჩენი სხვა კედლები ნიაღვრების მიერაა წაღებული, რის გამოც მისი ხასიათის და დანიშნულების გარკვევა ამჟამად შეუძლებელია.

/ასევე ძლიერაა დაზიანებული საცხოვრებელი კომპლექსი № 8 ქვაბის დასავლეთით, მისგან დაახლოებით 20 მ მანძილზე, ფლატეების სიღრმეში. აქ ნიაღვრების მიერ გაშიშვლებული ქვევრია დაფიქსირებული (სიმაღლე 145 სმ, მუცლის დიამეტრი 90 სმ, ძირი ბრტყელი, საერთო მოყვანილობა კვერცხისებური). ქვევრში აღმოჩნდა: ყურიანი დიდი ქოთანი ცეცხლისაგან გაშავებული, დაღარული ტანით, მუქი წითელი კეცით და წითელ წერნაქგადავლებული და გაპრიალებული (გაპრიალება ვერტიკალურია) დოქი, რამდენიმე ქოთნის ნატეხები, მოჭიქული სამარილეს პირი, მოჭიქული ჯამის ქუსლი, წმინდად განლექილი და ღია ვარდისფრად გამომწვარი მცირე ზომის პირმოყრილი დოქის პირი, დიდი სადღეებლის ნაწილი. მას ფსკერზე წვეტიანი შვერილი აქვს. მსგავსი ძირები „ქვაბებზე“ ზედაპირულ მასალებშიც გვხვდება. მუცელზე რელიეფური მინაძერწია განივად დაკეპნილი.

ქვევრის საპირისპირო მხარეს, ფლატის მეორე კედელში ქვევრისაგან 3 მ დაშორებით, მოჩანდა რიყის ქვის კედლის წყობა და დამწვარი შრე. გაწმენდისას გამოვლინდა თონის ნაშთი. თონის ძირზე 10 სმ სისქის ნაცრიანი ფენა იდო. აღსანიშნავია თონის კეცზე შიგნიდან ვერტიკალური ღარები. ქვევრს ზემოთ 3 მ სიმაღლის თიხოვანი ფენა ადევს. ფლატის აყოლებით ზემოთ, ქვევრიან კომპლექსიდან 15 მ დაშორებით, მიწაში გამოჩრილი ძელის ნაშთები მოჩანს.

უფრო აღმოსავლეთით კლდის მცირე თხემზე, რომლის სიგანე 1 მ უდრიდა, მიწის ზედაპირზე ჩანდა დამწვარი ფენა და რიყის ქვის წყობა. გაწმენდის შემდეგ გამოვლინდა სათავსოს გადარჩენილი ნაწილი, სამი ქურის ნაშთით. „ქურებიანი სათავსო“, როგორც მას პირობითად ვუწოდებთ, მიშენებული უნდა ყოფილიყო კლდეზე, ჩრდილოეთის კედლად გამოყენებულია კლდე. აღმოსავლეთის მხრიდან შემორჩენილია კედლის წყობა, შედგენილი რიყის ქვებისა და თიხისაგან. იატაკი, რომელიც მიწატკეპნილი აღმოჩნდა, 10—15 სმ სიმაღლეზე დაფარული იყო წვრილტოტებიანი და ლერწმის ნახშირით. ზემოდან ამ ფენაზე ეყარა რიყის ქვები, ზოგ შემთხვევაში თიხის შეკრულ ბლოკებად. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ კედელზე მიშენებულ „ქურებიან სათავსოს“ კედლები ნაწილობრივ მაინც ამოშენებული ჰქონდა, ხოლო გადახურული იყო ლერწმითა და წვრილი ტოტებით. ამას თუ დავუმატებთ „ქვაბების“ იმ ფენებს, სადაც სწორედ წვრილი ტოტების და ლერწმის ნახშირი სჭარბობს, აშკარა გახდება მათი სამშენებლოდ გამოყენება (სურ. 5, ტაბ. XXXII).

საბოლოო გაწმენდამ გამოავლინა სათავსოს იატაკი, რომლის სიგრძე ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე 5 მ აღწევს, ხოლო სიგანე ყველაზე უკეთესად შემონახულ ჩრდილოეთ ნაწილში 2 მ არ აღემატება და სამხრეთისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. მიწის ფენის სისქე, რომელზედაც გამართულია სათავსოს იატაკი. ჯერ ბოლომდე გამოვლენილი არაა, მაგრამ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება. რომ იატაკის დონიდან დაწყებული 40 სმ-ზე მიწაში გამოჩრილია ადამიანის ძვლები, ხოლო 1 მ სიღრმეზე გამოჩნდა ჩონჩხის ზედა ნაწილი აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე დამხრობილი, თავით დასავლეთისაკენ.

როდესაც ლაპარაკი გვქონდა II სამაროვანზე, რომელსაც ცენტრალური კლდის ძირას ვგულისხმობთ, ერთ-ერთ საბუთად ეს სამარხიც გვქონდა მხედველობაში. თუმცა სამარხის სხვა რამ ნიშანი აქ არ ჩანს.

სათავსოს აღმოსავლეთ მხარეს, კედლის გასწვრივ მოწყობილია თიხით და რიყის ქვით ნაშენი ნალისებური მოყვანილობის ორი ჭურა. 1 ჭურა აშენებულია სათავსოს სამხრეთ ნაწილში. მისი სიგანე 23 სმ უდრის, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე 20 სმ. ჭურის ძირი ოდნავ დაქანებულია ღობისკენ. ჭურის წინ მიწაში ჩასმულია ოთხკუთხა მოყვანილობის ხელსაფქვავის ნატეხი. იქვე იატაკზე მთლიანი ქოთანი აღმოჩნდა ცეცხლისაგან შებოლილი. ბაქანზე, რომელშიაც ჩასმულია ჭურა, ეყარა ან ეწყო ქოთნები და ჭრაქები, ქვაბქოთნის ნატეხები. ჭრაქებიდან ერთი დიდი ზომისაა (სიმაღლე 12 სმ, მუცლის დიამეტრი 12 სმ, პირის 8.8 სმ. ლულის სიგრძე 10 სმ, ძირის დიამეტრი 10 სმ). ტანი მრგვალი აქვს, თითქმის სფერული, პრტყელი ძირით. ჭრაქი ჩადგმული აღმოჩნდა რომელიღაც ჭურჭლის ძირში, რომლისთვისაც საგანგებოდ ნაპირები მოუმტვრევიათ. ჭრაქი და ჭურჭლის ძირი დაფარული იყო დამწვარი, შავი მასით, ხოლო თვითონ ჭრაქში ეყარა ნაცარი, ლერწმისა და წვრილი ტოტების ნახშირი, რკინის ფირფიტა. სხვა ორი ჭრაქი მოყვანილობით ერთნაირია, სიმაღლე 6,2 სმ, ძირის დიამეტრი 4.2 სმ, ლულის სიგრძე 5,2 სმ. ჭრაქები ცეცხლისაგან გაშავებულია (სურ. 6_1).

ჭურის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ქვაბქოთნის ნატეხები ეყარა. აღდგენილი ჭურჭლის სიმაღლე 10 სმ-ია, პირის დიამეტრი 22 სმ, პირი ბრტყელი აქვს, დიამეტრი 16 სმ. პირს ქვემოთ სამი ღარი მიუყვება (სურ. 6_1).

ბაქნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ქოთანია ჩასმული. ქოთანში ნაცარი, ნახშირი და ტიგელის მსგავსი ჭურჭელი აღმოჩნდა.

№ 2 ჭურა, რომელიც სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ასევე თიხითა და რიყის ქვებით არის მოწყობილი, დიამეტრი 43 სმ, სიმაღლე 23 სმ, შიგნიდან 10 სმ, სისქის თიხის კედელი მთლიანად დაწითლებულია ცეცხლისაგან. უშუალოდ ჭურის წინ მრგვალი ხელსაფქვავის ნახევარია ჩასმული იატაკში. იქვე ეგდო დიდი ზომის ჭურჭლის ქვედა ნაწილი (შემორჩენილი სიმაღლე 38 სმ.) ბრტყელი ძირითა და მაღალი კედლებით. ჭურჭლის ერთი გვერდი მოხატულია შავი საღებავით. შვეული და თარაზული ხაზების დაკვეთით მიღებულია რომბული ბადე.

№ 3 ჭურა მიდგმული ჩანს სათავსოს ჩრდილოეთ კედელზე, ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ მცირე ნაშთი დაწითლებული ჭურის კედლისა.

ამრიგად, ერთ მცირე სათავსოში, რომლის საშუალო შემორჩენილი ფართი 12 კვ. მ არ აღემატება, განლაგებულია სამი ჭურა, რაც თავისთავად გვაფიქრებინებს სათავსოში შესაძლო ლითონის წარმოება დავინახოთ. ასეთი მოსაზრების შხარდამჭერი უნდა იყოს № 1 ჭურის მახლობლად აღმოჩენილი ხის საგანი,

რომლის ფუძურო გული თიხით იყო ამოვსებული. ეს საგანი ჩვენ საბერველი მილი გვგონია.

„ქურებიანი სათავსოს“ გაწმენდისას ზემოთ ჩამოთვლილ ნივთებს გარდა აღმოჩნდა აგრეთვე მოჭიქული ჯამებისა და სამარილეების ნატეხები. მოჭიქული ჯამების ეს ტიპები IX — X ს. განეკუთვნება. სავარაუდოა სათავსოს X — XI საუკუნეში განადგურება.

„ქვაბების“ სტრატიგრაფიის დასადგენად სხვადასხვა ადგილებში გავლებულ მცირე თხრილებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომ ცენტრალურ ნაწილში № 8 ქვაბის სამხრეთით, ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე გავჭერით 10 მ სიგრძის და 2 მ სიგანის თხრილი (სურ. 6). გამოვლენილი ფენები ფაქტიურად შესაძლებელია ორ ძირითად პერიოდს მოიცავდეს, ვინაიდან ზედა სამი ფენა ერთიდაიგივე შემადგენლობისაა და შეიცავს იმავე მასალებს, რაც ზედაპირზედაც გვხვდებოდა. ხოლო ქვედა სამი ზედა ფენებისაგან განსხვავდება იმით, რომ მასში არ შეგვხვედრია მოჭიქული ჭურჭლისა და მინის სამაჯურები; ზემოდან მეოთხე ფენაში თიხის დამწვარ ბათქაშებისა და ნახშირების გარდა არაფერი აღმოჩენილა.

გათხრით მოპოვებული მასალის სიმცირე საშუალებას არ იძლევა გარკვეული დასკვნების გამოსატანად და ამიტომ ვიშველიებთ ზედაპირულ მასალასაც, რომელშიც პროცენტულად შუა საუკუნეების ადრინდელი ეტაპის ნიმუშები სჭარბობს — მაგალითად, თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები, შიშველ კეცზე ფერადი საღებავებით მოხატული და გამშვირვალე ჭიქურგადავლებული ჯამები, ნაღვენთი ტექნიკით მოხატული ჯამები და სხვ.

მინის ნაწარმი ძირითადად სამაჯურებითაა წარმოდგენილი, რომელშიაც სჭარბობს ლურჯი მინის სამკუთხა განივკვეთიანი, სადა მრავალგანივკვეთიანი და გრეხილები. ამათ გარდა „ქვაბებზე“ მოპოვებულია სამაჯურების იშვიათი ნიმუშებიც: ე. წ. ინკრუსტირებული და ლურჯი მინის ბრტყელი სამაჯურები, რომელთა სიგანე 1,7 სმ აღწევს (სურ. 6).

მოუჭიქავი კერამიკის უმეტესობა ე. წ. ვარდისფერკეციანი წმინდად გალეჭილი თიხის და კრიალა ზედაპირიანი ჯამ-ჭურჭელია. ჯამების ძირებზე ხშირია რელიეფური ჯვრის გამოსახვა, აგრეთვე ოდნავ მუქი წერნაქის გამოყენებაც (სურ. 7).

„ქვაბების“ მოსახლეობა რომ ლითონს ამუშავებდა, ამას ადასტურებს მთელს მის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით გაფანტული რკინის წიდები და გამღვალი რკინის ნიმუშები.

შესაძლებლად მიგვაჩნია აქვე ვიგულისხმოთ მინის სამაჯურების სახელოსნოების არსებობაც, რაზეც მიგვანიშნებს უამრავი წიდა და სამაჯურთა წუნი.

მასალების უმეტესობა მხარს უჭერს ქართული წყაროების ცნობას თურქსელჩუკების მიერ ივრისპირების აოხრების შესახებ XI საუკუნის ბოლოს. რაც შეეხება თითო-ოროლა მოგვიანო ხანის ნიმუშებს, როგორიცაა, მაგალითად, სგრაფიტოს ტექნიკით დამზადებული მოჭიქული ჯამები, შესაძლოა „ქვაბების“ მხოლოდ სახიზრად გამოყენებაზე მეტყველებენ.

რაც შეეხება ძეგლის ხასიათს, მიგვაჩნია, რომ იგი კლდის ნაგებობებით და მასზე მიშენებული საცხოვრებელი და საწარმოო ნაგებობებით ახალ თავისებურ კომპლექსს შეადგენს.

Б. МЧЕДЛИШВИЛИ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАЗВЕДКИ 1974—1975 гг. В СКАЛЬНОМ КОМПЛЕКСЕ «КВАБЕБИ» ИОРСКОГО УЩЕЛЬЯ

(Табл. XXX--XXXII)

Скальное сооружение «Квабеби» Иорского ущелья находится в 25 км к югу от сел. Квемо Бодбе Сигнахского р-на Груз. ССР. Это— пещерный комплекс, длиной около 700 м, высеченный в конгломератах южного скалистого обрыва горы «Квабеби». Обрыв и склон у его подножия испещрен глубокими рытвинами и оврагами, резко изменившими первоначальный эблик памятника; количество сохранившихся пещер достигает лишь 80-ти. С 1970 года здесь ведутся разведочные работы, собран подъемный археологический материал, сделаны обмеры скальных сооружений. В отчетном периоде экспедиция производила топографическую съемку памятника, с фиксацией культурных остатков, а также — ограниченного масштаба раскопки с целью изучения жилых комплексов и стратиграфии. Выявлено 4 могильника, из которых частично был изучен лишь один — № 3. Могильные ямы высечены в песчанике скалистого грунта и по очертанию приближаются к контуру человеческого тела; перекрыты они каменными плитами, в одном случае — половинкой жернова. Могилы ориентированы с запада на восток, с небольшими отклонениями. Лишь в двух погребениях найден инвентарь — бусы из разных минералов и стекла. Большинство могил оказались разрушенными, почти все носят следы неоднократного использования. Около одного погребения, среди выброшенных костей найдена медная монета императора Иоанна Цимисхия (конец X — начало XI в.).

В центральной части «Квабеби», у подножия скалы, экспедиция раскопала частично уцелевшее сооружение с тремя малыми печами. Две из них сложены из булыжника на глиняном растворе; их стены обмазаны глиной. Печи имеют подковообразную форму. Возле одной печи находилась обгоревшая деревянная труба, возможно — от поддувала.


На печах и возле них находилась керамика — светильники с трубочкой, черепки поливной посуды — чаш, солонок и кухонных сосудов. Особо отметим находку небольшой толстостенной миски, являющейся по нашему мнению тигелем.

На глинобитном полу помещения лежал слой угля и пепла мелких прутьев и камыша, покрытый сверху развалившимися стенами из булыжника и глины; очевидно, помещение было перекрыто кровлей из тонких веток и камыша. На территории «Квабеби» очень часто встречаются подобные слои обгоревших прутьев и камыша, по-види-

мому, они и служили основным материалом для перекрытия помещений.


Часты также находки криц и шлаков, брака стеклянных браслетов, остатков керамических печей. Это свидетельствует о том, что здесь занимались производством железных и стеклянных изделий и гончарным делом. Многочисленные кости крупного и мелкого рогатого скота являются показателем развития животноводства.

В целом, материал из «Квабеби», как подъемный, так и добытый путем раскопок, следует отнести к IX—XI вв.




სურ. 1. 1. ივრის პირის „ქვაბები“, სიტუაციური ტოპოგეგმა, 1—4 სამაროვნები

Рис. 1 «Квабеби» Иорского ущелья, ситуационный топоплан, 1—4 Могильники




სურ. 2. სამარხი № 4, გეგმა და ჭრილები
Рис. 2. Погребение № 4, план и разрезы




სურ. 3. მძივები № 23 სამარხიდან

Рис. 3. Бусы из погребения № 23




სურ. 4. ზედაპირულად მოპოვებული ბრინჯაოს ბეჭდები

Рис. 4. Бронзовые перстни




სურ. 5. 1. ჭურებიანი სათავსო, ვეგმა და ჭრილები; 2. დიდი თხრილის სტრატიგრაფიული ჭრილი

Рис. 5. 1. Помещение с печами, план и разрезы, 2. Стратиграфический разрез шурфа



სურ. 6. 1. თიხის ჭრაქები ჭურებიანი სათავსოებიდან; 2. ქვაბჭოთანა. ჭურებიანი სათავსოდან; 3. მინის სამაჯურები

Рис. 6. 1. Светильники из помещения с печами; 2. Глиняный котел из помещения с печами; 3. Стеклянные браслеты



სურ. 7. ვარდისფრად გაპრიალებული ჯამები

Рис. 7. Лощенные миски

ტაგულეგის ალწერილობა

ხრამის დიდი გორა

ტაბულა I. 1. ხრამის დიდ გორაზე გათხრილი მავზოლეუმის კარი. 2. მავზოლეუმის დასაკრძალავი კამერის ნაწილი პრეპარაციის პროცესში, ჩანს № 1 (წინა პლანზე) და № 2 სამარხები. 3. მავზოლეუმის დასაკრძალავი კამერის მკლავი. ჩანს № 1 სამარხი. 4. მავზოლეუმის დასაკრძალავი კამერის მკლავი. ჩანს № 2 სამარხი. 5. ს. სიონში გათხრილი № 4 ორმოსამარხი შუაბრინჯაოს ხანისა. 6. ს. სიონში გათხრილი ადრესამიწათმოქმედო ხანის ნაგებობის კედლის ფრაგმენტი.

მესხეთ-ჯავახეთი

ტაბულა II. სატევრის პირები ნიალის ველის № 1 ყორღანიდან, ქინძისთავი „ყაჩაღების“ № 2 ყორღანიდან. ქინძისთავები № 2 ყორღანიდან.

ტაბულა III. ნიჟარა და საკიდი ჯაშვის, № 2 ყორღანიდან. ოქროს მძივები ნიალის ველის № 1 ყორღანიდან. მძივები და მძივსაკიდი ნიალის ველის № 1 ყორღანიდან. ვერცხლის მძივსაკიდი.

ტაბულა IV. მოხატული ჭურჭელი ნიალის ველის № 1 ყორღანიდან.

ტაბულა V. „ყაჩაღების“ საერთო ხედი.

მუხურჩა, „კეკელური ზუგა“

ტაბულა VI. მუხურჩის სამაროვანი ბრინჯაოს ცულები (1—3, 6—7), სატევრები (4, 9, 10), სეგმენტისებური იარაღები (11—13, 15—17), თოხი (14), რკინის სატევრის ფრაგმენტი (8) და სალესი ქვა (5), (ქვედა დასაკრძალავი მოედანი).

ტაბულა VII. მუხურჩის სამაროვანი. ბრინჯაოს მცირე ქანდაკებები (1—4) საკიდი (?), (5), ძეწკვი (6), ხარაკი (7), (ქვედა დასაკრ. მოედანი).

ტაბულა VIII. მუხურჩის სამაროვანი. ბრინჯაოს მცირე ქანდაკება (1—2), აბზინდები (3, 6), საკიდი (4), სამაჯურის ოქროს თავი (5), ბრინჯაოს მცირე ჭურჭლის ფრაგმენტი (7), ბრინჯაოს ფიბულისა და საკისრე რგოლის ფრაგმენტები (8), (ქვედა მოედანი), სალესი ქვები (9—11) და თიხის რიტუალური ჭურჭელი (ზედა დასაკრძალავი მოედანი).

ტაბულა IX. მუხურჩის სამაროვანი. გიშრის (1, 5), ვინის (2, 16, 17), სარდიონის (3, 13) ქარვის (7, 13), ქვის (11, 12) და პასტის (13, 14) მძივები და საკიდები, ბრინჯაოს ძეწკვი (4), (ზედა დასაკრძალავი მოედანი); კალის (6), გიშრის (8—10) და პასტის (15) საკიდები (ქვედა მოედანი).

ტაბულა X. 1—2, 5, 15, 18 — კერამიკის ნიმუშები ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარის კულტურული ფენიდან ბორცვის მახლობლად; 3 — ჭურჭლის ნატეხი „კეკელური ზუგას“ კულტურული ფენიდან; 16—17 — კერამიკული ფრაგმენტები წინარე ანტიკური ხანის კულტ. ფენიდან ბორცვის სამხ. — დას. მხარეს; 19—27 — თიხის ჭურჭლები მუხურჩის სამაროვნის ზედა დასაკრძალავი მოედნიდან.

დედოფლის მინდორი

ტაბულა XI. გათხრების საერთო ხედი (1974 წ.).

ტაბულა XII. მთავარი ტაძარი, ხედი დასავლეთიდან.

ტაბულა XIII. მცირე ტაძარი, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (1974 წ.).

ტაბულა XIV. დასავლეთი კარიბჭე, ხედი აღმოსავლეთიდან (1974 წ.).
ტაბულა XV. დასავლეთი კარიბჭის გარეთა პორტიკის ჩრდილო-აღმოს. კაპიტელი.

გომარეთი

ტაბულა XVI. ქვაყუთები №№ 11 და 12.
ტაბულა XVII. ქვაყუთები №№ 6, 6ა.

ნოჭალაქევი

ტაბულა XVIII. 1. 1975 წ. აღმოჩენილი ბაზილიკა. 2. ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთი.
ტაბულა XIX. 1. გარე გალავანი. ცენტრალური კოშკი სამხრეთიდან. 2. გარე გალავანი, ცენტრალური კოშკი შიგნიდან.
ტაბულა XX. 1. ჭოროსი. 2. ჭრაჭი.
ტაბულა XXI. 1. ცულები. 2. კანთაროსი.
ტაბულა XXII. 1. ქვევრსამარხი № 3. 2. ქვევრსამარხი № 5.
ტაბულა XXIII. 1. ადრეფეოდალური ხანის სამარხის ინვენტარი. 2. ადრეფეოდალური ხანის სამარხის ინვენტარი.

არეშის ნაქალაქარი

ტაბულა XXIV. ქვაყუთი № 19.
ტაბულა XXV. ქვაყუთი № 20.
ტაბულა XXVI. 1. არეშის ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი. 2. არეშის ეკლესია. კანკელის ფრაგმენტი.
ტაბულა XXVII. 1. არეშის ეკლესია. დას. სტოა. 2. ცენტრ. ნავის სამხ. ნაწილი.

მთა თუშეთი

ტაბულა XXVIII. შენაქო. ბაგრატ IV ვერცხლის მონეტა და კერამიკის ფრაგმენტები.
ტაბულა XXXIX. შენაქო ზოომორფული კერამიკის ფრაგმენტები.

ივრისპირის „ქვაბები“

ტაბულა XXX. ქვაბების ხედი სამხ. აღმოსავლეთიდან.
ტაბულა XXXI. 1. სამარხი № 23. 2. სამარხი № 4.
ტაბულა XXXII. ქურებიანი სათავსო გაწმენდის დროს.

ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

ХРАМИС ДИДИ ГОРА

Таблица I. 1 Дверной проем мавзолея (Храмис Диди Гора). 2. Южная часть погребальной камеры мавзолея в процессе препарации; погребения № 1 (на переднем плане) и № 2. 3. Погребение № 1 в южном «рукаве» погребальной камеры. 4. Погребение № 2 в западном «рукаве». 5. С. Сиони. Погребение № 4 эпохи средней бронзы. 6. С. Сиони. Фрагмент строения раннеземледельческого периода.

МЕСХЕТ-ДЖАВАХЕТИ

Таблица II. Кинжальные клинки из кургана № 2, Ниальской долины. Булавка из «Качагеби». Булавки из кургана № 2 (Чачкреби).

Таблица III. Подвески из кургана № 2 (Чачкреби). Золотые бусы из кургана № 1, Ниальской долины. Подвеска и бусы из кургана № 1 Ниальской долины. Серебряная подвеска.

Таблица IV. Расписной сосуд из кургана № 1 Ниальской долины.

Таблица V. «Качагеби», общий вид.

МУХУРЧА, «КЕКЕЛУРИ ЗУГА»

Таблица VI. Мухурчский могильник. Бронзовые топоры (1—3, 6—7), кинжалы (4, 9, 10), сегментовидные орудия (11—13, 15—17), мотыжка (14), фрагм. железного кинжала (8) и точильный камень (5), (нижняя погребальная площадка).

Таблица VII. Мухурчский могильник. Бронзовые статуэтки (1—4), подвеска (?). (5), цепочка (6), колокольчик (7), (нижн. погребальная площадка).

Таблица VIII. Мухурчский могильник. Бронзовые статуэтки (1—2), пряжки (3—6). подвеска (4), золотая головка браслета (5). Фрагмент бронзового сосудика (7), фрагм. бронз. фибулы и гривны (8), (нижн. площадка), точильные камни (9—11) и глиняный ритуальный сосудик (верхняя погребальная площадка).

Таблица IX. Мухурчский могильник. Агатовые (1, 5), стеклянные (2, 16, 17), сердоликовые (3, 13), янтарные (7, 13), каменные (11, 12), пастовые (13, 14), бусы и подвески, бронзовая цепочка (4) (верхн. погребальная площадка); оловянные (6), агатовые (8—10) и пастовая (15) подвески (нижн. площадка).

Таблица X. 1—2, 3—15, 18—образцы керамики из культурного слоя раннеантичного поселения близ храма, 4—7—9, 13 — импортная керамика; 3 — фрагмент сосуда из культурного слоя на холме Кекелури Зуга; 16—17—керамические фрагменты из культурного слоя предантичного периода к юго-западу от холма; 19—27 — глиняные сосуды с верхней погребальной площадки Мухурчского могильника.

ДЕДОПЛИС-МИНДОРИ

Таблица XI. Общий вид раскопок (1974 г.)
Таблица XII. Главный храм. Вид с запада.
Таблица XIII. Малый храм. Вид с юго-востока (1974 г.)
Таблица XIV. Западные ворота. Вид с востока (1974 г.)
Таблица XV. Северо-восточная капитель внешнего портика Западных ворот.

ГОМАРЕТИ

Таблица XVI. Траншея № 1. Каменные ящики №№ 1, 2. Каменный ящик № 3.
Таблица XVII. Каменные ящики №№ 2, 6, 6а.

НОКАЛАКЕВИ

Таблица XVIII. 1. Базилика, обнаруженная в 1975 г. 2. Юго-восточная часть городища.
Таблица XIX 1. Внешняя ограда. Центральная башня — вид с юга. 2. Внешняя ограда. Центральная башня — вид изнутри.
Таблица XX. 1. Хорос. 2. Светильник.
Таблица XXI. 1. Топора. 2. Канфар.
Таблица XXII. 1. Кувшинное погребение № 3. 2. Кувшинное погребение № 5.
Таблица XXIII. 1. Инвентарь раннесредневекового погребения. 2. Инвентарь раннесредневекового погребения.

ГОРОДИЩЕ АРЕШИ

Таблица XXIV. Каменный ящик № 19.
Таблица XXV. Каменный ящик № 20.
Таблица XXVI. 1. Восточная часть Арешской церкви. 2. Арешская церковь. Часть алтарной преграды.
Таблица XXVII. 1. Арешская церковь. Западная стоа. 2. Южная часть центрального нефа.

МТА ТУШЕТИ

Таблица XXVIII. Шенако-серебряная монета Баграда IV и фрагменты керамики.
Таблица XXIX. Шенако-фрагменты керамики с зооморфными изображениями.

«КВАБЕБИ» ИОРСКОГО УЩЕЛЬЯ

Таблица XXX. Вид «Квабеби» с юго-востока.
Таблица XXXI. 1. Погребение № 23. 2. Погребение № 4.
Таблица XXXII. Помещение с печами во время расчистки.



1




3



4




2





5




6












1


2


3


4


5



6



7


8


9


10


11


12



13


14



15


16



17




1



1



2



3



4



5




6




7



1




2




3




4




5



6



7



8




9



10




11








12



1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17



1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27

























1




2



1



2



1




2




1




2




1




2




1





2






20







1




2




1




2




















2



1

XXX II



სარჩევი

დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1974 — 1975 წწ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები. . . 5
მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 — 1975 წწ. მუშაობის შედეგები 22
ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974—1975 წწ. მუშაობის ანგარიში 43
ე. გოგაძე, ლ. ფანცხავა, ვ. დარისპანაშვილი, ნოსირ-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. 60
ი. გაგოშიძე, ნორმალური სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე . 72
ც. დავლიანიძე, გომარეთში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში 84
პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლეკვინაძე, გ. გვინჩიძე, ნოქალაქევის ექსპედიციის 1974—1975 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში 103
ლ. ჭილაშვილი, არეშის ნაქალაქარის გათხრები. 114
მ. სინაურიძე, არახლო-კაზრეთის ექსპედიციის ანგარიში. 129
რ. დოლაბერიძე, მთა-თუშეთის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (1975 წ.) 145
ბ. მჭედლიშვილი, ივრისპირების „ქვაბების“ არქეოლოგიური დაზვერვები. . . 157
ტაბულების აღწერილობა 171

СОДЕРЖАНИЕ

Д. М. Тушабрамишвили. Итоги работы Квирильской и Цухватской археологических экспедиций за 1974—1975 гг. 5
М. В. Менабде, Т. В. Кигурадзе. Результаты работы Квемокартлийской археологической экспедиции (1974—1975 гг.). 22
О. М. Джапаридзе, Я. А. Кикнадзе, Г. Б. Авалишвили, А. Т. Церетели. Результаты работ Месхет-Джавахетской археологической экспедиции за 1974—1975 гг. 43
Э. М. Гогадзе, Л. Н. Панцхава, М. В. Дариспанашвили. Работы Носири-Мухурчской экспедиции 60
Ю. М. Гагошидзе. Раскопки языческого храмового комплекса на Дедоплис-Миндори 72
Ц. О. Давлианидзе. Краткий отчет разведочных археологических раскопок 1975 г. в с. Гомарети 84
П. П. Закарая, Н. Ю. Ломоури, В. А. Леквинадзе, Г. О. Гвинчидзе. Краткий отчет работ Нокалакевской экспедиции . . . 103
Л. А. Чилашвили. Раскопки Арешского городища 114
М. И. Синауридзе. Отчет Арахло-Казретской экспедиции 129
Р. М. Долаберидзе. Отчет разведочно-археологической экспедиции горной Тушетии (1975 г.) 145
Б. Мчедлишвили. Археологические разведки скального комплекса «Квабеби» Иорского ущелья 157
Описание таблиц 171

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

V



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ნ. შენგელია

გადაეცა წარმოებას 18. 2. 1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 31. 10. 1977;
ქაღალდის ზომა 60×90 1/6; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 17,75;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.83.

უე 01196; ტირაჟი 700; შეკვეთა № 624;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР. Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19